

მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები

II

მარო თარხნიშვილის მოგონებები

თბილისი 2016



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტექსტი გადმოწერა, დაამუშავა, შესავალი და კომენტარები
დაურთო

ნინო ბადაშვილმა

რედაქტორი: ქეთევან ასათიანი

წიგნზე მუშაობდნენ: ნინო ბადაშვილი, მარინა სხირტლაძე

კორექტორი: მარიამ ჯანიკაშვილი

დიზაინერი: ზაზა ბერიშვილი

ISBN 978-9941-0-9560-3 (ტომეულის)

978-9941-0-9572-6 (მეორე ტომის)



www.justice.gov.ge



www.archives.gov.ge



საქართველოს
არქივები
არქივი

მემუარები, როგორც ცნობილია, ლიტერატურის ის ჟანრია, რომელშიც ერთად არის წარმოდგენილი კონკრეტული პირის ბიოგრაფიული დეტალები, მემუარების ავტორის თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი რეალიები და ამ რეალიების ობიექტური, თუმცა, არც თუ ისე იშვიათად, სუბიექტური აღწერა. საგანგებო მტკიცების გარეშეც ნათელია, რომ მოგონებებს, რომლებიც მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე დიდი და ხანმოკლე იმპერიის - საბჭოთა კავშირის პერიოდში დაიწერა, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ამიტომ მათი შესწავლა მკვლევარისაგან საზგასმულ სიფრთხილეს მოითხოვს. აუცილებელია ყველა იმ შრის ფაქიზად გამოკვეთა, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მოქცეული პირის ნაწერებში შეიძლება ვლინდებოდეს.

ქართლ-კახური სიმღერების ცნობილი შემსრულებლის, პირველი ქართველი ლოტბარი ქალის - მარო თარხნიშვილის მოგონებები¹ 1909-1968 წლებს მოიცავს, შესაბამისად, მასში სამი ურთიერთგანსხვავებული ეპოქაა წარმოდგენილი: მეფის რუსეთის, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა საქართველოს პერიოდები.

მარო თარხნიშვილის ბიოგრაფია კარგად არის ცნობილი და მის შესახებ შესანიშნავი წიგნიც გამოიცა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ფოლკლორის ცენტრის მიერ². თუმცა უშუალოდ მისი მოგონებების სრული ვერსია ქვეყნდება პირველად.

* * *

მარო თარხნიშვილი დაიბადა 1891 წელს სოფელ კავთისხევში (კასპი). ის იზრდებოდა მრავალშვილიან, შეძლებულ ოჯახში და ბედნიერი, ლალი ბავშვობა ჰქონია. მაროს მშობლები იყვნენ ეს-

1 მოგონებები დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის უიცა-ს ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში.

2 მ. კვალაიშვილი, „მარო თარხნიშვილი“, თბილისი, 2008.



ტატე თარხნიშვილი და ნატალია მექანარიშვილი. მათ მხიარულ და სტუმართმოყვარე ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ თავადაზნაურები: ციციშვილები, ამილახვარები, ჭავჭავაძეები, ერისთავები, კარგარეთელები და სხვები. იმართებოდა ქეიფი, დროსტარება, რასაც თან ახლდა სიმღერა-გალობა და ზოგჯერ ეს რამდენიმე დღე გრძელდებოდა.

„რაზიკაშვილი ბაჩანა, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ საზოგადოებას ძალიან გვიყვარდა, ყველასთან ჩამოდიოდა და თავლით გვამარაგებდა“ - აღნიშნავს მარო³.

13-14 წლის ასაკში მარო გაათხოვეს. მისი მეუღლე გახდა ასევე შეძლებული თავადიშვილი დიმიტრი ზაალის ძე თარხან-მოურავი.

მათ სამი შვილი შეეძინათ: ივანე, თამარი და ნუნუ.

1909 წელს პირველად გამოვიდა მარო თარხნიშვილი საზოგადოების წინაშე სიმღერებით, თუმცა მისი ნამდვილი დებიუტი მაინც 1910 წელს შედგა:

„ახალი წლის პირველ ნახევარში, გორის კლუბში საკუთარი აფიშა გაიკრა ქუჩებში. ჩემ სიხარულსა და ლელვას საზღვარი არ ქონდა. კონცერტმა, მიუხედავად ჩემი ლელვისა, კარგათ ჩაიარა ორ განყოფილებათ“⁴.

გარკვეული პერიოდის მანძილზე ახლადდაქორწინებული წყვილი ჯერ ახალქალაქში (კასპის რაიონი) ცხოვრობდა, შემდეგ გორში გადავიდა და 1917 წლიდან მარო და დიმიტრი შვილებთან ერთად თბილისში დასახლდნენ. მარომ გააგრძელა ჯერ კიდევ გორში დაწყებული შემოქმედებითი მოღვაწეობა. კერძოდ, ჩამოაყალიბა ქართლ-კახური სიმღერების რვაკაციანი გუნდი, რომელმაც სულ მოკლე ხანში მიიქცია იმჟამინდელი საზოგადოების ყურადღება, გამართა კონცერტები, მიიღო მონაწილეობა ოლიმპიადებში.

თავადაზნაურთა წრეში გაზრდილი მარო თარხნიშვილისა და მისი ოჯახის ბედნიერება პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროსაც გაგრძელდა. ამ პერიოდის ამსახველი ყველაზე საინტერესო მონაკვეთი დაკავშირებულია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესთან.

1918 წლის 26 მაისი; საზეიმო ბანკეტი ქართულ კლუბში; მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ მარო და მისი გუნდი, გამოჩენილი მსახიობები, ოპერის საბალეტო ჯგუფი. იქვე იმყოფებოდა მთავრობა სრული

3 სეა, უიცა, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ.114.ა.2.ს.1, გვ.134.

4 სეა, უიცა, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ.114.ა.2.ს.1, გვ. 1.



შემადგენლობით. საზეიმო სუფრას თავად ნოე ჟორდანიას თამადაობდა. მოგვყავს მონაკვეთი მოგონებებიდან:

„მსახიობები იმ ღამეს მონანილეობდნენ: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო გოცირიძე, ვასო აბაშიძე, ნინა მაღალაშვილი, მომლერალი ბაუერზაკის თავისი პარტნიორით (ოპერის ბალეტი). კონცერტის დამთავრების შემდეგ დიდი ბანკეტი იყო შიგ კლუბის დარბაზში. თამადა იყო ნოე ჟორდანიას. იმ დროის მთავრობა, რა თქმა უნდა, ყველანი იყვნენ; სამხედრო ორკესტრი, საუკეთესო ქალები. ნოე ჟორდანიამ ყველა მონანილე მსახიობები მიგვიწვია მაგიდაზედ. განკარგულება იყო გაცემული, თარხნიშვილების დებმა ქართული კაბები არ გაიხადონო. დავსხედით. დილაზედ არავინ არ გაგვიშვეს. დუხავოი ორკესტრზედ ლეკური ითამაშა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, დამიკრა თავი, არ გამივიდა უარი, როგორც ერთი წრე შემოუარეთ (გვარი არ მახსოვს) მთლიანად ჯარის უფროსმა ჩამოართვა ჩემი თავი, გავიარეთ ერთი წრე და მე დავამთავრე, თან მახლდა მეუღლე დიმიტრი ზაალის ძე თარხან მოურავი; შეიკრა შუბლი, იეჭვიანა ნამდვილათ და ძალიან უსიამოვნოთ გახდა, რამაც ჩემზედ იმოქმედა. ასე ჩუმათ ჩავატარეთ ის წყენა და სახლში მშვიდათ დაებრუნდით“.⁵


დანვრილებით აღწერს მარო თარხნიშვილი გორის მინისძვრასაც, რომლის დროსაც ის გასტროლებით ბაქოში იმყოფებოდა. თუმცა, 1920 წლის 20 თებერვლის მინისძვრას იგი 1921 წლით ათარილებს⁶. მინისძვრა გორის მოსახლეობისთვის დამანგრეველი აღმოჩნდა, რადგან ქალაქის შენობების 80 პროცენტი განადგურდა (მათ შორის მაროს სახლ-კარიც)⁷.

თარილების აღრევასთან გვაქვს საქმე ერთ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებითაც. ეს არის სვეტიცხოვლის ტაძარში კირი-

5 სეა, უიცა, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ.114.ა.2.ს.1, გვ. 28.

6 აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, როგორც მარო თარხნიშვილის დღიურის დამუშავებისას გამოვლინდა, მემუარების ავტორი ხშირად ერთმანეთში ურევს სხვადასხვა თარიღს, ვერ / არ იცავს ზუსტად წლების თანმიმდევრობას, შეცდომით ათარილებს ამა თუ იმ ცნობილ მოვლენას, ერთსა და იმავე ისტორიულ ფაქტს რამდენჯერმე აღწერს. ამასთანავე, ყოველ ჯერზე მას სხვადასხვა კუთხით აშუქებს და ხშირ შემთხვევაში - სხვადასხვა თარიღითაც. ჭირს იმის დადგენა, ეს შეცდომები უნებლიე ხასიათის იყო, თუ მიზანმიმართული. მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ მოგონებების წერას მარო 50 წლის ასაკში შეუდგა.

7 სეა, უიცა, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ.114.ა.2.ს.1, გვ. 37.



ონ კათალიკოსის აღსაყდრების ამსახველი მოგონება, რომელსაც მემუარების ავტორი 1917 წლის ნაცვლად 1925 წლით ათარილებს. მაროს მოგონებებში ვკითხულობთ, რომ ამ დღეს საგანგებოდ იყო დანიშნული მატარებლები, რომლებსაც უამრავი ხალხი მცხეთაში მიჰყავდა:

„უყურეთ საქართველოს მღვდელმთავრები როგორი გალობით დასტრიალებდნენ თავს, აცმევდნენ დიდებულ სამოსელს, რთამდნენ, ხელ-ფეხი დაბანეს; სადაც მირონი ამოდიოდა, შუა ეკლესიაში წასცხეს მირონი შუბლზედ, გულზედ, ხელის გულზედ და დაიწყო გასხივოსნებული წირვა. ჩემში ამ სანახაობამ ღრმით დაუვინყრათ აღიბეჭდა“⁸.

წირვის დამთავრების შემდეგ რჩეულ საზოგადოებას სამთავროს მონასტერში გადაუნაცვლებია, სადაც სუფრის კურთხევის შემდეგ შეუსვამთ კირიონის სადღეგრძელო, რასაც მაროს *”მრავალჟამიერი“* მოჰყოლია, შემდეგ კი *„შენ ხარ ვენახი“*. აღნიშნულ ფაქტს თავის მოგონებებში მარო ამგვარად ეხმიანება:

„ეხლაც, როდესაც გამივლია მცხეთაში, არ შეიძლება არ გამახსენდეს კირიონის კურთხევის ამბავი, და მონასტერში სადილის პროცესი“⁹.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი დაიწყო მარო თარხნიშვილის ყველაზე რთული, ტრაგიკული და, ამავე დროს, შემოქმედებითი მოღვაწეობით აღსავსე გრძელი გზა: კონცერტები საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთისა და უკრაინის სხვადასხვა ქალაქში, მეორე მსოფლიო ომის სირთულეები, შვილის გასტუმრება ომში და ბოლოს, მისი ცხოვრების უკანასკნელი წლები.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიოგრაფია, რომელსაც მისი შთამომავლები გვთავაზობენ, გაცილებით უფრო დატვირთულია სხვადასხვაგვარი ფაქტებით. განსხვავება, პირველ რიგში, ვლინდება იმ უკიდურესად ტრაგიკული მოვლენების აღწერაში, რომლებითაც აღსავსე იყო ლოტბარი ქალის ცხოვრება. მარო თარხნიშვილის შთამომავლები გვიყვებიან მისი ოჯახი როგორ ვერ ასცდა 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებულ საყოველთაოდ ცნობილ ტრაგიკულ მოვლენებს, როგორ დაუხვრიტეს სრულიად უდანაშაულო მეუღლე და როგორ სისხლის ფასად მოიპოვა შვილის დასახს-

8 სეა, უიცა, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ.114.ა.2.ს.1, გვ. 42.

9 სეა, უიცა, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ.114.ა.2.ს.1, გვ. 43.



ნელი საბუთი და დასახვრეტად განწირული თხუთმეტი წლის ვაჟი პირდაპირ თხრილიდან გამოიყვანა .¹⁰

რას გეყვება ამის შესახებ თავად მომღერალი? ერთი სიტყვითაც კი არ ახსენებს 1924 წლის აჯანყებას, არც მეუღლის დაღუპვის მიზეზს, არც შვილის ბენვზე გადარჩენის ისტორიას; დუმის ამჯობინებს. მხოლოდ შიგადაშიგ შემთხვევით გამოცრილი სიტყვები შეიძლება შეგვხვდეს:

*„არც აქ გამილიმა საბოლოოთ ბედმა, რადგან მეუღლე
- დიმიტრი თარხანმოურავი გარდაიცვალა 24 წელში და
ჩემმა წინსვლამ ისევ უკან დაინია...“¹¹*

1924 წლის შემოდგომაზე დახვრიტეს დიმიტრი თარხან-მოურავი, მაროს მეუღლე. ათეული წლების შემდეგ დაწერილ მოგონებებში, რომელშიც ყველა წელს სათითაოდ მიმოიხილავს, 1924 წლის აღწერისას სიტყვაძუნია: არც ერთი სიტყვა საკუთარ ოჯახზე, საკუთარ წარსულზე. ერთადერთი მოვლენა, რომელსაც ხაზგასმული ტრაგიზმით აღწერს, ცნობილი ლოტბარის - ძუკუ ლოლუას გარდაცვალებაა. სხვა რამ მოსაგონარი და დასაწერი 1924 წლისათვის მას არა აქვს¹².

სამაგიეროდ, მისსავე ფონდში, ოღონდ არა მოგონებებში დაცულია მისი ლექსები, რომლებშიც სრულიად ნათლად ჩანს მარო თარხნიშვილის განცდები და მწუხარება მეუღლის ჯერ დაპატიმრებასთან, ხოლო შემდეგ დახვრეტასთან დაკავშირებით:

*„ციხეო, ციხეე მაღალო,
შეგევედრები გულითა
გადაარჩინე ვაჟუკაცი,
აღვსილი სიყვარულითა“.¹³*

თუმცა, ადრესატის სახელს ვერც ამ ლექსებში ახსენებს.

მიუხედავად იმ საგულდაგულო შეფუთვისა, რომლითაც მთელი მისი განცდებისა და გასაჭირების დამალვას ცდილობს, შიგადაშიგ მაინც ჩანს ის პრობლემები, რომლებიც მას დანამდვილებით შეექმნებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ:

10 მ. კვალაშვილი, „მარო თარხნიშვილი“, თბილისი, 2008, გვ. 10.

11 სეა, უიცა, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ. 114.ა.2.ს.1, გვ. 27.

12 მარო თარხნიშვილი არც მაზლის სახელს ახსენებს თავის, არც თუ ისე მცირე ზომის, მოგონებებში. არადა, შთამომავლების გადმოცემით, იორამ თარხან-მოურავი ზრუნვასა და მფარველობას არ აკლებდა ძმისშვილის ოჯახს. ის „თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე, იმ დროისთვის ერთ-ერთი ცნობილი, ღვინის ქარხნის - „უდელის“ მთავარი მელვინეა, რომელიც რეპრესიებს სწავლა-განათლების მისაღებად საზღვარგარეთ ყოფნამ გადაარჩინა. იორამი უსახლკაროდ დარჩენილ რძალსა და ძმისშვილებს ცხოვრების პირობებს უქმნიდა, ეხმარებოდა და გაჭირვებას არ აგრძობინებდა“ მ. კვალაშვილი, „მარო თარხნიშვილი“, თბილისი, 2008, გვ. 12.

13 სეა, უიცა, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ. 114.ა.2.ს.2, გვ. 2v.



„სამჯერ დანგრეული ბინადრობა, როგორც მოგეხსენებათ, თავადაზნაურების ზოგიერთების ბედი: შვილები-სათვის თავშესაფარი, ბინის შოვნა და მოწყობა რამდენად დიდი სიძნელეებით მაქვს გადატანილი ჩემი ცხოვრების მანძილზედ“.¹⁴

განსაკუთრებით საინტერესოა მარო თარხნიშვილის დამოკიდებულება იმ საბჭოთა პოლიტიკოსების მიმართ, რომლებსაც ის შეხვედრია და იცნობდა. რეპრესირებული, ტრაგიკული ბედის მქონე ადამიანის შეფასება სხვადასხვა პერიპეტიებში იშლება. რასაკვირველია, ძნელია მისგან ველოდოთ პირდაპირ და ობიექტურ შეფასებებს მაშინ, როცა საუბარია ისეთ საბჭოთა ლიდერებზე, როგორებიც იყვნენ იოსებ სტალინი, კლიმენტი ვოროშილოვი, ლავრენტი ბერია, ალექსანდრე გეგეჭკორი, ფილიპე მახარაძე და სხვები. თითოეულ მათგანს, ხშირ შემთხვევაში, მაღლიერებით იხსენებს (ხშირად არც თუ დამაჯერებლად), სიფრთხილითა და საბჭოთა ცენზურის მოთხოვნების სრული დაცვით. გამონაკლისს ერთადერთი და ძალიან საინტერესო შემთხვევა წარმოადგენს. მხოლოდ ორჯერ ახსენებს მარო თარხნიშვილი ლავრენტი ბერიას და ორივეჯერ ამკობს ეპითეტით “გარეწარი”. ეს არის საბჭოთა ხელისუფლების ერთადერთი წარმომადგენელი, რომელთან შეგუებასაც მარო სიცოცხლის ბოლომდე ვერ ახერხებს. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო ის გადამწყვეტი როლი, რომელიც ლავრენტი ბერიამ 1924 წლის აჯანყების ჩახშობასა და მაროს ოჯახის განადგურებაში შეასრულა.

მარო, რომელმაც საკუთარი ოჯახის გადასარჩენად უმძიმესი ცხოვრება გაიარა, საოცრად გაბედული აღმოჩნდა და ეს გაბედულება, მიუხედავად მისი წერის მანერის ხაზგასმული სიფრთხილისა, მშვენივრად აისახა მის მოგონებებში.

1937 წელია, მოსკოვში არნახული მასშტაბებით ტარდება ქართული კულტურის დეკადა. საქართველოშიც დიდი მზადება და ფაციფუცია; საუკეთესო მომღერლებს, მსახიობებს, სხვადასხვა სფეროში მოღვაწეებს კრებენ და აგზავნიან მოსკოვში დღესასწაულის ჩასატარებლად, მაგრამ ამ სიაში ვერ მოხვდა საქართველოში ასე ცნობილი და პოპულარული დები თარხნიშვილების გუნდი. მარო თარხნიშვილი მოგონებებში იმტკიცება, რომ მან ამ ყველაფრის შესახებ შემთხვევით გაიგო და რომ საოცრად გაუხარდა ქართული გუნდების წარმატება, თუმცა ნათელზე ნათელია ასეთ დღესასწაულზე თარხნიშვილების არნაყვანა 1937 წელს, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ბნელ პერიოდში, რას უნდა ნიშნავდეს რეპრესირებული ოჯახისთვის. 1937

14 სეა, უიცა, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ.114.ა.2.ს.1, გვ. 38.



ნლის გაზეთებში წერილი წერილზე იბეჭდებოდა ქართული გუნდების საოცარი წარმატების შესახებ. 1937 წლის იანვრის გაზეთი „კომუნისტი“ იყო აჭრელებული კირილე პაჭკორიას, სანდრო კავსადის, ეთერ ჭუბაბრიასა და სხვათა ფოტოებით. უდავოდ ძალიან დიდი მოვლენა იყო იმ დროისთვის ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში, თუმცა ყველაფერ ამისგან ხელოვნურად და დაუმსახურებლად მონყვეტილი აღმოჩნდა მარო და მისი გუნდი და ეს მხოლოდ ავის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოგონებებში ასეთ რამეს ვკითხულობთ:

„დამთავრდა დეკადა. დაბრუნდნენ მონანილე-ბიც, მხვდებიან გზაში, მოდიან სახლში, მიაშობენ დაწვრილებით: სტალინმა დაპატიჟა ქართველებიო ვახშმათ და იქ ჰკითხა ხმამაღლა, რატომ თარხნიშვილის დები არ მონანილეობენ დეკადაზედო, ლ. ბერიას. იმ გარენარმა თურმე უსირცხვილოთ უპასუხა, ავათ გახლდათ და წამოსვლა ვერ შესძლოვო. გავიდა, იოსებ ბესარიონის ძე სტალინმა ოთახიდან გამოიტანა ფირფიტები, გადუსვა ხავერდის ნაჭერი, დაუდო მაგნიტაფონზედ, დაუკრა ჩემი ნამღერი „ურმული“ და „კახური მრავალჟამიერი“ და მოუბრუნდა და უთხრაო: აი, ნამდვილი მომღერალი ეს არისო. ჩანერონ კომპოზიტორებმა, ისწავლეთ ამათგანო, სწავლა სირცხვილი არ არისო. ეს კარგათ ახსომთ პ. ამირანაშვილს, ნადია ხარაძეს, ნ. ცომაიას, ნ. ქუმსიაშვილმაც და კ. პაჩკორიამაც მიაშბეს ეს ამბავი.¹⁵

არ ვიცი როგორ, მაგრამ ფაქტია, რომ მარომ კიდევ ერთხელ მოახერხა ოჯახის ნანილის გადარჩენა. მოგონებებიდან მოტანილი ნაწყვეტის მიხედვით, მოსკოვში, დეკადაზე, იოსებ სტალინი ხვდება ქართველ მოღვაწეთა დიდ ჯგუფს და, მარო თარხნიშვილის მტკიცებით, მან კარგად იცის, რომ დეკადაზე თარხნიშვილების გუნდი ვერ ჩავიდა. სტალინის შეხვედრას მოსკოვის ქართული ხელოვნების დეკადაზე ქართველ მოღვაწეებთან, სხვა ხელოვნებშიც ყვებიან, თუმცა ის, რომ სტალინმა გამოყო მაროს საკითხი, ამას მხოლოდ ამ მოგონებებში ვხვდებით. ამ ამბავს გაგრძელებაც მოყვა: ნებსით თუ უნებლიედ (ალბათ, უფრო უნებლიედ) მარო თარხნიშვილს ლავრენტი ბერიას კაბინეტში სტუმრობამ მოუწია:

„მალე გამიძახა ცეკაში ღამის 10 საათზედ გარენარმა ბერიამ და მითხრა: რა გიჭირთ, მითხარით, საღამოს მოგიწყობთ, ნოდებასაც მიიღებთ. თუ

15 სეა, უიცა, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ.114.ა.2.ს.1, გვ.142.



რაიმე გაჭირება გაქვთ, მითხარით და დაგეხმარებოთ. მე გაკვირვებული შევცქეროდი და ბოლოს შევეკითხე: რატომ, მე ხომ დეკადაზედ მონაწილეობა არ მიმიღია და არც ვყოფილვარ, რაზედ მაჯილდოვებთ-მეთქი? მერე რაო, შემდეგში თქვენც ნახვალთო. მადლობა გადუხადე. კიდევ შემეკითხა, რადგან შემამჩნია უკმაყოფილება, შემეკითხა, ბინა როგორი გაქვთო, მაშინ კი უთხარი, ბინა არ მივარგა, ორი პატარა ოთახი მაქვს-მეთქი. დანიშნა მაისის 9-ში 1937 წლისთვის იუბილე ოპერის თიატრში; ბინა კი 11 სართულიანში მე-4-თხე სართული. ავდექი, მადლობა გადუხადე და წამოვედი. რომ გამოვდიოდი, კაბინეტის კარებთან მომაცილა და მითხრა, ეს ი. ბ. სტალინმა დამავალაო. წამოვედი სახლში გაკვირვებულიც და გახარებულიც იუბილეს და ბინის მიღებისათვისაც, რომელიც დანიშნულ დღეზედ შესრულდა ყველა დაპირებები“.

მარო თარხნიშვილი აუცილებლად თვლის ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ ასეთი „წყალობა“ არავითარ შემთხვევაში ბერიასგან არ მოდის, არამედ ის მხოლოდ სტალინის ბრძანებას ასრულებს.

1937 წელს არც ბევრ იმათგანს დასდგომია კარგი დღე, ვინც მოახერხა მოსკოვში დეკადაზე ჩასვლა და საკუთარი თავის სათანადოდ წარმოჩენა. თუნდაც იმის გახსენება რად ღირს, რომ მოსკოვში ევგენი მიქელაძის საოცარ ვირტუოზობაზე, მის დიდ შემოქმედებაზე, მის განსაკუთრებულ გამოსვლაზე უამრავი რამ დაინერა, თუმცა სწორედ 1937 წლის მინურულს, თბილისში დაბრუნებული ის სასტიკად იქნა დასჯილი. ძნელი გამოსაცნობი არ იქნება, რით შეიძლებოდა დამთავრებულიყო პირადად ლავრენტი ბერიას მიერ თავიდანვე persona non grata-დ გამოცხადებული მარო თარხნიშვილის საქმე.

იმ ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, მარო განსაკუთრებულ ზრუნვას გამოხატავს ერთადერთი ვაჟიშვილის მიმართ, რომელსაც ძალიან ხშირად ახსენებს და მუდმივად მის მოღვაწეობაზე და დამსახურებებზე წერს. ყველგან აღნიშნავს, რომ ის საბჭოთა სახელმწიფოს ემსახურება, მისთვის თავდადებულია და ა.შ.

მელიტონ ბალანჩივაძე, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, იოსებ ნონეშვილი, ნატო ვაჩნაძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვები... ეს იმ რჩეული საზოგადოების მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი




იყო, რომლის გარემოცვაშიც მარო თარხნიშვილმა აიდგა ფეხი და რთული და გრძელი შემოქმედებითი გზა განვლო.

მარო თარხნიშვილის მოგონებებში ეპოქის სუნთქვა იგრძნობა, უფრო არა ყველა იმ ეპოქისა, რომელიც მან გამოიარა, არამედ იმ კონკრეტულის, რომლის მარწუხებშიც ის, სამწუხაროდ, მოექცა. მისი მოგონებების კითხვისას, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითოეულ სიტყვას არა წარსულის მოსაგონად და მომავალი თაობებისთვის გადასაცემად, არამედ ვილაცის გასაგონად წერს, დარწმუნებული, რომ მავანი ამას წაიკითხავს, „სწორად გაიგებს“ და მის სიმწრით გადარჩენილ შვილებს მოულოდნელად არ დაადგება და არ მოუსწრაფავს სიცოცხლეს „ხალხის მტრის“ იარლიყით.

ნინო ბადაშვილი

წერილი წაკითხული იყო საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, სიძველეთმცოდნეობა - ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები“,

2016 წელი, 1-3 სექტემბერი



ტექსტისათვის

შევეცადეთ მარო თარხნიშვილის მოგონებები ისე გადმოგვეტანა, როგორც ეს ორიგინალში იყო, რაც არც ისე ადვილი ამოცანა აღმოჩნდა. პირველ რიგში პრობლემა შექმნა იმან, რომ ერთი და იგივე თარიღი თუ მოვლენა ხშირად ბევრჯერ იყო გამეორებული, ან ერთმანეთში არეული. ადგილი ჰქონდა თარიღების და ზოგჯერ კონკრეტული ფაქტების არაზუსტ გადმოცემას. რიგ შემთხვევებში აზრი სრულიად ბუნდოვანი იყო, წინადადებები - სინტაქსური თვალსაზრისით გაუმართავი, რის გამოც, ჩვენი მხრიდან, ტექსტში მცირე ჩარევას ჰქონდა ადგილი. თუმცა, შევეცადეთ მკაცრად დაგვეცვა მთავარი პრინციპი: ტექსტი გამოიცეს ისე, როგორც ამას ავტორი წარმოადგენს, არ დაიკარგოს კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი ენობრივი ნიშნები და ავტორის წერის სტილი.



„Դ՛ր Զսեկույ՛լ Զդ, Զսու՛մը“

Թ. ափ ԵՆԻՂՅԱ



12

ՆԱԴԱՐԿՈՒԹՅԱՆ
ՆԱԿԱԾՆԵՐԻ
ՆԱԿՈՒՆ



„სამწუხაროთ, 50 წლისა რომ გავხდი, მერე შეუდექი მოგონებების წერვას: ისიც ელისაბედ ჩერქეზიშვილმა დამარია ... შენ კარგი ხმა გაქსო, დიდხანს იმღერებო და რაც კარგი რამ გადაგხდეს მუშაობის ირგვლივ, დანერე და შეინახეო“.

მარო თარხნიშვილი

[XIX საუკუნის მინურული]

„სოფელ ოქონაში (გორის მაზრა) ეკატი-რინეს გათხოვება„

ეკატირინე ესტატეს ასული თარხან-მოურავის ქალიშვილი გათხოვდა ზემოთ ხსენებული წლის ოქტომბერში; რადგან სოფლათ ოქონაში უნდა ნაეყვანათ მის მეუღლეს დავით ივანეს ძე ფალავანდიშვილს, მამა - ესტატე შეძლებული თავადი გახლდათ, ვერ გაიმეტა საყვარელი შვილი და სთხოვა: ბინა კარგი მაქვს და საცხოვრებელი, დარჩით ჩემთან გაზაფხულამდეო. დაეთანხმა სიმამრს სიძე და დარჩნენ მამა ესტატესთან მათამდე. მათში რომ მიდიოდნენ (კატუშას უძახდით იმ დროს) და მამასა სთხოვა, წამოვიდეს მარო ჩემთან, თუ ნებას მომცემთ, ძალიან გამეხარდებაო კატუშამ ჩემზედ. მას ორი შვი-



ლის ერთად წასვლა, ცოტა არ იყვეს, ვერ ესიამოვნა, მაგრამ არც იმისი წყენა უნდოდა: წადით, შვილებო, მხოლოთ მალე ჩამოდითო, დედამ ჩვენმა ასე გადამწყვიტა, ვინაიდან ჩვენს სიძეს ხილის ბალი არ ჰქონებია, ისინი მთა ადგილზე ცხოვრობდნენ. ასეთი პირობით გაუშვათ: სანამ ჩვენი ადრეული ხილი ნამყენებიც დამწიფდება, ივლისის ნახევრამდე იყვნენ იქ, მერე ჩვენთან ეჯობინება. ასე შეთანხმდნენ ჩვენი მშობლები და გამაყოლეს მეც. მართლაც, მთა ადგილი იყო მაშინ. ბალები არა ჰქონდათ იქ, რა გაგვამძლებინებდა, მიჩვეული ვიყავით მამასთან, ძვირფასი ხილის ბალები და ექვსი დღის მინაზედ საუკეთესო ყურძნის ბალი (ზვარი) - ასე უძახდნენ ძველად. რთველს რომ დაიწყებდა მამა, მთელი ათი დღე გრძელდებოდა, 15-20 კაცი და ქალები კრეფდნენ ყურძენს.

ჩავედით ოქონში. მართლაც, ტყის პირას იყო სანყალი სოფელი, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რამოდენიმე ოჯახი თავადიშვილები, მშვენიერი მაცხოვრებლებიც იყვნენ. მაგალითად, ამირეჯიბები, ფალავანდიშვილები, რამდენიმე ოჯახი, რომლებიც ჩვენს სიძეზედ უკეთესად ცხოვრობდნენ, მაგალითად,



მარო თარხნიშვილის მშობლები -
ესტატე თარხან-მოურავი და ნატალია
მექანარიშვილი შვილებთან (ივანე,
ეფემია და ეკატერინე) ერთად

[XIX საუკუნის მიწურული]



კოსტა ამირაჯიბი¹. ახლაც არსებობს მისი სახე-ლობის დაწესებულებები. მან იმ დროს იმ უდაბურ სოფლებს ელექტრო ნათურებით გააშუქა სახლები. გაუკეთა სოფელს პარის წისქვილი (მაშინ ასე უძახოდნენ). თითონ - დიდებული სახლი, ორსართულიანი, ძვირფასად მოწყობილი ევროპულ სტილზე, საკუთარი ფაიტონი, ზამთარში მარხილში ცხენები. პოვრით და ლაქიებით ცხოვრობდა.

სადაჩოთ იქ ცხოვრობდნენ ბედნიერათ. ზამთარში, რასაკვირელია, თბილისში მუშაობდა, შვილები სწავლობდნენ, ოჯახი ფუფუნებაში იყო. მთელი მეურნეობა ჰქონდა, რასაკვირელია, მოწყობილი და ოჯახიც სამსე იყო დოვლათით. სწორეთ ამ ოჯახმა მოისურვა ჩემი სიძისა და დის ოჯახის დაახლოვება. გამართა დიდი წვეულება, ასე იცოდნენ იქ თურმე: ოჯახების მიწვევა ორი-სამი დღით; გრძელდებოდა დროს ტარება - ერთი დაიწყებდა, შემდეგ გრძელდებოდა მორიგეობით პატიჟობა და დიდი ქეიფები. ახალი მოყვანილი პატარძალი იყო ჩემი და ეკატერინე. რასაკვირველია, მიუხედავად იმისა, რომ, მამა ესტატეს ოთხი ქალი ვყავდით, ვაჟები კი ადრე დაეხოცა და ქალებს ყველას საუკეთესო მზითვებს ატანდა. ეკატერინეს არაჩვეულებრივი ფარჩის და ძველებული ყანაოზის ფარჩისა და ხავერდის ქართული კაბები ჰქონდა მზითევში, თითონაც მოხდენილი და ლამაზი ტანადი ქალი იყო, მას ყველაფერი უხდებოდა. გამოეწყნენ ქართულ ტანსაცმელში, მეც წამიყვანეს; 9-10 წლის გოგო ვიყავი. ჩემი სიძის დედა ამირეჯიბის ქალი იყო, რეზო ამირეჯიბის და, ისინიც კარგი

1 კონსტანტინე (კოსტა) ამირაჯიბი (1869-1948) - მეცნიერი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში, პროფესორი; მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე.



1
 2
 3
 4
 5
 6
 7
 8
 9
 10
 11
 12
 13
 14
 15
 16
 17
 18
 19
 20
 21
 22
 23
 24
 25
 26
 27
 28
 29
 30
 31
 32
 33
 34
 35
 36
 37
 38
 39
 40
 41
 42
 43
 44
 45
 46
 47
 48
 49
 50
 51
 52
 53
 54
 55
 56
 57
 58
 59
 60
 61
 62
 63
 64
 65
 66
 67
 68
 69
 70
 71
 72
 73
 74
 75
 76
 77
 78
 79
 80
 81
 82
 83
 84
 85
 86
 87
 88
 89
 90
 91
 92
 93
 94
 95
 96
 97
 98
 99
 100

1
 2
 3
 4
 5
 6
 7
 8
 9
 10
 11
 12
 13
 14
 15
 16
 17
 18
 19
 20
 21
 22
 23
 24
 25
 26
 27
 28
 29
 30
 31
 32
 33
 34
 35
 36
 37
 38
 39
 40
 41
 42
 43
 44
 45
 46
 47
 48
 49
 50
 51
 52
 53
 54
 55
 56
 57
 58
 59
 60
 61
 62
 63
 64
 65
 66
 67
 68
 69
 70
 71
 72
 73
 74
 75
 76
 77
 78
 79
 80
 81
 82
 83
 84
 85
 86
 87
 88
 89
 90
 91
 92
 93
 94
 95
 96
 97
 98
 99
 100

დიმიტრი თარხან-მოურავის
 წერილი მომავალი მეუღლის -
 მარო თარხნიშვილისადმი
 [XX საუკუნის დასაწყისი]



Պայծառան մաքուր օրջյնի լեզուիմա.
Ի չո ուրի միւրաքն մաքս հւմ
պոնետաջ ջափոյի շարուն յի ջարժիտու.
Ի լուա օրջյնի միւրաքն յի լայիտան
ժամարոն թաքայիտան. հիտոն յնիտ
ճիչ սափուս յիտն լուրոն, օսյ
սնջա մոնին ճիչ ջարժու; օսյ օրջյն
յոնիարուն լայարոն ջիտն յիտն օրջյն
նոյսյա հիտոյոն չիտն; լայ չո հւմ օսյ
օրջյնաջոն պոնիարոն յի սիտաւ
յիտն չիտն յի ճիչ թաքայիտան յիտն
լուրն ժայլոնիտ օրջյնի յիտն լայարո
թա պոնետաքն լայարո. ուրի միւրաքն յիտն
ժայլոյ ջարժայիտան. հիտոյ.

օրջյնի ճայլոյն ժայլոյ
թայլոյն օրջյնի յիտն.



შეძლებულები იყვნენ; არანაკლებათ შეხვდნენ მასპინძლები და მოწვეული სტუმარი ქალები: იმათაც ძვირფასი ქართული კაბებით გამონწყობილნი, ნივთებში იყვნენ. ჩემი და ეკატერინე, როგორც ახალი პატარძალი, ბრილიანტების ბეჭდები, დიდი ოქროს ჯაჭვი გულზე დახვეული და ზედ ოქროს სათი ყვალისანი ემალით სახურავი.

ერთი სიტყვით, რომ თავი არ შეგანყინოთ, დაიწყოს სადილზე დასხდომა. მამაკაცებმა, ჩოხებში, ზარნიშის ქამარ-ხანჯლებით, ზოგს რევოლვერები ჰქონდათ, აიხსნეს იარაღი და ხაზეიკას ჩააბარეს. გასართობად მოწვეული იყვნენ გათქმული მეზურნები: სინო თავის დასტით. პიანინოზედ თითონ ქალები უკრამდნენ. ერთი სიტყვით, ყოველ სადღეგძელოზეთ ტუშს უკრამდნენ მეზურნები. ორი დღე გაგრძელდა ქეიფი, მესამე დღეს, დილით, საუზმის შემდეგ, ზოგი ურმებით იყვნენ მოსული, ზოგნი საკუთარი ფაიტონით. ჩვენ, როგორც ახალ პატარძლიანი, მასპინძლის ეტლით გამოგვისტუმრეს. მე მაშინ შესანიშნავად უკრამდი გიტარაზედა, ცოტას სიმღერასაც ვბედამდი ასეთ მაღალ საზოგადოების წინაშე. იმათ ძალიან უხაროდათ ჩემი დასთან ერთად ჩვენი სიმღერები. ასე გაგრძელდა, დანარჩენმა მოგვარებმაც - ფალავანდიშვილებმაც ამირეჯიბებთან მიწვევამ და დროს ტარებამ.

1909 წელი

„ეს იყო 1909 წელს“

ეს საღამო დიდებულათ ჩაატარეს, რადგან თბილისიდან ჩამოსულმა მსახიობებმა, სახელდობრ,





დემეტრი თარხან-მოურავი და მარია (მარო) თარხნიშვილი
1905 წელი



მსახობი ქალი ელ. ერეკლევილისა.

პროგრამა

ს ა ნ უ მ ა

კომედ. 4 მოქ. ა. ცაგარლისა.

მომქმედნი პირნი:

- მიქი ტყუილ კოტრიანცი—მ. კვალიაშვილი.
- სონა, ამისი ქალი—ქ. კალაძე.
- სარა, სონას დიდუდა—ნ. ყაჭეშვილისა.
- ტერ ჭერანთ აკოფა—ნ. თედოროაშვილი.
- თ. ვანო ფანტიაშვილი—ნ. სიხარულიძე.
- თ. კოტე ფანტიაშვილი—მ. ლაზარევი.
- ტიმოთე—გლეზა—დ. სხილაძე.
- ვართუკიანთ ქაბატუა—თ. აფხაზიშვილისა.
- ბურთიკიანთ ხანუმა—ელ. ჩერქეზიშვილისა.

2

ქართული

სიმღერები

შეასრულებენ: „ჭონას, მუშუ-
რი, ურძული და ჰ. ტარა კასი“
მომღერალნი დები—თარხნიშვილები.

რეჟისორი—ნიკო სიხარულიძე.

სალამოს გამგე—მარიამ კვალიაშვილისა



საქართველოს
ანონაწილი
ანაწილი

ელისაბედ ჩერქეზიშვილმა², კ. ჩაგუ-
ნავამ, შალვა დადიანმა³ და ადგილობ-
რივმა სცენის მოყვარულებმა კარგათ
ითამაშეს. ჩვენმა სიმღერებმაც კარგი
მოწონება დასტოვა საზოგადოებაზედ.

იგივე გორში შემდეგში კიდევე სკოლის
სასარგებლოთ მოენყო ა. წერეთლის თა-
ნადასწრებით „ცოცხალი სურათი“ - „აკა-
კი ბავშვებთან“. აკაკის მაგივრად ჩააცვეს
ჩემს მეუღლეს, დიმიტრი თარხან-მოურავს;
მეორეთ იქ გვნახა გორის საზოგადოებამ.

საკონცერტო განყოფილებაში ვიმღერეთ
მე, ჩემმა დამ - ეკატერინემ ჩუტკერაშვილ-
მა, ესტატე ხუციშვილმა⁴, არჩილ ღვინიაშვილ-
მა-ლომაურმა. ესენი გორის გიმნაზიის მასწავ-
ლებლები იყვნენ[ნ]. ვიმღერეთ „სულიკო“, „ნანა“,
„დაიგვიანეს“. ეს სამი სიმღერა აკაკის ტექსტე-
ბით იყო შესრულებული.

2 ელისაბედ ჩერქეზიშვილი (1863-1948) - მსახიობი, საქართველოს სა-
ხალხო არტისტი; საზოგადო მოღვაწისა და ეთნოგრაფის - ნიკოლოზ ხი-
ჯანაშვილის (ურბნელი) მეუღლე.

3 შალვა დადიანი (1874-1959) - ცნობილი მწერალი, დრამატურგი, მსა-
ხიობი, თეატრის მოღვაწე; საქართველოს სახალხო არტისტი.

4 ესტატე ხუციშვილი - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებ-
ელი საზოგადოების გორის განყოფილების წევრი; ბუღალტერი.

← პროგრამა

ხანუმა, ალექსანდრე ცაგარელის კომედია 4 მოქმედებად
ქართულ სიმღერებს ასრულებენ დები თარხნიშვილები
გორი, 1910 წელი



1910 წელი

„ჩემი გამოვლინება“

ჩემი გამოვლინება ხელოვნების დარგში ასე დაიწყო: [...] ჩემი მუშაობა დაიწყო პირველათ [...] საზოგადოებაში და ოფიციალური გამოსვლები ქალაქ გორის თიატრიდან. რასაც ეხლა ვგრძნობ, აუცილებლათ თან დამყვა მეტათ დიდი გაბედულება, რომ მარტო ნიჭით და მონდომებით იმ ხანაში, 1910 წ. შევერიე იმ ხელოვნების მუშაკების, დიდი ქურუმების კოლექტივებში, როგორც იყვნენ: განსვენებული ვ. სარაჯიშვილი⁵, პატივცემული სახ. არტისტი ს. ინაშვილი⁶, სახ. არტისტი ელისაბედ ჩერქეზიშვილი, განსვენებული ვ. აბაშიძე⁷, მაკო აბაშიძე, იუზა ზარდალიშვილი⁸, ლ. საფაროვისა, ისეც კი სახ. არტისტი უმაღ. დეპუტატი შ. დადიანი, ქ. ანდრონიკაშვილი და მათ შემდეგ ნ. ქუმსიაშვილი⁹, ნატა ვაჩინაძე, სახ. არტისტი ნ. გოცირიძე¹⁰ და სხვა ახალგაზრდა დღემდის სახელოვანი მსახიობების [...].

5 ვანო სარაჯიშვილი (1879-1924) - მუსიკოსი, ქართული პროფესიული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი; საქართველოს სახალხო არტისტი.

6 ალექსანდრე ინაშვილი (1887-1958) - მომღერალი, ქართული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი; საქართველოს და სსრკ სახალხო არტისტი.

7 ვასილ (ვასო) აბაშიძე (1854-1926) - ცნობილი მსახიობი, ქართული რეალისტური სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სსრ პირველი სახალხო არტისტი.

8 იოსებ (იუზა) ზარდალიშვილი (1883-1943) - მსახიობი.

9 ნიკო ქუმსიაშვილი (1892-1942) - მომღერალი (დრამატული ტენორი), საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის ოპერის თეატრის სოლისტი.

10 ნიკო გოცირიძე (1872-1949) - მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი; მღეროდა იოსებ რატილისა და სანდრო კავსაძის გუნდებში.



227

ს ბ ი ა

იქცევა ეს ჩაწერი ტაძარს ასევე
მაწინძურებს ჩაწერი, რომ პირველი მუდგუბეგობით ასევე
ჩვენი /გვრი მაწინძურებდა/-ს ჩაწერი მაწინძურებს ხელ
მუდგუბეგობით ჩაწერა ქ. გიორგი ტაძარის კედელში 10
აპრილს 1910 წელს. სადაც უმწებებდა ვიღაც საბიბეგობე-
მა. ქვემო საგვამ იგი ხატობა. ამანვეცემებრებდა ჩაწერი
მაწინძურებს პირველი მუდგუბეგობით ადგილობრით:

1. გაიხილავს-
2. ვინა პირველი ქ. მაწინძურებს ჩვენი
3. ჩვენი
4. ჩვენი
5. ვინა ტაძარსკედეზე
6. ჩვენი ჩვენი პირველი
7. ვინა კახეთი /პირველი ქ. მაწინძურებს ჩვენი

გაიხილავს საბიბეგობის ადგილობრით სამეგობრო ანა ვინა პირველი ჩვენი
პირველი ვინა ტაძარსკედეზე მუდგუბეგობით. ჩაწერი მაწინძურებს 1917 წელს მუ-
დგუბეგობით ქ. გიორგი ტაძარსკედეზე ხატობა ჩვენი ჩვენი
მუდგუბეგობით საბიბეგობით, იგი ვინა საბიბეგობით.

იქცევა ჩვენი:

1. *გაიხილავს ვინა ტაძარსკედეზე*
2. *პირველი ქ. მაწინძურებს ჩვენი*
3. *ჩვენი*
4. *ჩვენი*
5. *ვინა ტაძარსკედეზე*
6. *ჩვენი ჩვენი პირველი*

ცნობა მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით გორში 1910 წლის 10 აპრილს ჩატარებული კონცერტის შესახებ



* * *

მართალია, რომ მე და ჩემი და - ეკატერინე 1910 წელში ქალაქ გორში ვცხოვრობდით. მხოლოდ ის ცალკე ბინაში თავის ქმრით¹¹ - დავით ფალავანდიშვილითა და ორი შვილით. მეც ჩემი ქმრით - დიმიტრი თარხნიშვილით და სამი შვილით ვცხოვრობდი მეორე ქუჩაზედ. ხშირად ერთათ ვხვდებოდით, რადგან, ჯერ ერთი, რომ დები ვიყავით, მეორეც ესა, რომ ჩვენ ქმრებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

ჩვენი მშობლების ოჯახში ყოველთვის მხიარულება და სტუმართმოყვარეობა აღსანიშნავი იყო ხოლმე. მამაჩვენი - ესტატე ნიკოლოზის ძე თარხან-მოურავი ძალიან პურმარილისა და მხიარულების მოყვარე იყო. მე მეცხრე შვილი ვიყავი მათთვის. მეც ისე გავიზარდე იმ ოჯახში, როგორც პატარა. ყველა მე მანებივრებდა და მეფერებოდნენ, მამღერებდნენ, მაცეკვებდნენ. ასე რომ, შემაყვარეს ხელოვნება თავიანთებურად.

თავიდანვე ცხოვრობდნენ სოფელ კავთისხევში. როგორც მრავალშვილებიანებმა, სამ. წყებათით ვერც ერთ შვილს ვერ მიაღებინეს სწავლა-განათლება, მხოლოდ ყველა შვილებს წერა-კითხვა გვასწავლეს, ქალებს მეტი რაში დასჭირდებათო. ასეთი იყო ძველი სოფლის მაცხოვრებლების აზრი უმრავლესობისა. როდესაც გამათხოვეს - 14 წლისა, შვილები შემეძინა თუ არა, სკოლისათვის გადავსახლდი მე ჩემი ოჯახით ქ. გორში, რომ ჩემი შვილებისათვის მაინც მესწავლებინა. სწორედ ჩემი დაც ამავე მიზნით ქ. გორში გადმოსახლდა და ერთ დროს სცენის მოყვარებმა პიესა ითამაშეს „დედა და შვილი“ ი.

11 ტექსტშია: ქრმით.



ჭავჭავაძის. ძალიან უნდოდათ და არავინ ჰყავდათ დამხმარებელი. სიმღერა „ქართველო, ხელი ხმაღს იკარ“ - მე შევპირდი, მე მოგეხმარებით-მეთქი და შეუსრულე დაპირება.

ჩემს დასთან ერთად დავიხმარე იქაური მასწავლებლები, პირადათ ჩემი მეუღლე დიმიტრი თარხნიშვილი და ეკატერინეს ვაჟიშვილი - გიორგი ფალავანდიშვილი¹². მასწავლებლები: ალექსანდრე ლომაური - გემნაზიის მასწავლებელი, ესტატე ხუციშვილი - ბულაღტერი, ღვინიაშვილი არჩილი - მასწავლებელი. ვიმღერეთ პიესაში. საღამომ მშვენივრად ჩაიარა. დიდი მადლობა გვითხრეს, გვთხოვეს მის მერე ჭრაკერვის სკოლის სასარგებლოდ გვემღერა. რა თქმა უნდა, ამ ხალხის მადლიერმა შეხვედრამ ჩემზედ და ჩემს ჯგუფზედ დიდი გავლენა იქონია, ძალიან ნახალისდით და შეუდექი. სხვადასხვა ხასიათის სიმღერებით გავამდიდრეთ ჩვენი რეპერტუარი.

* * *

ჩვენი რეპერტუარი დღე და დღე ძლიერდებოდა ჩემგან და ჩემი დის - ეკატერინეს დახმარებით; და ბოლოს, ისე კარგათ ლებულობდა საზოგადოება, რომ მათი თხოვნით 1910 წელში, ახალი წლის პირველ ნახევარში, გორის კლუბში საკუთარი აფიშა გაიკრა ქუჩებში. ჩემ სიხარულსა და ღელვას საზღვარი არ ქონდა. კონცერტმა, მიუხედავად ჩემი ღელვისა, კარგათ ჩაიარა ორ განყოფილებათ.

იქაურმა ინტელეგენციამ, რომლებიც ძალიან ხელს გვინყოფდნენ, კლუბში შეუკვეთიათ ვახშამი.

12 გიორგი ფალავანდიშვილი (1901-1988) - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი (1915-1917) (ეკატერინე თარხნიშვილის ვაჟიშვილი).



კონცერტის დამთავრების შემდეგ გვთხოვეს, ვახშმათ ჩვენი ჯგუფით დავრჩენილიყავით, ვინაიდან პირველი იყო ეს კონცერტი: და დაგილოცოთ თქვენი ასეთი გზა, ბევრი გემღეროთ ჩვენ ერის სასიხარულოთ ეროვნული ქართული სიმღერები. რუსებს თუ არ მოეწონებათ, ნუ დაესწრობიანო, მაგრამ თქვენ, დები, ისეთი შეწყობილათ მღერითო, რომ მაგენიც დაინტერესდებიან, რადგან უმრავლესობას მოსწონთ თქვენს მიერ ნამღერი სიმღერებიო.

მასპინძლები იმ ღამისა იყვნენ: ამილახვრის ოჯახი, რომელიც გორში ცხოვრობდნენ, კვალიაშვილის, საშა ფავლენიშვილი ოჯახით, ციციშვილები რეზო, ერისთავი ოჯახით, ლომაურები ოჯახით. ერთი სიტყვით, იმ ღამეს მიიღო ნათლობა ჩვენმა ვოკალურმა ჯგუფმა, 7 კაცისაგან შემდგარმა.

გარეუბნებმა რომ გაიგეს, გორში თარხნიშვილის ქალები ძალიან კარგათა მღერიანო, ზოგნი გორშიაც ჩამოდიოდნენ და ზოგმა გვთხოვეს ცხინვალში, ხაშურში, ქარელში, ბორჯომში. ერთი სიტყვით, ასე ავიდგით ფეხი. თვით ხალხმა შეგვიწყობ ხელი ამ საქმის აღორძინებისათვის; უკვე სერიოზული სახე მიიღო ჯგუფმა და რეპერტუარიც გავზარდეთ თანდათანობით. ყოველ დღე რეპეტიციები მქონდა სახლში დანიშნული. ვატრიალებდი მელოდიებს, როგორ ეჯობინებოდა მისი შესრულება, თან იმ დროს 3 შვილი მყავდა, დამხმარე არავინ გამაჩნდა.

* * *

პირველად თითქმის ყველას დიდი გუნდები ჰყავდათ, მე რაც მახსოვს სურათებიდან, ლ. აღნიაშვი-



ლის¹³, ფილიმონ ქორიძის¹⁴; ესენი კი თვალით ნანახი: სანდრო კავსაძის¹⁵, მიხეილ კავსაძის¹⁶, კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილის¹⁷, კომპოზიტორი გრიგოლ კოკელაძის¹⁸, მ. კუხიანიძისა¹⁹ და ასე სხვა.

მე ჯერ ამათ არ ვიცნობდი და არც მენახნა მათი გუნდები, როდესაც 1910 წელს ჩემი შვილების სწავლის მიზნით ახალქალაქიდან (კასპის რაიონი) ქალაქ გორში გადავედი საცხოვრებლად. იქ ჩემი უფროსი დაც ხომ ცხოვრობდა. ხშირად ერთად გვიხდებოდა ყოფნა და ჩვენი მამის - ესტატე თარხან-მოურავის - ოჯახიდან წაყოლილ სიმხიარულეს ვიგონებდით, ვლილინებდით ხომე იმ ოჯახური ღილინით.

გორში მაცხოვრებლები, რომლებიც ჩვენს ოჯახებში ხშირად იყვნენ ხოლმე:

1. ელენე თარხნიშვილი;
2. ამჯერათ საბჭოთა გმირი ვალოდია ნანეიშვი-

13 ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი (1860-1904) - საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი.

14 ფილიმონ ქორიძე (1835-1911) - ფოლკლორისტი, მომღერალი, ლოტბარი, ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი; პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერალი (ბანი); პირველი ქართველი მუსიკოსი, რომელმაც ქართული მრავალხმიანობა ნოტებზე გადაიტანა.

15 ალექსანდრე (სანდრო) კავსაძე (1874-1939) - ლოტბარი, მომღერალ-მგალობელი.

16 მიხეილ კავსაძე (1880-1951) - მომღერალი, ლოტბარი.

17 კონსტანტინე (კოტე) ფოცხვერაშვილი (1880-1959) - კომპოზიტორი, დირიჟორი და ლოტბარი; საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის („დიდება“) ავტორი.

18 გრიგოლ კოკელაძე (1904-19??) - საზოგადო მოღვაწე; კომპოზიტორი, ლოტბარი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, ფილოლოგი; საქართველოს სახალხო არტისტი.

19 მელიტონ კუხიანიძე - მუსიკოსი, აჭარის სახელმწიფო აკადემიური გუნდის ხელმძღვანელი.



ლის²⁰ მშობლები. მათ მრავალშვილიანი ოჯახი ჰქონდათ. ვალოდია იმ დროს ბავშვი იყო. ეხლა საბჭო[თა კავშირის] გმირი მფრინავი;

3. ანდრონიკაშვილი კოლია და მისი მეუღლე ნინო;
4. ერისთავი ნინო ხოშტარია;
5. ამილახვარი ვარვარა ივანოვნა²¹, გიმნაზის მასწავლებელი;
6. ხრუსჩოვი ევგენი - მარიამის ოჯახი, სიძე იმათი ქალიშვილის ვალიასი - ოსიკო ბარათაშვილი²²;
7. რაზიკაშვილი ბაჩანა²³, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ საზოგადოებას ძალიან გვიყვარდა; ყველასთან ჩამოდიოდა და თაფლით გვამარაგებდა;
8. კეცხოველები ოჯახით;
9. ლომაური ოჯახებით;
10. მენტეთაშვილის ოჯახი, პალკოვნიკი ტიმოთე;
11. ერისთავი ხოშტარია, მწერალი ანასტასია²⁴ და სხვები.

20 ვლადიმერ ნაწიშვილი (1903-1978) - ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი, მე-18 საჰაერო არმიის სარდლის მოადგილე (1944-1945), საქართველოს სა-მოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი (1963-1970), საბჭოთა კავშირის გმირი, დაჯილდოებულია სხვადასხვა ორდენითა და მედლით.

21 ბარბარე ამილახვარი (1863-1937) - გორის ქალთა გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელი.

22 იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილი (1874-1937) - იურისტი, პოლიტიკოსი, პოლიტიკური ლიდერი, პუბლიცისტი; 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს საგანგებო ყრილობაზე, ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს; 1918 წელს ასრულებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოვალეობას; 1919-1921 წლებში იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1923 წელს იგი სასამართლო პროცესზე იცავდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია); 1937 წელს დახვრიტეს.

23 ნიკოლოზ (ბაჩანა) რაზიკაშვილი (1866-1928) - პოეტი.

24 ანასტასია ერისთავი-ხოშტარია (1868-1951) - ნოველისტი, პირველი ქართველი ქალი მწერალი, რომელმაც ყურადღება ქალების პრობლემებზე გაამახვილა; დუტუ მეგრელის (დიმიტრი თომას ძე ხოშტარია) მეუღლე.



ამათ წრეში გვიხდებოდა მე და ჩემს დას - ეკატერინეს - ხშირად ოჯახური დროს გატარებაში შეხვედრები. ძალიან მოსწონდათ ჩვენი - მე და ეკატერინეს - სიმღერები გიტარაზედ. სწორეთ იმ დროს „დაიგვიანეს“ ხშირად მამღერებდნენ ხოლმე გიტარაზედ, რომელიც პირადათ ჩემს მიერ არის დამუშავებული და გიტარაზედ ა. წერეთლის ნიგნიდან „პატარა კახიდან“. სოფელ კავთისხევში ე. გ. ჩემს გოგომას მაყვალას როლს მე ვასრულებდი, როცა ბავშვები ვდგამდით ნარმოდგენას. მევე ვმღეროდი ლევან ქვაბულაძის არიას, რადგან ჩემ ტოლ გოგოებში ჩემებრ ვერ მღეროდნენ. რასაკვრელია, მაყურებლებიც ჩვენისთანები იყვნენ.

1910 წელს კი, სერიოზულმა იმ დროს, გორის საზოგადოებამ ოჯახს და ქმარ-შვილს მიჯაჭვულ ქალებს - მაროს და ეკატერინეს - გვირჩიეს, უბრალოთ არ ჩაველო ჩვენს ნიჭსა და არ დაკარგულიყო ძვირფასი ხალხური მარგალიტებივით სიმღერები, რაც ჩვენს ხმებს შეეძლო მისი საჯაროთ გამოტანა.

იმ წლებში გორში არსებობდა ქალთა ჭრა-კერვის სკოლა, რომლის დამაარსებელი, ხელმძღვანელი და დირექტორიც იყო ელენე ზაალის ასული თარხან-მოურავის ქალი²⁵. ეს იყო ჩემი მეუღლის - დიმიტრი ზაალის ძე თარხან-მოურავის - და. ამან გამართა საქველმოქმედო, სკოლის სასარგებლოთ, რამოდენიმე კონცერტი. რასაკვრელია, თბილისიდანაც იწვევდა ხოლმე ელისაბედ ჩერქეზიშვილს

25 ელენე თარხან-მოურავი (1884-1924) - გორის ქალთა ჭრა-კერვის სკოლის დამაარსებელი, ხელმძღვანელი და დირექტორი. მარო თარხნიშვილის მეუღლის, დიმიტრი თარხან-მოურავის და. დახვრიტეს 1924 წლის აჯანყების შემდეგ.



სხვა მსახიობებთან ერთად; ხანდისხან შ. დადიანს, ე. ანდრონიკაშვილს²⁶ და სხვებს. „ვოდევილების“ შემდეგ „დივერტისმენტი“, კონცერტი მ. ე. - დები თარხნიშვილების მონაწილეობით. ამ საღამოებს აუარებელი საზოგადოება ესწრებოდა. მთელი შემოსავალი სკოლის სასარგებლოთ გადადიოდა. ასე მიდიოდა გორის ახლომახლო რაიონებში კონცერტები.

* * *

ოჰ, რა ტკბილად მაგონდება ხოლმე განსვენებული ელისაბედი, დამს. არტისტი, როდესაც მე პირველად შევხვდი ქ. გორში 1910 წელს ერთ-ერთ საქველმოქმედო საღამოზედ. რა გულისყურით დამაკვირდა, როგორ მეცვა და როგორავმღეროდი, ან სად ვისწავლე ესოდენი სიმღერები. იქ მას არავითარი არაფერი უთქვამს იმის მეტი, რომ რა კარგა გაქვთ დებს ხმები შეხმატკბილებული. მაშინ დები ან ძმები რომ ერთად სცენაზე მომღერლები ყოფილიყვნენ, ესეთი არავინ იყო, მხოლოდ პირველად ჩვენ ვიყავით დები თარხნიშვილები, რაც მეტად ლამაზათ ჟღერდათ ყურში: მომღერლები, დებო. მის მერე განვლო წლებმა.

26 ელენე (ელო) ანდრონიკაშვილი (1883-1956) - მსახიობი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.



1917-1918

გორიდან თბილისში გადმოსახლება, პირველი კონცერტები, კირიონ კათალიკოსის კურთხევა, საქართველოს დამოუკიდებლობის ზეიმი

1917 წელს გორიდან, ოჯახური მდგომარეობის გამო, ქ. თბილისში გადმოვსახლდი მეც ჩემი ოჯახით და ჩემი და ეკატერინეც თავის ოჯახით. დავენანეთ გორელებს ძალიან. აქაც გაგებული ჰქონდათ, დები თარხნიშვილები კარგათ მღერიანო და შეუდექი ახალი ჯგუფის შეგროვებასა. აქაც შევავე 7 კაცი მომღერლები და ერთი 8 წლის პატარა ბიჭიკო - შურა ჯიბლაძე - მოვიყვანე მოცეკვავეთა ჯგუფიდან, ალექსი ალექსიძის²⁷ ცეკვებიდან. აქაც ჩვენი მასპინძლები გახდნენ: იოსებ გრიშაშვილი²⁸, შალვა დადიანი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვი²⁹, კოტე მაყაშვილი³⁰, ივანე გომარ-

27 ალექსანდრე ალექსიძის (ალექსანდრე სონდულაშვილი) (1874-1934) - პროფესიონალი მოცეკვავე. 1902 წელს თბილისში დააარსა ქართული ცეკვის პირველი სტუდია (მისი მოწაფეები იყვნენ ილია სუხიშვილი, ალექსანდრე ჩიხლაძე და სხვები).

28 იოსებ გრიშაშვილი (მამულაშვილი) (1889-1965) - ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე; საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

29 მარიამ (მაკო) საფაროვა-აბაშიძე (1860-1940) - მსახიობი; საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

30 კონსტანტინე მაყაშვილი (1876-1927) - პოეტი, მარო მაყაშვილის მამა. 1918 წელს მისი თავმჯდომარეობით დაარსდა ხელოვნათა ცენტრი; საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე, სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი.



თელი³¹ და მრავალი სხვა მოღვაწეები, თბილისის საზოგადოება.

შეუდექით საკუთარი კონცერტის გამართვას ზემოთ ხსენებული მოღვაწეების ხელის შეწყობით და დახმარებით. პირველი კონცერტი 6 იანვარს 1918 წელს გაიმართა ქართულ კლუბში. დიდი რეკლამა იყო ჩვენი პირველი გამოსვლისათვის და კიდევ დაესწრო დიდი საზოგადოება. იმ დღიდან უკვე დღე არ გვიცდებოდა; იმ დღიდან გაგვეხსნა ბედნიერი გზა ქართული ხალხური სიმღერების დიდი დემონსტრაციების. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. არც დალლას და არც ავადმყოფობას არ შეუჩერებივარ; ყოველთვის ენერგიულად ვატარებდი გამოძახებულ კონცერტებსაც კი.

მახსოვს ესეც, რომ სიცხიანი ავადმყოფი ნავსულვარ, კონცერტი ჩამიტარებია, კარგათ მიმღერია და მიხელმძღვანელებია გუნდისთვის და სალი დავბრუნებულვარ სახლში.

* * *

ქ. გორში შვიდი წელი ვცხოვრობდით და ძალიან ხშირად გვიხდებოდა გამოსვლა სცენაზედ. 1917 წელს გადავწყვიტეთ მეც და ჩემმა დამ ეკატერინემ გადმოვსახლებულიყავით ქ. თბილისში. ეს ასეც მოხდა: ჩვენი ქმრები სამსახურში მოეწყვნენ. დავიწყეთ აქ ახალი ჯგუფის შექმნა. სულ მალე გავამზადე 8-9 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი და, ამავე დროს, სკოლებში მიმიწვიეს სიმღერის მასწავლებლად 4 სკოლა-

31 ივანე გომართელი (1875-1938) - ექიმი, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე; 1902 წლიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი; 1906 წელს იყო რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი.



ში; დღისით - სკოლებში, ღამე - თიატრებში. თითქმის ყოველ დღე კონცერტებზე გვეძახდნენ.

პირველ კონცერტზედ მოგვისმინეს ქართ. კლუბში. მის შემდეგ ოპერაში გრიშაშვილის დიდ საღამოზედ. გაზეთში იყო რეცენზია ილია ზურაბიშვილისა³²: გრიშაშვილი ქკვიანი კაციაო და ისე ეშმაკურად მოიქცა, რომ ღამის 2-რი საათი იყო, როდესაც დაღლილი საზოგადოება თარხნიშვილების მომხიბლავი და ლამაზი სიმღერებით გამოაფხიზლესო. დაუვინყარი და გაუმეორებელი იყო ის საღამოვო!

მის შემდეგ თბილისში საღამო არსად მონყობილა, რომ ჩვენი ჯგუფით მინვეულები არ ვყოფილიყავით.

მე ეხლაც რომ ვფიქრდები, ძალიან მიკვირს, როგორ ვზედამდი იმ დიდ მსახიობებთან გამოჩენას, როგორიც იყვნენ: ვანო სარაჯიშვილი, საშა ინაშვილი, ნიკო გოცირიძე, ვასო აბაშიძე (ესენი ხშირად კონცერტებზედ ერთად გამოდიოდნენ, კუპლეტებს ასრულებდნენ (ვაი-გუის ხმაზედ). ვალერიან გუნია³³, რომელიც საქართველოს დედოფალს მიწოდებდა ხოლმე, ქართულ კაბაში რომ მნახამდა, სცენაზედ მე ხომ ქართულ კაბას ვიცვამდი, რადგანაც ჩემს დას, ეკატერინეს, ხომ ცხოვრებაშიც ქართულად ეცვა და ძალიან ლამაზათ და ძვირფასადაც უხდებოდა, როგორც ღამაზს ქალს.

კარგათ მახსოვს, ერთხელ ნიკო გოცირიძეს და ელისაბედ ჩერქეზიშვილს შევხვდი რადიოკომიტეტში. გამოსვლა ჰქონდათ, ერთ-ერთ პიესას

32 ილია ზურაბიშვილი (1872-1955) - ქართველი მწერალი და პუბლიცისტი; ცნობილია, როგორც თეატრის კრიტიკოსი და მუსიკათმცოდნე.

33 ვალერიან გუნია (1862-1938) - მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, კრიტიკოსი. 1883 წლიდან მოღვაწეობდა ქართულ პროფესიულ თეატრში. 1931 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1934 წელს - სახალხო არტისტის წოდება.



თამაშობდნენ. მეც იმ პიესაში სიმღერებს ვასრულებდი ჩემი ჯგუფით. როდესაც შევედით სტუდიაში ჩასანერად, ნიკო გოცირიძე ისე ღელავდა დაწყების წინ, რომ ნიკაპი და ხელები უკანკალებდა. მე რომ შევხედე, შევეკითხე: ბატონო ნიკო, რატომ კანკალებთ? ხომ არ გაციებთ-მეთქი? მან მიპასუხა: მაციებს კი არა, გოგო, გული მისკდება, აქ რამ მომიყვანაო. ცხვირი არ დააცემინოთო, არ დაახველოთო, არ დაილაპარაკოთო. ვა, პატიმარი ხომ არა ვარო. ჩემი ფეხი აქ მძიმე იყოს, მე აქ აღარ მოვიდეო. მართლაც, მერე აღარ ყოფილა იქ; მე მითხრა: შე კუდრაჭავ, შენზედ არ მოქმედობსო! მე უპასუხე: ბატონო ნიკო, მე აქ ხშირად გამოვდივარ და საერთოდ ღელვა არ ვიცი, სადაც არ უნდა გამოვიდე-მეთქი. ელისაბედმა უპასუხა: რა ღმერთი გაგინყრა, რა გაღელვებსო. ამ გოგოს შეხედე, როგორი ყოჩაღია და გაბედულიო. ჩვენ ერთი რაიონიდან ვართ, ასე ვიციტ ქართლის ქალებმაო.

ერთი სიტყვით, მე ბევრ დიდ სახელოვან მსახიობებთან მიხდებოდა ხოლმე გამოსვლა, ზოგან თუ ჯგუფით, ზოგ ადგილებში სოლოზედაც. აღმოსავლურ ჯგუფთან - ბალა მელიქოვის (თარი), საშა ოხანეზოვთან (ჭიანური), (ეს ორივენი ვირტუოზები იყვნენ, თბილისში ბადალი არ ჰყავდათ), კარო აღჯოიანი (დაირა). გარდა ამისა, პიანინოს აკომპანიმენტზედ ვასრულებდი კომპ. ჩუბინიშვილის „ერთხელ კოცნას“ (ტექს. ვაჟა-ფშაველასი); კომპ. მელვინეთხუცესის „ამირანს“, ჩუბინიშვილის³⁴ „რა ტურფა, რა ლამაზია“ (ტექსტ. ვაჟასი); არაყიშვილის „ვარდ-ყვავილთა სამეფოს“, თამარ

34 ტექსტში: ჩუბინაშვილი



შავერზაშვილის „სინანულს“ და მრავალი სხვადასხვა, „ურმულს“, „ოროველას“, „დაიგვიანეს“, ჩემს საკუთარ დამუშავებულებს - ერთი სიტყვით, ქართულს, თათრულს, სომხურს და ოსურს საზანტარის თანხლებით, ამიტომ სხვადასხვა კონცერტზედ ბევრს ძალიან დიდ მსახიობებს ვხვდებოდი. ყველანი დიდი სიმპატიით მისმენდნენ და სწორეთ ამიტომ მიკვირს ჩემი ასეთი გაბედულება, რაც ჩემმა ნიჭმა დიდი გზა გამატარა. და ბოლოს, ხალხურ მომღერლებში და ხელმძღვანელებში პირველმა მივიღე „ნაროდნობა“.

* * *

1917 წელში, არეულობის დროს, მე თბილისში გადმოვსახლდი. სულ მალე ჩემი და ეკატერინე თარხნიშვილიც ჩამოსახლდა ჩემთან ერთად. მე მაშინათვე მოვეწყე მასწავლებლად საშუალო სკოლებში: მე-18-ტე შრომის სკოლაში, მე-12-ტე აკაკის სახელობის ქ.კ. სკოლა, ეკატერინე გაბაშვილის სახელობისაში სიმღერის მასწავლებლად, სადაც 14 წელი ვიმუშავე.

1918 წელს უკვე თბილისში ახალი ჯგუფი მოვამზადე და საკონცერტოთ მზად ვიყავით.

6 იანვარს 1918 წელს გაიკრა ჩემი აფიშები პირველად თბილისში - ქართულ კლუბში. ამჟამად ილია ჭავჭავაძის სახ. კონცერტზე ქ. ელისაბედი ჩერქეზიშვილი და ლევან ფალავანდიშვილი მოვიპატიყე (ლეკური) ქართული ცეკვის შესასრულებლად. იმ საღამოს დიდი წარმატებით ჩატარდა პირველი ჩვენი გამოსვლა თბილისში. როგორც ჩემი ჯგუფისა 7 კაცი ვიყავით, ისე ლევან ფალავანდიშვილისა და ე. ჩერქეზიშვილის ქართული ცეკვის



შესრულებამ, იმ ლამაზათ ჩატარებულმა საღამომ დიდი შეფასებაც მოგვცა.

მეორე დღეს გაზეთ „ივერიაში“ დიდი რეცენზია მოათავსა ილია ზურაბიშვილმა, სადაც აღნიშნულია: ქალები, დები მარო და ეკატერინე თარხნიშვილები, რომლებიც ასე ძვირფასათ არიან ხმაშეტკობილნი ქართული ეროვნული ხალხური სიმღერების შესრულებაში, სასურველია მათი ხშირად მოსმენა და კონცერტების მონყობა როგორც თბილისში, აგრეთვე ჩვენს რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და სოფლებში, რათა სხვებმაც მიჰბადონ ჩვენს საყვარელ მომღერლებს, მაროს და ეკატერინესო!

იმ ღამეს კონცერტზედ ქალ-მა ელისაბედმა გულთ დამარიგა: მარო, შვილო, ახლა კი გრიმებს უნდა შეეჩვიო. ასეთ დიდ ქალაქის საზოგადოების წინ გამოდიხარ და, აბა, რასა გავს ეგრე შენი გამოსვლა, საავადმყოფოდან გამოსულსა ჰგევხარო. ცოტა პუდრიც უნდა იხმარო და ლოყებზედაც ნითელი გრიმი იხმარეო, უფრო კარგი გოგო იქნებიო. ხომ არ გწყინს, რომ გარიგებო. მე კარგათ ვიცი სცენის ამბავიო და შენც მინდა, რომ უფრო კარგი გამოჩნდეო.

ეკატერინე - ჩემი და - უფრო თეთრი სახის ქალი იყო და მე კი - არა. იმიტომ მხოლოდ მე მირჩევდა გალამაზებას, რაც მე იმ დღიდან კანონად მივიღე გამოცდილი უმფროსის რჩევა-დარიგება.



* * *

„1925 წ³⁵. კირიონის კურთხევა მცხეთის მონასტერში“

ამ დღისთვის მთელი ჩვენი ქართველი საზოგადოება დიდის მორწმუნეობით გაემგზავრნენ მცხეთაში, მრავალ საზოგადოებასთან ერთად ჩვენი ცნობილნი და დიდი მოღვაწენი, კომპოზიტორებიც. ზაქარია ფალიაშვილმა³⁶ და დიმიტრი არაყიშვილმა³⁷ გამომიგზავნეს ილიკო აბაშიძე³⁸ (იმ წლებში კლასი მქონდა კონსერვატორიაში ხალხური სიმღერებისა). მთხოვეს მე და ჩემი და ეკატერინეც, ჩვენი ჯგუფიც აუცილებლათ მათთან ერთათ წავსულიყავით მცხეთაში. ჯერ უარი ვთქვი, რა უნდა გავაკეთოთ ნეტავი ჩვენ, მაგრამ უარი არ გამოვიდა. ილიკო აბაშიძემ მაინც დაგვიყოლია და დილის მატარებელზედ გავემგზავრეთ ჩვენი ჯგუფით. ჩასვლისთანავე გავემგზავრეთ სადგურიდან ფეხით. იმ დროს ძველი ხიდიც არსებობდა (კიდეც). უამრავი ხალხი მიაბნელებდა გზას. სპეციალური მატარებლები იყო დანიშნული.

უყურეთ საქართველოს მღვდელმთავრები როგორი გალობით დასტრიალებდნენ თავს, აცმევდნენ

35 თარიღის არევა: უნდა ეწეროს 1917 წელი.

36 ზაქარია ფალიაშვილი (1871-1933) - კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე; საქართველოს სსრ სახალხო არტისტი; ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი.

37 დიმიტრი არაყიშვილი (1873-1953) - კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე-ეთნოგრაფი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე; ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1950).

38 ილია (ილიკო) აბაშიძე (1882-1953) - მუსიკოსი, პედაგოგი, ვიოლონჩელისტი, საზოგადო მოღვაწე; მოსწავლეთა გუნდის დამაარსებელი და ლოიტბარი.



3

გრიშაშვილის საღამო

სახალგაურო თაბარი

თბილისი, მაისი 24, 1919 წ.

I.
რაც არ შეურცება, არ შეუმურცება!

- 1. შიშ
- 2. აქცენტი
- 3. მუნიციპალიტეტი
- 4. გიორგი აბაშიძე - მწიფე, ახალი ჯიშის
- 5. ზურაბიშვილი - ქვედა რაიონის
- 6. ვახუშტი - ლეონტი
- 7. აბდუშელი - მწიფე
- 8. ვახუშტი - მწიფე

II. გეოგრაფიული

სტატიები
საქართველო
მშენებლობა

III. ზოგადების ოცნახი

- 1. ვლადიმერ
- 2. თამარ
- 3. გიორგი
- 4. გიორგი
- 5. მადონა
- 6. მადონა
- 7. მადონა
- 8. მადონა
- 9. მადონა
- 10. მადონა
- 11. მადონა
- 12. მადონა
- 13. მადონა
- 14. მადონა
- 15. მადონა
- 16. მადონა
- 17. მადონა
- 18. მადონა
- 19. მადონა
- 20. მადონა

IV. სიმღერა და პოეზია

- 1. მადონა
- 2. მადონა
- 3. მადონა
- 4. მადონა
- 5. მადონა
- 6. მადონა
- 7. მადონა
- 8. მადონა
- 9. მადონა
- 10. მადონა
- 11. მადონა
- 12. მადონა
- 13. მადონა
- 14. მადონა
- 15. მადონა
- 16. მადონა
- 17. მადონა
- 18. მადონა
- 19. მადონა
- 20. მადონა

ბიბლიოგრაფია:
1. გიორგი
საკოლაძე
წიგნი

დასრულდა სექტემბერ 7, 1919 წ.

ოსებ გრიშაშვილის საიუბილეო
საღამოს პროგრამა
1919 წელი, 24 მარტი

Handwritten notes on a separate piece of paper, likely a program or list of items for the evening. The text is written in Georgian and includes names and titles, such as "საღამო", "გეოგრაფიული", and "ზოგადების ოცნახი".



საქართველოს
ანთროპოლოგიის
ინსტიტუტი

დიდებულ სამოსელს, რთამდნენ. ხელ-ფეხი დაბანეს. სადაც მირონი ამოდიოდა, შუა ეკლესიაში, წასცხეს მირონი შუბლზედ, გულზედ, ხელის გულზედ და დაიწყო გასხივოსნებული წირვა.

ჩემში ამ სანახაობამ ღრმათ დაუვიწყრათ აღ-ბეჭდა ქრისტიანული საეკლესიო ცერემონიალი. წირვის დამთავრების შემდეგ ამორჩეული საზოგადოება გაგვამგზავრეს მონასტერში, სადაც ბევრი მოლოზნები დიასახლისობდნენ. დასხდნენ სუფრის კურ[თ]ხევის შემდეგ კირიონი და ყველა სამღვდელოება - მთავრები. მანამდის აკურთებდნენ სუფრა[ს], ყველანი ფეხ[ზე]ედ ვიდექით. სთხოვეს ჩვენს კომპოზიტორებს, რომ ჩვენ - დები თარხნიშვილები - ჩვენი ჯგუფით მათთან ერთად და დავსხედით.

პირველი სადღეგრძელო კირიონისა; დავიწყე „მრავალჟამიერი“, მას მეორე სიმღერა გადავებით: „შენ ხარ ვენახი“. იშვიათი მადლობით ზაქარია ფალიაშვილმაც და დიმიტრი არაყიშვილმაც ხელზედ კოცნით მე და ჩემ დას, ეკატერინეს, დიდი მადლობა გადაგვიხადეს. გვიან დავბრუნდით თბილისში იმავე ღამეს.

ეხლაც, როდესაც გამივლია მცხეთაში, არ შეიძლება, არ გამახსენდეს კირიონის კურთხევის ამბავი და მონასტერში სადილის პროცეს[ი].

* * *

1918 წელი, 18 იანვარი. პირველი კონცერტი გაიმართა იმ დროს ქართულ კლუბში, ამჟამათ კი ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი. კონცერტს დიდი ძალი ხალხი დაესწრო. იმავე კვირაში მიგვიწვიეს გაზეთ „საქართველოს გამომცემლობის“ ორგანიზა-





XXVII ტრადიციული „ქართული სადამოს“ პროგრამა

ბათუმი, 1920 წელი, 27 იანვარი

ციათ. შემდეგ გახშირდა ჩვენი გამოსვლები, ხშირათ დღეში ოთხ და ხუთ ადგილზედაც ვასწრებდით გამოსვლას კონცერტებზედ.

* * *

აღნიშნული წლის ერთ-ერთ დღეს (აღარ მახსოვს იმ დღის რიცხვი) თბილისში, ქართულ კლუბში, დიდი დღესასწაული მოაწყეს („საქართველოს დამოუკიდებლობა“). მინვეულნი ვიყავით მსახიობები. იმ ღამეს მონაწილეობდნენ: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო გოცირიძე, ვასო აბაშიძე, ნინა მაღალაშვილი, მომღერალი ბაუერზაკსი თავისი პარტნიორით (ოპერის ბალეტი).

კონცერტის დამთავრების შემდეგ დიდი ბანკეტი იყო შიგ კლუბის დარბაზში. თამადა იყო ნოე ჟორდანიას³⁹. იმ დროის მთავრობა, რა თქმა უნდა, ყველანი იყვნენ; სამხედრო ორკესტრი, საუკეთესო ქალები.

ნოე ჟორდანიამ ყველა მონაწილე მსახიობები მიგვიწვია მა-

39 ნოე ჟორდანიას (1868-1953) - პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.



გიდაზედ. განკარგულება იყო გაცემული: თარხნიშვილების დებმა ქართული კაბები არ გაიხადონო. დავსხედით. დილამდე არავინ არ გაგვიშვეს. დუხავოი ორკესტრზედ ლეკური ითამაშა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა⁴⁰, დამიკრა თავი, არ გამივიდა უარი, როგორც ერთი წრე შემოუარეთ (გვარი არ მახსოვს), მთლიანად ჯარის უფროსმა ჩამოართვა ჩემი თავი. გავიარეთ ერთი წრე და მე დავამთავრე. თან მახლდა მეუღლე დიმიტრი ზაალის ძე თარხან-მოურავი; შეიკრა შუბლი; იეჭვიანა ნამდვილათ და ძალიან უსიამოვნოთ გახდა, რამაც ჩემზედ იმოქმედა. ასე ჩუმათ ჩავატარეთ ის წყენა და სახლში მშვიდათ დავბრუნდით.

* * *

1918 წელში მენშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობა სცნეს. ქართულ კლუბში დიდი ზეიმი მოაწყეს. მონვეული ვიყავით იმ დროს, თუკი ვინმე კარგი იყო: მომღერლები და მოცეკვავე[ე]ბი, მსახიობები, ცირკის ნომრებიც კი, მათ შორის ჩემი მომღერალთა ჯგუფიც.

კონცერტის დამთავრების შემდეგ დიდი ბანკეტი იყო მოწყობილი. ნოე ჟორდანიამ გასცა განკარგულება, ნუ გაიხდიან დები თარხნიშვილები ქართულ კაბებს და მობრძანდნენ თავიანთი ჯგუფით ვახშმათო. ჩვენც და იქ მონანილე მსახიობები ყველანი დავრჩით: ვასო აბაშიძე, ნიკო გოცირიძე, რომლებმაც წაიკითხეს კუპლეტები „ვაი-ვუის“ ხმაზედ, ნინო

40 ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი (1888-1930) - სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი; იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე; 1922-1924 წლებში ხელმძღვანელობდა ბრძოლას საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ.



მაღალაშვილი, ბაუერზაქსი და მრავალი სხვები. ერთი სიტყვით, ქეიფმა დილის 10 საათამდე გასტანა, შამპანიურების ტკაცატკუცმა. თამადათ თვით ნოე ყორდანია იყო სუფრაზედ. გასამრჯელოთ მივიღე მე ჩემი ჯგუფით /600/ მილიონი.

* * *

1918 წელში საზაფხულოთ ჩავედი ჩემი ოჯახით ჩემს სოფელში სააგარაკოთ. ვნახე იმ ხალხის გაჭირვება, მოვიფიქრე ადგილობრივი ახალგაზრდების შეგროვება და გუნდის ჩამოყალიბება. ესეც გავაკეთე. ადგილობრივი მოსამსახურეები, მოწაფეები, მილიციის თანამშრომლები და სხვები გამოვიძახე და ჩემი აზრი გავაცანი. მე მინდა, თქვენგან რამდენიმე სიმღერა და ცეკვა გავ[ა]კეთო-მეთქი, სანამ აქა ვარ. უნდა დამეხმაროთ, რომ გავმართოთ კონცერტები და შემოსავლით აუცილებლად კავთისხევის პლათფორმაზე, სოფელში მომავალი ხალხი მტკვარზე ნავებით რომ ეწვალებიან, იქნება ბორანის გაკეთება შევძლოთ. ძალიან დიდი სიხარულით დამეთანხმნენ! იმათ იცოდნენ, რომ რამდენი მგზავრი დაზარალდნენ. ბევრ შემთხვევაში უჭირდათ და უძნელდებოდათ მით მატარებელზედ, ისე ახლო არის სადგური, მაგრამ მტკვარი ხშირად ადიდებული იყო გაზაფხულობით, ვერ სარგებლობდნენ; იძულებულნი იყვნენ, გრაკალზედ ან ქსნის სადგურზედ წასულიყვნენ, რაც ძალიან დიდი მანძილი იყო კავთისხეველებისთვის.

დავინწყეთ რეპეტიციები. ძალიან სწრაფათ და კარგადაც აითვისეს რამდენიმე სიმღერა ყოველ დღის მეცადინეობით და კონცერტიც დავნიშნეთ. ხელზედ გაყიდეს ბილეთები თვით მონაწილეებმა და მე ჩამოვედი თბილის[ში] - ჩემი და ეკატერინე და მე.



სამი მომღერალი, ბანები დავიმატეთ. მსახიობებს: ვიქტორ ლევანის ძე მურღულიას⁴¹, სოსო თარალაშვილსა⁴², ნიკო გვარამაძეს ვთხოვე დამხმარებოდნენ ერთი საღამო სოფელ კავთისხევში ჩაგვეტარებინა. სიამოვნებით, უარი არ უთქვამთ. წავედით ერთი დღით ადრე, გენერალური რეპეტიცია ჩავატარეთ, შევკონეთ საღამოს პროგრამა და დადგა ის წუთიც. მოვიდა აუარებელი [...].

1919 წელი

კონცერტები თბილისსა და ბათუმში

მოვამზადე ჯგუფი და პირველი „კონცერტი“ 1918 წ. 6 იანვარს⁴³ ქართულ კლუბში ჩავატარეთ. ერთი განყოფილება პიესა „მათიკო“, ცაგარელის კომედია. მონაწილეობდნენ ე. ჩერქეზიშვილი, ვ. აბაშიძე, მატარაძე, ჩაგუნავა და სხვები.

ასე ეწერა აფიშაში II განყოფილება, საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობენ ქართველი ქალები, დები მ. ე. თარხნიშვილები; შეასრულებენ ქართლ-კახურ სიმღერებს; კუპლეტს „პატარა კახიდან“, „დაიგვიანეს“, დამუშავებულს მარო თარხნიშვილის მიერ; „ურმულსა“ და „ოროველას“, დაუკრავს პატარა დავრიში თავის დასტით.

41 ვიქტორ მურღულია - მსახიობი, რეჟისორი; 1934-1942 წლებში ქართული და ოსური დასის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

42 იოსებ (სოსო) თარალაშვილი - მსახიობი. გადაღებულია ფილმებში: ლონდრე (1966), თეთრი ქარავანი (მოხუცი სერო) (1963), ქრისტიანე (1918).

43 თარიღი მითითებული აქვს არასწორად. სინამდვილეში უნდა იყოს 1919 წლის 5 იანვარი.



* * *

ბათუმის საზოგადოება ყოველ წელს მართავდა ნინაობას, 14 იანვარს, დიდ გრანდიოზულ საღამოს.

1919 წელს მიგვიწვიეს თბილისიდან ვანო სარაჯიშვილი, ალექსანდრე (საშა) ინაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, თამუნა და 7 კაცის შემადგენლობით ჩემი ხელმძღვანელობით გუნდი ქართლ-კახური სიმღერების შემსრულებელი. შეშით მიდიოდა ვაგონები. მენშევიკების დრო იყო, ორი დღე მოუხდით ბათუმამდე ჩასვლას. ჩავედით. დიდი ზეიმი იცოდნენ. ჩვენ კონცერტი ჩავატარეთ, ბანკეტზედ მიგვიწვიეს ყველანი, დიდი შეძლებული საზოგადოება ვახშობდნენ, ორას მანეთს სდებდნენ მსახიობის სასარგებლოთ და ინვევდნენ მაგიდასთან. მე ქმარმა არ მომცა ნება, ითაკილა. გრიშაშვილი, სარაჯიშვილი და ინაშვილი სამ მაგიდაზედ მიიწვიეს.

* * *

მარტის შუა რიცხვებში მოისურვეს ზაქარია ფალიაშვილმა, დიმიტრი არაყიშვილმა, მელიტონ ბალანჩივაძემ⁴⁴, რომ გამემართა ჩემი შვიდი კაცის შემადგენლობით მთელი პროგრამით კონსერვატორიის დარბაზში და ჩემი სამივე შვილებიც გამომეყვანა კონცერტზედ.

26 მარტს კონსერვატორიის დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. მართალი მოგახსენოთ, ასეთ დიდ საზოგადო-

44 მელიტონ ბალანჩივაძე (1863-1937) - კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი; საქართველოს სახალხო არტისტი.



ვერცხლ.

ქიხო ქიხევ მადროთ
მევევერთქი ვეყოთა
გადაბჩინვ ვაქვალნი
აქვისლი ნიჭვართყოთა

მადროთ ვევე ხარ დადგმყოთ
სადირვევლი ვაქვს მკინისა
ხარა ზეგონი ვევეს მენვედგონი
ლომნი მახველი ჩიონისა

ვუქლო, მკერდი, სელი ვეფლისავით,
მნიძილოისთვილ, ზიყ მკერდათ
ჩიონი დახ თაგი ყხს ნიათ
და მქვთი დაყდლოე ვიათ

მით საამცვიოე ქლავი
რომ იეოე მქვრისა ჩიონა
ჩიონში ამძილოე ქიონი
თაგი სუფლოე მის ზიკოთა.

19⁴/III 246.



დოების წინაშე, ცოცხალი არ იყვეს, დამაფიქრა ბავშვების გამოყვანამ. როგორც მცირეწლოვანები, ვშიშობდი, არ შემკრთალიყვნენ ასეთი მრავალრიცხოვანი ხალხის წინაშე, მაგრამ არ შემარცხვინეს.

პირველი განყოფილება: ჩვენი კონცერტით დაიწყო საღამო. და მეორე განყოფილების წინ გამოვიდნენ სამი და-ძმანი, ჩემი შვილები: ვანო, თამარი და ნუნუ. მათ პროგრამაში იყო ხალხური სიმღერები: „მახსოვს პირველად“, „ჩაუხტეთ და ჩაუხტეთ ბართაშვილსა“, „ვხედამ მეცხვარეს ჯოხი მხარზედა“. უნდა მოგახსენოთ: პირველმა, მეორემ, მესამე ხმებმა უნაკლოდ შეასრულეს სამივე სიმღერები. წლოვანობით 8-6-4 წლისანი იყვნენ.

მე არასდროს არ ვიცოდი კონცერტების დროს ღელვა. იმ საღამოს კი ჩემს თავს ველარა ვცნობდი, ისე ვღელავდი. საზოგადოებამ და ჩემმა ძვირფასმა კომპოზიტორებმა ხომ დაკოცნეს ბავშვები და დიდ(ა) ით მოუწონეს სმენა. იმ დროს იშვიათი იყო ასე პატარების სცენაზედ გამოსვლა, ისიც დიდი საზოგადოების წინაშე. ასე დამთავრდა ჩვენი სამგანყოფილებიანი კონცერტი.

სცენას ამშვენებდა ძვირფასი კალათები, იებით და ყვავილებით მორთული. იმ საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს ყველა წარჩინებული საზოგადოება: კომპოზიტორები, მწერლები, მსახიობები, მასწავლებლები. ერთი სიტყვით, სერიოზული საზოგადოების წრე. იმ დღით გაზეთში იყო რეცენზია: ვისაც გსურთ, ეზიაროთ ქართული ნამდვილი სიმღერებით, გაეშურეთ თარხნიანთ კონცერტზედო, ამას არა ვწერთ რეკლამისთვისო!



1920 წელი

1922⁴⁵ წელი, ბაქო, გორის მიწისძვრა

1921 წელს მამუკა ამაშუკელის⁴⁶ ადმინისტრატორობით ქართველი მომღერლების - დები თარხნიშვილების - ჯგუფი 7 კაცის შემადგენლობით: მარიამ თარხნიშვილი, ეკატერინე თარხნიშვილი, დიმიტრი თარხნიშვილი, შალვა სააკაძე, რევაზ მაღალაშვილი, რეზო ქარუხნიშვილი, გიორგი ფალავანდიშვილი, შემდეგნი; ნატო ვაჩინაძე⁴⁷, ელო ანდრონიკაშვილი და თითონ ამ ჯგუფის ხელმძღვანელი შალვა დადიანი.

ნამდვილი მიზეზი ჩვენი იქ გამგზავრებისა, უნდა მოგახსენოთ, რომ არ მახსოვს, რადგან ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და მე მათთან ლაპარაკსაც თამამად ვერა ვბედავდი. ესე კი მახსოვს, ქართველი საზოგადოებისათვის უნდოდათ ჩაეტარებინათ სალამო. რა მიზნით, ის არ ვიცი. იმ დროს (საშვებით) პროპუსკებით იყო საჭირო გამგზავრება. მამუკას მხოლოდ დები თარხნიშვილების სახელზე აელო და დანარჩენი ჯგუფის 5 კაცი არ გაგვატანეს უპროპუსკოთ (საშვები). იძულებული გავხდით, მე და ჩემი და ეკატერინეც აღარ წავსულიყავით, რადგან უიმათოთ რას გავაკეთებდით. კონცერტს ორნი ვერ ჩავატარებდით იმ ღამეს. ასე რომ, აღსტაფის სადგურზედ

45 უნდა იყოს 1920 წელი.

46 მამუკა ამაშუკელი (ვლადიმერ ამაშუკელი) - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილების წევრი (1913-1914).

47 ნატო ვაჩინაძე (ანდრონიკაშვილი) (1904-1953) - კინომსახიობი, საბჭოთა კურანის მეგავარსკვლავი 1920-30-იან წლებში.





1927-28
7-75

ქეთის ანთროპოლოგების გუნდი - ქუთაისის პირველი

ოლიმპიადის გამარჯვებული
ქეთის, ქუთაისი, 1927 წელი

ღები თარხნიშვილების გუნდი - ქუთაისის პირველი
ოლიმპიადის გამარჯვებული

ქუთაისი, 1927 წელი



საქართველოს
ანთროპოლოგიის
ინსტიტუტი

ჩვენი ჯგუფი ჩავრჩით, სანამ მატარებელი თბილისისკენ არ იქნებოდა.

სადგურის უფროსი აღმოჩნდა ქართველი ი. კარბელაშვილი. რომ გაიგო ქართველი ქალები, დები თარხნიშვილები, ბედმა გვარგუნა და აქეთ მხარეს შემთხვევით მოხვდნენ, როგორ გაუშვებთ ისე, რომ მათი ხმების მოსმენა ვერ მოვახერხოთო. მაშინათვე მოვიდა, გვთხოვა: ძალიან გთხოვთ უმორჩილესათ, ერთი საღამო ჩვენ ჩავვიტაროთ. აქ ქართველები ბევრი არიან რკინისგზის მუშებო და მოხელეებო. გთხოვთ პატივი გვცეთ და დარჩეთო, ხვალ სპეციალური ვაგონით გაგისტუმრებთ თბილისშიო. რა მეტი გზა იყო, მაინც უნდა გვეცადნა თბილისისკენ მეორე დილამდის. დავთანხმდით. მაშინათვე დაურეკეს ახლო სადგურებს, გადასცეს ტელეფონოგრამა და საღამო ჩაუტარეთ. დიდი მადლობა გადაგვიხადეს. კონცერტის შემდეგ ბანკეტი მოგვიწყეს. ეს იყო /20/ ოცი მარტი 1921⁴⁸ წელი, როდესაც დიდი მიწისძვრა იყო ქ. გორში.

კონცერტი რომ დამთავრდა, გვთხოვეს, ნუ გაიხდით ქართულ კაბებსო, მობრძანდით ვახშამზედ, ცოტა ხანს გიყუროთ ქართველ ქალებსო. შუა ვახშამზედ, ჩემს უნებურათ, ცრემლები ჩამომდიოდა თვალებიდან, ცუდ გუნებად დავდექი. ჩემები შემეკითხნენ: რა დაგემართაო, ცუდათ ხო არ ხარო. ვთხოვე, ნება მოეცათ, ქართული კაბა გამომეცვალა. რა თქმა უნდა, დამეთანხმნენ, ამაობაში მატარებლის დროც მოვიდა და გამოგვაცილეს ყველა.

პირველი მე მოვკიდე მატარებლის კიბეს სახელურს ხელი და ავედი. მატარებელი საგრძნობლად

48 თარიღი ეშლება, გორის მიწისძვრა მოხდა 1920 წლის 20 თებერვალს.



შეირყა. ხალხი, გამცილებლებიც გაჰკვირდნენ და რაშია საქმე, ყველანი გაოცდნენ. მე გავიხუმრე, მე ვარ ლონიერი-მეთქი, მე გავანძრიე ვაგონი-თქო. იმავ წუთში, მანამ მატარებელი არ გასულიყო, დეპეშა მიიღეს: გორში დიდი მიწისძვრა მოხდა, ნახევარ გორის შენობები დაინგრაო. მათ შორის ჩემი სამი ოთახი, მონყობილი ყველაფრით ჩაიტანა. ბედი ჩემი, რომ სამი შვილი, პატარები, თბილისში დატოებული მყავდა, თორემ შეიძლებოდა გავგიჟებულიყავი კიდევ. დავკარგე მის მერე გორში, რაც მქონდა.

ქონებას არა ვჩივი, წარმოიდგინეთ ერთი წუთით: სამი მცირეწლოვანი პატარა ბავშვები, ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჩემზედ დამოკიდებულნი, მათზედ ზრუნვა, აღზრდა მარტოხელა ქალისთვის; სამჯერ დანგრეული ბინადრობა, როგორც მოგეხსენებათ, თავადაზნაურების ზოგიერთების ბედი: შვილები-სათვის თავშესაფარი, ბინის შოვნა და მონყობა რამდენად დიდი სიძნელეებით მაქვს გადატანილი ჩემი ცხოვრების მანძილზედ. და, აი, ამ დროს არც ერთი წუთით არ დამიტოვებია ჩემი საყვარელი ხელოვნება, რომელიც სისხლ-ხორცში მქონდა გამჯდარი აქამდისაც.

1910 წლიდან მომდინარე ქართლ-კახური ხალხური სიმღერები(ს) ჩემი ინიციატივით შესწავლილი, შექმნილიც ზოგიერთი სიმღერები(ც) და მრავალ ხალხურ სიმღერებსაც არ დაუკარგე თავისი ელფერი, რომლებსაც ხშირად ისმენტ რადიოს გადმოცემით და ფირფიტებზეც ჩანერილებსაც სიამოვნებით ისმენს ჩვენი ქვეყნის და სხვა რესპუბლიკების მშრომელი მასებიც.



1921 წელი

კონსერვატორიის მიტოვება

1921 წელს ოჯახური მდგომარეობის გამო იძულებული გავხდი დამენებებინა კონსერვატორიაში სწავლას და მესამე კურსიდან, რადგან სამი შვილის უპატრონოთ დატოვება ძნელი გახდა თანდათან, უწლოვანი მოსწავლე ბავშვების მოვლაც მე მევალებოდა და სამსახურშიც სიარული. გული დამწყდა ნამდვილათ მეცა და ჩემს პროფესორებსაც: ზ. პ. ფალიაშვილსაც, დ. ე. არაყიშვილსა და მ. ბალანჩივაძესაც, რომლებიც ოცნებობდნენ ჩემს გაგზავნას იტალიაშიც. მე ხო „კონტრაქტი“ მქონდა. ასე დატორილდა უკუღმა ჩემი ბედი.

ჩემი გულისტკენა იმიითლა გამოვისყიდე, რომ რადგან იმავე წლებში კონცერტებზე მიწვევდნენ ხშირად, გადავწყვიტე, მე ერთგულად მომეკიდნა(?) ჩემი ერის ხალხური სიმღერების შესწავლას, შეკრებას, დამუშავებას და ფართო საზოგადოების წინაშე ესტრადაზედ გამოტანას! იმ წლებში სწორეთ დიდი კრიზისიც იყო ქართლისა და კახეთის სიმღერების მოსმენა. ენაჩავარდნილებივით იყო ხალხი, რევოლუციისა და ომების წლებმა ჩააჩუმა ისინი. მე დიდი მადლიერებით ვიგონებ წარსულ წლების ჩემს დიდ ენერგიულ ხასიათს, რომ შევსძელი სოფლებსა და ქალაქებში სიარული.

პირველმა ქალმა, ლოტბარობა - მამაკაცების მოვალეობა (ხელმძღვანელობა) - ვიკისრე, შევძელი და ქალ-ვაჟთა გუნდს ჩაუდექი წინ, რომლითაც დიდი პატივისცემა და სიყვარულიც დავიმსახურე მრავალი ეროვნების ხალხების წინაშე. ბევრი ახალგაზრდა



ქალები და ვაჟებიც აღეზარდე ხალხური სიმღერების მცოდნე, ხელმძღვანელებიც და მომღერლებიც.

მიხარიან, როცა ვისმენ მათი ხელმძღვანელობით გუნდების სიმღერებს, ისევეთ, როგორც მე შევასწავლე.

* * *

დეკემბრის 21 ტრადიციულათ იყო და არის ჩემი დაბადების დღე და ამ დღეს ყველა ჩემი მეგობრები და ახლო ნათესავები იკრიფებიან ხოლმე ჩემთან. ზემოაღნიშნულ წლის 21 დეკემბერს ნიკო ქუმსიაშვილი და მისი მეუღლე კატო (კატუშა) ჩემი შეტყობინებით მესტუმრნენ, ძალიან გამეხარდა და დიდი კარგი დროც გავატარეთ. თამადათ სუფრაზედ იყო ან განსვენებული ვასილ იაკოვ ფილიფის ძე ეგნატაშვილი⁴⁹, დიმიტრი ეგნატეს ძე არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი (მე იმ დროს იმათი სტუდენტი ვიყავი), მიხეილ ბერიაშვილი - დამსახურებული არტისტი (მე და ის ერთ პარტაზე ვიჯექით). ეს იყო მეორე კონსერვატორია დერჟინის ქუჩაზე, ლექციებს კი ს. კონსერვატორიაში ვისმენდით ხომე.

იმ ღამეს არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ დილამდე, არაჩვეულებრივად ჩემი და ეკატერინე და ჩვენი 7 კაცის შემადგენლობით. დიდი კონცერტი მიდიოდა დილამდის: ხან ერთი მომღერალი, ხან მეორე, ხან ჩემი ჯგუფი. ერთი სიტყვით, ყველა დიდი კმაყოფილები წავიდნენ იმ საღამოსი და ნიკოს მოძღვნილი საჩუქარი იმ დღისა ეხლაც მაქვს ჩემს არხივში: ილია ჭავჭავაძის (თხზულებათა სრული კრებული) წარწერით: ძვირფას მა-

⁴⁹ ვასილ ეგნატაშვილი - სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



როს, სულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეინირებისო.

ჩემთვის სასიხარულო სტუმრები იყვნენ და დიდი დროც გაატარეს. ყველანი დილის 6 ს. დავიშალენით. მე ვცხოვრობდი ვარდისუბნის ქ. 3-ში. ეს ბინა დიმიტრი ეგნატის ძე არაყიშვილის დახმარებით მომცეს, რადგან⁵⁰ დაბალჭერიან ბინაში ვცხოვრობდი იმჯერათ. არაყიშვილმა უხელმძღვანელა იმით, რომ მაროს ხმა არის შესანიშნავი კონტრალტოვო და ასეთ დაბალ ჭერქვეშ არ შეიძლება მისი ცხოვრებაო.

1937 ხომ ოპერაში იუბილეც გამიმართეს 25 წლის მუშაობისათვის.

1923 წელი

შალვა დადიანის იუბილე

1923 წელში ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თიატრში შალვას გადუხადეს იუბილე. მეტად ლამაზათ ჩაიარა საღამომ, გულთბილად შეხვდნენ მწერალს და დრამატურგს. ჩვენმა ჯგუფმა (რვანი ვიყავით იმ დროს) სიმღერით მივესალმეთ იუბილარს, უმღერეთ კახური გრძელი „მრავალჟამიერი“. კარგათ მოუხდა იუბილარს „სუფრული მრავალჟამიერი“. შალვას უყვარდა პურმარილი და დროსტარებაც. მის მოწერილ ერთ-ერთ ცნობაში, რომელიც გამომიგზავნა მე, სწერს შალვა: სხვათა შორის, მარო თარხნიშვილმა მიიღო მონაწილეობა ჩემს იუბილეზედო და დასტოვა დიდი შთაბეჭდი-

50 ტექსტშია: რადაგ.



ლებაო (შალვა დადიანის დადგმა გრიბაედოვის ქართულ ლამეში).

მეორე ცნობა მაქვს მისგან მოწერილი: მარო თარხნიშვილმა მიიღო, აგრეთვე, მონაწილეობა ჩემს მიერ დადგმული გრიბაიდოვის პიესა „ქართულ ლამეში“ და პრესამ დიდათ შესანიშნავად აღნიშნა მისი წარმატება. იმ პიესაში ბატონი ვალერიან გუნიაც მონაწილეობდა. მე ქართული კაბა მეცვა, როგორც ორივე დები ერთნაირად ვიცვამდით სცენაზედ.

შალვას რამდენჯერმე უთხრა: შეხედე მაროს, თამარ მეფესავით გამოიყურება თუ არა, ამაყად და მოხდენილათო. შალვამ უპასუხა: მარტო ამჟამად კი არა, ყოველთვისო. მე მათთან შედარებით ახალგაზრდა ვიყავი, შემრცხვა და თავი დავლუნე. ისევ შალვამ გამოასწორა: მარიკო, ხომ არ გენყინა? ვალერიანს უყვარს ხუმრობაო. მე რა ხმას ამოვიღებდი, თორემ სად მე და სად თამარ დედოფალი? მის მერე სულ თამარ მეფეს მეძახდა ბატონი ვალერიანი გუნია.

1924 წელი

ძუკუ ლოლუა⁵¹

პატივცემული ძუკუ ლოლუა თბილისში ჩამოვიდა კონცერტის მისაცემად, ქალაქ თბილისში.

51 ძუკუ ლოლუა (1877-1924) - ცნობილი ლოტბარი; 1919 წელს ფოთში დააარსა ქართული ხალხური სიმღერების მოყვარულთა საზოგადოება და მოწაფე ქალ-ვაჟთა გუნდები; 1921 წელს დაინიშნა დასავლეთ საქართველოს სახალხო გუნდების ინსტრუქტორად.



ეს იყო ზაფხულის თვე, 24 ივლისი. მეცადინეობას ატარებდა რუსთაველის საკონცერტო დარბაზში. იმჟამად ჩემს გუნდში მუშაობდა გიორგი ბართლომეს ძე ვარდიაშვილი, ფანდურზედ დამკვრელი. ძუკუ შეხვედროდა მას ქუჩაში და ეკითხნა: ქა-ნი მარო თუ არის თბილისშიო. მას ეთქვა, ვემზადებითო საგასტროლოთ დასავლეთ საქართველოშიო, აქ არისო. ძუკუს უთხოვია გიორგი ვარდიაშვილისთვის, რომ სთხოვეთ მაროს, პატივი მცეს და დამესწროს რეპეტიციებზედო, რადგან ქართლურ და კახურ სიმღერებს მის გაუსინჯავად ვერ ვენდობი საკუთარ ჩემს თავს, რომ გავიტანო კონცერტზედო. მე გადმომცა ჩემმა თანამშრომელმა გიორგიმ თუ არა, იმავე დღესვე დავესწარიოთ ორივენი, მოვისმინეთ მათი საკონცერტო პროგრამა, ჩემი ქება და ხოტბის შესხმა განსვენებულ ძუკუს არა სჭირდება! დიდებულად ასრულებდნენ, რასაკვირველია, დასავლეთის საქართველოს სიმღერებს. შესანიშნავი იყო ძუკუს მოხდენილი ხელმძღვანელობა და უნდა აღინიშნოს თვით ანსამბლის შემადგენლობაც, საუკეთესო თავმომწონე ვაშკაცები. მოვისმინე ქართლური სიმღ.: „გაფრინდი, შავო მერცხალო“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, არც ის იყო ცუდათ შესწავლილი. ერთი სიტყვით, პროგრამა ძალიან ვრცელი და კარგი იყო!

უთხარი: ბატონო ძუკუ, თქვენ უკვე მზათა ხართ კონცერტისთვის, არავისი დახმარება არ გჭირიანთ, ნუღარ დააყოვნებთ, რაც მალე იქნება, ხარჯი ნაკლები გექნებათ, ამდენ ხალხს შენახვა უნდა-მეთქი. მანაც მომიწონა ჩემი რჩევა, მაგრამ ბედმა უმუხთლა. იმ დღეებში მისცა დიდი სიცხე



და დაემართა მუცლის ტიფი, რომელმაც იმსხვერპლა ის დიდი შემოქმედი ადამიანი. კირილე პაჩკორია⁵² და ლუდი ბაბილუასთვის⁵³ ეთხოვნა, წადით მარო თარხნიშვილთან და სთხოვეთ, შვინდის კისელი გამიკეთოს და ბოთლში ჩაასხას, რომ ადვილათ დაეღია, რადგან დიდი სიცხიანი თავს მაღლა ვერ ასწევსო!

დავაცდენინე მათ და საჩქაროთ გავაკეთე და გაუგზავნე. რამოდენიმე დღის შემდეგ მისმა მეუღლემ ნადიამ შემომითვალა: ძუკუ უკანასკნელ დღეში მყავს და ძალიან გთხოვ მეცით პატივი და თუ არ შენუხდებით, მობრძანდი ნახეთო, თქვენს ნახვას თხოულობს, აგერ მარო თვითმფრინავით მოდისო, ეგები რომ ვნახო მოვრჩეო. მივედი მეორე დღესვე, მაგრამ აზრი აღარ ჰქონდა, უკვე სულს ებრძოდა. გარდაიცვალა თბილისში და დაასაფლავეს ნიკოლოზის ეკლესიაში (ამჟამად კიროვის სახ. პარკი), მერე კი გადაასვენეს ვაკის სასაფლაოზედ.

ასე დამთავრდა საკონცერტოთ ჩამოსული მშვენიერი ანსამბლის ხელმძღვანელის, ძუკუ ლოლუას, ბოლო! მხოლოდ ის დანყობილი ანსამბლი, სადაც საუკეთესო ძალები ჰყავდა, რაც მე მახსოვს: კინი გეგეჩკორი, კირილე პაჩკორია, ლუდი ბაბილუა, მანუელ აფხაიძე, ვასო პატარაია⁵⁴, კოლია ხვიტია,

52 კირილე პაჩკორია (1888-1957) - მომღერალი, ლოტბარი. 1946 წელს კირილე პაჩკორიას მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

53 ვლადიმერ (ლუდი) ბაბილუა (1897-1977) - ხალხური სიმღერების შემსრულებელი, ლოტბარი. საქართველოს კინოფოტოფონო დოკუმენტების ც/არქივის ფონოგანყოფილების ხელმძღვანელი 1964-75 წლებში.

54 ვასო პატარაია (1895-1969) - მწერალი და დრამატურგი.



ბიძინა ლოლობერიძე, სერგო გოცირიძე⁵⁵, სერგო ბაქრაძე, ვლადიმერ მასხარაშვილი და ბუცხრიკიძე ჟორა. ცოდვა იყო მათი დაშლა და ჩაუდგა სათავე-ში ხელმძღვანელად კინი გეგეჩკორი, რადგან მათ იმ დროს დატაცია არ ჰქონდათ, ისევეთ აერიათ გზა და მის შემდეგი კირილე პაჩკორია ჩაუდგა სათავეში ხელმძღვანელად. ის მონაწილენიც თან-დათანობით წავიდ-წამოვიდნენ და სულ სხვა სახე მიიღო. კირილევ გარდაიცვალა და დარჩა ანზორ კავსაძე⁵⁶. იმ დროის ხალხი, მომღერლები, სულაც აღარც ერთი აღარ ურევია მაგ ანსამბლში.

1925 წელი

თბილისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

გამოფენას ხელმძღვანელობდა რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი⁵⁷. გამოფენაზედ გამოტანილი იყო სასოფლო-სამეურნეო ყველა ნაწარმოები, ესე იგი: ქსოვილები, აბრეშუმეული, მეფრინველეობა (მესაქოლ-

55 სერგო გოცირიძე (1906-19??) - მომღერალი, პედაგოგი; დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (ვოკალური); 1929-1930 წლებში იყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (ბანი); 1931 წლიდან - მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი.

56 ანზორ კავსაძე (1930-2008) - საგუნდო დირიჟორი, მომღერალ-მგალობელი; საქართველოს სახალხო არტისტი.

57 კოტე მარჯანიშვილი (1872-1933) - რეჟისორი; საქართველოს სსრ სახალხო არტისტი; 1913 წელს მოსკოვში დააარსა „თავისუფალი თეატრი“, 1924-1928 წლებში მოღვაწეობდა ქართულ კინოში; 1928 წელს ქუთაისში დააარსა დრამატული თეატრი მე-2 სახელმწიფო თეატრის სახელწოდებით. 2 სეზონის შემდეგ (1928-1930) თეატრი თბილისში გადმოვიდა. მარჯანიშვილი ამ თეატრს გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა (გარდაცვალების შემდეგ, 1933 წელს თეატრს მარჯანიშვილის სახელი ეწოდა).



ნეობა!), მეღვინეობა - ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი იმ დროს საქართველოში კეთდებოდა. დემონსტრაციას წინ მიუძღოდა მართულით გაკეთებული, ზედ მარლაგადაკრული, ათმეტრიანი აბრეშუმის ქრისმატლი, მას მისდევდა იმის ძაფის ნაწარმი. ძალიან დიდი ღორი მიდიოდა, მას მისდევდა რაც კი შეიძლება, ღორის ხორციტ ნაკეთები; საუკეთესო ცხენები, არაჩვეულებრივი ჯიშის ქათმები, მასთან მათი ნაწარმი. საქონელი: ძროხა, ხარები, კამეჩი, იშვიათი ჯიშისანები. მსახიობები მინვეულები ვიყავით, პირადათ მე და ჩემი 15 კაციტ ქართულ გლეხურ ტანსაცმელებში. სატვირთო მანქანაზე მონყობილი იყო ვაზის ხეები, რომელსაც ზურგზედ მანქანაკიდული ვაზსა სწამლაგდა. მეორე მანქანაზე ქვაბით თათარას (ფელამუშს) აკეთებდნენ, ჩურჩხელეს ავლებდნენ ჩემი გუნდის ქალები. ორ ურემზედ უღელზედ, ესე იგი კოფოზედ იჯდნენ მამაკაცები გლეხური ჩოხებით, ურემში კი ქალები საჩეჩელზედ მატყლსა სჩეჩამდნენ, ზოგნიც ართამდნენ თითისტარზე. მესამე ურემში ქართულ გარმონს უკრამდნენ, დაირას, რომელიც საშა გეგეჩკორმა გვიყიდა თევზის ბუმტისა. ეხლაც მაქვს მე ოჯახში ის დაირა. ლხინობდნენ ურემში და ცეკვაოდნენ, როცა გაჩერებულნი იდგნენ ხოლმე ადგილებზედ. ამ ზემის მომგონი იყო ხაზეინიც იმ დაწესებულისა, სამტრესტისა, საშა გეგეჩკორი. მას სტუმრად ჰყავდა მონვეული მათი ხაზით მომუშავე მოსკოვიდან. ისინი მანქანით მოსდევდნენ იმ ლამაზ სანახაობას.

როცა გავიარეთ ლენინის მოედნიდან „ზარია ვასტოკას“ შენობასთან, ცოტა ხანს შეჩერდა მსვლელობა. გააჩერა საშა გეგეჩკორმა თავისი მანქანა და შოფერი მოვიდა ჩემთან. მთხოვდნენ, მე და კოტე მარჯვანიშვილი რომ მასთან, მის სტუმართან ერთად



წავსულიყავით სადილად მის სახლში. მე უარი განცხადე, მაგრამ არ მომეშვნენ და წაგვიყვანეს სახლში მე და კოტე. რო დავსხედით სადილზედ, რომ არ ელოდა, მოვიდა კირილე, ყვავილების კარზინკით, ორი თავისი მომღერლებით. ესენი იყვნენ ლუდი ბაბილუა - პირველი ხმა, ჟორა გოცირიძე - ბასი და თითონ - მეორე ტენორი. გაიცინა სამამ და შეუკურთხა: შე მეტიჩარა მამაძალო! ვინ დაგპატიჟაო. ასე სუფრას ართობდნენ მომღერლები. საღამოს 11 სათზედ მე დავემშვიდობე და თავისი მანქანით გამისტუმრა. მეორე დღეს დიდი მადლობა მივიღე და საჩუქრად ოქროს მაჯის საათი და /400/ მანეთი ფული და დაირა გუნდის გასამჯელოთ.

1926 წელი

ზაჰესის გახსნა

ფ. მახარაძის განკარგულებით მიგვაველინეს ზაგესიის გახსნის დღეს საზეიმო კონცერტის ჩასატარებლად ჩვენი ვოკალური ჯგუფით. იქ იყო სამ ადგილას ესტრადა გამართული, ჰაერზედ მტკვრის პირად. სხვა მსახიობებიც ბევრი იყვნენ. ჩვენი ჯგუფი სამივე ესტრადას მოვემსახურეთ.

აუარებელი ხალხი ესწრებოდა. მამინ მელიციის უფროსი ვასო ხმალაძე იყო. დიდი წესრიგით ჩატარდა ის დღე, მიუხედავად ხალხის სიმრავლისა.

მახსოვს, ლადო კავსაძე⁵⁸ (ოპერის მსახიობი იყო იმ დროს), კინტოს ტანსაცმელში მორთული, წითელი

58 ვლადიმერ (ლადო) კავსაძე (1886-1953) - მომღერალი, სახალხო არტისტი.



ბაღდადი, ქამარზედ ჩამოკიდული აჭიდავებდა (ბებერ ცხვრებს) ყოჩებს. ხალხს უხაროდათ, დასდევდნენ უკან. იყო სიცილ-ხარხარი.

იქ კონცერტებში მონაწილეობას იღებდნენ ნიკო გოცირიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ოპერიდან - ელიოზიშვილი, ცირლილაძე, სვანიძე ზურაბი და სხვები. ხალხის სიმრავლის გამო ჯარის ნაწილები იყო მონვეული. დამთავრდა დიდ ზეიმით მთავრობის თანადასწრებით. დაიშალნენ დიდათ ნასიამოვნები და გახარებული საზოგადოება გაშუქებულ, გაბრწყინებულ ნათურებით ლამაზ თბილისში. მე გასამჯელოთ მივიღე (80) ოთხმოცი მანეთი.

დიდი რეცენზიები და მადლობები არის ჩემს არქივში. ამ თანხით შევიძინე სასადილო მაგიდა და შკაფი (ბუფეტი).

1927 წელი

ქუთაისის ოლიმპიადა

ქუთაისში პირველი ოლიმპიადა, რა თქმა უნდა, ყველასათვის ახალი და უჩვეულო იყო. გამომიგზავნეს მიწვევის ბარათი: გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობაო. გამოცხადებულიც იყო პირველი, მეორე და მესამე ჯილდო! განსვენებული დიმიტრი ეგნატეს ძე არაყიშვილმა მნახა და მითხრა: რას აპირებთ დები თარხნიშვილები, ხომ მოდიხართ ქუთაისში ოლიმპიადაზედო? მე შემრცხვა ჩემი ნამდვილი მიზეზის თქმა და უპასუხე: ჯერ არ ვიცი, როგორ მოვიფიქრებ. მან მიპასუხა: აქ არავითარი ფიქრი არ არის საჭიროვო. რატომ არ უნდა ნახვიდეთ? აუცილებლივ მოემზა-



დეთ წასასვლელათო. მე მაინც თითქოს ვშიშობდი, მეგონა დიდ გუნდებს შევხვდებოდი და აბა რას უნდა გავმხდარიყავი ჩემი 7-8 კაციით.

თუ არა ვცდები, მაისის თვე იყო, რადგან მახსოვს, ვარდებში ვიყავით სცენაზე ჩამალულები. ქუჩაში ხომ ახალგაზრდობა გზაშიც კი ვარდებს გვანვდიდნენ ხელში. ზოგნი გზაში გვიფენდნენ. ეს მოხდა პირველ დღეს გამოსვლისას. მეორე დღეს გავემგზავრეთ ერთად ერთი მატარებლით ქუთაისში: კორნელი მალრაძე⁵⁹ - კავშირების გუნდი, კოტე ფოცხვერაშვილი - აკადემიური გუნდით, დები თარხნიშვილები 8 კაციით, ქუთაისის ადგილობრივი გუნდები კუხიანიძის, გ. კოკელაძის და სხვები. გური[ი] დან სიმონიშვილი ვარლამი⁶⁰ 10 კაციით, ერქომაიშვილები, მოხუცი ძმები, 14 კაცი იყვნენ.

სამი დღე მიმდინარეობდა შეჯიბრება გუნდებისა. ცირკის შენობაში დაუთვლელი ხალხი ესწრებოდა. ისედაც დიდი მოყვარული იყო და არის ქუთაისის საზოგადოება სიმღერებისა და ხელოვნების შემფასებლები. გამარჯვება პირველ ხარისხზედ მიდიოდა. ჩვენი ანსამბლის მდგომარეობა მესამე დღეს ძირითადად დაადგინა ჟურის შემადგენლობამ, თუმცა პირველი დღიდანვე ხალხის შეხედულება, ხომ მოგეხსენებათ, რომ ბოლოს მართლდება ხოლმე და იქაც სწორედ მესამე დღეს ოფიციალურად გამოცხადდა: პირველი ხარისხის ჯილდო მოგვანიჭეს ჩვენ.

59 კორნელი მალრაძე - მომღერალი (პირველი ტენორი); მღეროდა ლადო აღნიაშვილის მიერ 1886 წელს ჩამოყალიბებულ გუნდში; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრი.

60 ვარლამ სიმონიშვილი (1884-1950) - მომღერალი, გურული ხალხური სიმღერების შემსრულებელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.



დაჟინებით მოითხოვდა ხალხი: ოლიმპიადა დამთავრდა და თარხნიშვილს ვთხოვთ „ურმულით“ დავატკბოს და ისე ძლიერი მოთხოვნა იყო, რომ ჟურის ნევრები წინააღმდეგნი იყვნენ, საგუნდო სიმღერებისა: ოლიმპიადო სოლოებისა არააო. ხალხი რომ ვერ შეაჩერეს, მაშინ მთავრობის (ნევრი) წარმომადგენელი საშა გეგეჭკორი⁶¹ წამოდგა ლოჟიდან და სთხოვა ხალხს: მოითმინეთ, ამხანაგებოვო, მიმართა ჟურის ნევრებს, ოლიმპიადა ხალხისთვის არის თუ არაო? თუ ხალხისთვის არის, მაშ, რატომ არ ასრულებთ ხალხის ასეთი დაჟინებულ თხოვნასო? მიეცით ის, რაც ხალხს უნდათო. ჟურიმ ველარ გაბედეს უარის თქმა და მთხოვეს გამოსვლა სცენაზედ და შევასრულე „ურმული“.

ძლიერი ტაშის დაკვრამ გასტანა 4-5 წუთი. ავნიე თავი და რას ვხედავ: ვარდების კონებსა და ყვავილებში ვიყავი ჩაფლული. გაივსო ცირკის ბარიერი, იმდენი ვარდები, კალათები და პირდაპირ მალლიდან ისროდნენ ჯგუფ-ჯგუფათ ვარდებს.

ეს იყო საქ. რესპუბლიკაში პირველი მოვლენა ოლიმპიადისა. მის მეორე ოლიმპიადა ხომ ქალაქ თბილისის ბაღში - მუშტაიდში - ჩატარდა 1929 წ. მივიღეთ ჩემი ხელმძღვანელობით დები თარხნიშვილების გუნდმა და ჯილაურის⁶² ჯგუფმაც პირველი ჯილდოები.

61 ალექსი (საშა) გეგეჭკორი (1887 - 1928) - საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე; 1921 - 1922 წლებში იყო თბილისის რევკომის თავმჯდომარე; 1922 - 1923 წლებში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახ. კომისარო.

62 მიხა ჯილაური (1859 - 1950) - მომღერალი, ლოტბარი, მწერალი.



* * *

ქუთაისში დასკვნითი კონცერტი

გამარჯვებული გუნდები სურათების გადასაღებათ. ჩემს ჯგუფს ცალკე გადაუღეს ლენინის ძეგლთან სურათი. დასკვნითი საღამოზედ ორმოცამდე კარზინკები, ყვავილებით შემკული, მივიღეთ ჩვენ, დებმა თარხნიშვილებმა. იმ ხნის განმავლობაში ხომ როგორცვე გამოვჩნდებოდით, ცირკის ბარიერი ხომ ვარდებით ივსებოდა. ვმღეროდით და ვარდში ჩაფლულები მთელი ჯგუფი ჩვენი.

ეს რომ გაიგეს ახლომახლო ქუთაისისა სოფლებმა, მიგვინვიეს; ჩვენი თვალითა ვნახოთო, თუ როგორი მომღერლები არიანო დები თარხნიშვილებიო, რომ ასე აალაპარაკეს საქართველოს ყველა კუთხეო. ერთი დღე ვარციხეში მიგვინვიეს მეურნეობაში, სადაც მასპინძლად და თამადაც იყო საშა გეგეჩკორი.

კონცერტზედ, როდესაც დებმა შევასრულეთ ქართული ალდგომის მისალოცი „ჭონა“, თაბახზედ დალაგებული ბლომად კვერცხები მოგვიტანეს, ეს იმას ნიშნავდა, რომ ძველად ალდგომის კვირაში მეჭონეები, ოჯახებს რომ ულოცამდნენ საღამოობით, აუცილებლათ კვერცხებით უნდა გაესტუმრებინათ მადლობის ნიშნად.

ერთი სიტყვით, დილამდის გასტანა 60 კაციანმა ვახშამმა, იხსნებოდა დაუთვლელი შამპანიური და სხვა ძვირფასი სასმელები. მეორე დილით გავემგზავრეთ ბათუმში ორ გარანტირებულ კონცერტზედ, ორი ჭიათურის სახ. თიატრში, ქუთაისში 2 კონცერტი, 2 კონცერტი ოზურგეთში, ს. კონცერტიც საჭილაოში სახერხ. ქარხანაში. ასე რომ, პირველი ხარისხის ჯილდო მივიღეთ შემოსავალის გარანტიით.



გამართულ კონცერტებზედაც დიდი თანხა მივიღეთ და დავბრუნდით გამარჯვებულები თბილისში.

* * *

ქუთაისის ოლიმპიადა - II

მაშინ ქუთაისში თეთრ ხიდს უძახდნენ, იმის გვერდში იყო ქალაქის ცირკის შენობა. მიუხედავად თავისი დიდი მოცულობის, ხუთი დღის განმავლობაში ხალხს ვერ იტევდა. დიდი სივინროვის გამო ბევრს გული უნუხდებოდა, ბევრიც უკან ბრუნდებოდნენ. ერთმა ქალმა იქავე გააჩინა ბავშვი, ხალხის სიმრავლის გამო გამოყვანაც ვერ მოასწრეს და სხვა ასეთი. მეხუთე დღეს გამარჯვებული გუნდების გამოყვანა ლენინის ძეგლთან. ჩემს ჯგუფს გადუღეს სურათი, რომელიც მაქვს გაზეთში დაბეჭდილი. სალამოს 40-მდე კალათი ყვავილებით მივიღე და იმ ხნის განმავლობაში, ცირკის ბარიერში რომ ვიდექით და ვმღეროდით, იმდენ ვარდებს გვიფენდნენ და მალლიდან გვესროდნენ, რომ ვარდში ვიყავით მთელი ჯგუფი ჩაფლულები. ეს რომ გაიგეს ახლომახლო რაიონებმა, მიგვიწვიეს, რომ ვნახოთ ჩვენი თვალით, თუ როგორი მომღერლები არიან დები თარხნიშვილები, რომ ასე აალაპარაკეს საქართველოს ყველა კუთხეო. ერთი დღეც ვარციხის მამულში მოვხვდით, სადაც მასპინძლად და თამადაც დაჯდა საშა გეგეჩკორი. კონცერტზედ, როდესაც დებმა შევასრულეთ „ქართლური ჭონა“, მივიღეთ თაბახზედ დალაგებული კვერცხები (რადგან „ჭონა“, აღდგომის მისალოცი სიმღერა) და ლიკიორები და შამპანიურები.

შემდეგ გაიშალა 60-კაციანი სუფრა, თუკი წარჩინებული მუშა-მოსამსახურე ყავდათ იმ მამულში.



დილამდის ტკაცუნობდა შამპანიურები. ქალაქ ქუთაისში ოლიმპიადაზედ მონვეული იყვნენ: თარხნიშვილები, კორნელი მალრაძის გუნდი და კოტე ფოცხვერაშვილის კაპელა. მაგრამ ეს 40-კაციანი გუნდები ისე დაბრუნდნენ, მე კი მივიღე პირველობა.

თბილისის ოლიმპიადა

1929 წელს იმავე ტიპის ოლიმპიადა გაიმართა თბილისში, მუშტაიდის ბაღში, აქ უფრო ფართო იქნა მონყობილი. მონაწილეობდა:

დები თარხნიშვილები;

ჯილაური;

პაჩკორია;

მ. კავსაძე;

ს. კავსაძე ჭიათურიდან;

ჩავლეიშვილი⁶³;

ძმები ერქომაიშვილები;

სიმონიშვილი ოზურგეთდან;

კუხიანიძის კაპელა ბათუმიდან;

კოკელაძის (ქუთაისიდან);

ჭელიძის ხელმძღ. ზუგდიდი.

აქაც პირველობა გვხვდა წილათ. და იმავე ღამეს მომელაპარაკნენ დასავლეთ საქართველოში გარანტიული კონცერტებზედ: მიმინვიეს. ს. საჭილაოში, ქ. ქუთაისში - 2 კონცერტი, ოზურგეთში - 3 კონცერტით და ასე სხვა.

63 სამუელ ჩავლეიშვილი (1857-1932) - მომღერალი, გურული ხალხური სიმღერების შემსრულებელი, მეტსახელად - „გურიის ბულბული“.



* * *

„მოსკოვში წასვლა“ [მოსკოვი, ბაქო]

1927 წელს, დეკემბრის შუა რიცხვებში, გამომიძახეს სოვნარკომში მოსკოვში გამგზავრების შესახებ მოსალაპარაკებლად ფილიპე მახარაძემ⁶⁴ და სხვებმა, ქალაქის საბჭომ, რათა ქართული სიმღერები ჩანერილიყო ფირფიტებზედ, არ დაჰკარგოდა ჩვენს ერს. გაგვამგზავრეს მთავრობის ხარჯზედ.

ის დამავიწყდა, რომ 27 წელში, როცა ჯერ საქართველოდან არავისი ქართული გუნდი არ ყოფილიყო ქ. მოსკოვში, ჩვენ გაგვგზავნეს ზაკცაკის ხარჯებით ჩვენი 7-8 კაცი კონცერტების გასამართად. იქიდან დახასიათება და მადლობის ცნობები ჩამოვიტანე და წარვადგინე, ვინც გაგვამგზავრა საქართველოდან. იმჟამად ჩვენს ჯგუფში მონაწილეობდნენ:

მე, მარიამ თარხნიშვილი;

ჩემი და ეკატერინე, აწ განსვენებული ფალავანდიშვილისა;

ანდრონიკაშვილი ელო, მსახიობი, აწ განსვენებული;

ჩემი ქალიშვილი თამარ თარხნიშვილი 15 წ. ასაკში;

ჩემი ვაჟიშვილი ივანე თარხან-მოურავი 17წ. ასაკში;

ეკატერინეს ვაჟიშვილი გიორგი ფალავანდიშვილი;

ვარდიშვილი გიორგი, ფანდური შემს., აწ განსვენებული;

კობახიძე ვასო;

ერისთავი ირაკლი, მოცეკვავე;

ციცკარიშვილი ივანე, მოცეკვავე;

64 ფილიპე მახარაძე (1868-1941) - ბოლშევიკი, რევოლუციონერი და საბჭოთა პარტიული მოღვაწე; 1938-1941 წლებში - საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.



ნანეიშვილი ივანე, მოცეკვავე;
მალალაშვილი რეზო.

დიდი ყინვები იყო, /40/ ორმოცი გრადუსი. მახარაძის ბრძანებით, ვაგონს ძალიან ათბობდნენ, რომ სუნთქვაც კი გვიჭირდა. ჩავედი მოსკოვში. დავინყეთ ჩანერა სიმღერებისა. /30/ ოცდაათი ქართლ-კახური ხალხური სიმღერა ჩაინერა ძალიან კარგათ. გასამრჯელო მივიღე /30 000/ ოცდაათი ათასი მანეთი. ჩვენ მხოლოდ ჩასანერად ვიყავით გაგზავნილნი, მაგრამ პროფკავშირების დიდი ყრილობა იყო მოწვეული მთელი საბჭოთა კავშირებისა ქ. მოსკოვში, კავშირების ზალაში, მიგვინვიეს ჩვენც. პირველად იქ გავიცანი დიმიტრი მჭედლიძე⁶⁵, ვერა დავიდოვა⁶⁶, კაზლოვსკი⁶⁷. ესენი მოსკოვის ოპერის დიდი თიატრის მსახიობები იყვნენ და იმ კონცერტზედ მონაწილეობდნენ. იმჟამად მოცეკვავე მყავდა, შურა ჯიბლაძე, 8 წლის იყო. არაჩვეულებრივად ცეკვამდა მთიულურს. მუხლებზედ რომ გაცურდა, მთავრობის ლოჟაში მჯდომნი, ყველა ფეხზე ნამოდგნენ. იმათ ლოჟის წინ მისრიალდა და მათ ეგონათ გადავარდება სცენიდანო, მაგრამ ეს პატარა ტანის ცქრიალა ბიჭიკო, უცბათ რომ ნამობტა და გაცქრიალდა, მშვენიერი ილეთებით დაამთავრა ცეკვა. დაუსრულებელი ტაში და ბრავოს ძახილი დიდხანს გაგრძელდა.

65 დიმიტრი მჭედლიძე (1904-1983) - ოპერის მომღერალი; 1927-1932 წლებში იყო ლენინგრადის (დღეს სანკტ პეტერბურგის) ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, 1933-1952 წლებში სსრკ მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი.

66 ვერა დავიდოვა (1906- 1993) - მომღერალი, პედაგოგი; საქართველოს სახალხო და რსფსრ სახალხო არტისტი.

67 ივანე კოზლოვსკი (1900-1993) - ოპერის მომღერალი (ტენორი), ოპერის რეჟისორი. სახალხო არტისტი, სტალინის პრემიის პირველი ხარისხის ლაურეატი.



* * *

მოსკოვში გამგზავრება საქართველოდან ყველაზე პირველად 1927 წლის დეკემბერში ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების კონცერტების ჩასატარებლად:

ქართლ-კახური სიმღერების და ცეკვის ვოკალური ჯგუფი 8 კაცის შემადგენლობით, ე.ი. დები თარხნიშვილების ანსამბლი, ვოკალური.

დასავლეთ საქ. მეგრული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ყოფილ ძუკუ ლოლუას შექმნილი გუნდი, რომლის სიკვდილის შემდეგ კირილე პაჩკორია ხელმძღვანელობდა, 30 კაცი.

გურული ჯგუფი ერქომაიშვილის და ჩავლეიშვილის შეერთებულან 12 კაცის შემადგენლობით.

კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი გაგვაყოლეს, როგორც ქართული კულტურის მომხსენებელი და მთავარი ადმინისტრატორი.

როგორც ჩავედით მოსკოვში პირადობის მონმობებით და პროპუსკებით, მეორე დღესვე დაგვინიშნეს იუჟინი სუმბათაშვილის⁶⁸ საპატივცემო გამოსვლა კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც მისი სურათი შევამკეთ დაფნის გვირგვინებით და ყვავილებით. ესწრებოდა იპალიტოვ ივანოვი⁶⁹ - პროფეს.; პროფ. ბროუდო, ძალიან დიდი საზოგადოება და მასთან ერთად ქართველები, პასუხისმგებელი პირები, ხელოვნების მოღვაწეები და მმართველები.

68 ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი (1857-1927) - რუსი დრამატურგი, მსახიობი. რსფსრ სახალხო არტისტი.

69 მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვი (1859-1935) - საზოგადო მოღვაწე; დირიჟორი, კომპოზიტორი, პედაგოგი; რესპუბლიკის სახალხო არტისტი.



* * *

1927 წელი. მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში ჩვენი გამოსვლა და კონსერვატორიის დიდ ზალაში იუჟინის ხსოვნის აღსანიშნავათ, სადაც დიდი განცვიფრება გამოიწვია ორი დები ეკატერინე და მარიაშის გამოსვლამ ნაციონალურ ტანსაცმელში, სუფთათ და მუსიკალურათ შესრულებამ იმ ხალხური სიმღერებისა, რომლებიც მათ პირველათ მოისმინეს: „ბერიკაცი“, „მუშური ჭონა“, „მე რეგვენმა პატარძალმა“, „ურმული“ და „ოროველა“. დიდი ქებით და მადლობით წავიდნენ.

* * *

მიგვიწვიეს ერმიტაჟის თიატრში. იქაც დიდიძალი საზოგადოება დაგვესწრო. ჩავატარეთ ორ განყოფილებიანი კონცერტი 12 კაცის შემადგენლობით: გუნდმა ერთი განყოფილება ქულაჯებით და ქართული კაბებით, მეორე კი მუშურ ტანსაცმელში, სამუშაო პროცესში შესაფერი სიმღერები. ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაცურებლებზედ, რისთვისაც განმეორებით დაგვტოვა თიატრის ადმინისტრაციამ. მიუხედავათ იმისა, რომ სულ ქართულ ენაზე სრულდებოდა.

* * *

კ. ფოცხვერაშვილი თავისმა პირადმა საქმეებმა ისე გაიტაცა, ნოტები ჰქონდა დასამტკიცებელი, სხვადასხვა სიმფონიები და რომანსები, ხანდისხან მთელი დღეებით ვერა ვხედამდით და ბოლო ხანებში უმუშავრად ვისხედით. ძალიან გაუჭირდათ ხალხს ცხოვრება, უსაქმოდ სასტუმროში ყოფნა.



მე ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა, გადავწყვიტე, კრემლში მიმემართა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ადვილათ დაუკავშირდი კრემლში ამხ. ენუქიძეს აბელის⁷⁰: საქართველოდან გახლავართ ჩამოსულები ხალხური გუნდები სოვნარკომის ამხ. მახარაძის და ქართველიშვილისგან⁷¹, ორახელაშვილისაგან⁷² და ნება მომეცით გინახულოთ ზოგიერთი მტკივნეულ საქმეზედ-მეთქი. მე გახლავართ მომღერალი მარიამ თარხნიშვილი, ე.ი. დები თარხნიშვილები. მაშინათვე მიპასუხა: ხვალ დილით ათს ხუთი წუთი რომ დააკლდება, მობრძანდით კრემლის კომენდატურის კარებთანო. ჩემი ლაპარაკის დროს ნაწილობრივ თურმე ჩვენს კალიდორში, სადაც ვცხოვრობდით, ესმოდათ, თუ ვის ველაპარაკებოდით, მაშინათვე შეუტანეს ამბავი პაჩკორიას კირილეს: მარო თარხნიშვილი კრემლში ელაპარაკა და ხვალ უნდა მივიდესო.

ეს ამბავი სიცილათ არ ყოფნიათ ხელმძღვანელებს, ნომერს აკეთებს თარხნიშვილიო. მაგი როგორ გაბედამდა იქ ლაპარაკსო, ან ვისა სცალიან მაგის მისაღებათო. ეს მე ჩემმა ანსამბლის წევრებმა მაცნობეს. დილით 9 საათზედ შეუგზავნე ჩემი ადმინისტრატორი ვლადიმერ ცოფურაშვილი და შეუთვალე კ. პაჩკორიას და ვარლამ სიმონიშვილს: მივდივარ

70 აბელ ენუქიძე (1877-1937) - პოლიტიკოსი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წამდელი წევრი; 1925-1927 წლებში იყო მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის მაკონტროლებელი კომისიის თავმჯდომარე; დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის და ლენინის ორდენებით.

71 ლაერენტი ქართველიშვილი (ფსევდონიმი - ლაერენტიევი) (1890-1938) - საბჭოთა პოლიტიკური და პარტიული მოღვაწე, რევოლუციონერი. საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი მდივანი (1927); 1937 წელს დაპატიმრეს და 1938 წლის 23 ივნისს დახვრიტეს.

72 მამია (ივანე) ორახელაშვილი (1881-1937) - ბოლშევიკი და საბჭოთა პარტიული მოღვაწე. 1937 წლის 11 დეკემბერს იქნა დახვრეტილი.



კრემლში და წამობრძანდით თქვენც. ასე აჯობებდა საქმისათვის. ისინი დიდი სიხარულით, სასწრაფოთ შემოვიდნენ ჩემს ოთახში, თითქოს არც კი სჯეროდათ. ჩავიცვი მეცა და გავემგზავრეთ დანიშნულ ადგილზედ. საშინლათ თოვს⁷³. გავედით, მართლაც, 10 სათ. ხუთი წუთი რომ დააკლდა, კომენდატურიდან იძახის: ამხ. თარხნიშვილი მ. ე., მე წარვდექი წინ და უთხარი, ჩემთან ორი კიდევ არიან: პაჩკორია და სიმონიშვილი-მეთქი. მოითმინეთო. დაურეკა და გამოგვიძახა სამივენი. შევედით ნაჩვენებ ოთახში. ვზივართ და უცდით. გამოდის მოხუცი კაცი თბილათ შარვალ-ხალათში, ბენვის ქუდით და სალდათური, უბრალო ჩექმებით. მაშინვე წამოვდექით ფეხზედ, მოგვესალმა ამხ. აბელი. გაისმა მხიარული ხმით: გამარჯვებათ, ქართველებო, როგორ ხართ ან ხომ არაფერი გიჭირთო? მე წამოვდექი და უთხარი: ჩვენ თითქმის ერთი კვირაა უსაქმურათ ვართ. ბინის ვალი გვედება, არსებობაც ხომ უნდათ 60 კაცს, სურვილი გვაქვს, თუკი დაგვეხმარებით, რამდენიმე კონცერტი ჩავატაროთ, გავაცნოთ ჩვენი ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, რითიც ჩვენს საქმესაც გავასწორობთ. მაშინათვე ქალაღდი და ფანქარი გადმომანოდა და მითხრა: ეხლავე დაურეკამ, დაგითმონ შენობები თიატრის. კირილე გაოცებულია ამ ამბით, დარწმუნდა, რომ აქ არავითარი აფიორა არ იყო. გაჰკრა საჩქაროთ ჩოტკზედ, რა იყო საჭირო: აფიშები, რეკლამა და ერთიორად გაადიდა ხარჯები. ენუქიძე დათანხმდა უსიტყვოთ. გვითხრა: ხვალ მობრძანდით და ყველაფერს მიიღებთ, რაც საჭიროა თქვენთვისო, ბინების ხარჯზედ ნუ იფიქრებ, ჩვენ მოუვლითო, დაგვემშვიდობეთ და წამოვედით.

73 ტექსტშია: თოვლს.



ხვალ უნდა წარუდგინოთ ხარჯების სია. ეს გაუგია კ. ფოცხვერაშვილს და ძალიან გაჯავრებულა, როგორ თუ გადამასწარითო. თითონ კი ვერც კი ვხედამდით მთელი დღე, დაათრევდა ილლით ნოტებს. ანსამბლის წევრები იძულებულნი გახდნენ, ვალს თუ იმოვიდნენ ერთმანეთში, ისიც გასაჭირი იყო, ყველას გამოეღია სახლიდან წამოღებული რესურსები.

კ. ფოცხვერაშვილი მისულა ილ. მამულისთან ცეკაში და მოუხსენებია, საქართველოში უნდა დაგბრუნდეთო და გთხოვთ გასცეთ განკარგულება, ვაგონი გამოგვიყონო, თორემ ეს გუნდის წევრები მოვწყვიტეთ სამუშაოებსო(!) და ვაი თუ დაკარგონ სამუშაო ადგილებიო.

მეორე დღეს რეკამენ ჩემს ბინაზედ, მობრძანდით კრემლის მეორე სალაროში, მიიღეთ თქვენს სახელზედ გამონერილი ხუთი ათასი მანეთიო. ვაგონიც უკვე კოტემ ფოცხვერაშვილმა მოითხოვა და ჩაგვიყენეს სადგურში სრულიათ მოულოდნელად.

მე ის ხუთი ათასი მანეთი მივიტანე და გაუნაწილე თანაბრად პიროვნებისა და თანამდებობისა 60 სამოც კაცზედ. იმ გაჭირვებულმა ხალხმა ისე დააფასეს ჩემი მოქმედება, რომ ხელები დამიკოცნეს დიდის მადლობით.

* * *

„კონცერტები ჩავატარეთ ერმიტაჟში“

კალონიის ზალაში, სადაც ესწრებოდა საშა გეგეჩკორი, ერთ დღეს ვიზიტი გაუკეთეთ გეგეჩკორს. სადილათ არ გამოგვიშვა, იქ ვარაშილოვს⁷⁴ დაუძა-

74 კლიმენტი ვოროშილოვი (1881-1969) - რუსი სამხედრო, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მარშალი, სსრკ-ის თავდაცვის სახალხო კომისარი 1925-1940 წლებში; სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1953-1960).





ამიერკავკასიის
ხალხთა ხელოვნების
რერსპუბლიკური ოლიმპიადა თბილისში.
დები - მარო და ეკატერინე თარხნიშვილები. 1934 წელი

ხა და გააცნ[ო] ჩვენი თავი. მე ვიყავი, ჩემი და ეკატერინე, გიორგი ვარდიაშვილი და სადილი ჩატარდა ჩვენს ქება-დიდებაში. იმ დროს სტალინი მოსკოვში არ იყო, ქარხნებს ათვალიერებსო, ასე გვითხრა გეგეჩკორმა და ვარაშილოვმაც.

* * *

ჩვენ დავამთავრეთ ჩანერა ფირფიტებზედ და დავბრუნდით ბაქოში. იქ ვიყავით ოთხი კონცერტის გარანტიით. ისიც დავამთავრეთ, რადგან ჩემი და ეკატერინე თარხნიშვილი გაცივდა მოგზაურობაში და შეუძლოთ იყო. ჩვენ ხომ დუბლიორები არა გვყავდა, იძულებული გავხდით, წამოვედით თბილისში. დიდი პატივისცემით გამოგვაცილეს ბაქოს ფილარმონიამ, ხელოვნების სამმართველომ და გთხოვეს კიდე მრავალჯერ ჩასვლა.



მე, როგორც სოლოების მომღერალი საზანდარ-ზედ, მთხოვეს, მომწერეს დეპეშაში, ჩავსულიყავი იქ, აღმოსავლურ ორკესტრთან მემღერა მათ დეკა-დაზედ და მპირდებოდნენ, როგორც პირველ კატე-გორიის მომღერალს: ყოველ მხრივ კმაყოფილი იქ-ნებით და მაღალ ჯილდოსაც მიიღებო, მაგრამ მე ოჯახს იქ ვერ წავიყვანდი და აქაც უჩემოთ ოჯახი არ ივარგებდა. შვილების დედა ვიყავი. ძალიან ნან-ყენები დარჩნენ, რას იზამდნენ.

1929 წელი

„ჩემი შვილის, ნუნუს, დაჭრა ტყვიით“,
გასტროლები მოსკოვში

1929 წელს აპრილის 29/V სს. მაისის შესახვედრ სადღესასწაულო კონცერტებზედ დიდი მოთხოვნი-ლება ჰქონდა ჩემზედ და ჩემს გუნდზედ. ასე რომ, შვიდ დაწესებულებას შეუთანხმდა ჩემი ნებართვით ფილარმონია. ასე რომ, ოთხ ადგილზედ გუნდს უნდა ჩატარებინა ჩემი მონაწილეობით და ხელმძღვანე-ლობით, სამ ადგილზედ კი ცალკე ნომრათ პიანინოს აკომპონიმენტზედ კომპოზიტორების ნაწარმოებები.

პირველი კონცერტი გუნდით ნომრად გამოვიყ-ვანე პლენანოვის სახელობის კლუბში. იქიდან ორი მანქანა მყავდა დაქირავებული, ერთი ნახევარი სა-ბარგო („პალტარა ტონკა“), ერთიც „სმადინი“. გუნ-დი გაუშვი ჩაცმული კოსტუმებში მანქანით ფილიპე მახარაძის სახელობის მეურნეობაში, მე კი წავედი ლეჩკომბინატში, იქ ჩავატარე ჩემი გამოსვლა. იქი-დან მივედი მახარაძის მეურნეობაში, გავიყვანე გუნ-



დი. ნავედი მე პირადათ უმაღლეს საბჭოს დარბაზში სოლოზედ და გუნდი გაუშვი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში. დავამთავრე უმაღ. საბჭოს დარბაზში და ნავედი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში, ჩავატარეთ და გუნდი გაუშვი ორთაჭალის მეტყავეთა კლუბში და მე მივედი „რემესლენი“ კლუბში პლენაროვის ქუჩაზედ, გუნდი მელოდება ორთაჭალაში.

მე რომ უნდა გავიდე სცენაზედ, ვემზადები, ნოტები მიჭირამს ხელში, მსახიობები ჩუმათ ჩურჩულებენ: ტყვიით დაიჭრა ჩვენი მსახიობის შვილიო. მე თან მახლდა ჩემი უნცროსი ქალიშვილი ნუნუ, 13 წლისა. მე რომ ყური მოგკარი იმათ ლაპარაკს, თუმცა მარიდებდნენ, გულმა ჩქარი ცემა დამიწყო, დავყარე მაგიდაზედ ნოტები და გავვარდი. თურმე იქავე მდგარა სცენის წინ და კონცერტს უყურებს; ხის ქვეშ მდგარა. საზაფხულო ბაღში მიმდინარეობა ოსოავიაქიმის კონცერტები.

ელბაქიდის დაღმართს რომ ჩავივლით, წიგნთა პალატა რომ არის ამჟამად, მაშინ მანდ იყო ბალი, საზაფხულო ესტრადა, კრუჟოკს უძახოდნენ მაშინ იმ ბაღს. იქიდან წითელარმიელები ჰაერში ისროდნენ თოფებს. ერთ მათგანს ტყვია ჰქონია თოფში, ისე კი ხალასტოით იყო სადღესასწაულო სროლა. ის ტყვია რადგან ახლო იყო, სადაც ჩვენ ვიყავით, გადმოვარდა და ბავშვს მოხვდა გულში, ნახევარ სანტიმეტრით ვერ დაუნია გულს, რადგან შორიდან იყო გასროლილი.

მე რომ გამოვედი, ბავშვი მენახა სად იყო, ველარ ვნახე, გამისკდა გული და გავრბივარ, არ ვიცი სად. მიუბნებიან ხალხი: ხნიერი ქალი იყოვო, შავი ჟაკეტი ეცვაო. ალბათ, გულს მიმაგრებდნენ-მეთქი, რაკი ბავშვი ველარ ვნახე. ამასობაში, ნაუყვანიათ საავად-



მყოფოში და მე გავედი ქუჩაში. მივდივარ, არ ვიცი სადა. კლუბის გამგე შემეფეთა, საავადმყოფოდან მოვიდა. მე ვჯდები იქვე მდგომ ფაიტონში; დამავინყდა ჩემი მანქანა და უარს მეუბნება მეფაიტონე, სხვას ველიო. ავვარდი ფაიტონში და წავართვი ვოჟები. შეუტიე: ეხლავ წამიყვანე კამოს ქუჩაზედ-მეთქი. რომ დამინახა ნახევრად გაგიჟებული ქალი, დამნებდა და მე და კლუბის გამგე წავედით. სასწრაფოში პირველი დახმარება გაუკეთებიათ ჩემი პატარა გოგოსთვის და ნასილკით მიყავთ ზემო სართულში. ყვირის: დედიკო!.. დედიკო!.. მიშველეო. ერთი წუ-



სერგო ნადარეიშვილი (მარო თარხნიშვილის მეუღლე) და მარო თარხნიშვილი. თბილისი, 1931 წელი

თით წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა იმ დროს: მივრბივარ კიბეებში და თან სცენის კაბა მედება ფეხებში. აიყვანეს, ავედი მეც და მოვიდა პროფესორი საშა მაჭავარიანი, მაშინათვე საოპერაციო მაგიდაზედ და ამოულეს ტყვია გულიდან. დამშვიდდა ბავშვი. შეიყვანეს ორსაწლოიან ოთახში. ვთხოვე დავრჩენილიყავი მასთან, მაგრამ პროფესორი მეუბნება, რომ შემხება სასცენოთ გამოწყობილს: წადი, გენაცვალე, ჩემო მარო, შენ საქმეს მიხედე, ნურაფრისა გეშინიანო. გულში არ იყო დასული ტყვიაო და მაგას არაფერი სერიოზული არ აქსო. მე მოვკვდე, თუ ეგ მაგითი დაზიანდესო.

მე მაინც ვევედრები, ვერ დავტოვებ მაგას მარ-

ტოთ. მეცინება, ბატონო საშა, ნუთუ ჩემს მდგომარეობაში არ შედიხართ-მეთქი. მაგას რომ უჭირდეს, მე თითონ გაუთევედი ღამესო. შენ, ჩვენო საყვარელო ბუღბულო, წადი, არხეინად იგალობე. ხვალ გაგატან მაგასაც სახლშიო. კარგით-მეთქი წავალ, რადგან თქვენ ასე მირჩევთ. გავისტუმრეთ ბატონი პროფესორი და იმ ღამეს ჩემ გოგოსთან კრაოტის ბოლოზე გაუთიე. ეძინა დინჯათ, გათენდა, გადმომხედა: დედიკო, შენ ჩემთანა ხარ? რა თქმა უნდა. გუნდი მიცდიდა ორთაჭალაში. როგორც იყო, დაუკავშირდნენ ჩვენები, რომ ესეთი დაემართა, რომ სახელოსნო კლუბში შემთხვევით გადმოსროლილი ტყვიით დაიჭრა მისი შვილიო.

აუარებელი ხალხი, რომლებიც დიდი სურვილით უცდიდნენ კონცერტს და გუნდაც იქ ხედავდნენ, რომ მისულები იყვნენ, თურმე საშინლად შეწუხდნენ. უჩუმრად დაიშალნენ. ზოგნი კი ეკითხებოდნენ, თითონ მარო როგორ არისო. ასეთ ელდას ხომ გადატანა უნდოდა? მაგრამ არავის ახსომს, ჩემი შვებულების დროსაც კი ჩემი დასვენებაზედ მეფიქროს. ეხლა ხალხი ხშირად მეუბნებიან ხოლმე: აი, რას ნიშნავს ნებიერი ცხოვრებაო. ასე კარგათ გამოიყურებითო. ხალხისთვის არაოდეს არ მილაღატია ნახევარი საუკუნე და ორი წელი დაიწყო. ეხლაც ვერ წამომიდეგნია, თუ როდისმე დავტოვებ ჩემს საყვარელ საქმეს - ქართულ ხალხურ ლამაზ სიმღერების გავრცელებას.

* * *

მის შემდეგ, 1929 წელში, მიგვიწვიეს საგასტროლოთ მოსკოვის ფილარმონიამ. კონცერტზედ გვეძლეოდა (4000) მან. ერთ დღეს, მახსოვს, კულტურისა და დასვენების პარკში ოთხი ესტრადას გაუწიეთ მომსახურება:



სადაც გამოვიდოდით, იქ მოგვდევდა მთელი ხალხი, მოსწონდათ ნაციონალური ჩაცმა ჩვენი. იმდენი ხალხი გროვდებოდა ყველა ესტრადის ირგვლივ, რომ მიკროფონები დადგეს, რომ ყველასთვის გასაგონი ყოფილიყო. ჩვენი სიმღერები ასე კარგათ მიდიოდა ყველა თიატრებში, ჩაგვწერეს გრამოფონის ფირფიტებზედ. მიგვინვიეს კალონიის ზალაში. დაესწრო მთავრობა, რამდენჯერმე გაგვამეორებინეს სიმღერები. ჩვენი მოცეკვავე შურა ჯიბლაძე მაშინ იყო წლოვანობით 9 წლისა, ტანათ ძალიან პატარა. სცენაზედ ცეკვის დროს თითქო(მი)ს პატარა ლობიოს მარცვალი გაგორდაო, საძებარი ხდებოდა თვალში. თავისი სწრაფი და მოხდენილი თამაშით დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

* * *

1929 წელში გავემგზავრეთ ქ. მოსკოვში დები თარხნიშვილების გუნდი 8 კაცის შემადგენლობით. კიდევ მცირე შემადგენლობით მოგვიხდა მეორეთაც გამგზავრება. იმ დროს არ იყო გავრცელებული მრავალრიცხოვანი გუნდები. მრავალრიცხოვანი გუნდი თბილისში მაშინ ჰყავდა მიხეილ კავსაძეს და კირილე პაჩკორიას. მის მერე ჩამოყალიბდა, რაც ამჟამად არის.

უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ დატაცია გუნდებზედ არ იყო მოგონილი, ყველა ჩვენს შემოსავლით ვარსებობდით. პირადათ ჩემს გუნდში მარკის სისტემით ვმუშაობდით. იყო ასეთი წესით: 3 მარკა, 2 მარკ., 1/2 მარკ., 1 მარკა. სამი მარკა ხელმძღ., 2 მარ. მთავარ სოლისტ., 1/2 მარკ. ფადურ დამკვ., 1 მარკ. ბანებს, 1 მოცეკვა.



ასეთი შეთანხმებით ჯგუფის წევრებთან ყველგან გაყიდული კონცერტებით ანდა სალაროზედ თავისუფლად მივდიოდი უფრო ადვილათ, როგორც ცოტანი, ვიდრე ის მრავალრიცხოვანი გუნდები, მათთვის ძნელი იყო შემოსავალზედ დაყრდობა, რადგან დოტაცია არ ჰქონდათ. მეტი წილი იდგნენ ერთ ადგილზედ.

გარდა ამისა, თუ თავის ქებათ არ ჩამომართმევთ, ქართლ-კახური სიმღერების შემსრულებლები, რადგან ერთი პირველი ხმას ეკატირინე მღეროდა და მეორე ხმას მე ვეუბნებოდი, 5 ხუთი კაცის ბანები ჰყოფნიდა ქართ-კახურ სიმღერებს. სწორეთ ამითი ვიმარჯვებდით, რომ ზემოხსენებული კუთხის სიმღერები თავისებური ვარიაციები აქვს და მიტომ არის კარგი და სასიამოვნო მოსასმენი, რომ ის რამდენიმე პირველი ხმები და მეორე ხმები არ მღერიან, რადგანაც ყველას ხმები ისე ერთნაირად ვერ შესძლებენ მოაბრუნონ ყელში ვარიაციები. მე ამაში ღრმად დავრწმუნდი ჩემი ნახევარი საუკუნის მანძილზედ მუშაობაში.

ჩვენმა იმ 29 წლის მოსკოვის გასტროლებმა 15 დღე 4 კონცერტი ჩავატარეთ „ერმიტაჟის“ თიატრში, 2 კონც. კავშირების ზალაში, 9 კონცერტი კულტურისა და დასვენების გორკის სახელობის პარკში. იმ დროს გაიხსნა, ჩვენს იქ ყოფნის დროს. რამდენიმე ესტრადა იყო მოწყობილი, სამ დღეს სამ კონცერტს ვატარებდით ბაღში. რომელ ესტრადაზედაც მიგვითითებდნენ, იქ მოგვედევდნენ ხალხი. ასე რომ, მათ პირველათ ნახეს ქართულად ჩაცმული ხალხი და სიმღერა, ცეკვები. ლეჩაქს რომ ხედამდნენ ჩემი და ეკატირინეზე, ესე იძახოდნენ: ვატა ხურამთო. მოსწონდათ ქულაჯებიც.



* * *

ირმა იაუნზე[მ]⁷⁵

ქ. მოსკოვში კონცერტებს ვატარებდი. 1929 წ. 2 კონცერტი ჩავატარეთ „ერმიტაჟში“ და „კალონიის“ სვეტებიან დარბაზში. ერთ განყოფილებას ჩვენ ვატარებდით: გლახური ცხოვრებიდან მუშურ სიმღერებსა ცეკვით. მე-2 განყოფილებაში ვერა დავიდოვა, რეეე.ფ. სახალხო არტისტი, რომელიც ამჟამად ჩვენს კონსერვატორიის პედაგოგია.

„ირმა იაუნზე[მ]“, „დიმიტრი მჭედლიძე“ ს.ს.რ. სახ. არტისტი, ან გარდაცვალებული ნინა კარგარეთელი. 3 განყოფილებას ისევ ჩემი 8 კაცისაგან დები თარხნიშვილების წოდებით იყო გამოცხადება. იმ დროს მხოლოდ დების და ძმების მონაწილეობით არავინ ცხადდებოდა. ეს მსმენელზედაც იშვიათ მოვლენას ახდენდა ორი დების (ახლა კი, რამდენიც გნებავთ). როგორც ზევით მოგახსენეთ, 3 განყოფილებას ეროვნულ ტანსაცმელში მამაკაცები (ქულაჯები), დები კი - ქართულ კაბებში. ქართლ-კახურ ძლიერ სიმღერებს ვასრულებდით.

დიდი წარმატებით ტარდებოდა კონცერტები. მაშინ გავიცანი იმ სალამოებზედ მიტუშა მჭედლიძეც. ახალი შერთული ყავდა ცოლად ვერა დავიდოვა. ძალიან მოენონათ შესრულება ჩვენი ჯგუფის მიერ ქართული სიმღერები და დიდი მადლობაც გადაგვიხადეს ზემოხსენებულმა მსახიობებმა. დავით ანდლულაძე⁷⁶ იქ გავიცანი, მათი სტუდენტობის წლები იყო.

75 ირმა იაუნზემ (1897-1975) - მომღერალი (მეცო-სოპრანო); ბსრ დამსახურებული არტისტი (1935); რსფსრ სახალხო არტისტი (1957).

76 დავით ანდლულაძე (1895-1973) - მომღერალი (დრამატული ტენორი), სსრკ სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.



1930 წელი

კონცერტები კახეთში

კახეთში კონცერტების ჯგუფის შემადგენლობა, 1930 წ.

ჩემს მიერ მონყობილ თითქმის ყველა ცენტრებში, მაჩხაანში მოხდა ესა:

მარო თარხნიშვილი, საზანდარზედ ქალაქური სიმღ.;

ელისაბედ გოსტინინი, ოპერის არიები და რომანსები;
დიაკოვა, პიანისტი;

აბაზაძე, მოცეკვავე აზიური;

ბალა მელიქოვი, თარი;

საშა ოხანეზაშვილი, ჭიანური;

მარტირუსოვიც, მედაირე - განთქმული დამკვრე-
ლები, ვირტუოზები იყვნენ.

ჩემს რეპერტუარში შედიოდა სხვადასხვა კუთხის
სიმღერები:

„მითხარ-მითხარ, რას მემღური“;

„ორთავ თვალის სინათლევ“;

„ოხ, რა ძნელია ვარდი დამცირდეს“;

„მუხამბაზი“;

„ტატე ლამბაზური“ (ოსური ხალხური);

„ნეინიმ ამან“ (სომხური ხალხური);

„ნზრელილამიშამ“ (თათრული და სხვა);

ჩუბინიშვილის რომანსებიდან „ია“;

„ქალო, გნახე ფეხშიშველი“ და სხვა.



ჩვენ მიერ ჩატარებული კონცერტები წარმატებით ტარდებოდა, სადაც ერთი კონცერტი იყო დანიშნული, მეორე დღესაც იქ გვამეორებინებდნენ. ასე რომ, ძალიან კარგათ გვღებულობდნენ, შემოსავალიც დიდი იყო, მაშინ ფილარმონიას არ ვეკუთვნოდით. ჩემი ინიციატივით ეწყობოდა ზემოთ ხსენებული კონცერტები.

ერთ ღამეს, კონცერტის შემდეგ, მაჩხაანში (მაშინ არ იყო სასტუმრო) ვახშმათ დაგვპატიჟეს და ღამეც იმ ოჯახში უნდა გაგვეთია. ეს ასეც მოხდა. ვახშმის შემდეგ ჩვენ, სამი ქალი, ერთ ოთახში მოგვათავსეს და მოცეკვავე, ადმინისტრატორი, დამკვრელები ბალკონიან ოთახში მოათავსეს. მედაირეს (ლუნატიკი), ესე იგი მძინარეს სიარული სცოდნია. ამდგარა, ბალკონის მუაჯირზედ გადულაჯებია და მეორე სართულიდან ძირს, ქუჩაში, ჩავარდნილა. ეს ვერ გაიგეს მისმა ამხანაგებმა, მანამდის არ გათენდა. მიიყვანეს ექთანი და ბინტებით შეუხვიეს დაშავებული ადგილები - თავი და ხელები. რომ ავდექით ჩვენც და დავინახეთ დაბინტული ხელები, წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა, იქ შემცვლელს ხომ ვერ ვიშოვნოდით. მაგრამ მე გული მაგრათ მქონდა, ვიცოდი, მისი როლიც ჩემი შესასრულებელი იქნებოდა. მთელი ჯგუფი ნერვიულობდა, ფიქრობდნენ დაიშლებოდა ჩვენი ტურნე. მაგრამ აი დილის საათებში დავნიშნე რეპეტიცია კლუბში, ჭიანურისა და თარის შესრულება, დუეტები დავნიშნე უდაიროთ. სცენაზედ ცეკვის დროს კულისებში დავსხი დამკვრელები და დაირა მე დავივალე. ასე რომ, მედაირეზე უკეთესი გამოვდექი, მე თუ ამას ტრაბახად არ ჩამომართმევთ. ვინც არ იცოდა ის შემთხვევა, არაფერი უგრძენიათ. ასე ვავაგრძელებთ შემდეგი კონცერტები, სანამ ცოტა გამოკეთდებოდა მისი მდგომარეობა.



უნდა მოგახსენოთ, რომ დაირაზედ ისევე ვუკრამდი, როგორც საზანდარს ეკუთვნოდა ნამდვილად. საშა ოხანეზაშვილს და ბალა მელიქოვს აღარ ვეთმობოდი, თქვენ ისეთი გემოვნებით და ლამაზად იმორჩილებთ დაირას, რომ ჩვენ თქვენზედ კარგი მედაირე არცა გვყოლიათ და არც გამოგცვლითო. ასე ლამაზათ ტარდებოდა, ასეთი მონდომებით ვიყავით ყველანი, რა თქმა უნდა, კარგი პატივისცემაც და კარგი შემოსავალიც იყო ხელზედ.

1931 წელი

კურორტ წყალტუბოში

სამკურნალოთ წავედი კურორტ წყალტუბოში. სამი დღის მისული ვიყავი სანატორიუმში. მომიგზავნეს დელეგაცია დამსვენებლებისგან და მთხოვდნენ ერთი პატარა ერთგანყოფილებიანი კონცერტი ჩამეტარებინა მათთვის. იქვე მუშაობდნენ სიმფონიური ორკესტრის მონაწილეები. გავიარე მათთან რეპეტიცია და დავთანხმდი კონცერტის ჩატარებას. იმავე დროს, ჭიანურზედ დამკვრელი ლევან კარახანიანი იქ იყო. ეს ჩემი აკამპანიატორი იყო. ქართული, სომხური და თათრული სიმღერები მქონდა სოლოები მასთან გაკეთებული. ერთი საღამო ჩაუტარეთ. სანატორიუმში, მაშინ სტალინისთვის აშენებულს უძახოდნენ, ცოტა მაღლობზედ მდებარეობით იყო.

დავინყეთ კონცერტი. პირველ ნომრად კარახანოვი გაუშვი. დაუკრა „სეგა“, „შუშპარი“, „შიქასტა“, მიიღო კარგი ტაში. მერე ორკესტრმა შეასრულა „აბესალომ და ეთერიდან“, „დაისიდან“. შემდეგ დაინ-



ყო ხალხური სიმღერები ჩემს მიერ შესრულებული: „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“. იგრილა ერთხმათ ტაშმა და ბრავოს ძახილმა: „ორთავ თვალის სინათლე“, „ოხ, რა ძნელია ვარდი დამცირდეს“.

თურმე ნუ იტყვით, ვინ ესწრებიან: მაკო საფაროვი-აბაშიძისა, ნიკო გოცირიძე, „ბილბული“ - ადერბეიჯანის სახალხო არტისტი, ექიმი რუსიშვილი, მრავალი ისე ხალხი, ნაცნობები. ამათ რომ გაუგიათ, მარო ჩამოვიდა აქ დასასვენებლათო, თითონ არ მინახავს ისინი, სხვები მომიგზავნეს სანატორიუმის სახელით. ამ ქართულმა ძველმა სიმღერებმა ისე მოხიბლა ეს ხალხი, რომ იქვე ვახშამი შეაერთეს.

დირექციამაც თავი გამოიღო. მოენყო ბანკეტი. სანატორიუმის სახით დიდი სამი თაიგული მომართვეს დამსვენებლებმა. დიდი მადლობა გადამიხადეს ზემოთ ჩამოთვლილმა მსახიობებმა: ეს ჩვენ მოგიწყეთო, გვინდოდა ამ დასვენების დროს შენი სიმღერებითაც დავმტკბარიყავითო.

„ორთავ თვალის სინათლე“ რომ შევასრულე ჭიანურის აკომპანიმენტზედ, ბილბული იქვე მოვიდა, ხელზედ მაკოცა: ბედნიერი ვარ, თქვენი ახლო გაცნობითო, რადიოთი ვისმენდი ბაქოშიო და ვნატრობდი თქვენს ახლო ნახვასო. შემდეგ ორკესტრთან კი ვიმღერე ჩუბინიშვილის „ია“, ტექს. ვაჟა-ფშაველასი; ი. კარგარეთელი „შევიშრობ ცრემლს“. ერთი სიტყვით, მეორე დღეს ახალ ამბათ ეს იყო წყალტუბოში, ასე მოულოდნელათ მოენყო კარგი პროგრამა, კონცერტი. იმდენი თხოვნელები მოვიდნენ სანატორიუმიდან, რომ დასვენების მაგივრად ხალხის სამსახურს მოუნდი, რასაკვირველია, მეგობრებისა და ნაცნობების თხოვნით.



და ბოლოს, ჩემმა მეუღლემ მითხრა: ცოდო ხარ, თბილისიდან ჩამოხვედი დასასვენებლად და სანამღებლათო, ეგ რალა წამლობაა, როცა კონცერტს აძლევ ვანას კარგამო, მაშინ კონცერტებზედ წამოსულიყავი და გემუშავნაო. მე გთხოვ ეყოფათო, ახლა უარი უთხარიო, ეგება წამლობა დაიმთავროვო.

ხუთი კონცერტის ჩატარების შემდეგ უარს ვეუბნებოდი, ვინც მოდიოდა სათხოვნელად. ასეთი იყო ხოლმე ჩემი დასვენება, თუკი სადმე წავსულვარ.

1933 წელი

მოსკოვი, მარო თარხნიშვილის გუნდის სიმღერების ჩანერა ფირფიტებზე, კონცერტები კახეთში

1933 წელშიც ვიმგზავრეთ მოსკოვში, კიდევ ჩანერა ჩვენი სიმღერები ფირფიტებზე. ვიმღერეთ კალონიის ზალაში. ჩვენთან ერთათ მონაწილეობდნენ კაზლოვსკი, ვერა დავიდოვა, მიტო მჭედლიშვილი და სხვები. პროფესორ ბრაუდომ⁷⁷ დანერა დიდი ქება ქართული ხელოვნებისა და ჩვენი შესრულების შესახებ ბევრი რამ კარგი.

* * *

1933 წ. კახეთში ჩემი გასტროლები!

სოლოსტკა მე, მარო თარხნიშვილი, კომპოზიტორები ნაწარმოებებით. რეპერტუარში მქონდა 7 ან 8

⁷⁷ ევგენი ბრაუდო (1882-1939) - პრუსი მუსიკათმცოდნე, პუბლიცისტი, თარჯიმანი; რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.



სიმღერა. პიანისტკა „დიაკოვა“, ვასრულებდი არა-
ციშვილის | განყოფ.

„ვარდ-ყვავილთა სამეფოს“ დ. არაციშვილი
„შემიყვარდა ეგ ხმატკბილი“ ია კარგარეთელი
„შევიშრობ ცრემლს“

„რად გნახე, სატრფოვ“ გ. ჩუბინიშვილი, „ია“ ტექსტ.
ვაჟასი

„სინანული,, თ. შავერზაშვილი

„ოდესმე მენვება“ მ. ბალანჩივაძე

ჩემი „ურმული“, „ოროველა“ მ. თარხნიშვილი

„ცეკვა საზანდარზედ“, | განყ. მთავრდებოდა

აღმოსავლური დასტა, შემადგენლობა 3 კაცი:
ჭიანური - პროფესორი საშა ოხანეზაშვილი, თარი -
ვირტუოზი ბალა მელიქოვი, დაირის კარგი მცოდნე
- კარო აღჯოიანი.

ჩემს რეპერტუ[ა]რში შედიოდა ქალაქური ძველი
სიმღერები:

„აღმართ-აღმართ მივდიოდი,,

„იას უთხარი, ნუ მოვა“ (ვაჟას „მუხამბაზი,,)

„მითხარ-მითხარ, რას მემღერი“

„ოხ, რა ძნელია ვარდი დამცირდეს“

„ორთავ თვალის სინათლევ“

„ნეინიმ ამან“ - სომხური ხალხური

„ნაზრ ეილა მიშამ“ - თათრული ხალხური

„დატე და ზამბური“ - ოსური, არაციშვილისა.

მთავრდებოდა ცეკვით, აბაზაძის მონაწილეობით.
ორი კვირა ვიმოგზაურეთ კახეთში, თიატრები ხალხს
ვერ იტევდა. ყველგან მთლიანათ ანშლაგები იყო. მა-



შინ თავისუფალი მოგზაურობა იყო: ხარჯიც ჩვენი იყო და მოგებაც. ხალხი დიდი სიყვარულით და პატივისცემით გვხვდებოდა.

ბოლო კონცერტი დანიშნული გვექონდა ლაგოდებში. იმ წლებში ძალიან ყაჩაღობა ყოფილა, ჩვენ არ ვიცოდით. როდესაც გაიგეს ხალხმა, არ გვირჩიეს წასვლა. ეს ჩემი დამკვერელები ძალიან შეშინდნენ და ჩემი ქმარიც მახლდა თან. კახეთის დათვალიერება აინტერესებდა. მომიგზავნეს შუაკაცათ: თქვენი ჭირიმეთ, სთხოვეთ მარი ეს-ტაფევნას, თქვენს მეუღლეს, ნუ წავალთ ლაგოდებშიო, დიდი ყაჩაღობა ყოფილა და ჩვენ ცოდოს ნუ დაიდებსო. მოდის ჩემი მეუღლე და მეუბნება: მარო, გენაცვალე, თუ მართლა ასეთი საშიშია, როგორც ესენი შიშობენ, მოვხსნათ კონცერტი, რა ძალა გვმართებს. მოუბრუნდი ამ ჩემს გრუპას და უთხარი: მე ვარ პასუხისმგებელი-მეთქი, არა გრცხვენიან, თუ მართლა ვინმე შეგხვდება, საზანდარს დაუკრამთ თქვენ, მე კი ერთ „მუხამბაზს“ უმღერებ და იქნება დიდი მადლობაც გადაგვიხადონ-მეთქი.

ასე ვიმგზავრეთ, რომ კაციშვილი არ შეგვხვედრია, ერთი სამი კონცერტი სამი დღე აღარ გამოგვიშვეს. ძალიან დიდი შემოსავლები იყო. დაბრუნებისას დიდი მადლობით გამოგვაცილეს. გვთხოვეს, ხშირად ჩამობრძანდით ხომეო.

იმ დროს ლინეიკებით იყო მგზავრობა. ჩავვილაგეს საზამთროები, გზაში წყალი მოგწყურდებათო. მეხვეწებოდნენ, იქ კაი ხალხი ყოფილაო, კიდევ წავიდეთ ხომეო. სხვათა შორის, კახეთის სოფლებში და თვით თელავში, ახალსოფელშიც და ყველა სოფლებში სომხები ძალიან ბევრნი არიან.



თელავის თიატრში, სახელმწიფო თიატრში, ხალხს ვერ იტყვდა. ორ დღეს ყველა ნომერის გამეორებას გთხოვდნენ.

1934 წელი

ამიერკავკასიის ოლიმპიადა

ამიერკავკასიის ოლიმპიადა თბილისის ოპერის თიატრში მონაწილეობდნენ როგორც საქ. რესპუბლიკის გუნდები ხალხური სიმღერისა და ცეკვებისა, აგრეთვე ადერბეიჯანის და სომხების ერევანიდან. სამ დღეს გასტანა. მე მაშინ 8 კაცი მყავდა ვოკალურ ჯგუფში. მომღერლები ჩემი ჩათვლით და მოცეკვავე, 9 წლის ბიჭი - შ. ჯიბლაძე, ამჟამად ინჟინერ-მშენებელია რკინისგზის ამიერკავკასიისა. საქართველოდან ძალიან ცოტანი მონაწილეობდნენ, რადგან მაშინ თითზედ ჩამოსათვლელი იყო გუნდები. მთელ რესპუბლიკას ჰყავდა: დები თარხნიშვილების ჯგუფი, პაჩკორიას ძუკუ ლოლუასგან დარჩენილი გუნდი და გურულები სიმონიშვილის, ერქომაიშვილების გუნდი, სოხუმის გუნდი მ. ქელიძის ფანცულაის⁷⁸ ხელმძღვანელობით, კაპელა კუხიანიძის ხელმძღვანელობით.

ეს იყო სულ ჩვენი რესპუბლიკიდან, დანარჩენი მოძმე რესპუბლიკებისა, რასაკვირველია, ჩვეულები-სამებრ. პირველი ჯილდო მივიღეთ ჩვენმა ჯგუფმა. პირველი ხარისხის სიგელი სოვენარკომიდან და ფულადი ჯილდო ფილიპე მახარაძის ხელის მოწერით. სიგელი ინახება საქმეებში.

78 პლატონ ფანცულაია (1898 - 1938) - საგუნდო ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე, ლოტზარი, აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელი (1931). 1938 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.



პაჩკორიას გუნდი არ დაუშვეს ოლიმპიადაზედ. საშა ახმეტელი⁷⁹ თავმჯდომარეობდა კომისიას, როდესაც ანაწილებდნენ გუნდების პროგრამას. პაჩკორიას უთქვამს, თარხნიშვილები რათ გინდათ, ჩვენი გუნდი იმღერებს კახურ სიმღერებს. ეს ძალიან სწყენოდათ ყველას: რატომ ფიქრობს კირილე, რომ მაროსებულათ იმღერებსო. გამაგდო საშამ ახმეტელმა კაბინეტიდან და სალამოს შვიდ საათზედ თიატრში საყურებლათ მისული მე და ჩემი და ეკატერინე კარებიდან დაგვაბრუნეს, თქვენ ეზოდან მობრძანდით, აქედან ვერ ჩახვალთ სცენაზეო. მე უპასუხე, ჩვენ არ გამოვდივართ-მეთქი. ამ დროს კარებიდან დამიძახა გიორგი გოძიაშვილმა: თქვენ კი გამოდიხართ, პაჩკორია აღარაო! დავბრუნდით სახლებში საჩქაროთ, შევაგროვეთ ჩვენი რვა კაცი და გამოვედით ისე, როგორც არასდროს და გამარჯვებაც ჩვენი იქნა.

მეორე დღეს გაზეთში გამოცხადდა: პირველი ჯილდო მიეკუთნა დებს თარხნიშვილების ჯგუფს.

მხოლოდ პაჩკორიას გუნდს, რომელიც არ გამოუშვეს ერიკ ბედიას⁸⁰ - ცეკას მდივნის - დახმარებით, მესამე დღეს გამოაცხადეს გაზეთში, კონკურსის გარეშეო მიიღო მხოლოდ ხსენება ბედიას მონყალებით, რადგან ის მეგობარი იყო მისი ოჯახის. ასე დამთავრდა ამიერკავკასიის ოლიმპიადა. აი, მაშინ პირველად გამოიყვანეს ერევნიდან შოლიკ მიკირტიჩიანი⁸¹; კარგი მომღერალი, რომელიც ეხლაც კარგ სახელს

79 ალექსანდრე (საშა) ახმეტელი (1886-1937) - ქართველი რეჟისორი, თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; საქართველოს სახალხო არტისტი; დახვრიტეს 1937 წელს.

80 ერმილე (ერიკი) ბედია (1901-1937) - საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტურის განყოფილების გამგე. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი; დახვრიტეს 1937 წელს.

81 შოლიკ მკრტიჩიანი - სომხური ხალხური სიმღერების შემსრულებელი, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი.



ატარებს, ქმარი მისი ც ჭიანურს უკრავს, ვირტუოზია. მთელი ოჯახი სცენაზედ არიან: შოლიკა, მისი ქმარი, მისი ქალიშვილი და მისი ნათესავი მეთარე. მის მერე, ასეთი ცნობილნი, გასტროლებზედ ხშირად არიან სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. სახალხო წოდება აქთ შოლიკას და მის ქმარს.

1935 წელი

რადიოფესტივალის მოსკოვში, კონცერტები თბილისში, კახეთში, კასპში; მაროს მკურნალობა; „ვალბურგიის ღამე“ ოპერის თეატრში

„რადიოფესტივალს მოსკოვში ისმენდა ჟური“.

1935 წ. მოსკოვში ისმენდა ჟური. აქედან გადაცემა იყო მოწყობილი, „დერჟინსკის სახელობის კლუბიდან“, დავითის ქუჩა.

იმ დროს ჩვენს რესპუბლიკაში ძალიან ცოტა რაოდენობით იყო გუნდები. მონანილეობდნენ ჩემი ხელმძღვანელობით ქართლ-კახური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, 35 კაცი: კოტე ფოცხვერაშვილის, ავქსენტი მეგრელიშვილის⁸², სოხუმის ქალ-ვაჟთა გუნდი სახელმწიფო, გურული ჩავლეიშვილების, სიმონიშვილისა, რემა შელეგიას⁸³, ოსეთის მომღე-

82 ავქსენტი მეგრელიძე (მარო თარხნიშვილს ხან მეგრელიძე უწერია ხან მეგრელიშვილი) (1877-1953) - ლოტბარი, ხალხური სიმღერების შემსრულებელი; 1933 წელს თბილისში ჩამოაყალიბა მეჩონგურე ქალთა მწყობრი; ქართულ ფოლკლორისტიკაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

83 რომანოზ (რემა) შელეგია (1883-1955) - ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი და ლოტბარი.



რალთა გუნდი და სხვანი⁸⁴. ისმენდა ჟური ქალაქ მოსკოვში, ზემოაღნიშნულ გუნდებს შორის პირველ ადგილზედ გავედით ჩემი გუნდი და მეგრელიძის მეჩონგურეთა ანსამბლი. ამის საბუთები ინახება სამუზეუმო საბუთებში ჩემთან. ჯილდოთ გაზეთებში არის გამოცხადებული, რომ მოსკოვში უნდა წავსულიყავით ჩემი გუნდი და მეგრელიძის მეჩონგურე ანსამბლი ორი კვირის ვადით კონცერტების ჩასატარებლად. პირადათ მე იქაური პირობები საერთო საცხოვრებელში არ მანყობდა ჯგუფის და ჩემი მოთავსება და უარი შეუთვალე. მხოლოთ მეგრელიძეც არ წასულა, რამ შეუშალა ხელი, არ ვიცვი; რადიო კომიტეტმაც არ გაიღო სათანადო ხარჯები.

* * *

„ფილიპე მახარაძე“

1935 წელს 30 აპრილს დიდი მოთხოვნილება იყო დები თარხნიშვილების ვოკალური ჯგუფის მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით სამაისო კონცერტების ჩატარებისათვის. იმ დროისთვის ჩვენი ჯგუფი ახლათ გაძლიერებული იყო 25 ქალ-ვაჟის შემადგენლობით. მინვეული ვიყავით თბილისის სხვადასხვა თიატრებსა, კლუბებსა, სამაისოთ გახსნილ ბალებში, ნითელ კუთხეებსა და დაწესებულებებში. როგორც გუნდით მოთხოვნილება, აგრეთვე ცალკე ნომრით პირადათ მე სოლოზედ ჩემი აკამპანიატორით, მხოლოთ ერთის შეთანხმებით და პირობით, რომ ორ ნომერზედ მეტს არ ვიმღერებდი არც მე

84 მონაწილეთა სიას სხვაგან ასე გადმოსცემს: კ. ფოცხვერაშვილის აკადემიური გუნდი, სოხუმის სახ. გუნდი ჭელიძის ხელმძღვანელობით, მეგრელიძის გუნდი, პაჩკორია სახ. ანსამბლი, მ. თარხნიშვილის სახ. ანსამბლი, ერქომაიშვილები, სიმონიშვილის, კუხიანიძე ქუთ.





ფილარმონიასთან არასებული სახელმწიფო ანსამბლი მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით. 1937 წელი

და არც გუნდი, ვინაიდან 12 კონცერტს სხვანაირად ვერ მოვასწრებდით. ყველანი თანახმანი იყვნენ, ვინც გვინვევდნენ, ოღონდ უთუოთ უნდა გვცეთ პატივი და გნახონ და მოგისმინონ ჩვენმა თანამშრომლებმაო. იყო უბნები, რომელიც მთხოვდნენ საზანდარზედ მემღერა ქართული, სომხური, თათრული სიმღერები, ოსური.

გადავწყვიტე: დავიქირავეთ მანქანები, ერთი ნახევარტონიანი - გუნდისათვის, ერთიც სუბუქი მანქანა („ემადინი“) - ჩემთვის. შეუდექით სალამოს 5 საათიდან ჩვენს ვალდებულებების შესრულებას.

პირველ კონცერტზედ მახარადის სახელობის ბაღში მოვედით ერთად და გავიყვანე გუნდი. ორი სიმღერა და ერთი ცეკვით დავამთავრეთ ჩვენი გამოსვლა.



გუნდი გავისტუმრე მე-2-რე ადგილზედ. მე წავედი, სოლოზედ ვიმღერე; შეპირების მიერ გამოვედი, ჩავჯეგ მანქანაში, მივედი, სადაც გუნდი გავისტუმრე, ჩავატარეთ; სამი სიმღერით დავამთავრეთ; დიდი მადლობით გამოგვისტუმრეს.

ასე იმ საღამოს ჩავატარეთ 12 კონცერტი.

პირველ მაისს შეთანხმებული ვიყავით ცემენტის ქარხნის მუშებთან ე. კასპში, ეს ჩემი სამშობლო, იქ მთელი კონცერტი ჩაუტარეთ. საღამოს ბანკეტზედ უკვე დიდი დაღლილობა ვიგრძენ, ცოტა ყელის ტკივილიც, მის შემდეგ დავბრუნდი. 12 კონცერტის ჩატარებამ დამიზიანა ყელი, სიგრილეც ვერ ავიტანე და ხმა წამერთვა.

ეს ამბავი გაუგიათ მთავრობაში და დამიბარეს, თუ შეუძლიან მნახოსო, მახარაძე ფილიპე გიბარებთო. მივედი სოვნარკომში. შევედი მახარაძის კაბინეტში. მარო ორახელაშვილიც⁸⁵ ზის იქ. დამელაპარაკენ. მე ხმანასული ხმით რომ მომისმინეს, ორივენი ძალიან შენუხდნენ, მთხოვეს, აუცილებლათ უნდა ნახვიდეთ დასასვენებლათო ზღვაზედ სანატორიუმში, ხვალის დანვე მოემზადედ და საგზური მომცეს სოხუმის „4 მარტის“ სახელობისა სანატორიუმში.

წავედი ერთი თვით. განსაკუთრებულ პირობებში ვიყავი აყვანილი. პროფესორი სტრავენსკი მწამლობდა, ლაპარაკი აკრძალული მქონდა, დღე და ღამე ჩემთან იყო მონყალების და რომ რეჟიმი დამეცვა. ასე მაიმედებდა თვითონ პროფესორი: სამ თვეში დაგიბრუნდება შენი ხმა, თუ დაიცავ ასეთ წესრიგ-

85 მარიამ ორახელაშვილი (1887-1937) - რსფსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლესი სკოლის სამმართველოს უფროსი. ბრალად დაედო მემარჯვენეთა კ/რ ორგანიზაციის წევრობა. მამია ორახელაშვილის მეუღლე, რეპრესირებული 1937 წელს.



სო. თვენახევარი დამტოვეს, შემდეგ გამოვემგზავრე თბილისში. ჩემს მეუღლეს, ს. ს. ნადარეიშვილს, აელო ქირით მანგლისში ოთახი, ფიჭვნარში წამიყვანეს. იქ ძალიან მესიამოვნა ის ჰაერი, ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს, წონაშიც მოვიმატე 74 კილო ვიყავი. არა ვლაპარაკობდი, ვწერდი, რაც მინდოდა სათქმელად. თუ სიმღერა მომინდებოდა, უსტვენდი.

ჩამოვიდა ჩემი უფროსი და, თქვენთვის ცნობილი მომღერალი ეკატერინე თარხნიშვილი, რომელთან 40 წელი ერთათ ვმოღვაწეობდით, 1910 და 1949 წლის ბოლომდე.

ერთ საღამოს აივანზედ ვისხედით მე, ჩემი მეუღლე ს.ს. ნადარეიშვილი, ჩემი და ეკატერინე (ს.ს.რ.

მარო თარხნიშვილი



დამსახურებული არტისტი) თარხნიშვილი და ჩემი შვილი ვანო თარხნიშვილი. მშვენიერი საღამო, ჰაერი არაჩვეულებრივი, სინყნარე. ვისხედით მაგიდასთან. შორიდგან, ტყიდან, მგზავრი ქალის ხმა ისმოდა (დოხაბურების ბაზრობიდან გვიან ბრუნდებოდნენ თავიანთ სოფლებში). მთვარიანი ღამე იყო, ისეთი ხმით მღეროდა რუსულ სიმღერას, ეტყობოდა, სოპრანო უნდა ყოფილიყო. იმისმა სიმღერამ ისე გამიტაცა, მომაგონდა ჩემი თავი, რომელმაც ხალხის პატივისცემისათვის ისე გადვიტვორთე თავი, რომ ლაპარაკიც კი



ამეკრძალა, რო ხმა აღარ მქონდა სალაპარაკო, არ-
ამც სასიმღერო. ჩემდა უნებურად ჩავფიქრდი და წა-
მოვიდა ღვარათ ცრემლები. დავლუნე თავი, შემრცხვა.
იმათ მაინც შემაძრწინეს, დამიწყეს დამშვიდება, ცოტაც
მოითმინე და შენ ისევ შენებურად იგალობებ, იმღერებ.
ერთი სიტყვით, ისინი ჩემზედ ნაკლებად არ განიცდიდ-
ნენ ჩემს მდგომარეობას, იმიტომაც არაჩვეულებრივად
მივლიდნენ, მეფერებოდნენ. არასოდეს მანგლისში არ
გვივლია სააგარაკოთ, მხოლოთ პროფესორის დარიგე-
ბით ვიყავით თვე-ნახევარს იქაც.

ერთ საღამოს, როდესაც მალე უნდა წამოვსუ-
ლიყავით თბილისში, სამი თვე უკვე გასული იყო,
უნებურად დავილაპარაკე სუფთა ხმით, გამიკვირდა
და შემეშინდა, შევცდი-მეთქი. ეკატერინემ მოჰკრა
ყური თუ არა, ისიც გაკვირვებით შემომხედა: მა-
რო, გენაცვალე, რა კარგათ დაილაპარაკეო. შენი
ხმა მოგსვლიაო. აბა, სცადე, იმღერე, ჩქარა, ჩქა-
რა, იცოდე, აღსრულდა პფ. ნათქვამიო. გავბედე
და ფრთხილად დავიწყე „ურმული“. ორივე დები
გადავეხვიეთ ერთმანეთს, ვკოცნიდით და ვეხვეო-
დით ერთმანეთს. ამ დროს ჩემი მეუღლეც მოვიდა
სახლში საღამოს (აფთიაქში იყო დირექტორად) მან-
გლისში, ჩემი გულისთვის იქ მიავლინეს სააფთიაქო
სამმართველომ.

სად. 9 საათი იქნებოდა. ეკატერინე მიეგება აი-
ვანზედ, ახარა: სერგო, რომ იცოდე, მაროს უკვე
დაუბრუნდა თავისი ხმაო. გადამეხვია სერგოც და
მაკოცა: ხომ გეუბნეოდი, ჩემო მარო, ცოტა ხანს
უნდა მოითმინო-მეთქი. საუკეთესო წამლობა ჩაგი-
ტარეს. დიდი ყურადღებით არიან ჩვენი მთავრო-
ბის წევრები შენზედ. ტყუილათ კი არ გინოდეს სა-
ქართველოს „ბუღბული“ დიდმა აკაკი წერეთელმა



და მაქსიმ გორკმა⁸⁶, 1928 წელში რომ მოგისმინა მუშტაიდში მისთვის გამართულ კონცერტზედ. ახლა კი წავალთ, გენაცვალო, ჩვენ ტკბილ ოჯახში თბილისში. სამი თვე ასე განვალეზულნი ვიყავით შენც და ჩვენც. დიდხანს იცოცხლოს ბატ. ფილიპემ, დროზედ იზრუნეს შენი ჯანმრთელობისთვის, ჩემო ძვირფასო მარო. დიდი მადლობა ჩვენს მთავრობას, რომლებმაც დაგაფასეს ასე, კარგი პროფესორის დახმარებით განიკურნე; მაგრამ აღარ გაბედო ერთ საღამოს 12 კონცერტის მიცემა. რა უყოთ, რომ ხალხს ძალიან უყვარს შენი ხავერდოვანი „კონტრალტო“, კარგი ქართლ-კახური, გემრიელად შესრულებული სიმღერები. კარგათ რომ იქნები, უფრო მეტს უმღერებ შენს საყვარელს ქართველ ხალხსა და მის მოკავშირე ერებს.

მესამე დღესვე გამოვემგზავრეთ თბილისში, მაშინ ჯანაშიას ქუჩაზედ ვცხოვრობდით. დიდხანს არ შეწყვეტილა ნათესავ-ნაცნობების და მეგობრების ვიზიტები ჩემს სანახავად. უხაროდათ ჩემი გამოჯანმრთელობა.

გადავწყვიტე ჩემზედ მზრუნველი ადამიანის პირადათ ნახვა. სოვნარკომში შევედი, ღიმილით მივესალმე ჩემი ჩვეულებრივი ხმით, დასვენებული და გასუქებული. ამხ. ფილიპეს გადაუხადე დიდი მადლობა იმ დიდი ყურადღებისა და დახმარებისათვის, რაც მათ ჩემზედ მიიღეს დროულად ყურადღება; გაუხარდა; მითხრა: აბა, ამის შემდეგ ეცადე, ნორმას არ გადააჭარბო შრომა, რომ უფრო მეტად გამოადგე შენ საყვარელ ხალხს. შენი სიმღერა ძლიერ საჭიროა მშრომელი ხალხისთვისო.

86 მაქსიმ გორკი (ალექსი პეშკოვი) (1868-1936) - რუსი მწერალი.



* * *

რადიოკომიტეტი. პირველი დაარსების დღიდან ჩემი მონაწილეობით გაიხსნა ბარიატინის ქუჩაზე მეორე საართულზედ.

1935 წ.

„ნაქცევა რადიოში“

დაარსებიდან რადიოკომიტეტში ძალიან ბევრი გამოსვლები მქონდა ხოლმე, ხანდისხან დღემი ორჯერ, ხან კვირაში 5-6-ჯერ, ხან გუნდით, ხან საზანდარის აკომპონიმენტით, ხან მარტო მე. ერთხელაც საკოლმეურნობისთვის მონტაჟში ვიყავი მიწვეული ო კაცი და როგორც მივედი, პადიუბდის კარებში, იქვე ხილს ყიდდა თათარი და ყველის ბანკიდან გადაესხა წათხი წყალი. რომ უნდა ავიდე ქვის კიბეებამდე, ბოტები მეცვა, გამისხლტა ფეხი და დავეცი. თეძოს თავი უგრძნობლათ მეტკინა. ქმარი და შვილიც ხომ გუნდში მღეროდნენ: შვილი ივანე თარხნიშვილი და ქმარი სერგო ნადარეიშვილი; მაშინათვე ამაყენეს შენუხებული ტკივილისგან, ამიყვანეს სტუდიაში, მაშინ კიროვის ქუჩაზედ იყო რადიო სტუდია, გადამცემი. ის გამყიდველი თათარი მივიდა და ჩემს ქმარს ეუბნება: ნიჩეო, ნიჩეო, ეტა ნაშა ბარიშნაო. როგორც ეტყობოდა, ისინი ჩემი უცხოები ეგონა, ამაზედ ჩემმა მეუღლემ ძალიან გაუჯავრდა და იმის დრო აღარ ჰქონდა, თორემ ნამდვილათ გალახამდა. ხედამ ამ უსვინდისოს, ქმარს მეუბნება: „ეტა ნაშა ბარიშნაო“.



რა თქმა უნდა, ამიყვანეს კოჭლობით სტუდიაში და კომპრესები გამიკეთეს, სახლში წამიყვანეს, დამანვინა 10 დღე. ის კონცერტიც ჩამეშალა.

* * *

ფატმა მუხტაროვა⁸⁷, ქეთო ჯაფარიძე⁸⁸, მარო თარხნიშვილი, სეროიჟა ბაბოვი. მასთან ოპერის თიატრის „ვალბურგის ღამეს“, ბალეტი, 40 კაცი სულ. სამი კონცერტით ვიყავით ფილარმონიიდან გაგზავნილი და უნდა მოგახსენოთ, რომ სამივე კონცერტები მთლიანი ანშლაგები იყო ქალაქ ბათუმში!

პირველი ქეთო ჯაფარიძე გადიოდა, მეორე ნომრით მუხტაროვა, მესამე ნომრათ მე. პირველ განყოფილებას მე ვამთავრებდი. ჩემს თავზედ ძნელია, მიჭირს ლაპარაკი, მაგრამ, უნდა ვთქვა, ნამდვილათ ხომ ფატმა შეუდარებელი იყო ოპერებში, რაც შეეხება საკონცერტო პროგრამას, არ უფარგოდა, არ ამჟღავნებდა მის უნარიანობას, სუსტი მოსჩანდა. ქეთო ჯაფარიძე ახლად გამოდიოდა ამ საქმეში და უსპეხები მისი სჯობდა მუხტაროვას. მესამე ნომრად მე გამოვდიოდი. რა თქმა უნდა, საესტრადო ნომრები ბევრი მქონდა, ქართველი კომპოზიტორებისა და ხალხურიც: „ურმული“, „ოროველა“, „დაიგვიანეს“, კომპ. ჩუბინიშვილის, ია კარგარეთელის „შევიშრობ ცრემლსა“, და „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“, ამ ნომრებს

87 ფატმა მუხტაროვა (1893-1972) - ოპერის მომღერალი (მეცო-სოპრანო); საქართველოს დამსახურებული არტისტი (1936); აზერბაიჯანის სახალხო არტისტი (1940).

88 ქეთევან ჯაფარიძე (1901-1968) - მომღერალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი (1956).



დიდი წარმატებით ღებულობდნენ. რაც მთავარი იყო, შეჩვეული აუდიტორია სიყვარულით გვღებულობდნენ. სამივე დღეს, როგორც მოგახსენეთ, თიატრი სამხ. იყო.

ერთ დღეს მუხტაროვას ქმარმა მოისურვა ველოსიპედით მწვანე კონცხზეთ გასეირნება, სადაც გადავარდა ველოსიპეტიდან და ლოყა და მხარი წაყვლიფა. შეატყობინეს თიატრში, პერერივში მთხოვა მე მანქანა. მანქანა იყო ჩემი ყოფილი მონაფის ინჟინერი ვარაზაშვილისა, რომელიც ეხლაც იქ ბათუმში სცხოვრობს ცოლ-შვილით. ნავედით ანტრაქტის დროს და ექიმიც თიატრიდან წავიყვანეთ. ავადმყოფი კრაოტში იწვა. დაინყო ფატმამ წივილ-კივილი. ექიმმა უთხრა, უბრალო გაფხაჭნილიაო, არაფერი საშიში არ არისო. ლოგინიდან იმ უბრალომ და არა შესაფერმა ქმარმა დაუყვირა: „უბერაისა ატსუდა, პანიკუ ნი სასდავაი“. ჩვენ მაშინათვე დავბრუნდით, მე და ვარაზაშვილი იოსები დიდი გაკვირვებულნი მისი ქმრის ასეთი უზრდელი მოქცევით. ფატმა დავტოვეთ იქ, რადგან მას აღარ ჰქონდა გამოსვლა.

1936-1937 წელი

ხელოვნების პირველი დეკადა მოსკოვში, იოსებ ნონეშვილის⁸⁹ ლექსი, ეკატერინე თარხნიშვილის იუბილე ოპერის თეატრში

პირველი ხელოვნების დეკადა ქ. მოსკოვში 1936 წლის იანვარში დაიწყო სალამოს 6 საათზე მოსკოვის

⁸⁹ იოსებ ნონეშვილი (1918-1980) - პოეტი, 1981 წელს, გარდაცვალების შემდეგ, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.





ქართლ-კახური სიმღერების გუნდი მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით



საქართველოს
ეროვნული
არქივი



საქართველოს
არქონალი
არქონალი

დროით. ჩაირთო რადიო და აცხადებს საბჭოთა კავშირის გუნდების დეკადას კონცერტს.

მე ჩემი ვოკალური ჯგუფით არავის უხსენებია, არც მიუწვევია. იმ დროს მთავრობას არც უბრძანებია ჩემი მოსკოვში გაგზავნა, მე ჩემით თავი არ მომიგონებია, არც მითხოვია გაგზავნა. ვფიქრობდი, თითონ მიბძანებდნენ მონაწილეობის მიღებას. საერთოთ, მე არასოდეს არ მახასიათებდა მიძალეა ამა თუ იმ საქმისა.

ინწყება, დაიწყო გადმოცემა რადიოთი, დიდი შეხვედრა და აპლოდისმენტები ისმოდა. მე, როგორც ყური მოვკარი ქართულ კონცერტს, ვეცი ტელეფონს და ურეკამ ჩემს მეუღლეს, სერგეი სოლომონის ძეს ნადარეიშვილს, სამსახურში. სერგო, გენაცვალე, გამოდი ქუჩაში, მოისმინე ჩვენი საქართველოს დეკადა დაიწყო-მეთქი, ისეთი აღტაცებული ველაპარაკებოდი, რომ ნაწყენი კილოთი მიპასუხა: კი, ჩემო მარიკო, გავალ, მოვისმენო. მე მაშინათვე გაოცებით შევეკითხე, ეგეთი კილოთი რათ მეუბნები, ჩქარა გამოდი ქუჩაში და უსმინე, სანამდის ისმის კარგათ. კი, კი, კი, მოვისმენო. სამსახურიდან დაბრუნდა 10 სათზედ ღამე და მე შევეგებე გახარებული და ის კი ძალიან გაოცებული შემხვდა: მე არ მეგონა, ჩემო მარო, თუ შენ ასეთი გულუბრყვილო და კეთილი ადამიანი იქნებოდიო.

ვეკითხები, რატომ მეუბნები ასე-მეთქი, მან მიპასუხა: რას ღაპარაკობ, სხვა შენს ადგილზედ ისტერიკებს მოიგვრიდა. როგორ, შენ როგორ არ უნდა მიგელო მონაწილეობა საქართველოს დეკადაზედ?! ალბათ, ითქმევა მაგაზედ სიტყვა. შენზედ უკეთესი მომღერლები იქ არავინ ნასულა. ვნახოთ, ვინ შეგიშალა ხელი, არ დაიძალეაო.



დამთავრდა დეკადა. დაბრუნდნენ მონაწილეებიც, მხედებიან გზაში, მოდიან სახლში, მიაშობენ დანვრილებით, სტალინმა დაპატიჟა ქართველებიო ვახშმათ და იქ ჰკითხა ხმამალლა, რატომ თარხნიშვილის დები არ მონაწილეობენ დეკადაზედო, ლ. ბერიას⁹⁰. იმ გარენარმა თურმე უსირცხვილოთ უპასუხა, ავათ გახლდათ და ნამოსვლა ვერ შესძლოვო. გავიდა, იოსებ ბესარიონის ძე სტალინმა ოთახიდან გამოიტანა ფირფიტები, გადაუსვა ხავერდის ნაჭერი, დაუდო მაგნიტაფონზედ, დაუკრა ჩემი ნამღერი „ურმული“ და „კახური მრავალჟამიერი“ და მოუბრუნდა და უთხრაო: აი ნამდვილი მომღერალი ეს არისო. ჩანერონ კომპოზიტორებმა, ისწავლეთ ამათგანო, სწავლა სირცხვილი არ არისო.

ეს კარგათ ახსომთ პ. ამირანაშვილს⁹¹, ნადია ხარაძეს⁹², ნ. ცომიაას. ნ. ქუმსიაშვილმაც და კ. პაჩკორიამაც მიაშბეს ეს ამბავი. პ. ამირანაშვილმა ისიც გადმომცა, რომ ფირფიტებზედ ჩამნერ ქარხნის დირექტორმა შემოგითვალაო, თქვენი სურათი ითხოვა სტალინმა და ძალიან გთხოვთ გადაეცით მარო თარხნიშვილს, გამომიგზავნოს, უნდა ფირფიტებთან ერთად სურათიც გადაუგზავნოთო. ცოცხალი მონწენი არიან ამ ამბისა ზემოთ ჩამოთვლილი ცოცხალი ადამიანები.

90 ლავრენტი ბერია (1899-1953) - სსრკ სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 1931-1932 წლებში საქართველოს სსრ კომპარტიის ცკ მე-8 პირველი მდივანი; 1934-1938 წლებში საქართველოს სსრ კომპარტიის ცკ მე-10 პირველი მდივანი; 1938-1945 წლებში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი; 1945 წლიდან საბჭოთა კავშირის მარშალი. 1953 წელს ლავრენტი ბერია დააპატიმრეს შპიონაჟისა და შეთქმულების ბრალდებით და ამავე წელს დახვრიტეს.

91 პეტრე ამირანაშვილი (1907-1976) - მომღერალი (ბარიტონი), სსრკ სახალხო არტისტი (1950), სომხეთის სახალხო არტისტი (1974), ზაქარია ფალაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (1971), იოსებ სტალინის პრემიის ლაურეატი.

92 ნადეჟდა (ნადია) ხარაძე (1912-1999) - ოპერის მომღერალი (სოპრანო).



მალე გამიძახა ცეკაში ღამის 10 საათზედ გარენარ-
მა ბერიამ და მითხრა, რა გიჭირთ, მითხარით, საღამოს
მოგინყობთ, წოდებასაც მიიღებთ. თუ რაიმე გაჭირე-
ბა გაქთ, მითხარით და დაგეხმარებითო. მე გაკვირ-
ვებული შევცქეროდი და ბოლოს შევეკითხე: რატომ,
მე ხომ დეკადაზედ მონაწილეობა არ მიმიღია და არც
ვყოფილვარ, რაზედ მაჯილდოვებთ-მეთქი. მერე რაო,
შემდეგში თქვენც წახვალთო; მადლობა გადუხადე; კი-
დევე შემეკითხა, რადგან შემამჩნია უკმაყოფილება, შე-
მეკითხა, ბინა როგორი გაქთო, მაშინ კი უთხარი, ბინა
არ მივარგა, ორი პატარა ოთახი მაქვს-მეთქი. დანიშნა
მაისის 9-ში 1937 წლისთვის იუბილე ოპერის თიატრში;
ბინა კი - 11 სართულიანში მე-4-თხე სართული. ავდე-
ქი, მადლობა გადუხადე და წამოვედი. რომ გამოვდიო-
დი, კაბინეტის კარებთან მომაცილა და მითხრა, ეს ი.
ბ. სტალინმა დამავალაო. წამოვედი სახლში გაკვირვე-
ბულიც და გახარებულიც იუბილეს და ბინის მიღები-
სათვისაც, რომელიც დანიშნულ დღეზედ შესრულდა
ყველა დაპირებები.

* * *

1937 წლიდან თბილისში პოეტი ნონეშვილი

სადაც ვმუშაობდი (მე-18-ტე შრომის სკოლა) 1917
წლიდან 1930 წლამდე, ამ წლებში ამ სკოლაში სწავ-
ლობდა ხალხის საყვარელი პოეტი იოსებ ნონეშვილი,
რომელიც იმ დროს მცირეწლოვანი ბავშვი იყო. ვა-
თავსებ მის მიერ მოძღვნილ ლექსს ჩემს იუბილეზე
1937 წელში ოპერის თიატრში:

მარო თარხნიშვილს ჩემს მასწავლებელს

ეს ყვავილები ნასათუთარი

ჩვენ სკოლამ შენთან გამომატანა



და დამაბარა: გულით თუ არი,
შეინირება ძღვენი პატარა.
შენ ხალხისათვის მოღვაწეობით
მეოცდა ხუთე წელი დახურე,
მიტომ საბჭოთა მოსახლეობის
პატივისცემა დაიმსახურე.
წინათ თუ გულზე განვა ნაღველი,
დღეს ახალ ცის ქვეშ გამოიდარე
და გვაგრძნობინე ქართულ სიმღერის
ტემპერამენტი და სინარნარე;
ეხლა ცხოვრების სიმღერებს გვაშლი
და სიყვარულით გულებს ახურებ,
დგეხარ საბჭოთა დიად ბალნარში
ხალხურ სიმღერის მოჭირნახულე.
იღებ სიმღერებს ფოლკლორის ზღვიდან
და დედასავით ულოლიავენ,
მღერით მზიური ქვეყნის დიდებას
კავთის ხეველი იადონები.

* * *

1937 წელს თბილისის ოპერის თიატრში მოეწყო ჩემი და ჩემი დის ეკატერინესიც. თიატრში დიდი საზოგადოება დაესწრო; შემოსავალი 20 000. სცენა დიდათ ლამაზათ იყო მორთული. ყვავილების კარზინკებით ამალღებული მთასავით; ჩვენ, ორივე დები, პოდრუჩკებით გამოგვიყვანეს (ლიზა) ჩერქეზიშვილმა, შალვა დადიანმა, სანდრო კავსაძემ, სანდრო ინაშვილმა, დიდი ოვაციებისა და ტაშის შემდეგ დები დავჯექით მაღალ ოქროსფერ კრესლოებში. დაინყო მოლოცვები: ელისაბედ ჩერქეზიშვილმა მარჯანიშვილის თიატრის სახელით /1500/ მან.



კონსერვატორიის სახელით სიმღერით მოგვესალმნენ.

და ფულადი ჯილდო /2000/ მან. სტუდენტებმა.

საქართველოს კინემატოგრაფიამ /2000/ მ. მსახიობებმა გადმოგვცეს.

ოპერის თიატრმა /1000/ მან.

კომპოზიტორთა კავშირიდან კოკელაძემ რადიო პრიომნ გადმოგვცა.

ფილარმონიიდან ვასო ურუშაძემ /1500/ მ.

კალათები დაუთვლელი ორგანიზაციებიდან /8.900/ მანეთ ოქროს.

სოვნარკომმა დაგვაჯილდოვა

ხელისუფლებამ მე, როგორც ანსამბლის ხელმძღვანელი და მომღერალიც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნოდებით, ეკატირინე, როგორც მომღერალი ს.ს.რ. დამსახურებული არტისტის ნოდებით. ეს იყო 1937 წლის 9 მაისი.⁹³ მთავრობის და ხალხის მიერ ასეთმა დაფასებამ უფრო მეტათ გაგვაძინევა და დაგვაავალა, ყოველგვარი გაჭირვება აგვეტანა მოგზაურობის დროს, ოღონდ კონცერტი ხარისხიანათ ჩაგვეტარებინა. უნდა ითქვას, რომ დიდი პატივისცემითა და სიყვარულითაც ვსარგებლობდით.

* * *

ოცდახუთი წლის იუბილეი რო გადამიხადეს ოპერაში, კარგა ხნის შემდეგ მკითხა, პენსია რამდენი დაგინიშნესო. ეს იყო 1937 წელში. მე საშინლად მწყინა და უთხარი: დეიდა ლიზა, რა დროს ჩემი პენ-

93 შეცდომითაა მითითებული თარიღი, უნდა იყოს 9 ივნისი



სიაზე ლაპარაკია-მეთქი, რათ მინდა პენსია, ჯერ ხომ ბებერი არა ვარ, დღეში ორ-სამ კონცერტზედ გამოვდივარ. ფი (?) არა მაქ თუ რა არი. რომ იგრძნო მეწყინა, შეცვალა: მე მართალს გეუბნები, სიბერის პენსია კი არ არის, შენი 25 წ. დამსახურებისაო, მივედი სობესში და მითხრეს, 8 თვე გასულისა არ გეკუთვნისო. დღეიდან კი მიიღებ. დამენიშნა პერსონალური პენსია იმ დღიდან, როცა განვაცხადე. სულით განათლდეს ელისაბედ ჩერქეზიშვილი იმან დამაყენა სწორ გზაზე.

1938 წელი

მარო თარხნიშვილის დაჭრა, გასტროლები ერევანში, კონცერტები დასავლეთ საქართველოში

ტყვიით დაჭრა ჩემი (1938 წელი)

ტყვიით დავიჭერი ხელში (მარცხენა ცერა თითში). ადმინისტრატორი გაგზავნილი იყო ქართლში და დასავლეთ საქართველოში კონცერტების დასაგეგმათ. ჩვენს ეზოში მოწყობილი გქვონდა ნიშანში სროლისათვის ფიცარი და ვსწავლობდით სროლას. მე ძალიან კარგათ ვიღებდი ნიშანს და კარგ მსროლელათაც ვითვლებოდი, მაგრამ სხვას გაუვარდა გეკო და მე შემთხვევით მდგომიარეს მომხვდა. დიდხანს ვიდექი ფეხზედ, ვერავინ გაიგო, თუ ტყვია მომხვდა. მერე ვიგრძნე ნახევარი ტანის ძლიერი წვა ისე, რომ თითქოს ცეცხლით ვიწოდდი. როცა მე ვთქვი, რომ ნახევარგვერდი მეწვის-მეთქი, მომცვივდნენ და ნახეს, მარცხენა ცერა თითსა და სალოკ თითს რომ უძა-



ხიან, მათ შუა ამოხეთქა ამღვრეული სისხლმა. შე-
მიკრეს ჟგუთით კლავი, მაგრამ მაინც ძალიან ბევრი
სისხლი დაგვკარგე. დამანვინეს, სწრაფი დახმარებაც
გამოიძახეს, პროფესორი მაჭავარიანიც მოიყვანეს.
ჩემი მეუღლე სერგეი სოლომონის ძე ნადარეიშვილს
შეუსწრეს ნათესავებმა ჩემებმა, პროფესორ მესხმა,
თორემ თავს იკლამდა ჩემი მეუღლე, რევოლვერი
გამოსტაცეს ხელიდან. მე კი ყველას ვამშვიდებდი,
რა დაგემართათ, მე არაფერი მიშავს, ნუ გეშინიათ-
მეთქი, ოღონ აცნობეთ საჩქაროთ ადმინისტრატორს,
რომ შესცვალოს ალებული დღეები. ეს ასეც მოხდა.
თუ უნდა დაგვეწყო გორი, ცხინვალი, ხაშური და
ზესტაფონი, ქუთაისი, გადაიტანა ერთი თვის მოგ-
ზაურობის ბოლოს, ჩავივლიდით იმ ადგილებზეც.

მიუხედავად ჩემი ასეთი შემთხვევისა, მაინც მერ-
ვე დღეს გავემგზავრე. პირველი კონცერტი ქალაქ
ქუთაისში იყო დანიშნული. რა თქმა უნდა, ქართულ
კაბას მე თითონ ველარ ჩავიცვამდი ცალი ხელით,
რადგან ბევრი მორთულობა სჭირდება. მაშინ ჯერ
კიდევ ქართული კაბა მეცვა სცენაზედ, რადგან ორი-
ვე დები ასე გამოვდიოდით, ერთნაირად ქართულ
კაბებში. და ჩემი ქალიშვილი თამარი, ისიც გუნდში
მღეროდა ქართულ კაბაში, ჯერ მე ჩამაცმევდა, შემ-
დეგ თვითონ გაეწყობოდა ხოლმე. ჩავატარეთ ერ-
თთვიანი მოგზაურობა პირველათ ქუთაისში, თურ-
მანიძეების ოჯახი ხომ განთქმული იყვნენ ასეთი
ჭრილობების წამლობაში. მომცეს ორნაირი წამალი
და ისე გამგზავრეს ჩემი ანსამბლით. გეგმით მოცე-
მული ოცდაათი კონცერტი ჩავატარეთ. მთავრობას
ჩვენგან ზარალი არაოდეს არ უნახავს, წლიურათ
ნახევარი დოტაციით უზრუნველყოფილი ვიყავით,
ხელფასებისა ნახევარი წლისას ჩვენი გამომუშაობით



იფარებოდა. კულისებში მიხვევდნენ ყოველი კონცერტის წინ ხელს თურმანიძეების წამლით, რადგან ის წამლები ძალიან სიგრილეს მადლევდა ხელში და ტკივილებს მინყნარებდა. ქმარმაც ერთი თვის შვებულება აიღო და თან მახლდა, მისგან დიდი ხელის შეწყობით და მოვლით შევძელი დაჭრილმა ქალმა ხალხის სამსახური, რომლითაც მოვიხვეჭე დიდი სიმპატია და სიყვარული ხალხში, რითაც დიდი მადლობელი ვარ ჩემი ბედისა.

* * *

ერევანი, 1938 წელი, 17-18 მარტი

ფილარმონიიდან დაგვავალეს ერევანში წასვლა და ორი კონცერტის ჩატარება, ორი გუნდი გაგვისტუმრეს ქართლ-კახური: მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით და ქალთა მეჩონგურე ანსამბლი შურა ფოცხვერაშვილის⁹⁴ ხელმძღვანელობით. საქართველოდან ერევანში მხოლოდ პირველი მერცხლებათ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი გასვლა თბილისიდან, რადგან ჩვენამდე არავინ არ ყოფილა იქ.

დაუვინყარი შეხვედრა მოგვინყეს ერევნის სადგურზედ, მარტის 18 რიცხვი იყო. ცოცხალი ყვავილებით სადგურში დემონსტრაციით შეხვედრა მოაწყეს, მთავრობის წევრები, კონსერვატორია, არმფილარმონია, თიატრები და სხვა ორგანიზაციებიდან. მატარებელი გაჩერდა მეორე კლასის ვაგონთან, აუარებელი ხალხი მოგროვდა და კითხულობდნენ,

94 ალექსანდრა კელენჯერიძე-ფოცხვერაშვილი (შურა ფოცხვერაშვილი) (1900-1986) - ხალხური მუსიკის მოამაგე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; მეჩონგურე ქალთა ანსამბლის ხელმძღვანელი; კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის მეუღლე.



რომლებია დები თარხნიშვილებიო, გადმოგვცეს ძვირფასი თაიგულები.

მერე მიტინგი მოაწყეს, ითქვა მრავალი ლამაზი სიტყვები ქართველი და სომეხი ხალხის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მეგობრობის შესახებ. მათგანაც და ჩვენი მხრიდანაც სიტყვით გამოვიდა ჩვენი დავალებით ჩემი ანსამბლის ადმინისტრატორი ვლადიმერ სიმონის ძე ცოფურაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ასეთი მეგობრული თბილი შეხვედრისათვის და შემდეგ გავედით ბაქანიდან, სად აუარებელი მანქანები დაგვიხვედრეს. სამ-სამის მეტი არ ჩაგვსვეს, არ შენუხდეთო, ბევრია მანქანებიო თქვენთვის. ბარგისთვის ავტობუსები იყო. წაგვიყვანეს საუკეთესო სასტუმროში, ლუქსებში უმეტესობა. მეორე დღეს კონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში დაინიშნა.

შეგვხვდნენ სომხეთის სახალხო არტისტები და პროფესორები. ძალიან თბილი მიღება იყო, დიდი აპლოდისმენტები, ენა ვერ ასწერს. აუარებელი კალათები სულ ცოცხალი ყვავილებით მხოლოდ დები თარხნიშვილის და მაროს სახელზედ მოდიოდა, ცოტა უხერხულათ ვგრძნობდი ფოცხვერაშვილის ქალთან, მაგრამ ეს ხომ ჩემი ბრალი არ იყო. იმ დროს იქაურ აღმოსავლურ დიდ ანსამბლს ხელმძღვანელობდა ექიმი ოვანესიანი. საზოგადოების თხოვნით, მათი ორკესტრის თანხლებით შევასრულე ქართულათ „ორთავ თვალის სინათლეც“, და სომხურათ „ნეინიმ, ამან“, ისეთი შეხვედრა და დიდი ოვაცია მე არავისი მინახავს: 3 კონცერტი. მესამე დღეს გამოვემგზავრეთ თბილისში, ჩემი კუპე კარზინკებსა და თაიგულებში აღარ ვჩანდი. დაუ-



ვინყარი დარჩა ჩემთვის ერევნის საზოგადოების შეხვედრა.

იმ დროს დირექტორი იყო პავლე კანდელაკი⁹⁵. მისი ინცი[ა]ტივა იყო ჩვენი გამგზავრება.

* * *

„დასავლეთ საქართველო“

ფოთში 1938 წ. საზაფხულო ბაღს აუარებელი ხალხი მოაწყდა, კონტროლიორს აჯობეს, გადმოლახეს კარები და ზღვა ხალხი შემოდიოდა. გვთხოვა ჩვენმა ადმინისტრატორმა, დახმარებოდა გუნდის წევრები, მივიდნენ მოსახმარებლად. შამშუ ფოფხაძე, ანსამბლის რწმუნებული და პარტის მომღერალიც, როგორც პარტიის წევრიც, მაგრამ ვერც ის გახდა რასმეს. ვანიჩკა, ჩემი შვილიც, ჩავიდა მისახმარებლად, კარები გადაანგრიეს ხალხმა, ვე დააკავეს, ბოლო ძალა იხმარეს ვანიჭკამ და ფოფხაძემ და პროკურორმა არ გაუშვეს. დააპატიმრა ორივენი, ხალხი სხედან მაყურებლები ჩუმათ, უკვე თორმეტის ნახევარი გახდა, ჯერ კონცერტს არ ვინყებ. გუნდის წევრებიც ჩემთან ერთად ტრიალებენ, სცენა დახურულია, ვამბობ, მანამდის ჩემს შვილს და ჩემ თანამშრომელს არ გაანთავისუფლებენ, მანამ ისინი არ მოვლენ, კონცერტს არ დავინყებ-მეთქი, რადგან უდანაშვნი იყვნენ. მოვიდნენ კიდევ თორმეტზედ სათზედ და შემდეგ ჩავატარეთ ისეთი კარგი კონცერტი, როგორც არასდროს. ხალხიც ძალიან დიდი ოვაციებით და მადლობით დაიშალნენ.

⁹⁵ პავლე კანდელაკი (1900-1968) - მსახიობი, ხელოვნების და კულტურის მოღვაწე.



1939 წელი

გასტროლები უკრაინასა და ბაქოში

კასტანტინოვკა! 1939 წ. უკრაინა

ჩავატარეთ 3 კონცერტი ფასიანი, 1 საშეფო. ობლიგაციებზე ხელის მოწერის დღეს სარკის დიდ ქარხანაში მიგვიპატიჟა დირექტორმა და პარტკომმა. გამოგვიგზავნეს სუბუქი მანქანები, ჩავატარეთ ფართე პროგრამით კონცერტი. იქ ძალიან ნაცრიანი მიწაა შახტებისაგან და ძნელი იყო ყვავილების შოვნა. იქ მხოლოდ ბასეინების გარეშემო არის უბრალო ტრუბუჩკები, იმის თაიგული მოგვიტანეს მე და ჩემს და ეკატერინეს, დიდი ბოდიშით და მაღლობით. მუშების დავალებით სიტყვით გამოვიდა პარტიზუროს მდივანი, ამბობს: ვაშა და გამარჯვება დიდი სტალინის ქვეყნიდან ჩამოსულ ამხანაგებს, რომლებმაც უზომო სიამოვნება მიგვალბინეთო! დიდი ბოდიშით ანსამბლის ხელმძღვანელს, ამხ. მარიამ თარხნიშვილს. ნება მომეცით, მცირე საჩუქარი (ზალის) სარკე მოგართვათო მისი დიდი შემოქმედებისა, კარგი ხელმძღვანელობისათვის და მისი მიერ მაღალხარისხოვნათ შესრულება სიმღერებისაო. მაჩუქეს ზალის დიდი სარკე. მე-5-თე დღეს გავემგზავრეთ.

დრუშკოვკაში

გავემგზავრეთ მატარებლით დრუშკოვკაში კონცერტის ჩასატარებლათ. დიდი ნაავდრი იყო, გზა - ტალახიანი, მანქანები არ მუშაობდა. უბრალო პლატფორმაზედ ვიყავით, ძალიან შეგვცვივდა. ახლო სოფელში წავიდა ანსამბლის ადმინისტრატორი,



დროგი(ბი)ს საშოვრათ. როგორც იყო, ეშოვნა ორი ლინეიკა, ერთზედ ქალები, მე და ჩემი უფროსი და ეკატერინე, დავსხედით, მეორეში მხოლოთ ანსამბლის ჩამადნები მოათავსეს და თითონ ფეხით გაუდგნენ გზას. იმ სალამოს ჩატარდა კონცერტი მიუხედავათ [...].

გემი „სევასტოპოლი„

დასავლეთ საქართველოში კონცერტებზედ მოგზაურობის დროს მოგვიხდა მგზავრობა გემით „სევასტოპოლით„ ფოთიდან ბათუმამდე. რომ გაიგეს მომღერალთა გუნდიაო საქართველოს, ძალიან გვთხოვეს ერთ განყოფილებიანი კონცერტი მიგვეცა. დავთანხმდით და ჩავატარეთ ერთი განყოფილება, სიმღერები ძველი ხალხური და ცეკვები. 1938 წელს პირველად ნახეს ჩვენი ნაციონალური ტანსაცმელი და ცეკვები, სიმღერები, ძალიან მოეწონათ. დაგვიწერეს ცნობის სახით: დიდი მადლობა მზიურ საქართველოს ლამას ხალხს, რომ გაგვაცნეს თავიანთი შემოქმედებაო უკრაინულათ და გვისურვეს და გვთხოვეს, ესტუმრეთ უკრაინასო.

მართლაც, გავემგზავრეთ უკრაინაში 3 თვე. 1939 წ. ვიმოგზაურეთ 35 კაცის შემადგენლობით კონცერტებზედ, სადაც საჩუქრებიც მივიღე: საუკეთესო ზალის ტრუმო (სარკე) და შახტების ფანარი, რითაც მაღაროებში მუშაობენ წარწერით; რომლებიც ინახება მუზეუმში, კასპის სამხარეო მუზეუმში, დაგროვილ ჩემს მასალებში. იმ გემში მოგზაურობის დროს, მანამ ბათუმში ჩავიდოდით, საშინელი ქარიშხალი ატყდა, ოთხი საათი მოუნდით ბათუმამდე. სასადილო უფრო დიდი ოთახი იყო და იქ ვისხედით, ნაწილი გუნდის წევრები კაიუტებში დაისვენეს, მაგ-



რამ წინასწარ კანონი ყოფილა, თავგები იგრძნობენ მომავალ ღელვასო, საშინლად დიდი ვირთხები ისე დარბოდნენ, რომ აღარ გვერედებოდნენ, მერე გვითხრეს, რომ ასე იციან, ეგენი წინასწარ გრძნობენო. მე ძალიან შემეშინდა ღელვისა და პირველად ვიჯექი გემში, თანაც ის გემი ყოფილიყო საბარგო. ჩვენ ვერ უსწრებდით ბათუმის კონცერტს და ჩაშლაც არ შეიძლებოდა ხელშეკრულების მიხედვით. ეს იყო მიზეზი ჩვენი იმ გემით გამგზავრებისა. ნერვიულ მდგომარეობით სპაზმები დამენყო. გულის ექიმი ჰყავდათ გემს. ამიყვანეს მალლა ბაქანზედ, მაჯა ეჭირათ ხელში ჩემი, წვეთებს მაძლევდნენ უანგარობით და როგორც იყო, ჩავედით ბათუმში სამშვიდობოს. იმ ღამეს კონცერტი მაინც არ ჩამიშლია, დიდი საზოგადოება დაესწრო სახემწიფო დიდ თიატრში, მშვენიერი ყვავილებით, თაიგულებით და კალათებით გაივსო სცენა. მე კი სისუსტეს ვგრძნობდი, თუმცა ისინი გვამეორებინებდნენ სიმღერებს. მაინც ალბათ ვფიქრობდი, გარეგნულად არ მეტყობოდა, თუმცა ბევრჯელ სიცხეც მქონია ოცდათვრამეტი გრადუსი, მაინც კონცერტი არასოდეს არ ჩამიშლია. დამთავრდა კონცერტი თუ არა, საჩქაროთ წავედით სასტუმროში. სიცხემ კი დამიკლო, მეორე ღღეს სულ კარგათ ვიყავი.

1939 წელს ანსამბლი 35 კაცის შემადგენლობით ჩემი ხელმძღვანელობით გავემგზავრეთ უკრაინაში, დომბასის მრავალ ადგილებში, სამი თვის მოგზაურობაში. ფილარმონიის დირექტორათ მაშინ იყო ბესო თხილეიშვილი, მოადგილე ჩიკვინიძე სიმონი.

გამაყოლეს ადმინისტრატორათ, რომელსაც არაფერი შეეძლო და მე მიხდებოდა გზადაგზა საქმეების გამოსწორება. მაინც წარმატებით [...].



* * *

ვარაშელოვგრაღში ⁹⁶

დავრჩით 4 დღე, გავმართეთ კონცერტები, ავიაციის დღეზედ გაუმართეთ სამხედროებს. ქალაქგარეთ ავტობუსებით წაგვიყვანეს. მე რომელ მანქანაშიც ვიყავი გუნდთან ერთად, შოფერი იყო ახალგაზრდა სამხედრო, უგრძობლად მიაქროლებდა მანქანას ისე, რომ ერთ ადგილზედ გადავრჩით ავარიას. მე რამდენჯერმე გაფრთხილება მივეცი, მაგრამ ავინწყებოდა და მაინც ჩქარა მიყვავდით. როგორც იყო, მივალწიეთ დანიშნულ ადგილზედ, სადაც ლოდინით გაბეზრებულები დაგვხვდნენ. მე ძალიან აღელვებული და ნერვიული ვიყავი. ანსამბლის წევრი ბენჯეზედ გადარჩა მანქანიდან გადავარდნას. იმათ ეგონათ, ჩვენ ვიყავით უდისციპლინო; გვისაყვედურეს დაგვიანება. როდესაც მოვითხოვე ექიმი და შევამონმებინე შოფერი, ძლიერ მთვრალი გამოდგა, მაშინ ჩვენ ბოდიში მოგვიხადეს და 5 დღე მისცეს სასჯელი.

კონცერტმა, მიუხედავად გზაში ნერვიულობისა, კარგათ ჩაიარა, რისთვისაც მადლობა გადაგვიხადეს ვარაშელოვგრაღის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ჯარის ნაწილის უფროსებმა. დავბრუნდით ბინაზედ ვარაშელოვგრაღში, შეგვიცვალეს შოფერი.

* * *

მარიუპოლში

1939 წელში, ივნისის 27-ში, ქალაქ მარიუპოლში ჩავატარეთ კონცერტი საზაფხულო თიატრში. ჩემი

⁹⁶ დღეს: ლუგანსკი.



მხატვრული ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ანსამბლის შემადგენლობა 38 კაცი და ქალი იყო, მათ შორის ჩემი და ეკატერინე, დამსახურებული არტისტი. მისი მონაწილეობით ვასრულებდით. იმას პირველი ხმა ჰქონდა, მე კი - მეორე. ერთად კარგად გვქონდა ხმები შეჩვეული და რაც უფრო ძლიერი სიმღერები არსებობს ქართლისა და კახეთისა, სწორედ იმ სიმღერებს ანსამბლში მხოლოდ მე და ჩემი და ეკატერინე ვასრულებდით ხოლმე, რადგანაც ქართლ-კახურ სიმღერებს იმდენი ვარიაციები აქვს, რომ ისეთ ვარიაციებს მრავლობითი მომღერლები ვერასოდეს ვერ შესძლებენ. იმ ვარიაციებს განსაკუთრებული ყელი სჭირდება და ყველა ერთად ვერ მოატრიალებს იმ გარკვეული სილამაზით, როგორც ერთი კარგი მოქნილი ყელით პირველი ხმა და ერთი მეორე ხმა, ოთხი ან ხუთი კარგი ბანები. მხოლოდ ასეთი ზომით შეიძლება სიმღერა კახური ან ქართლური, ძლიერი სიმღერები, მოსასმენად სასიამოვნო იყვეს!

თუ მრავალ პირველ გუნდში ხმები და მეორე ხმებიც იგივე მრავალი რიცხვით მათ უფრო მეტი ბანებიც სჭირდებათ. იმ შემთხვევაში სიმღერის ხასიათი და ვარიაციები არ იქნება დაცული და ის სიმღერაც მზგავსი სინამდვილისა არ იქნება. ჩვენ ვისმენთ მრავალრიცხოვან გუნდებში კახურ სიმღერებს და ქართლურსაც, იმ გემოვნებით არა სრულდება როგორც უნდა სინამდვილეში. ეს იმის მიზეზია, რომ წინასიტყვაობაში მოგახსენეთ: ყველას არ აქვს უნარი და შესაძლებლობა ყელის მოხმარებისა. მე ეს ჩემი დიდხნის მუშაობაში მაქვს გამოცდილი და დაკვირვება და ამიტომ მე და ეკატერინე თარხნიშვილები, დები, ვცდილობდით სიმღერის ხასიათი მისი შესრულებით



ფაქიზათ შეგვენარჩუნებინა, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამაც ისევე ფაქიზათ გადასცენ თავიან მომავლებს.

იმ ღამე მარიუპოლში ჩატარებულ კონცერტზედ ანსამბლის გამოსვლამდე მედუდუკეებით გავხსენით კონცერტი. საგანგებოთ მოვამზადე ისინი: ქართული სიმღერების პოპური, რამოდენიმე კარგად დამუშავებული პირველსა და მეორე დუდუკზედ და მესამე ხმაც იგივე დუდუკზედ დოლთან ერთად ძალიან კარგად იყო შეხმატკბილებული. შედიო იმ დროს ხაჩიკა დალგაუგოვი მყავდა აყვანილი ხელფასებით ანსამბლის ცეკვებისთვის, თუმცა დიდი აგიტაცია დამჭირდა, მეზურნეების საერთოდ ხელფასებით გუნდში სამსახურზედ მათი აყვანა არ ეხერხებოდათ, განსაზღვრულ თანხებზედ მუშაობა. ძლივს მოვაცილე პადვლებსა და ნათლობების, თუმცა ნათლობებში მაინც მეპარებოდნენ, ხან მთხოვდნენ გამეშვა, მეც ანგარიშს წერდი, ოღონდ ემუშავნად უფრო კულტურულ ხალხში. ხაჩიკასაც და ზუბიაშვილს მიმასაც, როგორც იყო, შევაყვარე ეს საქმე. მის შემდეგ ხაჩიკ ტალგაუგოვმა⁹⁷ რადიოშიც დაიწყო მუშაობა, ვარდიაშვილს აკომპონიმენტს უწევდა; მიშა სუკიასოვმაც ცალკე მოინადინა საესტრადო ჯგუფი და ამჟამადაც რკინის გზის მხარე მხატვ. სახლში ჰყავს გუნდი, რომლითაც გასტროლებზედაც ხშირად გადიან. ასე რომ, მოგახსენებთ, შევაყვარე თიატრები და საკუთარ ხელმძღვანელობასაც მოეკიდნენ ერთგულად. ახლა კი, რო მხვდებიან, მადლობასაც მეუბნებიან, წინათ თუ მაყვედრიდნენ, ცოლ-შვილი როგორ ვარჩინოთ ამ ხელფასებითო.

97 ხაჩიკ ტალგაუგოვი - დები თარხნიშვილების ქართლ-კახური სიმღერების გუნდის წევრი, მედუდუკეთა პირველი ანსამბლის დამაარსებელი.



უბრუნდები მარიუპოლის კონცერტს. დუდუკე-ბის ხმა რომ გაიგონეს, მოაგონდათ ქართველები, თუ ვინმე ერია იქ იმ დროს და გუნდის მოსმენაზედ ხომ ძალიან გაუხარდათ, იქ პრაქტიკაზედ ჩასული სტუდენტობა დაგვესწრენ, დიდი ალტაცებით დაენერათ იქვე წერილი და შემოგვიგზავნეს ყავილების თაიგულში ჩადებული: ქართული ხალხური სიმღერების მესაიდუმლეს, საქართველოს ბულბულს - მარო თარხნიშვილს. კონცერტის დამთავრების შემდეგ, ყველანი გარს შემოგვეხვივნენ: ექვსი თვეა აქა ვართო ქარხნებში პრაქტიკაზედო, ეხლა კი უფრო ენერგიულად ვისწავლით და ვიმუშავებთო. თქვენმა შეხვედრამ ენერგია მოგვიმატაო.

* * *

ჩავატარეთ ჩვენზედ დაკისრებული მოვალეობა ქალაქ სტალინოში⁹⁸. ჩამოვიდა დირექტორის მოადგილე ჩიკვინიძე სიმონი; გაუხარდა ჩვენი მუშაობის შედეგები და სთქვა: მე ამ გუნდს ასე არ ვიცნობდიო, ძალიან მწყინს, რომ ასე იაფათ გვყავს გაყიდულიო - კონცერტზედ ვილებდი /5000/ ხუთი ათას მანეთს.

დიდი ბანკეტი გავუმართეთ მთელმა ანსამბლმა მას. დილამდის გასტანა ქეიფმა სტალინოს რესტორანში. იქვე, მეორე ოთახში, იყვნენ ლენინგრადის მსახიობები, ორდენოსნები, ებრაელები უფრო მეტნი. ჩვენი სიმღერით მოხიბლულებმა ნება ითხოვეს შემოსულიყვნენ. შამპანიურის ბაკლებით ჩვენს სუფრაზედ დალიეს ქართველების სადღეგრძელო, იმ ერისა, რომელმაც დიდი სტალინი მისცა ხალხს.

⁹⁸ დღეს: დონეცკი.



ჩვენც სიმღერა სტალინზედ ვიმღერეთ. ის ღამე ძალიან სახსოვარი დაგვრჩა ყველას. დავამთავრეთ „მრავალჟამიერთი“, დავშორდით ერთმანეთს.

იმ ხნის განმავლობაში ბევრი კარგიც შემხვდა და ბევრი გაჭირებაც და ავადმყოფობითაც გადამქონდა მუდამდღე კონცერტები, რომ გზაში ზარალი არა გვექონოდა.

საჩუქრებიც ბევრი მივიღე. როგორც თიატრებს ვემსახურეთ, აგრეთვე შახტებსაც ბევრი კონცერტები გაუმართეთ. მოჰქონდათ ყვავილები, რაც ძალიან ძნელათ საშოვარი იყო. მაჩუქეს დიდი სარკე (ტრუმო), ობლიგაციების ხელის მონერის დღეს სარკის ზაოდში ჩაუტარეთ კონცერტი და ნიშნად პატივისცემისა, თბილისში მივიღე ზალის დიდი სარკე.

აგრეთვე მუშების 1.3. შახტების შეერთებულ პარტკომები კონცერტის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მაღლობის ნიშნად და წარწერით ფანარი მაჩუქეს, რითაც მუშების სახელით I და II და III შახტის მუშებს ჩაუტარეთ კონცერტი. მათ მაჩუქეს წარწერით ის ფანარი, რომლითაც მაღაროებში მუშაობენ.

მათ ჰყავდათ ძალიან ძველი და საპატიო მუშები, ორდენოსნები, რომლებმაც დიდი მაღლობა გამოგვიცხადეს; აღნიშნეს ის, რომ ჩვენ პირველი ვიყავით მათთან საქართველოდან.

* * *

იმის შემდეგ ჩამოვიარეთ ბაქოში, სადაც 9 დღე დავრჩით. ექვსი კონცერტი ჩავატარეთ სხვადასხვა ადგილებში, დიდ პატივს გვცემდნენ. სასადილოზედ მიგვამაგრეს. მაშინ ძნელი იყო პროდუქტების საქმე. დილაობით, ერთი სათით ადრე, უნივერმალს ხსნიდ-



ნენ ჩვენთვის საკუთრად, გვიშვებდნენ და რასაც მოვიწონებდით, ცყიდულობდით. ჩვენს შემდეგ აღებდნენ მაღაზიას.

1941 წელი

ცხაკაია⁹⁹ და სამტრედია

მაგონდება ერთი ასეთი კურიოზი ჩვენი მოგზაურობისა: 1941 წელს საგასტროლო მოგზაურობაში მოგვინია კონცერტის ჩატარება ქ. ცხაკაიაში და სამტრედიაში. იმ დროს ჩემი მომღერალთა გუნდი შესდგებოდა 28 კაცი და ქალებით, მოცეკვავეებითა და დამკვრელებით (მეზურნეებით). უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან დიდის ინტერესითა და პატივისცემით გვესწრებოდა საზოგადოების დიდი რაოდენობა, ვიდრე იქაური თიატრები იტყვდა.

ვინაიდან სამტრედიის კლუბს მოლარე არა ჰყავდათ, ჩემი ქალიშვილი თამარ თარხნიშვილი ცოტა შეუძლოთ გრძნობდა თავს ხანგრძლივი მოგზაურობაში დაღლილი და სცენაზე გამოსვლიდგან გავანთავისუფლე და სალაროში დავსვით. დიდძალი ხალხი დაესწრო, ბილეთები თითქმის გათავდა. სალაროში მივიდა ორი ახალგაზრდა ვაჟები და დაჟინებით სთხოვდნენ ბილეთებს. ამ დროს კი მათმა მესამე ამხანაგმა, პლაჩი ახალი შეკერილი, მაშინ „კოვერკოტები“, იყო მოდაში, ჩამოხსნა ისე, რომ თამარმა ეს ვერ შენიშნა იმათ ლაპარაკში. ალბათ განზრახული ჰქონდათ, რომ მოეპარათ მისთვის.

99 დღეს: სენაკი.



კონცერტმა ძალიან კარგათ ჩაიარა. საზოგადოება კმაყოფილნი დარჩნენ. დიდი მადლობაც გადგვიხადეს ყველამ და როდესაც ადგილობრივი მთავრობის წევრებმა შეიტყეს, ძალიან ნაწყენები დარჩნენ. დაგვაჯერეს, რომ უეჭველად აღმოაჩენდნენ ქურდს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და დღესაც ველოდებით მათ პასუხს. ცხაკაიაშიც პირველათ ჩაცმული ზამშის ტუფლები /600/ მანეთიანი მოიპარეს.

იმ დროს სენაკში, ახლა კი ცხაკაია, კულისებიდან დაგვრჩა თამარი მხოლოდ სამგზავრო ფეხსაცმელში. იძულებული გავხდით მიგვემართა იქ დამსწრე ადგილობრივი მთავრობის წევრისთვის. მეორე დღეს დილით დაიბარა ჩვენი ადმინისტრატორი და თითონ დაზარალებული თამარი თარხნიშვილი და რაც იქ მოსახერხებელი იყო ეშოვნათ, მიართვეს ჩვენს თამარქალს საჩუქრად. მხოლოდ „მაკენტოჟი“ ვერავინ აუნაზღაურა. ასეთი შემთხვევები იმ წლებში და ისეთ ადგილებში, სადაც ჩვენ კულტურის ხაზით ბევრ ჩამორჩენილ კუთხეებშიც ვემსახურებოდით, ხდებოდა ხოლმე ხშირად. რაიონის სახელს უტყუებდნენ ზოგიერთი ნაძირალები, მაგრამ ჩვენ ამითი არ შევშინებულვართ. პირნათლად ვასრულებდით ჩვენზედ დაკისრებულ მოვალეობას.

1942 წელი

კონცერტები ზუგდიდში, ბათუმსა და ფასანაურში

გენერალ გიორგი ყურაშვილთან ზუგდიდში!

1942 წ., სამამულო ომის დროს, იანვრის თვეში ზუგდიდში მოგვიხდა ორი კვირა ყოფნა და საშეფო



კონცერტების მიცემა ქართული ჯარის ნაწილებში, რომლებიც ზუგდიდიდან მიდიოდნენ ტუაფსაში.

მათ უმართამდით კონცერტებს, დილდილაობით აქედან იქით მიდიოდნენ ჯარები. კონცერტები იმართებოდა ცირკის შენობაში. შენობის ყავარი დამტვრეული იყო, ზოგიერთ ადგილებში თოვლიც ჩამოსული დნებოდა. ის ხომ ფიცრულის შენობა იყო, არა თბებოდა. საშინელ გაჭირვებას ვიტანდით, დიდ სიცივეს, რომ ხელებს ვერ იმორჩილებდნენ ქალები, უჭირდათ ფანდურების დაკვრა. ისე კანკალებდნენ სკამებზედ, რომ ძიძკინობდნენ ქართულ კაბებზედ. პალტოებიც კი წამოისხეს, მაინც დიდ ტანჯვას ვიტანდით, მაგრამ ის ახალგაზრდობა, რომლებიც იარაღში იყვნენ საომრად გამზადებულნი, ისეთი გულით გვხვდებოდნენ, საუკეთესო საგრძნობელი სიტყვებით ფიცს გვაძლევდნენ, რომ ისინი ჩვენამდის არ მოუშვებდნენ მტერს და ადგილზედ მოსპობდნენ პირსისხლიან მტერს. ამით ჩვენ ენერგიას გვიმატებთო, ძვირფასო მგალობელო დედავ მარიამ, როგორც სიმღერით გვისტუმრებთ, დედის ნანასავით ყურში გაგვყვება თქვენი ტკბილი მშობლიური სიმღერების ხმაო. დავბრუნდებოდით და კვლავ შეგხვდებით (გამარჯვებულნიო); აბა, რაღა სიცივე და დაღლა უნდა გვეგრძნო, პირიქით, ორი კვირის მანძილზედ დაუზარელათ ვიტანდით ისეთ სიცივეს. სასტუმროში რომ ვბრუნდებოდით, იქაც მთელი დიდი შუშები გატეხილები იყო, აღარ ვიცოდით, რა მიგვეფარებინა.

ბოლო დღეებში ანსამბლის წევრს გაუჩნდა ძლიერი ყბაყურა (ბ. თარხნიშვილი). ისე დაუსივდა სახე, რომ ველარა ვცნობდით ასეთ გაყინულ ოთახებში 35 კაცი და ქალი. მე ჩემს ოთახში მოვათავსე



ვარვარა კალანდაძე-თარხნიშვილისა, ავადმყოფი და დილით რომ გაეგოთ ყურაშვილს და სამხედრო შტაბიც, ჩვენი ოთახების რიგში იყვნენ სასტუმროში. ძალიან ყურადღებით და პატივისცემით იყვნენ ჩვენს მიმართათ. მაშინათვე შემოვიდნენ თითონ გიორგი ყურაშვილი და საიდუმლო განყოფილების უფროს ამხ. გოგი სურგულაძეს გაუგზავნეს კაცი და ჯანმრთელობის გამგე და ერთი ექიმი ყელყურისა მოვიდნენ. მე ძალიან ვლელამდი, რადგან ავადმყოფს სიცხეები ჰქონდა და ვერაფერს სჭამდა. მშიერი ცივ ოთახში, სიცხიანი. დამამშვიდეს, ნურაფრისა ნუ გეშინიანთ, პასუხისმგებელი ვართო, ჯანმრთელობის უფროსმა და დასწერეს რეცეპტი. გაგზავნა კაცი ყურაშვილმა და მივალებინეთ. სიცხე დაუნელდა, მხოლოთ საჭმელს ახლო ვერ იკარებდა, რძე შეუკვებთე დაბლა სასადილოში, მომიტანეს, აადულეს. დავალევიინე, მაგრამ აღარ მიიკარა, მწარეაო. ძალას ვატან, ვთხოვ, უჯავრდები, მაგრამ არა სვამს. მე გავსინჯე, მართლაც პილპილი ჰქონდა. დავიბარე რესტორნის დირექტორი, უთხარი, რა ღმერთი გაგინყრათ, ნუთუ რძესაც პილპილს აყრით, ესეც კი ვერ დალია ავადმყოფმა-მეთქი. მან ასე მიპასუხა, არა, ბატონო მარო, როგორ გეკადრებათ რძეში პინპილა, ალბათ ქვაბი გახვრეტილია და ჭინჭი აქვს დაცობილი, კერძისაგან გაჟღენთილი ჭინჭის ბრალიაო.

ორი კვირის ნამუშავრები ვიყავით და ყოველ დღე ორ კონცერტს ვაძლევდით, გავინთავისუფლეთ და გამოვემგზავრეთ თბილისში. ჩვენი ავადმყოფი სახლში ვერ იცნეს, ისეთი დასიებული სახე ჰქონდა, მაინც ტკბილათ ვიგონებთ ეხლაც.



* * *

ქ. ბათუმი

1942 წ. ბათუმში ქართულმა დივიზიამ საქართველოში დაარიგა ორდენები პირველად! გამარჯვებულ ქართველ მეომრებზედ თებერვლის 23-ში. იმ დროს დივიზიას კომისარი რაზმაძე ილია¹⁰⁰ ხელმძღვანელობდა.

ქ. თბილისის პარტიის ცეკას დადგენილებით მიგვაველინეს ქ. ბათუმის ზემოთხსენებულ ჯარის ნაწილებში კონცერტების ჩასატარებლად, დღესასწაულზედ; ჩვენთან ერთად ცეკას მდივანი ილია თავაძე გაგვყვა. შემადგენლობაში იყო ქართლ-კახური სიმღერების სახემწიფო ანსამბლი ჩემი ხელმძღვანელობით, მომღერლები, მოცეკვავეები და დამკვრელები, სულ 35 კაცი.

ოპერიდან დიმიტრი მჭედლიშვილი, სახ. არტისტი.

ბარიტონი, პეტრე ამირანაშვილი, სტალ. პრემიის ლაურიატი, სახ. არტისტი რ.ს.ს.ფ:

ანდლულაძე დავითი;

შვედოვი პროფესორი¹⁰¹.

ჩავატარეთ 4 კონცერტი ბათუმის სახემწიფო თიატრში საზეიმო ჯარის ნაწილის დასწრებით, ორი კონცერტი თვით ნაწილშიც. დაგვეტოვეს ერთი კვირა. კონცერტები დიდის წარმატებით მიდიოდა. მართლაც, პირველად საქართველოში ორდენების მიღე-

100 ილია რაზმაძე (1899-1953) - გენერალ-მაიორი, სამხედრო პირი. თბილისის გარნიზონის კომენდანტი (1941-1942), მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში; დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

101 დიმიტრი შვედოვი (1899-1981) - პროფესორი, კომპოზიტორი, მუსიკის პედაგოგი; საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის წევრი (1932-1981); საქართველოს სახალხო არტისტი; საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.



ბა იქ მოხდა, სხვა დროს ხომ მოსკოვში მიდიოდნენ ხოლმე მისაღებად.

დაუვინყარია ჩვენთვის, იმ დღივინაში რომ წაგვიყვანეს, ქალაქკარეთ იდგა, რომელშიც ირიცხებოდა ბუხაიძე¹⁰². დალუპულ ამხანაგზედ რომ მოისმინეს ჩვენი გუნდის შესრულებით, ისე იმოქმედა მათზედ, რომ თითქმის ყველას ცრემლები სდიოდათ. დიდი მადლობა გადაგვიხადეს. შესრულებული სიმღერა ბუხაიძეზედ თამარ თარხნიშვილის მიერ იყო ფანდურზედ დამუშავებული, ირაკლი აბაშიძის ტექსტით.

თამარი ჩემი ქალიშვილი გახლავთ; ზემოხსენებული მსახიობებიც კი დიდი ახტაცებით უსმენდნენ იმ სიმღერას და მეუბნებოდნენ, რომელ გუნდსაც გინდათ შეეჯიბრებით მაგ სიმღერითო. ძალიან კარგათ არის ანსამბლზედ გაკეთებულიო, სიტყვებიც ხომ ძალიან მგრძნობიარეაო. თებერვლის გასაბჭოების დღეები ჯართან ერთად გავატარეთ მათ მომსახურებაში. რაც შეეხება განსვენებული ილია რაზმაძე, დღივინის კომისარი, მთელი კვირის განმავლობაში ზემოთ აღნიშნულ მსახიობებსა და ანსამბლს ძალიან კარგად უმასპინძლდებოდა.

* * *

„ფასანაურიდან დაბრუნება ევაკუაციის დროს, 1942 წლის აგვისტოს 7“

ჩემი ვაჟიშვილი ივანე დიმიტრის ძე თარხნიშვილი ფრონტზედ წავიდა სამამულო ომში ანსამბლიდან. მთელმა ანსამბლის წევრებმა ჩემთან ერთად გადავწყვიტეთ, ჩვენ ზურგში მივყოლოდით

102 მიხეილ ბუხაიძე (1905-1942) - ქართველი კაპიტანი, ირაკლი აბაშიძის ცნობილი ლექსის გმირი.



ქართულ დივიზიას, სადაც ვანიჭკა იმყოფებოდა. და აი ამ მიზნით გავემგზავრეთ სამხედრო გზით, რადგან გვითხრეს, რომ სამხედრო გზით წავიდა ქართული დივიზიაო.

ეს ასე არ ყოფილა. ისინი ნავთლუხიდან გაუმგზავრებიან, ჩვენ კი სხვა გვითხრეს. ყაზბეგში რომ ჩავედით, დაგვაბრუნეს, იქით აღარ უშვებდნენ აქედან მიმავალ ხალხს, რადგანაც უკვე ევაკუაცია იყო გამოცხადებული და ჩვენც აღარ გავვიშვეს. ჩამოვედით ფასანაურში და გავჩერდით, თბილისს ვერ უწევდით. გადავწყვიტეთ, დღის გაცდენას ფილარმონია არ მიიღებდა და კონცერტი ჩაგვეტარებინა. ფასანაურში აფიშები ხომ არა გვქონდა, რადგან ჯარის ნაწილებში არა გვჭირდებოდა ხომე.


ამიტომ ხელით დასწერეს გუნდის წევრებმა რამდენიმე ცალი აფიშა და გააკრეს კლუბთან. კლუბი იყო საშინელი მინური ჰოლი და რამდენიმე გრძელი სკამები. გაიყიდა დაუთვლელი ბილეთები. ფეხზედ იდგა აუარებელი ხალხი. სამხედროებით გაივსო თიატრი, ვინც კი თბილისისკენ ვერღარ წამოვიდნენ მანქანების უქონლობითა, სხვადასხვა მიზეზებით ღამე მგზავრობას მოერიდნენ როგორც ჩვენ, ისე ისინი. აბა როგორ არ დაესწრებოდნენ კონცერტს. მე კი იქ ცხარე ცრემლებით დასიებული მქონდა ტირილით თვალები. მომაკითხა თურმე ერთმა სამხედრო ქართველმა „გმირმა“ იმნაძემ, რომელიც 14 წელიწადი წასული იყო საქართველოდან. მომესალმა და რა ბედმა მარგუნა შეხვედრაო. 14 წელია წასული ვარ, რუსეთში ვცხოვროფო, რამდენი ხანია არ მსმენია თქვენი ხმაო, თუმცა რადიოს საშუა-



ლებით ვისმენდით ფრონტზეც, მაგრამ პირადათ თქვენი ნახვით დღეს ბედნიერათ ვგრძნობ თავს, რომ მოვისმენ თქვენ მშვენიერ ხავერდოვან ხმას. რატომ ხართ ნამტირალევი? მე მკითხა. მე უპასუხე: ერთათერთი მყავს ვაჟიშვილი და ისიც გავისტუმრე ფრონტზედ. აბა როგორ ვიქნები, ანდა ყველა ხომ ძმები და შვილებია, რომლებიც მიდიან და ყველანი ხო ვერ დაბრუნდებიან ცოცხლები, ქართველი დედების გულს რა დაამშვიდებს. თქვენ მართალს ამბობთ, მარა გაძლევთ პატიოსან სიტყვას, სულ მალე დავამხოთ პირსისხლიან გერმანიას, მხეცს ფაშისტებს, დამამშვიდა. მოისმინა კონცერტი, დამთავრების შემდეგ ავიდა სკამზედ და მადლობა გადაგვიხადა ლამაზი სიტყვებით და გაიმეორა: სიტყვას გაძლევთ, ვიბრძოლოთ დაუნდობლათ, გავნწყვიტოთ საბჭოთა კავშირის მონინაალმდეგე ფაშისტები. კიდევ შევხვდებით გამარჯვებულები და კიდევ დაგვატკბეთ თქვენი ლამაზი ხალხური სიმღერებითო. ასე დავშორდით ჩვენ და ისინი.

მეორე დღეს, დილით ადრევე, გავემგზავრეთ თბილისისკენ ჩვენცა და იმდენი შეგუბებული ხალხი და ევაკუირებული მანქანებით, რაზედაც ნავედი შვილის შესახვედრათ, იმ გზით ვერაფერი ვნახეთ ტანჯვის მეტი, რადგანაც ისინი რკინის გზით გაუმგზავრებიათ ნავთლუხიდან. წელიწად-ნახევრის შემდეგ დამიბრუნდა შვილი დაზიანებული წელის ხერხემალით და მე მაინც ჯარის ნაწილების მომსახურეობა არ შემინწყვეტია, რადგან ცოცხალი ჩამოვიდა და ასე საშეფო კონცერტები ჩაუტარე, 360 კონცერტი.





სსსრ სახკომსაპქოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სახვითი ხელოვნების განყოფილების უფროსის, ლ. კანდელაკის წერილი ხელოვნების მუშაკთა კავშირის მარო თარხნიშვილის გუნდის მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს ჩატარებული „სამსახური მუშაობის“ შესახებ

1944 წელი, 18 მაისი



1943 წელი

კონცერტები თბილისში (კამოს ქუჩაზე),
ახალციხეში

მახსოვს ერთი კონცერტი:

1943 წელია. სამამულო ომის დაძაბული დღეებია. მე ერთი ვაჟიშვილი მყავს მხოლოდ - ივანე (ვანიჩკა) თარხნიშვილი, ფრონტზედ არის ქართულ დივიზიაში. ღამეები არა მძინამს, თვალები ცრემლით მევსება. ოჯახის წევრებს ყველას სძინავს, მე ვდგევარ სარკმელთან და გავცქერი მთვარეს. ველაპარაკები: შენ ხომ ხედამ მანდ ყველას, იქნება რაიმე უჭირს ჩემს შვილს, დაჭრილს ან გაჭირვებულს ხომ არსად ხედამ ჩემს ერთ შვილს, ჩემს იმედსა და საყვარელს. მე კი ვერაფერს ვშველი. ჩემი მეუღლეს გამოელვიძებოდა და დამელაპარაკებოდა ხშირად, მარო, რატომ არ დანვები, არ იძინებ, ხვალ როგორ გინდა წახვიდე სამსახურში; მარო, ძალიან გთხოვ მაგდენს ნუ ნერვიულობ, ცოდო ხარ, შენ შენ თავს არ ეკუთვნი, ხალხის სამსახურის მოვალე ხარ, მათიც.

სახემწიფო ანსამბლს მოუხსნეს დატაცია და საშეფო კონცერტებს უმართამდით, ვემსახურებოდით, კონცერტებს უმართამდით ჯარის ნაწილებსა, კოლმეურნეობებს, სოფხოზებს, ჯარში წასულების უმწეო ოჯახებს ვეხმარებოდი. „ღირიჟბლისათვის“ შევწირეთ /4000/ მანეთი. თანაც ვცდილობდი, გუნდი არ დამშლოდა და ფასიან კონცერტებსაც ვაძლევდით ანსამბლის საარსებოთ. რომ ნახეს, საქმე კარგათ წარვმართე, დიდი შემოსავლებიც მქონდა, ომის წლებში ბილეთები, რაც უნდა დამედო ფასი /40/ მ. /50/მ., თავისუფლად იყიდებოდა. მაშინ ისევ



დაგვაბრუნეს ფილარმონიაში და დაგვიბრუნეს ჩვენი დატაცია.

მახსოვს ერთი კონცერტი კამოს ქუჩაზედ, სკოლის შენობაში, გოსპიტალი იყო მეთაურების, პალკოვნიკების, აფიცრებისა. მიმინვიეს კონცერტებისთვის. ვემზადებოდით. გაივსო დარბაზი დაჭრილი აფიცრებით და პალკოვნიკებით. ესტრადის წინ ნასილკებით შემოეყვანათ ცალი ხელი და ერთი ფეხიანი, მეორე ნასილკით უფეხო და ერთი ხელით, ესენი ისეთი ვაშკაცები იყვნენ, რომ ლომებივით შეხდულები. ისე დადგეს სცენის წინ. ელიან მოუთმენლად, რომ გაინიოს ფარდა. აიხადა ფარდა, დიდი ჟრიამულით შეგვეგებნენ. რომ გამოაცხადა კომფერენსემ, ერთი მათგანი თითქოს გამომელაპარაკაო, დავხედე დაბლა და მუთაქასავით უფეხებო კაცი, უხელებო მეორეც. უცბათ გადამივარდა აზრი ჩემს შვილთან, რომელიც ფრონტზედ იყო წასული, ღამეებს ცრემლით ვათენებდი; ვდგევარ და ვერ მოვდივარ გონს, რომ პროგრამა გამოცხადებულია, მე კი არ ვინყოფ კონცერტს. ანსამბლის წევრები გამომელაპარაკნენ: მარი ესტაფოვნა, რას ელითო. მხოლოთ მაშინ ვიგრძნე ჩემი მოვალეობა, მოუბრუნდი გუნდსა და დავინყეთ კონცერტი. ჩვენი შემოქმედებით ისიამოვნეს, დროებით მაინც დაავინყდათ თავიანთ გასაჭირი.

ხშირად ვღებულობდი ფრონტიდან წერილებს მისი უფროსებისგან: ქალბატონო მარო, თქვენი შვილი ვანო თარხნიშვილი ისეთ სასწაულებს ახდენს, რომ ჩვენ თითონ გვიკვირსო. თქვენ ოღონდ კარგათ დაგვხვდითო, ჩვენ ჯერჯერობით კარგათ ვართ, ვიმარჯვებთ პირსისხლიან მტერზედო. ბევრი წერილები მივიღე ჩემთვის ნაცნობებისა და უცნობი მეომრებისაგან.



აკოფებში ვართ და ხშირათ გვესმის რადიოთი თქვენგან ნამღერი გამამხნევებელი სიმღერებიო. კიდევ გვეღირსოს პირისპირ შეხვედრა პირნათლად, თქვენი ვამკაცური სიმღერების მოსმენა ჩვენს სამშობლოშიო.

* * *

ახალციხე, 1943 წელი

ახალციხეში, როგორც, მოგეხსენებათ, თითქმის მოსაზღვრებთან ახლო არის. იქ ცხოვრობდა მართო მცირე პროცენტი ქართველებისა, დანარჩენი კი, სომხები და თათრები, ძველ ადათს არ ივინყებდნენ: ქალები ჩადრებში იყვნენ ზემო აღნიშნულ წლებამდე.

სწორეთ 1943 წელში ჩავედი ჩემი მომღერალთა გუნდით გასტროლზედ. იმ დროს რაიკომის პირველი მდივანმა, ლენინის ორდენოსანმა, ისარგებლა ჩემი ანსამბლის იქ ყოფნის დროსა და მთხოვა დავრჩენილიყავით რამდენიმე დღეს, კონცერტი და სააგიტაციო მოხსენებები ჩაეტარებინა თავის რაიონში. რა თქმა უნდა, რომ მეც სიამოვნებით დავთანხმდი. დავრჩით ერთი კვირის განმავლობაში, სოფლებში დავდიოდით, კონცერტებს ვაძლევდი, თან ლექციას უკითხამდა ამხ. კირვალიძე¹⁰³, რომ აღარ არის დრო ჩადრების ტარებისა, საბჭოთა ქვეყანაში სირცხვილია, ჩვენ სამშობლოს, საბჭოთა ხალხს, მართებთ გაახილონ თვალიო, იშრომონ და იზრუნონ პარტიისა და ხელისუფლების საკეთილდღეოთო, მითუმეტეს ქალსაც ისეთივე ვალი ადევს, როგორც მამაკაცს, რომ ეს არის სრული უფლებიანი მოქალაქეო ჩვენს ქვეყანაშიო.

103 გიორგი კირვალიძე - ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი.



გაიხედეთ, ქალები მხარში უდგიან მამაკაცებს, მუშაობენ, დიდ ქარხნებსა და დაწესებულებებს ხელმძღვანელობენ, სამამულო ომში მიდიან და ეხმარებიან დაჭრილ მეომრებსა. თქვენ კი შალებსა და ზენრებს იფარებთ, თვალებს ძლივს ახელთ, ასე არ შეიძლება, მოდით გონს და გახდით ისეთივე ქალები, როგორც საბჭოთა ქალს ეკუთვნის. გავიდა მონობის დრო, ბორკილი შეეხსნა მონობას. აბა, შეხედეთ ამხ. მარო თარხნიშვილს და მის დას ეკატირინეს, ესენიც ხომ ქალები არიან? უყურეთ. აი, მანდილოსანი ქალი მარო თარხნიშვილი ქალვაჟთა გუნდს როგორ ხელმძღვანელობს ჯერ კიდევ ნიკოლოზის შავბნელი მეფის რეჟიმიდან, 1910 წლიდან. აიღეთ მაგალითი, სიმღერა თუ არ შეგიძლიანთ, სხვა სამუშაოთი დაეხმარეთ. ჩაებით საბჭოთა სამუშაოებზედ. ახლა მოუსმინოთ ამხ. მარიამს და მის გუნდის შესრულებულ იმ სიმღერებს, რომლითაც თქვენი მამა-პაპა გაზრდილან აკვებში. ამ დროს გუნდმა შეასრულა ჩემი დაწყებით „ნანა„ ქართლური. ისინი გაყოფილად ისხდნენ: მამაკაცები ერთ მხარეს, ფერდობ ადგილზედ; ქალები მეორე მოპირდაპირე მხარეს. რამდენიმე მოხუცმა, ვისაც ქართული კარგათ ესმოდა და იგებდა სიტყვებს სიმღერისას, ცრემლებს ინმენდნენ. ბევრმა იტირა მოხუცებმა, შემდეგ დაუკრა ჩვენმა მეზურნეებმა ქართული საცეკვაო და გავიდა ამხ. გ. კირვალიძე და დამიკრა თავი, მეც გავედი და ვიცეკვეთ ლეკური მათ შესახედათ. ჩვენს შემდეგ გუნდის წევრები, მოცეკვავეები, მასიურ ცეკვაში ჩაებნენ და ამ ამბავმა ისეთი დიდი საქმე გააკეთა, ამხანაგმა გოგი კირვალიძემ (რომელიც ამჟამად



ინაურთან¹⁰⁴ მუშაობს), რომ იმ ერთი კვირის განმავლობაში ჩადრები ჩამოიხსნეს და დაიწყეს ადამიანური ცხოვრება.

მე მახსოვს, იმ დროს ერთ-ერთ სოფელში საბჭოს თავმჯდომარემ მიგვინვია. იმ დროს ჩემი ანსამბლით 35 კაცი ვიყავით. სადილი გაგვიმართეს, ქალები თვალთ არ დაგვინახავს, დაბლა სართულზედ მზადდებოდა საჭმელები. ჩვენმა ადმინისტრატორმა სცადა და შევიდა იქ, სადაც აცხობდნენ და ხარშამდნენ და დიდი წიოკობა შექმნეს ქალებმა. მერე ოჯახის კაცმა უთხრა, ასეთია ჩვენი წესი ჯერჯერობითო და ვნახოთ, მომავალი რას გვიჩვენებსო. დაგვსხეს მეორე სართულზედ დიდ ოთახში და კაცებს მოჰქონდათ საჭმელები.

ერთი სიტყვით ამხ. გ. კირვალიძემ აი ასეთი საქმე გააკეთა იმ ბნელი ხალხისთვის. ჩვენც დიდი ხალხით ვმუშაობდით, იმ დროსაც, როცა რკინის გზა შევიდა ახალციხის პირველ სოფელში, აწყურში, დიდი ზეიმით შევხვდით პარტიული ხელმძღვანელებთან ერთად ჩვენც მათთან ერთად.

დაუფიქრებია ჩვენთვის მათი შეხვედრა და იქიდან ასპინძაში გაგვინვია რაიკომის მდივანმა პირველმა, ამხ. ნებისაშვილმა, იქაც ჩავატარეთ კულტურის სახლში ორი კონცერტი; კოლმეურნეობაში, იქაც დიდი კმაყოფილები დაგვრჩნენ. ჩვენი მიზანი იყო თავდადებული მომსახურეობა გაგვენია, ცოტა კულტურა შეგვეტანა ისეთ ადგილებში, რომლებიც დაშორებულნი იყვნენ იმ დროს ქალაქიდან ჩასულ ხალხს.

104 ალექსი ინაური (1908-1993) - საბჭოთა გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი; 1953-1954 წლებში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.



1944 წელი

კონცერტები დასავლეთ საქართველოში, ყაზბეგში, საინგილოში

„პარიუსკაია კომუნა“ გემზედ გაუმართეთ ერთი საშეფო კონცერტი. დღის 2 საათია. კონცერტს ვატარებთ. ამ დროს დაიწყო ზემოთ ხსენებული გემის დაბომბვა. ჩვენ მაინც არ შევწყვიტეთ კონცერტი, არა იმიტომ, რომ დიდი გულადები ვიყავით, მაგრამ, ჯერ ერთი, რომ შიგ მყოფი ხალხიც ხომ ადამიანები იყვნენ ჩვენსავით, მათი გამხნევების მიზნით არ შევიმჩნიეთ და მეორეც ეს ერთი რომ, გარეთ რა გარანტია გვექონდა, არაფერი მოხდებოდა. ისინი განურჩევლად ურტყამდნენ ბომბებს. რა თქმა უნდა, ძალიან გაუხარდათ ჩვენი ისეთი მოქცევა და ბოლოს დიდათ გვთხოვეს, როდესაც განელდა დაბომბვა, რომ ერთიც არაფერი მოხვედრია იმ გემს, დავრჩენილიყავით მათთან სადილათ და არც გაგვიშვეს. დამთავრდა სადილი, გემის უმფროსმა კაპიტანმა გასცა განკარგულება, საჩქაროთ მოერთოთ ჭრელი ბაირამ(ღ)ებით და ჩაატარეს მიტინგი ჩვენს საპატივისცემოთ. აფიცრებიც და თითონ უფროსებიც ბევრი გამოვიდნენ სიტყვებში. ჩვენი მხრიდანაც დიდი მადლობა გამოუცხადეთ და უსურვეთ პირსისხლიან მტერზედ გამარჯვება.

მათ საუკეთესო [...] დაბეჭდეს და მოგვცეს, რომელიც ინახება მუზეუმისთვის გამზადებული ჩემი მოღვაწეობის მასალებში.



* * *

1944 წ., სამამულო ომის დღეებში, ვაგონით გავემგზავრე დასავლეთ საქართველოში კონცერტების ჩასატარებლად როგორც თიატრებსა და კლუბებში, აგრეთვე კოლმეურნეებს, სოფხოზებსა და ჯარის ნაწილების მომსახურეობისათვის. გზათ გავლით სამტრედიის რკინის გზის კლუბშიც ჩავატარეთ ერთი კონცერტი. შემოსავალი გვეკუთნოდა /4000/ მანეთი. უარი გვითხრა დირექტორმა, ფული თბილისში რკინის გზას გადურიცხამთო და იქედან მიიღებთო.

მე, რასაკვრელია, ამას არ დავეთანხმე და ვთხოვე, კლუბის დირექტორსა და ბუღალტერს წამყოლოდნენ სამტრედიის რკინიგზის უფროსთან თბილისში დასარეკად. წავედით ორნი, (ისინი) მე და ანსამბლის წევრი გიორგი ვარდიაშვილი. რკინიგზის წინ არის დიდი ოთხსართულიანი შენობა. ავედით მაღლა და დაურეკა პირდაპირი რკინის გზის ხაზით გენერალ გრიშა კიკნაძეს¹⁰⁵ ჩვენი საქმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ჩვენი შემოსავლის შესახებ.

მან დართო ნება, რადგან ვაგრძელებთ გზას დასავლეთისაკენ ერთთვიან მოგზაურობისათვის, მიეცით ხელზედ ეგ თანხაო გამონაკლის შემთხვევაში, მარო თარხნიშვილი ღირსია ჩვენგან ღრმა პატივისცემისა და ხელის შეწყობისაო. იმ ღამეს აღარ იყო მიღების საშუალება. ღამის ორის ნახევარი გახდა და ხვალ მობძანდით და მიიღეთო. ჩვენ ჩამოვედით ზემო სართულიდან დაბლა პადიეზდში. დაბნელებული იყო, დაგვხვდა სამხედრო ფორმაში ჯარისკაცი შეიარაღებული პატრონტაშებით. ერთი ხელი ჯიბეში

105 გრიგოლ (გრიშა) კიკნაძე (1897-1978) - პირველი რანგის გენერალი; ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი (1938-1954), ამიერკავკასიის და ყირიმის ფრონტების სამხედრო საბჭოს წევრი (1942-1943).



ჰქონდა და გვთხოვა, აქ დამივარდა გასაღებო და გამინათეთ ფანარიო. ჩვენ ფანარს ვიშუქებდით, ისე ჩამოვედით. მაშინათვე გიორგი ვარდიაშვილმა მიუნათა, ის კიდე თხოულობდა, ცდილობდა, თანდათან შიგნით სიბნელისაკენ შეეტყუებინა. მე კი ვიცდი კარებთან, როდესაც გიორგის მაჯაში ნაავლო ხელი და შიგნით იწვედა, მაშინ ჩაჰკრა ხელი გიორგიმ, გამოუშვა ხელიდან და მეც დამიძახა: მარი ესტაფოვნა, ჩქარა გარეთ გაიქეციო. მე, რა თქმა უნდა, ცოტა არ მესიამოვნა, რალაც ცუდი მოგველოდა ამ შუალამზედ, ხალხიც აღარავინ ჩანდა. მე გავიქეცი და გიორგიც მომდევს. მივრბივართ, სადგურს უახლოვდებით, მის მოედანზედ, ისიც გვეძახის, შეჩერდით, თორემ გესვრითო. აჩხაკუნებს ავტომატს, გულმა ველარ შესძლო სირბილი და აგერ ორი ადამიანი გამოჩნდა ამ მოედანზე, რუსი კაცი და დედაკაცი, სადგურის, ალბათ, დამლაგებლები იყვნენ. ჩვენც იმედი მოგვეცა, ისიც გაჩერდა და ჩვენც შევახსნიეთ სადგურში. იქ ველარ გაბედამდა ჩვენს გაცარცვას. მას ნამდვილად ეგონა, რომ კონცერტის ფული მივიღეთ, ანდა ორივეს პლაშჩები გვეცვა კაბარდე(ი)ნის. მაშინ, ომის დროს, უხვდებოდნენ და ხდიდნენ ტანსაცმელებს; ამ მოსაზრებით დაგვხვდა.

სადგურში ცოტა ხნის შესვენების შემდეგ მივედით ჩვენს ვაგონში. იქვე, შინსახკომის წინ, გვეყენა ვაგონი საკუთარი და უამბეთ ჩვენს გუნდის წევრებს. ძალიან შენუხდნენ, რომ ასე დალილები, კონცერტზედ ნამუშავრები მათ სასარგებლოდ, შუალამისას ასეთ ამბავს გადავანყდით. ანსამბლში კარგი ვაშკაცები ერივნენ და იმათზედ ძალიან ცუდათ იმოქმედა ამ ამბავმა, მთელი ღამე ნერვიულობდნენ, რატომ გაუშვით მარტო ორნი ესენი, ჩვენ რა ღმერთი გაგ-



ვიწყრა და არ გავყევითო. არც მე წარმომედგინა, თუ იმდენ ხანს დავგვიანდებოდით თბილისში დალაპარაკებაზე. მაგრამ ეს კი იყო, რომ შიში არ ვიცოდდი, თორემ მოვითხოვდი რ.ქ.გ.ზ. ახრანას.

1944 წ.

ქ. ქუთაისში მფრინავის მოკვლა

44 წ. აგვისტოში ქუთაისში ვიყავი გუნდი[თ] კონცერტების ჩასატარებლად. დავბანაკდით, რასაკვირელია, სასტუმროში 35 კაცის შემადგენლობით. თიატრში საზაფხულოში წასვლის წინ შეგვხვდა ერთი აფიცერი, ჩემი შვილის ვანოს ფრონტიდან ნაცნობი ქართველი; ძალიან გაუხარდა ჩვენი ნახვა და მოგვკითხა, ვანო არის აქა თუ არაო. ვანო იმ დროს არ მუშაობდა ანსამბლში, ფრონტიდან ახალი ჩამოსული იყო; შემდეგ გვთხოვა, ვანიჩკას ამხანაგები სამნი აქა ვართო, გვარებიც გვითხრა. ჩვენ ვთხოვეთ, როგორც კარგ ნაცნობებს, მოსულიყვნენ, თუ დრო ექნებოდათ კონცერტზედ. შეგვპირდა, აუცილებლად მოგისმენთ, მოვალთო. კონცერტმა წარმატებით ჩაიარა. ქუთაისმა ასე იცოდა ყოველთვის, დიდებული შეხვედრა ჩვენი, კარგი დასწრებაც. დამთავრდა კონცერტი. ჩვენ ისინი აღარც მოგვგონებიან. მოვედით სასტუმროში, ავედი, ვარ კიბებზედ. ვხედავთ, ნასვამები მეორე სართულზე შეგვხვდნენ, ბოდიში მოიხადეს, ექიმი სამხედროსთან ერთად იყვნენ[ნ]. ჩვენ, ქალებმა, გავიარეთ, ვაჟები ცოტა ხანში მოვიდოდნენ ალბათ. როგორც შევედით ჩვენს ოთახებში, გავარდა რევოლვერი. იყვირეს მორიგეებმა.



ის იყო კაბას ვიცვლიდით, გამოვედით ჩვენც. მე ჩემი წევრებისათვის შევშინდი, იმათგანი არავინ დაზარალებულიყო. ვხედავ, კიბესთან დგას ის ექიმი, იქვე ლუქსის კარებიდან ერთი მშვენიერი ვაჟკაცი, ფრინავი, რომელიც დილის 5 სათზედ უნდა გაფრენილიყვნენ. ოთხი ლოჩიკები იყვნენ ერთათ ერთ ოთახში და როგორ სჩანს, იმათ ხმაურობაზედ ერთმა მათგანმა გაალო თავისი ნომერის კარები და მაიკით იყო, მხოლოთ შარვალი და ჩექმები კი ეცვა, ექიმს უთქვამს, შებრუნდი შიგნითო, როგორა ბედავ მაიკით გამოსვლას კალიდორშიო და მან რა უთხრა, არ ვიცი და პირდაპირ საფეთქელში მოხვდა ტყვია. ქუთაისის სასტუმროს არც იმდენად ვიწრო კალიდორები აქვს, მაგრამ ისეთი ვაშკაცი იყო, რომ განდაგან ნაქცეული კაცი ვერ ეტეოდა; ძალიან ცუდი ამბავი მოხდა. ჩემზედ ცუდათ იმოქმედა და რასაკვრელია, ყველაზედაც, დარეკეს მაშინათვე, მოვიდნენ, ის ექიმი იქვე დააპატიმრეს, იარაღიც ჩამოართვეს, ოთახი, რომელშიც ის ექიმი ცხოვრობდა, გაჩხრიკეს. იმ დროს სუფიდინის გაჭირვება იყო, მას კი ნორმაზედ მეტი ამოაჩნდა ბევრი სხვადასხვა ნამლები, დეფიციტიური. ის საცოდავი იქიდანვე უსულლოთ ქცეული ასწიეს სამმა კაცმა და, არ ვიცი, (?) ალბათ საავადმყოფოში, თუმცა იქვე გათავდა.

ექიმი გონს მოვიდა, ძალიან მთვრალი კი იყო, როდესაც ისე შეარცხვინეს, გალანძღეს, სულ სახეში აფურთხეს, უშვარი სიტყვებით ლანძღეს; მაგრამ ერთმა უსამართლო საქმემ ძალიან ამაღელვა, მთელი ღამეები აღარ მეძინა: იმათ(ნ) რომ, როგორც ქართველსა და ადგილობრივს ექიმს, ყველა სასტუმროს თანამშრომლები ექიმის მხარეს იჭერდნენ, მაგას მაინც აღარაფერი ეშველებო. ეს შუახნის ექიმს




ძალიან აქებდნენ, წესიერი და ზდილობიანი, ის არ დაემორჩილაო; ჩემზედაც და სხვებ ჩვენებზე ცუდათ იმოქმედა უსამართლობამ.

* * *

საინგილო I

მინისტრთა საბჭოს დავალებით გავემგზავრეთ საინგილოში 1944 წლის 13 ოქტომბერს სახემწიფო ქართლ-კახური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ორი კონცერტის ჩასატარებლათ, რომლის რიცხვი შევამცირე, 16 კაცს შეადგენდა - მომღერლები, სოლისტები, მეფანდურეები, მოცეკვავეები და დამკვრელები. პროგრამა, რითი მივდიოდით და სიმღერები წინასწარ იყო გასინჯული ხელოვნების სამ[მ]ართველოდან და ფილარმონიიდან. პროგრამაში არჩეული იყო ძველი ქართლ-კახური სიმღერები, ზოგიერთი სამამულო ომის დროს გმირებზედ შექმნილი, ქართველებზედ, ხალხური სიმღერები. პროგრამა მრავალფეროვანი იყო.

პირველი კონცერტები მივეცით, როგორც გზად მივდიოდით, ლაგოდეხის კოლმეურნეობაში და მის შემავალ მეურნეობებში. შრომაში 2 კონცერტი. ლაგოდეხიდან გავემგზავრეთ ბელაქანში, ეს უკვე პირველი ქალაქია საინგილოში. ქალაქის კლუბში ჩატარეთ 1 კონცერტი, მის რაიონშიც ითითალაში 1 კონცერტი, იმავე სოფლის კოლმეურნეობაში 3 კონცერტი, რისთვისაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ დიდათ ხელი შეგვიწყო და მადლობის ნიშნად იქ სასადილოები არ იყო და თითონ გასცეს განკარგულება, ყოველდღე სურსათს გზავნიდნენ, სადაც ვიმყოფებოდით. აქედან გავემგზავრეთ ქ. ზაქათალაში.



ქალაქმა მოითხოვეს 2 კონცერტი. ჩაუტარეთ რაიკომის თხოვნით ამხ. საფაროვისა. შემდეგი კონცერტები ალიაბადში, 4 კონცერტი: დიდი კოლმეურნეობაში სტალინის სახელობის, ილიჩის, აგროვისა, რევოლუციის. ალიაბადიდან გავემგზავრეთ კახსა და მის მეურნეობებში. კახში 1 კონცერტი და მის მეურნეობებში - 3. დავრჩით ორი კვირა სუ, ჩავატარეთ 15 კონცერტი და დავბრუნდით თბილისში, რის შედეგადაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ - ვალერიან ბაქრაძემ¹⁰⁶ - შემომთავაზა 44 წელში, სამამულო ომის დროს, იუბილეთი დაგაჯილდოვებთ ასეთი ადგილების მომსახურეობისათვის, თქვენი ერთგული შრომისათვის. მე უპასუხე: დიდი მადლობელი ვარ. ასეთი სისხლი იღვრება საბჭოთა კავშირში და მეც ერთი ვაჟიშვილი მყავს, ისიც ფრონტზედ ებრძვის პირსისხლიან ფაშისტებსა და რა გულით შემიძლიან დაგეთანხმოთ იუბილეს გადახდას, მე მხოლოდ ერთსა გთხოვ, ანსამბლის წევრებს სამოქალაქო ტანსაცმელის ორდერები მოგვცეთ, რომ წესიერათ ჩაიცვან, ძალიან ნაკლებათ აცვიათ და მრცხვენიან, სხვა ქალაქებში რომ ჩავდივართ. მან მიპასუხა: ხვალიდანვე მომეცით სია, სადა რა გიჭირთ და სიამოვნებით აგისრულებთ თხოვნასო.

მართლაც, შევადგინეთ 40 კაცი და ქალის ტანსაცმელის სიები. საცვლებიდან პალტოებამდის შეიმოსა გუნდი ძალიან დაკლებულ ფასებში. ეს ისეთი დაუვინყარი დახმარება იყო იმდროს, რომ ორდერებით ძლივს ხალხი თითო რამეს შოულობდა, ჩვენ კი საუკეთესოთ გამოვანყე ანსამბლის წევრები.

106 ვალერიან ბაქრაძე (1901-1971) - პოლიტიკური ლიდერი; 1924 წლის აგვისტოში მონაწილეობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ლელო ჩიქოვანის რაზმის წინააღმდეგ ბრძოლაში; 1937-1947 წლებში - საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.



1944 წ.

ყაზბეგი

მეცხვარეების გაცილება კასპიის ზღვის ნაპირებზედ, საზამთრო საძოვრებზედ.

194 კულტსაგანმანათლებლო განყოფილებაში დაგვავალა, მათი გასტუმრების დღეებში მომსახურეობა გაენია, კონცერტები ჩაგვეტარებინა მათთვის ჩემი ხელმძღვანელობით ქართლ-კახურ სახემწიფო ანსამბლს. სამი დღე დავეყეთ ყაზბეგში 35 კაცის შემადგენლობით. ერთი კაციც გაზეთ „კომუნისტიდან“, ფოტოკორესპოდენტი ამხ. გინზბურგი. მათთვის განსაკუთრებული პროგრამა მქონდა შედგენილი როგორც სახუმარო შაირები, ისე საბჭოთა გმირებზედ, სამამულო ომის გმირებზედ, აგრეთვე ხალხური ძველი სიმღერები, რომლითაც მეტათ კმაყოფილებიც დარჩნენ ჩემგან¹⁰⁷ ისინი.

შევასრულეთ სიმღერები:

სიმღერა ბუხაიძეზედ, ტექ. ი. აბაშიძის, დამუშ. თამარ თარხნიშვილისა;

სიმღ. ლ. ლურსმანაშვილზედ, ტექ. აკადემიკოს გ. ლეონიძე¹⁰⁸;

საქ. პირველი გმირი ვ. ნანეიშვილზედ, ხალხური;

სიმღ. ი.ბ. სტალინზედ, ხალხური;

ქართველ მხედრებს, ტექ. ლეონიძის, დამუშ. ლოლობერიძის;

107 ტექსტშია: ჩენგან.

108 გიორგი (გოგლა) ლეონიძე (1899-1966) - მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. საქართველოს სახალხო პოეტი, აკადემიკოსი.



სახუმარო ქალ-ვაჟთა კახური ხალხური შაირები და სხვა მრავალი ხალხური სიმღერები.

დიდი კმაყოფილები დავტოვეთ ისინი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ბევრი ვინვალეთ, სასტუმრო არ იყო წესიერი, არც ჩვენი რაოდენობით ვთავსდებოდით მე და ჩემი ორი შვილი, ვანო და თამარით. ექიმმა ქალმა - ოლია ჩოფიკაშვილმა - გვისტუმრა მხოლოდ მოცეკვავე ვაჟებს. თითო კრაოტზედ განდაგან სამ-სამი ინვენენ. ასეთი შემთხვევითი გაჭირვების გადატანა მოსაგონრად კი სასიამოვნოც არის ხოლმე ზოგჯერ. ფოტოკორესპოდენტმა ჩუმათ გადილო სურათი, ერთ კრაოტზედ ოთხს რომ ეძინათ და ჩაუტანა ხატიაშვილს ვალერიანს¹⁰⁹, მისი ხაზით ვიყავით გაგზავნილები.

1946 წელი

ორთაჭალა, ორთაჭალის ბალი

ალექსანდრე გოგუას (ბალის დირექტორი ორთაჭალის)

მიმინვია ჩემი გუნდით 1946 წ. იმ დროს ძალიან, ძალიან ცუდათ ლებულობდნენ, ახალგაზრდობა, ვინც არ უნდა მისულიყო კონცერტის ჩასატარებლად, თითქმის ყველას უყვიროდნენ და ქვების სროლით უმასპინძლებოდნენ. ერთხელ:

მედუდუკეთა ხელმძღვანელობით კონცერტი იყო დანიშნული. პირველ განყოფილებას ქვა ესროლეს,

109 ვალერიან ხატიაშვილი - 1946 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე.



მოარტყეს სახეში, დუდუკი დააგდებინეს ხელიდან. დაუშვეს ფარდა. შეწყდა კონცერტი.

მეჩონგურეთა ანსამბლმა დანიშნა იქ კონცერტი. იმათაც ისევე გაუმასპინძლდნენ, გასროლილი ქვები მოხვდათ ხელებში ფანდურების დამკვრელებს, ჩაიშალა კონცერტი. დიდი უსიამოვნება მოხდა.

სუკიასთვის ჯგუფის კონცერტმაც ასეთი ბედით ჩაიარა: პირველ დუდუკს დაუმიზნეს და ტურჩებში მაარტყეს ქვა, მოცეკვავე ქალს ფეხის კოჭში სისხლი ადინეს. დადგა ჩემი რიგი.

ჩემმა ადმინისტრატორმა - ჟორა დაფქვიაშვილმა გამოაცხადა: დღეს თქვენ გესტუმრათ თქვენთვის საყვარელი მომღერალი მარიამ თარხნიშვილი თავისი გუნდითო. იმედია, წესრიგს თქვენ თვითონ დაიცავთ, რომ მომღერალმა უფრო მეტად გასიამოვნოთო. აინია ფარდა და ტაშითა და ვაშას ძახილით შეგვხვდა მრავალნაციონალური მაყურებელი. პირველი განყოფილების დამთავრებისთანავე შემოდის ბალის დირექტორი ამხ. გოგუა და გვილოცავს, ასე კარგათა და მშვიდათ მოგისმინათ ხალხმა. მიკვირს, როგორ მოაჯადოვეთო, ამათი შიშით ველარავინ მოდის კონცერტის ჩასატარებლადო, რომ ქვებით არ გაუმასპინძლდნო. ძალიანა გთხოვთ, მალე კიდევ მობრძანდითო, ჩაგვიტარეთ კონცერტი, ეგებ მოარჯულოთ ეს ხალხი, ასწავლოთ მოსმენა და ხელოვნების ფასიო.

დიდი მადლობა გადაგვიხადა ჩვენც და მაყურებელსაც დირექტორმა.



1947 წელი

გიორგი ვარდიაშვილის გადმოსვენება
მოსკოვიდან, 1947 წ.

გიორგი ბართლომეს ძე ვარდიაშვილი ქართლ-კახურ გუნდში მოვიდა მომღერლად. 1923 წელს მომღერლად მეორე ხმა ჰქონდა, ჩვენი ანსამბლი რვა კაცისაგან შესდგებოდა. მეორე ხმით მღეროდა ჩემთანაც და ჩემს და ეკატერინესთანაც. 1947 წელში სოვნარკომის დადგენილებით მოსკოვში გაგვამგზავრეს. იქ რამოდენიმე კონცერტი ჩავატარეთ: კავშირების ზალაში, ერმიტაჟის თიატრში. კონსერვატორიის დიდ დარბაზში ძალიან დიდი შეხვედრა-მიღება გვქონდა. ასე რომ, დიდათ კარგათ მოვიარეთ. დეკემბერი იყო, ამხ. ფილიპე მახარაძის განკარგულებით ნაბძანები იყო, ეს ხალხი არ გამიცით და მატარებელი გამთბარი იყოსო. ძალიან სიცხე იყო ვაგონში, ვარდიაშვილთან ძალიან მხიარულად ვიმგზავრეთ, ბევრს ოხუნჯობდა. ასე რომ, საერთოდ, 25 წლის განმავლობაში ძალიან ერთგულად და კეთილსინდისიერად მუშაობდა. ბოლო წლებში დაავადდა, ეჭვობდა კიბოზედ. ჩვენ ამას უქარწყლებდით, ამბობდა, მარი ესტაფოვნას არა სჯერავს ჩემი ავადმყოფობაო, მანამდე არ მოვკვდები, არ შემობრალებთო. ერთ რეპეტიციაზე დიდი დაღონებული მოვიდა, ფიფიამ გამსინჯა და ასე მითხრაო, მოსკოვში უნდა წახვიდეო საექიმოთო. მიხვდა, რომ მის თავს არ იყო კარგი მდგომარეობა. ნავიდა, თან ნაიყვანა და, ცოლი და ძმა, ოპერაცია იქ გაუკეთეს, მაგრამ, საუბედუროთ, გადაჰყვა, გარდაიცვალა.



შემატყობინეს და მთხოვეს დავხმარებოდი, დაუნ-
ვავად გადმოსვენებაზედ. ძალიან ბევრი ვინვალე,
მანც მივალნიე, ნებართვა აუღე და გადმოსვენ-
ნეს თვითმფრინავით და აქ თავის მინას მიაბარეს.
1947 წელის დეკემბერში დაასაფლავეს კუკიის სა-
საფლაოზედ. დამარხვას ვერ დავესწარი, რადგან
ბევრი შრომა, სიარული დამჭირდა ნებართვის-
თვის, გავცივდი და ორი კვირა სიცხიანი ვინქეი,
მწუხრები სანახავათ მოდიოდნენ¹¹⁰.

1948 წელი

ალექსანდრე ყაზბეგის იუბილე, კონცერ-
ტები ბორჯომსა და ჭიათურაში

ასი წლის თავზედ ყაზბეგში 1948 წ. დილის 10
სათზე გამოაცხადა ფილარმონიის დირექციამ, სა-
ხემწიფო ანსამბლი მარო თარხნიშვილის ხელმძღვა-
ნელობი თ უნდა გაემგზავროს ა. ყაზბეგის ასი წლის
თავისათვის ყაზბეგში ხელოვნების საქმეთა სამარ-
თველოს უფროსის, ამხ. შადურის, განკარგულებით
ზეიმზედ მონაწილეობის მისაღებათო, სთქვა ვ. მურ-
ღულიამ. დილით ავტობუსები დაგიხვდებათ ფილარ-
მონიაში და აქედან გახვალთ 10 სათზე დაუგვიანებ-
ლადო. რა თქმა უნდა, დავემორჩილეთ ბრძანებას.
გამოვცხადდით დილის 10 სათისთვის, მაგრამ მხო-
ლოთ საღამოს 6 სათზედ გაგვისტუმრეს. თუ რა-
მე საგზალი მიჰქონდათ ანსამბლის წევრებს, მთელი
დღის ლოდინში შემოეჭამათ ხელზედ და მხოლოთ

110 ფილიპე მახარაძე გარდაიცვალა 1941 წელს; ამგვარად, აქ ან თარიღია არაზუსტი, ან ფილიპე მახარაძეა არასწორად დასახელებული.



ფასანაურში ღამის 10 სათზედ ვიყავით. ვინაიდან შემოდგომა, ოქტომბერი იყო, ჯანყი იყო ძალიან, რისთვისაც მანქანებს ძალიან გაუჭირდათ სიარული და ტურბაზაში შევჩერდით. არ უნდოდათ ჩვენი მიღება, რადგან ლოგინები უკვე ნავტალინში ჰქონდათ, სეზონი დამთავრებული იყო ტურისტული მოგზაურებისა. როდესაც ადმინისტრატორმა ანსამბლისამ ამხ. ოთარ მაჭავარიანმა უთხრა, ამ ანსამბლის ხელმძღვანელი მარო თარხნიშვილიაო, მაშინ დირექტორმა დიდი ბოდიში მოიხადა უარის თქმაზედ და საჩქაროთ მოაყვანა ბულალტერი, თავიანთ ხელით გაშალეს ოცდათვრამეტი ხელი ლოგინი, რისთვისაც მე ჩემი საკუთარი თანხით სამასი მანეთი გადაუხადე და ხალხი მოვათავსე, რაც ფილარმონიამ საჭიროთ არა სცნო იმ თანხის მოცემა ჩემთვის. დამნაშავენი კი თითონ იყვნენ, მთელი დღეც ფილარმონიაში გადაგვალაღეს. მეორე დღეს, დილით 11 სათზედ, გავემგზავრეთ ყაზბეგში, რაც ეხლაც არ მავინყდება, სამხედრო გზის სილამაზეში მძივივით იყო გადაბმული თბილისიდან მიმავალი მანქანები როგორც სუბუქი, ისე საბარგო მანქანები და საიუზტრანსის დაუვინყარი სილამაზე იმ დიდებულ ბუნების ნიაღში. მგზავრობა, საერთო მხიარულება და ერთი მიზნით მგზავრობა მრავალრიცხოვანი ხალხისა.

დღის 1 სათზედ შეიკრიფა ხელმძღვანელობა: თბილისიდან ჩასული ზ. კეცხოველი, რ. შადური და მრავალი სხვები. ვ. ხატიაშვილი, ნატო ვაჩინაძე¹¹¹, გ. ლეონიძე, ირ. აბაშიძე, მწერლები და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ნავედით იქ, სადაც ცხოვრობდა ა. ყაზბეგი. მის ყოფილ ბინაში გაიხსნა საზეიმო ვითარებაში მისი სახელობის სახლ-მუზეუმი. იქიდან რომ

111 სხვაგან ახსენებს ასევე: შ. კეცხოველსა და თამარ აბაკელიას.



დავბრუნდით, ჩვენთვის გამართულ ესტრადაზედ დავინწყეთ კონცერტი. ზღვათ მონყვეტილი ხალხის თვალი გვიყურებდა. ეს იყო მოედანზედ გამართული ჩვენი მუშაობა, დაავინყდათ აქაურ მთავრობას და ადრე გაეშურნენ სასადილოში, ჩვენ კი კონცერტის დამთავრების შემდეგ, სალამოს 7 სათზედ, უკვე ბინდდებოდა. მთელი დღის მშვივრები დავბრუნდით თბილისისკენ. გზაში გაგვითავდა ბენზინი მანქანებში. ღამის 2 საათია, ვდგევართ ორი მანქანით 38 კაცი ნატახტარზედ. ვინ მოგვცემს ბენზინს, ყველა იქიდან ბრუნდებიან, აღარავის აქვს ზედმეტი. გათენებისას თბილისიდან მომავალი სამხედრო „სუდაბეკერი“, შემოგვხვდა და მხოლოთ იმან ჩაგვისხა ბენზინი და 4 სათზე ჩამოვედით დილისა თბილისში. ასეთი ტანჯვის ბევრჯერ გვიხდებოდა მგზავრობაში გადატანა, რადგან მე არ შემეძლო ძალადობით მოხვედრა სუფრაზედ. აქა თუ იქ მაინც ტკბილათ მაგონდება ა. ყაზბეგის ასი წლისთავი. როდესაც მის ძეგლთან ვიმღერე მის საპატივცემულოთ. ასე რომ, დღენახევარი სიმშვილობა ანსამბლისა შეეძლო ხოლმე საერთო საქმისათვის და ჩემი პატივისცემით მოეთმინათ.

როდესაც მანქანაში ჩავსხედით და შოფერს ველოდით, 7 სათზედ ბინდდებოდა, რესტორანში ვილაცხას გაეგო, რომ თარხნიშვილმა დიდი ხანია დაამთავრა კონცერტი და უკვე მანქანებზედ დასხდნენ, მიდიანო. გამოგვიგზავნეს კოჭლი კაცი (კასტილით) ყავარჯენით და გვთხოვენ, მობრძანდითო სადილათო. ისეთ დროს, როცა კარგათ თვრალეზიცი იყვნენ, თუ ჩვენ შევიდოდით დაბინდებულზედ იმ ღამეს, ალბათ ცის ქვეშ დავრჩებოდით. ამ დროს მე ძალიან გული მომივიდა და იმ კაცს უპასუხე, შენ ვინა ხარმეთქი, შენს მეტი კაცი ვერავინ ნახეს ჩვენს მოპა-



ტიყოთა? მან მიპასუხა, რაიკომის ინსტრუქტორი ვარო. ის რომ გაბრუნდა, მეორე მდივანი მოვიდა: ამხ. მარო, დარჩენილიყავით, კარგი იქნებოდაო, მე უპასუხე, ძალიან გვიან მოგაგონდით, ის ხალხი, ვინაც მოემსახურა თქვენს რაიონს, დიდი მადლობელი ვართ.

ამ დროს ანსამბლის წევრები მანქანიდან მეძახიან: მარო ესტაფოვნა, თქვენი ჭირიმე, რადგან ასე უპატივცემოთ მოგეკიდნენ თქვენ და თქვენ თანამშრომლებს, სამი საათია ეგენი ქეიფობენ და ჩვენ კი გვიღამდება, არ დათანხმდეთ დარჩენას, როგორც იქნება, ჩავახწვეთ თბილისამდეო. რომ შეხედა რაიკომის თანამშრომელმა თავიანთ დანაშაულს და მეც დიდი მადლობა გადაუხადა ასეთი ყურადღებისთვის, დარჩა ადგილზედ უხერხულ მდგომარეობაში. ჩვენ წამოვედით.

გადაგვეწვა მანქანის წინა ელნათურა. სწორი გზა ველარ გაარჩია შოფერმა და კანაოში ჩააგდო ერთი გვერდი, გადამივარდა ერთი მომღერალი აკაკი დოგვაძე. გავაჩერეთ მანქანა. გადმოვედით, ის იცინოდა, კიდევ კარგი, რბილ ადგილზედ დავარდიო, ესე სთქვა იმიტომ, რომ მე არ შემშინებოდა, თორემ მუხლი ეტკინა, ერთი კვირა სიარულს უშლიდა. იმის მერე ჯიბის ფანარი მქონდა თანა და ხელი გადავყავი იქ, რომ შევჩერდით. ყველა ჩვენს უკან მანქანები კიდევ შეჩერდა. ჩვენ მომდევარ მანქანებს გაეგოთ ვითომდა, კაცი გადმოუარდა თარხნიშვილსაო მანქანიდან და დაშავდაო. ვისაც კი ყური მოეკრათ ჩემი გვარისათვის, თავს შემოგვეხვივნენ შოფრები და მანქანაზე მჯდომი ინტელიგენცი, საქართველოს ჩაის ქარხნის ინჟინრები, გვნახეს რომ მშვიდობა იყო და ერთიერთმანეთს არ აცლიდნენ. მოგვიტანეს ელნა-



თურები და გამოვემგზავრეთ მთელი ეშელონივით გადაბმული მანქანებით თბილისისაკენ. ნატახტარში კი ისევ დგომა მოგვინია, სანამდის ბენზინს ვიშოვი-დით დილის 4 სათამდე.

* * *

ანსამბლს 4 თვის ხელფასი არა ჰქონდა მიღებული, 1948 წ.

ანსამბლისათვის ოთხი თვის ხელფასი არა მიქონდა მიცემული, რადგან მე შემთხვევით ფეხი გავიტეხე 1948 წლის 24 მარტში, იმის მიზეზით ორ თვე-ნახევარი მომინია ლოგინზე წოლა. რომ ავდექი, მიჭირდა სიარული ოთახშიც კი, სანამდის ყავარჯენზედ მივეჩვევოდი სიარულს. ორი კვირის შემდეგ ყავარჯენითვე გავემგზავრე დასავლეთ საქართველოში, პირველი კონცერტი დანიშნული იყო ბორჯომპარკში. ბორჯომიდან ჭიათურაში, სხვიტორში აკაკის სახლიც ვინახულეთ. ექვსი დღით პირველი კონცერტი სახ. თიატრში ჩავატარეთ, ხოლო ხუთი კონცერტი კი მაღაროებში, ლენინის სახელობის, სტალინის სახელობის და სხვებგან.

წარმოიდგინეთ, თუ რა ტანჯვით მოვიარე ის ადგილები ყავარჯენით, კლდეები ასიპებული, გზები, სადაც მანქანა ვერ მიუდგებოდა და ფეხით მივიდოდით ხოლმე. მე არ მეშინოდა მუშაობისა, რადგან დავალიანება იყო ანსამბლის ხელფასებისა, გუნდის წევრები მიჯანყდებოდნენ, უხელფასო ყოფნა მობეზრდათ და სწორეთ ის იყო მიზეზი, დასასვენებლად წასვლის მაგივრად გაუდექი გზას ნაავადმყოფარი, რათა მალე მიმეცა ხელფასები, რითაც შევინარჩუნებდი ანსამბლის წევრებს.



ეს ასეც მოხდა. თვეში 24000 მ. სჭირდებოდა ჩემი ხელმძღვანელობით 35 კაცს ჯამაგირი, რომელსაც ერთ კვირაში ერთი თვის ხელფასსა ვფარავდი და დღიურ ხარჯებსაც ვასწორებდი. მაგრამ ის კი იყო, რომ ჩემი და ეკატერინეს ჰქონდა სისხლის წნევა მაღალი, რამაც გზაში ქიათურაში უნია და იძულებული გავხდი, სასტუმროში მე თითონ გავწიე ექთანის მოვალეობა. მოვკიდე წურბლები, დავანვინე სასტუმროში და ჩემი ქალიშვილი თამარის ვტოვებდი მასთან, რადგან მარტო მისი დატოვება არ შეიძლებოდა. 5 დღე იწვა, არავის არ შეუტყვია მისი ავადმყოფობა. ვმაღავდით, რადგან მის ავადმყოფობას, რაც სჭირდებოდა, იმას მე თვითონაც უკეთებდი. წარმოიდგინეთ, მე თითონ ფეხგატეხილი, იმდენი ხნის ნანოლს, რამდენი გასაჭირი დამემართა გზაში, ორი საუკეთესო სოლისტები კონცერტებში ხუთი დღე მონაწილეობას ვერ იღებდნენ. სამაგიეროთ, მე ორმაგათ მიხდებოდა პროგრამაში მუშაობა, რათა დამსწრე საზოგადოება უკმაყოფილო არ დაბრუნებულიყო კონცერტიდან. მათი გამოკეთების შემდეგ განვაგრძეთ კონცერტები.

1949 წელი

კონცერტები ბოლნისში, ზუგდიდსა და ოჩამჩირეში

ბოლნისის საზაფხულო ესტრადაზედ ჩავატარეთ კონცერტი. ერთ საღამოს, ივნისის მთვარიანი ღამე იყო, საერთოთ, ბოლნისში ძალიან ბევრი ვარდების



ხეივანი იყო იმ წლებში და ბულბულებიც იქ ძალიან ბევრი ბუდობდა. ჩემი კონცერტის მეორე განყოფილებას ყოველთვის თითქმის შუქს ვაქრობდით ხომე, სცენის გარედან „ურმულს,, ვმღეროდი და ისე შემოვდიოდით სცენაზედ.

სცენა ღია ესტრადის რაკოვინაზედ აუარებელი ბულბულები შემომსხდარიყვნენ და ისე ამყვნენ სიმღერაზედ, რომ ხალხმაც იგრძნო და მეც ორჯერ განგებ შევჩერდი, ისინიც გაჩუმდნენ. როდესაც აინთო ჩამქრალი სცენა და სიმღერა შეწყდა, მაშინ აფრინდნენ. ეს ისეთი სენსაცია იყო, რომ ხალხი ხან მე შემომცქეროდნენ და ხან ბულბულებს მიშჩერებოდნენ ღიმილით. გაოცებულები და დიდი გახარებულები იყვნენ ამ ლამაზი შეჯიბრების დამსწრენი.

ეს მეხსომება, სანამდე ცოცხალი ვიქნები.

* * *

„ზუგდიდში გასტროლზედ ყოფნის დროს,
1949 წ.“

დასავლეთ საქართველოში ყოველ ზაფხულში მიხედობდა გასტროლებზედ გამგზავრება ერთი ან ორი თვით. უფრო ხშირად საკუთარი ვაგონით, რომლითაც ნაკლები ხარჯი მიჯდებოდა, თვეში რვა ათასი მან. ვიხდიდი; სასტუმროც არა გვჭირდებოდა, მონყობილი ვიყავით სანოლებით და სამზარეულოთიც.

ჩავედით ზუგდიდში ერთი კონცერტით, საზაფხულო თიატრში ჩატარდა კარგათ, შემოსავალიც დიდი იყო. კონცერტის დამთავრების შემდეგ სალაროში ანგარიშის გასასწორებლად უნდა დარჩენილიყო ადმინისტრატორი ლადო ბაძალუა, მაგრამ რადგან ჩვენზედ ადრე იმან შეამჩნია ვილაც უცნობი ახალ-



გაზრდა ადევნებული სდევდა, ძალიან შეშინებულმა გვთხოვა მეცა და ანსამბლის წევრებსაც, რომ დაგვეცადნა და ერთად წავსულიყავით ბალიდან საზამთრო თიატრში დასაძინებლად, რადგან სასტუმროში რემონტი იყო. გათავდა ანგარიში სალაროში, შემოსავალი 5000 მ. იყო.

ბალიდან ერთად წამოვედით მთელი გუნდის შემადგენლობა ჩემთან ერთად. ადმინისტრატორი მოვიყენე გვერდში, ირგვლივ ანსამბლის წევრები მოგვდევენ; შავი სატინის ხალათში ახოვანმა ახალგაზრდამ აღარ იცოდა, საიდგან მისდგომოდა ადმინისტრატორის პორთველს, ხან წინ მიდიოდა, ხან უკან ჩამორჩებოდა. არ მივეციტ საშუალება პორთველის გატაცებისა. მივედით თიატრში, თიატრს მხოლოდ ერთი კაცი ჰყარაულობს, გამოიძახა, შემოვიდა, კულისებში დაინყეს მეგრულათ ლაპარაკი. ჩვენ არ გვესმოდა მეგრული, ყარაულმაც აიღო ხანჯალი, შემოიკრა, ნაბადი წამოისხა. ჩვენი ხალხი საფენებს შლიდნენ, საძინლათ ემზადებოდნენ და ცალი თვალით იქით იყურებოდნენ, ვითომც არ ამჩნევდნენ, ანსამბლში ისეთი ვაშკაცები გვერივნენ, რომ საიმედო მდგომარეობაში ვიყავით, მაგრამ მიზეზს ელოდნენ. მე არ მინდოდა, რაიმე უბედურება მომხდარიყო და მე გადუდექი კარებში და შევეციტხე: თქვენ ვინა ხართ ან რა გნებავთ-მეთქი? ჩვენ დალლილები ვართ და მიბრძანდით ეხლავე აქედან, ჩემი გუნდის წევრებიც ყადებივით მადგნენ თავზედ. დალუნა თავი და გაბრუნდა, მხოლოდ გაიყვანა ყარაული თან. მე იძულებული გავხდი მელიციისთვის მეცნობებინა. ავიღე ყურმილი, დავრეკე, აუხსენი მდგომარეობა. მიპასუხა მორიგემ: დამშვიდდით, ჩვენ გაიხლებით მთელ ღამეს, მილიციას გარს შემოვარტყამთ შენო-



ბასო. ვიცით, ეგ ვინც არის, სამი თვეა გამოქცეულია ციხიდანო. მართლაც, 5 წუთში მორიგე მაიორი მილიციისა ათი კაცით გარს შემოერტყა თიატრს, ყარაული შემოაგდეს შიგნით და გვითხრეს, გასაღები თქვენ შეინახეთ, არავის გაულოთ, ჩვენ აქ ვიქნებით დილამდისო. მართლაც, დავმშვიდდით, დავიძინეთ, ერთ შემთხვევაში სროლაც გაჩაღდა, მაგრამ ბოლოს დაიჭირეს და დააპატიმრეს.

დილით ჩვენ გავემგზავრეთ მეორე პუნქტზედ ქ. ფოთში. ასეთ შემთხვევებში მე არ ვიცოდი იგი და არც ვიკარგებოდი, მაგრამ, რასაკვრელია, შეუმჩნევლათ ვიტანდი ნერვიულობას, რომ ანსამბლს არაფერი შემთხვევა არ დამართოდათ. მართლაც, სრული 40 წელი ისე ვიმოგზაურეთ ხშირათ მიუვალ ადგილებშიც, რომ ცუდი არაფერი არ დაგვმართვია, მიუხედავათ იმისა, რომ ქალი უდექი სათავეში. იმ დროს არ იყო ისე, როგორც ეხლაა: დირექტორი, მოადგილე, დირიჟორი, ადმინისტრატორი და მისი წინაკაცი. იმ დროს კი მე ვასრულებდი ყველას მოვალეობას, მყავდა მხოლოთ კონცერტების მგეგმავი, იგივე მომლერალი და მე ყველაფერს ჩვენ თავზედ ვივალებდი, საქმე კარგათ მიდიოდა.

* * *

„ოჩამჩირეში 1949 წელი აგვისტოში“

საკუთარ მატარებლით ვმოგზაურობდით 40 კაცის შემადგენლობით ქართლ-კახური სახემწიფ. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ჩემი ხელმძღვანელობით 2 კვირა ზუგდიდში, 2 კვირა გალში, 2 კვირაც ოჩამჩირაში. ამავე წლის 13 მარტს ჩემი ქმარი, რომელიც ჩემი დიდი პატივისმცემელი იყო, ჩემი და



ჩემი შვილებისა, გარდაიცვალა. მე, ხალხის სამსახურში ჩაბმულმა, დავეთანხმე ფილარმონიის ულტიმატივს და მათ მოთხოვნილების გეგმის შესრულების მიზნით მაინც ჩემი კერძოთ დარდი და მწუხარება არ გაითვალისწინეს, ხალხური „თქმულებაა“: „სხვისა ქირი ღობეს ჩხირიო“. მეც მომექცნენ სწორეთ ისე.

თვენახევრით ვიქირავე ერთი ვაგონი და წავედით. თქვენ წარმოიდგინეთ, ოდნავ მაინც იმ დროს ჩემი ნლოვანება და მწუხარება. ყოველ დღე კონცერტები, საბარგო მანქანებით სიარული, ღამე ისევ ვაგონში დაბრუნება, რამდენად დამქანცავი იქნებოდა ჩემთვის. მაგრამ ყოველმხრივ ვცდილობდი, გუნდის წევრებს ხელფასები არ დაგვიანებოდათ და სახემნიფო საქმე არ ჩამეშალა ჩემი პირადი საქმისათვის.

ერთ ღამეს ოჩამჩირაში მთელი თვის მოგზაურობის დაღლილობის გამო ღამის 2 სათხედ გულმა ველარ შესძლო მწუხარებით ტირილი, მუშაობა და იმავე დროს კონცერტებზე სიმღერა. გულის შეტევა დამემართა ძლიერი, ჩემს ცხოვრებაში პირველად. გუნდის წევრებმა, რა თქმა უნდა, გაიღვიძეს, ყველა ფეხზედ დადგნენ, სასწრაფოთ სადგურში მიაკითხეს რკინიგზის ექიმი, რადგან ვაგონი იქვე გვეყენა, სოფლიდან ვინ გამოჰყვებოდა. იქიდან ახრანიკი გააყოლეს და მოიყვანეს ექიმი, რომელმაც კაფარა გამიკეთა, ვალედოლი მომცა და იმით გადამარჩინეს. იმ ღამეს ანსამბლის წევრებისა და ჩემი შვილი თამარას ტირილი თურმე საშინელი გასაგონი იყო! მეორე დღეს ისევე გავაგრძელეთ ჩვენი საქმიანობა გეგმის მიხედვით. ის იყო ჩემი იმედი, რომ ჩემი ქალიშვილი თამარი მიდგა გვერდში და იმის იმედით ვაგრძელებდი. ისეთი მწუხარე ვიყავი, მეუღლის დაკარგვა ძნელი ყოფილა და მე მაინც ფილარმონია



დაუნდობლად მეკიდებოდა, რადგან შემოსავლიანი იყო სხვაზედ გაცილებით ჩემი ანსამბლი.

* * *

მეორე დღეს ისევ გაგრძელდა ჩვენი მუშაობა. გალში ყოფნის დროს ჩვენ გაგვიშვეს ჩაის სოფ-ხოზში, დაშორებული იყო სადგურიდან 30 კილომეტრზედ, სადაც ჩვენი ვაგონი იყო გაჩერებული, იმ ღამეს ჩაუტარეთ კონცერტი. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ნერვიულ მდგომარეობაში კონცერტები ძალიან კარგათ, ხალისიანათ ტარდებოდა. მე მგონია იმიტომ უფრო ცდილობდნენ ჩემი მომღერლები, რომ მე ძალიან დიდი ავტორიტეტით ვსარგებლობდი, [...] უყვარდი ყველას, როგორც ნამდვილი დედა, მზრუნველი, ყოველ გაჭირებაში გვერდში უდექი ხოლმე. ერთი სიტყვით, ცდილობდნენ, არ ჩაშლილიყო მუშაობა. იმ ღამეს ჩამაბარეს კონცერტის ღირებულება /4000/ ოთხი ათასი მანეთი და ვახშმათ დაგვტოვეს. მიუხედავათ იმისა, რომ მე არასდროს არ ვახშმობდი, ჩემი თანამშრომლების ხათრით ვრჩებოდი ყოველთვის. იქ დარი იყო, მხოლოთ გალში და მის ახლო სოფლებში დიდი წვიმა ყოფილა, ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს იმ ადიდებულ წყალში ცხენით გასვლის დროს დაეხრჩო. ჩვენ დაბრუნებამდის მოკლებული იყო მდინარე და კარგათ გამოვედით გრუზავიკებით დილის 5 სათზედ. რაიკომის მდივანს რომ გაეგონა ჩვენი ჩამოსვლა, ხმაურობა, მხოლოდ მაშინ დანოლილიყო დასაძინებლად, მეორე დღეს გავიგეთ მისი ასეთი ღელვა, ეს ხალხი აქ არ დაზარალდნენ, ჩემი რაიონში მე ვარ მათზე პასუხისმგებელიო. ეს იყო ამხ. ჭეჟია ანტიფო, რომელმაც იმ ორი კვირის მუშაობაში დიდი პატივისცე-



მით იყო ჩვენს მიმართ. ყოველ ღამე /4000/ მანეთს იხდიდნენ, დიდი ბანკეტებს მართავდნენ მილიონერი კოლმეურნეები, რითაც 4 თვის დავალიანება დავფარე ანსამბლისა.

* * *

„სერგოს გარდაცვალება, 19/III 49 წელს, 17/III“

სრულიად მოულოდნელად, 13 მარტს, დილით 9 სათ. სამსახურში რომ უნდა წასულიყო ჩემი მეუღლე სერგეი სოლომონის ძე ნადარეიშვილი, რომელიც არ ავადმყოფობდა, გარდაიცვალა გულის იმფაქტით. 17/III მივაბარეთ მიწას. ოჯახი მთლიანათ ხომ დამნუხარებულნი ვიყავით, მე კი განსაკუთრებით, გულის დაავადება და სისხლის მაღალი წნევაც დამემართა.

22/III მარტს, ესე იგი ხუთი დღის მნუხარეს ქალს დამინიშნეს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ისიდორე დოლიძემ¹¹² ანსამბლის გასინჯვა, ვინაიდგან ახალი დანიშნული იყო იმ თანამდებობაზედ; არ გამიწიეს ანგარიში ჩემი მნუხარებისა. ჯერ თვალები ისევ დასიებული ტირილით და ცრემლით, აუცილებლად უნდა გაისინჯოს თარხნიშვილის სახ. ანსამბლი და ფოცხვერაშვილის მეჩონგურე ანსამბლი. მე არც ფიზიკურად და არც მორალურად არ მქონდა საშუალება სცენაზედ გასვლისა. ამისათვის ჩემი ქალიშვილი თამარს უნდა ეხელმძღვანელა და ემღერა კიდევ სოლოები, როგორც ჩემს მოადგილე დირიჟორს. იძულებული გავხდი მეთხოვნა საშა პარტნოვისთვის მოსულიყო სახლში, ჩემს თანადასწრე-

112 ისიდორე დოლიძე (1915-1982) - სამართალმცოდნე, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (1954-1957).



ბით გაეკეთებინა ესტრადის კაბა ორ დღეში. დამდო დიდი ამაგი და გაუკეთა თამარს იმ ღამისთვის კაბა.

რუსთაველის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ორი გუნდის გასინჯვა: შ. ფოცხვერაშვილისა და ჩემი მრავალი ათეული წლების ნამუშევარი გუნდის გასინჯვა. ჩემი გუნდი, მოგეხსენებათ, რომ მამაკაცები მეტი რაოდენობით იყვნენ, ქალები კი ერთი მესამედი რიცხვი 40 კაცის შემადგენლობიდან. მათი ხელმძღვანელობა მეტად ძნელი იყო, რადგანაც მაშინვე გულმა მიგრძნო, ცუდ საქმეს მიმზადებდნენ ბოროტი ხალხი. უაკანპანიმენტოდ მიდის სიმღერები, დამოკიდებულია დირიჟორის „ტონის მიცემაზედ“, შესრულებისა, რთულია ქართლ-კახური სიმღერების ტონალობა, საკმაოთ უნდა იყოს ხელმძღვანელი დირიჟორი დაუფლებული ტონებში, რომ სიმღერები შესრულების დროს არ ნახდეს. მითუმეტეს, ქართლის სიმღერები იწყობა მაღალ ტონში და მთავრდება დაბალ ტონალობაში. თუ ის დაბალი ტონით დაიწყეს, ნახდება აუცილებლად. კახური სიმღერები კი უნდა დაიწყოს დირიჟორმა დაბალ ტონებში, რომ მთქმელმა, სოლისტების დიაპაზონმა, შესძლოს გემოვნებით დაგვირგვინება იმ რთული და ღამაზი სიმღერების შესრულება.

მე რომ ამით ვარ გამსჭვალული: სცენაზედ სიმღერა არ შეიძლება წაუხდეს კარგ მომღერალსა და კარგ დირიჟორს. ვშიშობდი, ასეთ ნერვიულ მდგომარეობაში თამარს მარცხი არ დამართოდა იმ კონცერტის გასინჯვის დღეს. მე იძულებულად ჩავთვალე ჩემი თავი, თიატრში მოფარებულად მივსულიყავი და მენახა ანსამბლის წევრები, გამეფრთხილებინა, ყურადღებით ყოფილიყვნენ დირიჟორის მიმართ და როგორც გამოცდილი მომღერლები,



ერთმანეთი გაეტანათ. რომ დამინახეს გუნდის ნევრებმა შავი ტრაურში ჩამოფარებული, საშინლათ ცუდად იმოქმედა მათზედ, მითხრეს, რატომ მობრძანდით, ქალბ. მარო, სიტყვას გაძღვეთ, ამაღამ ისე ვიმღერებთ მაგენის ჯიბრზედ, როგორც არასდროსო.

გავიდა გუნდი სცენაზედ და მშვენივრად შესრულდა სიმღერები. კომისია ტაშს უკრავდა ყოველ სიმღერაზედ. მე მგონია ასეთ დროს, როგორც ჩემი ოჯახი იყო დამნუხარებული, არც ერთი ერი არ მოიქცეოდა დამსახურებული ოჯახის მიმართ ისე, როგორც მე მომექცა ხელოვნების სამ[მ]ართველო (კულტურის სამინისტრო). მე რომ ის მცოდნოდა, რომ იმ წლის დეკემბერში ცეკას მდივანი რ. შადურის წინასწარ ჰქონდათ მოლაპარაკება ჩემი მრავალათეული წლების ნაამაგარი გუნდის დაშლა, რადგანაც ხელს უშლიდა სახემნიფო ანსამბლ შ. მშველიძის¹¹³ შემოსავლებს. ამისათვის იმოქმედეს ჩემი მნუხარების დროს ი. დოლიძისა, შ. მშველიძე, სახ. გუნდის დირექტორი და კ. პაჩკორია, გუნდის დირიჟორმა, შადურთან ცეკაში შეათანხმეს ჩემი ანსამბლის გაუქმება(!) და შეერთება მშველიძისა და პაჩკორიას გუნდში ჩემგან არჩეული ხალხის, იქ მათთან ჩარიცხეს, რომლებიც ეხლაც ჩემგან წაყვანილი სოლისტები ყავს გუნდში ანზორ კავსაძეს. მე და ჩემი ანსამბლის დიდი ხნის მოამაგე მომღერლები კი გაგვიშვეს საბალახოთ. დაგვტოვეს უმუშავრად; თუ არა საქართველოში, ეს არსად არ მოხდებოდა არასოდეს.

113 შალვა მშველიძე (1904-1984) - კომპოზიტორი, საქართველოს სსრ-ს სახალხო არტისტი; სტალინის პრემიის ლაურეატი და ლენინის ორდენის კავალერი.



მე როდესაც გონს მოვედი, მწუხარე, თვალცრემლიანი, სავადმყოფოში, ლეჩკობინატში ვინექი გულის შეტევით, რომ დავკარგე საყვარელი ქმარი და არანაკლებ ნამაგარი 1910 წლიდან გუნდი. შევეკითხე მოსკოვს, რა მიზეზით დაშალეს ამდენი ხნის ცნობილი ხალხური მომღერალი გუნდი, მივიღე მოსკოვის ცენტრალური კომიტეტიდან, რომ ჩემი ანსამბლის დაშლისა მოსკოვთან არ არის შეთანხმებული! ეს მოხდა ადგილობრივი ინტრიგის საფუძველზედ.

სულ მალე შევებრძოლე ჩემს თავს და რომ მტრის გულისა არ გავმხდარიყავი, სავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ მიმინვიეს საქ. სარენაო საბჭოს ორგანიზაციამ ანსამბლის ჩამოსაყალიბებლად. ძალიან ჩავარდნილი იყო იმათ კლუბში საგუნდო მუშაობა. დავთანხმდი, რადგან ჩემი ნატკენი გული ჩემი საყვარელი საქმიტვე ცოტათ მაინც მომებრუნებინა, თუმცა ძალიან მძიმე იყო ჩემთვის სახემნიფო ანსამბლის შემდეგ თვითმოქმედებაში გადასვლა მანდა, იმუამად ჩემი მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის, მაგრამ მაინც, როგორც ზემოთ ვწერ, ისევ ჩემი საყვარელი საქმეში ჩავკლამდი ჩემს დარდებს და დავიწყე 1950 წლის 1 იანვრიდან მუშაობა ც/კ სახლში სარენაო საბჭოსი.

ამჟამათ იმ ორგანიზაციის გაუქმების შემდეგ კულტურ. ცენტრალური სახლი ეკუთვნის ადგილ. მრენველობას და მე ისევ იქ ვმუშაობ ვოკალური ანსამბლის ხელმძღვანელად და მონაწილეთ. მოხარული ვარ, რომ მე არ ჩამოვშორდი ხელოვნებას და ჩემი ერთგული შრომისათვის მივახწიე მაღალ წოდებას ს.ს.რ. სახალხო არტისტის.



1950 წელი

თბილისის ზღვა, 1950 წ.

1950 წელს 4 სექტემბერს დიდი ზეიმით ცეკას მდივანმა კანტიტ ჩარკვიანმა¹¹⁴ გასჭრა ნითელი ლენტის და გადმოეშვა სამგორიში მოზღვავებული წყალი იორი, სადაც დაგროვდა დიდი აუარებელი მაცურებელი. იქვე ახლოს იყო N1 ესტრადა საკონცერტო, სადაც ლენტის გაჭრა და კახური „მრავალჟამიერის“, ხმაც შეუერთდა ხალხის სიხარულს, რომელსაც ასრულებდა ჩემი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ანსამბლი. ჩვენ შეგვცვალა სუბიშვილის და რამიშვილის ხელმძღვანელობით ანსამბლმა ცეკვისამ. ისინი შესცვალეს რუსთაველის თიატრის მსახ. თამარ ჭავჭავაძემ¹¹⁵, პ. კობახიძემ და სხვებმა. მათ შემდეგ ფილარმონიის მსახიობებმა, N2 ესტრადა და N3 მესამეზედ თბილისის სხვადასხვა გუნდებიდან სოლისტები სცვლიდნენ ერთმანეთს. მათ შორის ფოსტის მომღერალთა გუნდი 50 [კაცის] შემადგენლობით, ხელმძღვანელი თამარ თარხნიშვილი (ჩემი ქალიშვილი). ერთი სიტყვით, დიდი ხალისით და ზეიმით შეემატა ჩვენს დედაქალაქს კიდევ ერთი სილამაზე, რომლითაც მშრომელი ხალხი ისიამოვნებენ ზაფხულის დიდ სიცხეების დროს.

114 ვანდიდ ჩარკვიანი (1904-1994) - საქართველოს სსრ პარტიული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი 1938-1953 წლებში; ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

115 თამარ ჭავჭავაძე (1896-1968) - მსახიობი, თანამედროვე ქართული სასცენო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი; კოტე მარჯანიშვილის მოწაფე და მიმდევარი; საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.



1951 წელი

ახალი გუნდის ჩამოყალიბება კასპში

1951 წლის პირველი იანვრიდან კასპის რაიკომის დავალებით კასპში დამავალეს სიმღერის გუნდის ჩამოყალიბება, ადგილობრივი - კასპისა და მისი შემავალი რაიონების მასწავლებლებისაგან. თბილისიდან კვირაში ორჯერ დავდიოდი რეპეტიციებზედ. 60 ქალი და მამაკაცისაგან ძალიან კარგი გუნდი შესდგა. მომზადდა კარგი ქართლ-კახური სიმღერები. ვინაიდან თბილისიდან სიარული ცოტა ძნელი იყო, ერთი კონცერტი ჩავატარეთ თბილისში, მასწავლებელთა სახლში შეხვედრა მოგვიწყეს და კონცერტმა წარმატებაც მიიღო. მაღლობა გადაგვიხადეს და ვთხოვე განთავისუფლება იქიდან, რადგან ოლქის გუნდში მიმინვიეს სამხატვრო ხელმძღვანელად და დირექტორათ. ჩამაბარეს სამოცდა შვიდი კაცი საუკეთესო კონკურსის შემდეგ და დამინიშნეს ორმოცდა ათი ათასი მანეთი ხელფასები სახემწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლისთვის წლიური დოტაცია, რომელიც სტალინის სიკვდილის შემდეგ, ივლისის ბოლო რიცხვში გაუქმდა.

1953 წელი

ოლქის სახელმწიფო ანსამბლის ჩამოყალიბება

ოლქის დირექციამ მიმინვიეს სიმღერისა და ცეკვის სახემწიფო ანსამბლის ჩამოსაყალიბებლათ, დი-



რექტორათ და სამხატვრო ხელმძღვანელათ, ხელფასი 1500, 80 კაცი და ქალი, მომღერლები და მოცეკვავეები, დამკვრელები. ქორეოგრაფი ინსტრუმენტალური ჯგუფის ხელმძღვანელი, ფირუზ მახათელაშვილი¹¹⁶ ჩემი მოადგილე თამარ თარხნიშვილი, ჩემი შვილი. სამწუხაროთ, თბილისელ გუნდების ხელმძღვანელებს არ ესიამოვნათ, ისინი რომ ვერ მოხვდნენ იმ ადგილსა და ძალიან ცდილობდნენ, ზოგიერთები გვარებს არ დავასახელებ, უნდოდათ, რითიმე გაეფთხოთ ზღვათ მონყვეტილი ახალგაზრდობა, რომლებიც სამ დღეს იყო მიღებისათვის გასინჯვა. დიდი კონკურსი იყო. სამჯერ გადავარჩიეთ, მაინც მეტი იყო ხალხი მსურველები. ადგილები არ ყოფნიდა. მთლად საუკეთესო ძალებით შევასრულეთ ლიმიტი. მხოლოდ ბევრი გულდანყვეტილები დაბრუნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მახარაძის ქუჩაზედ გასავლელი გზა არ იყო, იქ ხვდებოდნენ, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, ის პირები და ეუბნებოდნენ, აგერ სახემწიფო ანსამბლი ეძებს ხალხსო, მანდ რას აკლამთ თავსო! ჩვენ კარგათ ვერკვევით, სად უფრო ვისწავლით ნამდვილ ხალხურ სიმღერებსო, საკმაოთ ვიცნობთო ყველა ხელმძღვანელებსო, ხალხი ასე ჰპასუხობდნენ.

ასე თუ ისე, 1953 წ. პირველი იანვრიდან დამტკიცდა ხელმძღვანელი და მთელი შტატი. თბილისში სანამ სამაცადინო ადგილი მოძებნეს, გორმა დასვა საკითხი ცეკაში ჩვენი გორში გადაყვანისა. ანსამბლის წოდება ასეთი იყო: თბილისის ოლქის სახემწიფო სიმღერისა და ცეკვის ოლქის გუნდის ანსამბლი. მხოლოდ მდებარეობა გვექონდა ქ. გორში. იმ დროს

116 ფირუზ მახათელაშვილი (1914-1970) - კომპოზიტორი, ლოტბარი, ქორეოგრაფი.



ქალაქკომის მდივანი რომელაშვილი იყო, რომელ-მაც დაჟინებით მოითხოვა ჩვენი იქ გადაყვანა. ნუ-თუ სტალინის სამშობლოს, გორს, არ უნდა ჰყავდეს კარგი გუნდიო და აქაც გაუხარდათ, მოგვიშორეს თავიდან; უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომელაშვილი თბილისის ცეკას მდივნად რომ არ გადმოეყვანად, შეიძლება გუნდი არ დაშლილიყო აქამდეც, მაგრამ იქ ისეთი კაცი დასვეს ქალაქკომის მდივნად, რომ გელაპარაკებოდა, თავს მალა არა სწევდა, ძალიან ახალგაზრდაც იყო იმ თანამდებობისთვის. სტალინის გარდაცვალების მესამე თვეში გაუქმდა ანსამბლი; იმ შვიდი თვის განმავლობაში საუკეთესო პროგრამით იყო მომზადებული. რომ გამოგვიცხადეს, თბილისიდან ვინც გვაბალანსებდა, მათ მოსწერეს, თუ გსურთ, თქვენ ხარჯად დასტოვეთ ეგ ანსამბლიო. ჩვენ თბილისის ოლქი დოტაციას გვაძლევდა წელიწადში /500,000/, გორს შეეძლო, გამოცდილი რომ ყოფილიყო, ქალაქკომის მდივანი შეამცირებდა ნახევარ ხალხს, 40 კაცი ადვილი შესანახი იქნებოდა, გორს ეყოლებოდა დიდი და კარგი მომზადებული ანსამბლი; მე დაუკავშირდი თბილისში ცეკას მდივანს, ჭიაურელს ვალოდიას, ნება დაერთო, ერთი კონცერტი მაინც გვეჩვენებინა ხალხისთვის, თუ რას ვაკეთებდით იმდენ ხანს გორში. დაგვრთო ნება, ორი კონცერტი ჩაატარეთ და ბალს მიეცით შემოსავალიო. ბალს ჩავარდნა ჰქონდა. ორი კონცერტის შემოსავალი იყო /15/ თხუთმეტი ათასი მანეთი. დაესწრო ზომავედ მეტი ხალხი. მთელ საღამოს მარტო ისლა ისმოდა ხალხიდან, აფსუს, აფსუს, რომ იშლება ეს გუნდი. ძალიან დიდი მოწონება დატოვა ხალხში. კარგი პროგრამა იყო,



1954 წელი

მზადება მე-8 ოლიმპიადისთვის

1954 წელს რუსთავის ქალაქკომმა და საქ. საბჭომ მიმინვიეს მე-8-რვე ოლიმპიადისთვის მომემზადებინა მათთვის გუნდი მეტალურგებისა 88 კაცის და ქალებით.

1956-1957 წლები

მარო თარხნიშვილის იუბილე

იმართება 9 მაისს ოპერის თიატრში ჩემი იუბილეი, რისთვისაც მრავალი ქალაქებიდან და რაიონებიდან, მოძმე რესპუბლიკებიდან იქნა მიღებული დეპეშები, რამაც მეტათ ლამაზათაც ჩაიარა. მას შემდეგ გრძელდება ჩემი მუშაობა, ასი პროცენტით გაძლიერებული. იმდენათ ვალდებულად ვიგრძნე თავი პარტიისა და ხელისუფლების წინაშე და აი, არ მოვტყუებულვარ. ჩემი ხანგრძლივი და ენერგიული მუშაობის შეფასება კიდევ განმეორდა, 1956 წ. დეკემბერში იუბილე გადამიხადეს რუსთაველის სახელობის თიატრში და მომანიჭეს ს.ს.რ. სახალხო არტისტის წოდება. ესეთი წოდება და საკავშირო პერსონალური პენსია ხალხურ მომღერლებში მე გამხადეს პირველი. მადლობელი ვარ ჩემი განეული ამაგის დაფასებისა.

„მე-2-რე იუბილეი!“

1956 წელს ქალაქ თბილისში დაინიშნა მეორე იუბილეი ჩემი მოღვაწეობისათვის დაბადებიდან 60



წლისთავისადმი. დანიშნული იყო რუსთაველის სახელობის თიატრში. ამ საქმის ინციატორი გახლდათ პროფესორი პავლე ვასილის ძე ხუჭუა. შესდგა საიუბილეო კომისია: ს.ს.რ. სახ. არტისტი ხარაძე ნადეჟდა, ვერიკო ანჯაფარიძე¹¹⁷, პ. ვ. ხუჭუა¹¹⁸, სოსო გრიშაშვილი, ილო სუხიშვილი¹¹⁹, ნინო რამიშვილი¹²⁰, ხელოვნების საქ: სამხატ. უფ. ვახტანგ კუპრავა, კოკა კინწურაშვილი¹²¹ და სხვები.

პირველი იუბილე ჩემი და ჩემი დის - ეკატერინესი - ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თიატრში გადაგვიხადეს. მეორე იუბილეზე დიდი ბრძოლა დასჭირდათ ვახტანგ კუპრავასა და პ. ხუჭუასა და კომისიის ყველა წევრებს.

იმ დროს კულტურის მინისტრი გუნია იყო. მან ჩემი მოღვაწეობისა და, მითუმეტეს, წლოვანობას არ იცნობდა. კონსერვატორიის დარბაზს აძლევდა, კომისიის წევრები არაფრის გულისთვის არ დასთანხმდნენ, როგორ შეიძლება ასეთი დიდი მოამაგე ქალის პატივისმცემელი ხალხი იქ მოთავსდესო და ბოლოს მიიღო წყალობა გუნიამ: რუსთაველის თიატ-

117 ვერიკო ანჯაფარიძე (1900-1987) - ცნობილი მსახიობი, საქართველოსა და სსრკ სახალხო არტისტი; სსრკ სახელმწიფო, შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი.

118 პავლე ხუჭუა (1905-1986) - მუსიკათმცოდნე, პროფესორი, პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნე; საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის წევრი (1938-1986); საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

119 ილია (ილიკო) სუხიშვილი (1907-1985) - მოცეკვავე, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის დამფუძნებელი.

120 ნინო რამიშვილი (1910-2000) - ბალეტის მსახიობი, ბალეტმასტერი. საქართველოსა და სსრკ სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახ. და სსრკ სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე (1981). ილიკო სუხიშვილთან ერთად ჩამოაყალიბა ახლანდელი ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი. იყო მისი წამყვანი მოცეკვავე, ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

121 კოკა კინწურაშვილი - გრამფირფიტების ჩამწერი სტუდია „მელოდის“ დირექტორი.



რში დართო ნება იუბილე. მეტად მოკლე დრო დარჩა მოწყობისათვის, მხოლოდ ოთხი დღეა იყო დანიშნულ დღემდე, ე.ი. 24 დეკემბერი იყო დანიშნული.

ამ მოკლე დროში, რა თქმა უნდა, ითქვას, რომ ვერ აცნობეს მოძმე რესპუბლიკებს ყველას, მაგრამ ძალიან კარგათ და ლამაზად, თბილი გულით და მოლოცვებით და პატივისცემით ჩატარდა. ადგილობრივი საზოგადოება და ჩვენი რესპუბლიკებიდან ბევრი ჩამოვიდნენ ძვირფასი საჩუქრებით, თბილის გულით.

„1957, 17 იანვრიდან“

განვევა ჩემი ადგილებზედ: სოფ. ასურეთი, გურჯაანი, საგარეჯო, წითელწყარო, სიღნაღი, ლაგოდეხი, თელავი, წინანდალი. აღნიშნულ ადგილებმა დიდი შეხვედრები მოაწყეს. ჩემთვის დაუფინყარია, სანამდე ვიცოცხლებ 1957 წელს, ვარდობის თვეში, კახეთში მონყობილი ზეიმები და დიდი ბანკეტები, სადაც 150 კაცი ჯდებოდა სუფრაზედ, ზოგან მეტიც. საუკეთესო ახალგაზრდობისაგან მოძღვნილი ლექსები, რომელიც მზადდება დიდი ალბომი ჩემს მიმართ დიდი სიყვარულით.

მინდა დავძინო ისიც, რომ დიდი მადლობელი ვარ ჩვენი პარტიისა და ხელისუფლებისგან, რომ ჩვენს რესპ. მხოლოდ მე მაკუთვნეს დიდი სახელის მონიჭება, რითაც დიდ ბედნიერებას ვგრძნობ ჩემს კოლეგებთან თავს. ს.ს.რ. სახალხო არტისტის წოდება ჯერ არავის აქვს და არც ჰქონიათ წინათაც, ეხლა კი მეტათ უფრო მოვალეთა ვგრძნობ თავს, სანამ ძალღონე შემწევს, ვემსახურო ქართულ ხალხურ ხელოვნებას, კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდობას ჩაუნერგო ეროვნული ჩვენი ლამაზი სიმღერების სიყვარული.



* * *

„იყო 1957 მაისის 20“

კახეთში საიუბილო კონცერტების ჩატარებაში დიდი ღირსეულად შემხვდნენ. განსაკუთრებით საგარეჯო, ლაგოდეხი, გურჯაანი, ძვირფასი საჩუქრებით და მაისის 20 რიცხვი იყო, ვარდობის თვე, ჩემს ცხოვრებაში არ დამავინყდება, სცენაზედ მორთმეულ ვარდებში აღარა ვჩანდი. მე ხომ ყველა ვარდებს ვერ წავიღებდი, ისევ ხალხმა დამთავრების შემდეგ ხალხს დაუტოვე. ეს განსაკუთრებით იყო ზემოთ ნახსენებ რაიონებში.

წითელწყაროში და ყვარელში დიდი შეხვედრა იყო საბავშვო ბალებიდან თაიგულებით. მოვიდნენ და ერთათ ლექსათ მომესალმნენ. ბოლო სიტყვა იმათი ეს იყო: რა იქნება, მარო ბაბო, ეგ სიმღერა ჩვენც გვასწავლო. საბავშვო სახლის ბავშვებმა სიმღერით მითხრეს, მათ მოჰყვნენ პიონერები, თავანთი ბარაბანით, სიტყვებით და თაიგულებით, სიმღერით და ჩემს მიმართ ლექსებით, რამაც წაუშლელი და განუმეორებელი შთაბეჭდილება დატოვეს ჩემზედ ამ ბავშვების ასეთი გულწრფელი შეხვედრით.

1960 წელი

მარო თარხნიშვილის იუბილე

1/1 50 წელში დავინყე ისევ გუნდით მუშაობა საქართველოს სარენაო კულტურის სახლში ხელმძღვანელად და მრავალ ოლიმპიადებზედაც გამარჯვება და პირველობასაც ვღებულობდი. დღესაც, 1960 წე-



საქართველოს სსრ კულტურის საინინსტრუქტორთა

== ღვინის ორღონოსანი ==

გუსტავოლის სახელობის სახელმწიფო თეატრი



ორშაბათი

24

დეკემბერი

1956 წ.

საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის

მარო თარხნიშვილი

დაბადებიდან 60 წლისთავის აღსანიშნავად

საიუბილეო

საღამო

1. მარო თარხნიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა
2. მისი შემოქმედება
3. საქონის მემკვიდრეობა



საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკის
განაწილება



ლია და ისევ მუშაობ. მე აქ მუშაობის დროს პარტია და ხელისუფლებაც დარწმუნდა ჩემს ერთგულ მუშაობაში, რომ მე უკანონოთ 49 წელში კირილე პაჩკორიას მცდელობით და რ. შადურის თანხმობით (მაშინ ცეკას მდივანი იყო) უდანაშაულო მსხვერპლი გამხადეს; მაგრამ ჩვენი პარტიას და ხელისუფლებას ვერ დაემალეებიან მასეთი აფირისტები, რომლებიც ძალით იქმნიან ავტორიტეტს, კარიერას. ჩემი თავდადებული ერთგული მუშაობით და გეგმებითაც შესრულების მიხედვით დამიფასეს და 1956 წლის დეკემბრის 24-ში, ჩემი დაბადების მესამე დღეს, რუსთაველის თიატრის დარბაზში ჩატარდა 60 წელთან დაკავშირებით იუბილე, სადაც დაესწრო დიდი საზოგადოება, რომლებმაც გულთბილათა გამოთქვეს, აღნიშნეს ჩემი წარსული და დღევანდელი მუშაობის შინაარსი, აუარებელი ძვირფასი საჩუქრები, მოლოცვები დიდებულათ ჩატარდა ყველაფერი მთავრობის მიერ. უმაღლესი ჩვენი რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მომანიჭეს და ნება დამრთეს საქ. რესპუბლიკაში, სადაც მე მოვისურვებდი, გადამეხადნა სალამოები. ვიყავი, სახელდობრ. ქ. გორში, დუშეთში, ასურეთში, საგარეჯოში, გურჯაანში, ლაგოდეხში, სიღნაღში, ნითელწყაროში, წინანდალში, ყვარელში. ვემზადებით დასავლეთში, სადაც ხუთი ათეული წელი ვემსა-





საქართველოს სახალხო არტისტის მარო თარხნიშვილის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

თბილისი, 1956 წელი, 24 დეკემბერი



საქართველოს
ეროვნული
არქივი



ხურებოდი იმ ადგილებში მშრომელ მოსახლეობასა, კოლმეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა. იმედი მაქვს, ჩემი მისვლა მათთვის ისევე სასიხარულო იქნება, როგორც ყოველთვის მხვდებოდნენ! უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წოდება ს.ს.რ. სახალხო არტისტისა ჩვენს რესპუბლიკაში პირველმა მივიღე, ეს დიდი საპატიო წოდება ხალხურ მომღერლებსა და ლოტბარებს შორის. (077) მე დიდი მადლობელი ვარ პარტიისა და მთავრობისგან. მხოლოდ კომუნისტურ პარტიას შეუძლიან, ამაგი არ დაუკარგონ ამა თუ იმ მშრომელ მუშაკებს.

1963 წელი

საღამო პროფკავშირის ხელოვნების მუშაკთა სახლში, მერაბ თარხნიშვილის ავარია

მომიწყვეს შეხვედრა 1963 წ. აპრი. 23-ში კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ხელოვნების მუშაკთა სახლში ქორეოგრაფიულმა საზოგადოების პრეზიდიუმმა.

ეს საღამო განსხვავდებოდა დიდი იუბილეებიდან, იმდენად თბილი და შინაარსიანი იყო პროფესორ ხუჭუას გამოსვლა, რომელმაც დამსწრე აუდიტორიას გააცნო ჩემი ათეული წლების მანძილზედ გავლილი ხელოვნების დარგში მუშაობის დალხინებაც და გაჭირვებაც, რაც ქალისთვის ძნელი იყო წინაანდელ დროიდან გასაბჭოებამდის. დამსწრე საზოგადოება დიდი ყურადღებით და სიყვარულით ისმენდნენ პ. ხუჭუას ტკბილი და მოქარგული ენით ნათქვამს.



ის შესცვალა პროფესორ ქსენია სიხარულიძის ტკბილმა და შინაარსიანმა სიტყვებმა, რომელმაც მზის ერთ შუქს მე მიმადარა ხალხურ ხელოვნებაში.

ის შესცვალა კომპოზიტორ გრიგოლ კოკელაძემ.

მის შემდეგ საბჭოთა კავშირის არტისტი ვ. ანჯაფარიძე, მ. ჩირინაშვილი¹²², ავთანდილ სვანი, რომლებმაც არ დაიშურეს ჩემთვის ნახევარ საუკუნეში გავლილი შრომისათვის გულიდან ამონათქვამი ტკბილი სიტყვები, რამაც მე მეტი შრომის უნარი მომიმატა. დასასრულს, ჩემმა აღზრდილებმა ჩაატარეს კონცერტი.

* * *

1963 წლის 5 ივლისი, ავარია მოუხდა ჩემ შვილიშვილს მერაბის

10 ივნისს ჩემი ვაჟიშვილი ვანო თავისი მეუღლით გავისტუმრე ქ. რიგაში დასასვენებლათ, მე დავრჩი თბილისში სახლში. ისინი დაბრუნდნენ 5 ივლისს, დღის 12 სათზედ, თბილისში. არ გაუვლია ერთ საათს და გვირეკამენ ტელეფონით, მერაბს ავარია მოუხდა დიღმის გზაზედო, მძიმე მდგომარეობააო.

ამ ამბავმა, ამის გაგონებამ ძალიან ცუდი გავლენა მოახდინა ჩემზედ. ეს ბუნებრივი არის, მაგრამ, როგორც ხანდაზმულობამ, ჩემმა ნერვებმა ძალიან მძიმე მდგომარეობაში მომაქცია, წნევა უცბათ 230/110-ზედ. სასწრაფო დახმარებამ დიდი ცოდნა

122 მიხეილ ჩირინაშვილი - კომპოზიტორი. ავტორი სიმღერისა „ყვავილების ქვეყანა“; 1952–1980 წლებში იყო ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორი.



და სიმარდე გამოიყენა ყოველგვარი ნამლებით და ნემსებით, ერთ საათში 130/70 ჩამოიყვანა, მაგრამ ჟანგბადის ბალიშებს მასუნთქებდნენ. ერთი სიტყვით, გადამარჩინეს იმ ღამეს, მაგრამ საერთო ნერვიულობა და სპაზმები დამრჩა.

ერთი თვე არის ჯერა, სახლიდან გარეთ ვერ დავდივარ. იმ ღამეს მერაბი - სავადმყოფოში, თინიკო - სავადმყოფოში მშობიარობდა, მეც დიდი გაჭირებული ავადმყოფი, მორფით გაბრუებული, ვიყავი. მთელი ჩვენი ახლობლები დარბოდნენ ხან ჩემთან, ხან იმათთან. გადავრჩით სამივენი, როგორც იყო ცოცხლები. მე კი ჯერაც თავს ვერა ვგრძნობ, ჯერ ისევ ერთი თვეა, სახლში მომეწყინა უჰაეროთ, მაგრამ ხანდაზმული ადამიანისთვის არც წყენა და არც გახარება არ ვარგებულა.

1965 წელი

10/VII.65 წ.

კავთისხევის წყაროს წყალი მენატრებოდა, სიბერეში რომ შევედი. ხშირად ვნატრობდი ხომე ჩემი თანასოფლის გაზრდილი თამარა ილიას ასული კოტეტიშვილთან, ჩემი ყოფილი ანსამბლის წევრთან: ნეტავი წამიყვანა კავთისხევეში და ის წყაროს წყალი დამალევიანა-მეთქი. ისეთი წარმოდგენა მაქვს, რომ მთლიანი წარმოდგენა მაქვს-მეთქი, თითქოს ავად აღარ გავხდები და გავიკურნები-მეთქი.

აი გათენდა დილა 10 ივლისისა და შემოდის დიდი ტერმოსით ხელში ჩემი ერთგული და მოყვარუ-



ლი თამარა კოტეტიშვილი. მოაქვს ცივი, დილით ავსებული კავთისხევის წყაროს წყალი. თამარმა ეს სურპრიზი ასე მოულოდნელათ მომიტანა და დამალევინა, თან მითხრა, დღეიდან შენი ავადმყოფობა აღარ გამაგონოვო. თურმე მას გაუგზავნია თავისი ძმისშვილი ვახტანგ გიორგის ძე (მეცნიერების კანდიდატი) კოტეტიშვილი¹²³ სოფელ კავთისხევში წყაროს წყალისათვის და დილაადრიან ჩამობრუნდა მანქანით. ასეთი ნატვრა შემისრულეს ჩემმა თანასოფლელმა კეთილმა ხალხმა, რომ აღარ მიწადა იმათ ვაწყენინო და ავათ გავხდე!

მ. თარხნიშვილი

დილის 9 საათი, თბილისი

1966 წელი

ბორჯომი; თბილისი - ანსამბლის წევრების შეხვედრა

სოცუზრუნველყოფის მინისტრის მოადგილის ან განსვენებული დავით ჭიჭინაძემ მომცა ბორჯომის (2) სანატორიუმის საგზური, რომლითაც დიდათ გამეხარდა. მე ძალიან მიყვარდა და მიყვარს ბორჯომის ხეობა, რომელიც მეტად ლამაზია ბუნებით, რაც მთავარია მანისა და ივნისში იქ ყოფნას არაფერი სჯობიან. ვარდებისა და ბულბულეების თვეა. გამაცილეს თბილისიდან ჩემმა ქალიშვილებმა - ნუნუმ და თამარმა.

123 ვახუშტი კოტეტიშვილი (1935-2008) - ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, ირანისტი, მთარგმნელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



სიამოვნებით ვიმგზავრეთ. მე მიმაცილეს სანატორიუმში, დამაბინავეს. ექიმები ყურადღებით და სიამოვნებით შემხვდნენ, საუკეთესო ოთახი გამომიყვეს. ჩემმა ქალიშვილებმა ლუქსი აიღეს სასტუმროში და მეტი წილი ერთად ვიყავით. დილა-საღამოს ბუღბუღები სწორეთ ჩემს ფანჯარასთან დიდი კიპაროსები იდგა, სულ იმ ხეზე იკრიფებოდნენ. მეც გატაცებით უსმენდი და ვეალერსებოდი. სამ-ოთხ დღეს კარგათ და ხალისიანად ვიყავ. მეხუთე დღეს წნევამ ძალიან ამიწია და შიშმაც შემიპყრო. ექიმებმა წოლა მირჩიეს, საჭმელიც არ მიწოდდა. ერთი სიტყვით, ყველა ზომები მიიღეს, მაგრამ ვერ დასნიეს წნევა. მეექვსე დღეს გადავწყვიტე ისევე სასწრაფოდ გადავწყვიტეთ თბილისში დაბრუნება და (6) ივნისს მე და ჩემი თამარი დღის ორ საათის მატარებელით წამოვედით (ნუნუ მესამე დღის წასული იყო თბილისში). სადგურზედ გამოვდიოდით, თითქოს გამომაცილეს ბუღბუღებმა, ხიდან ხეზე ხტებოდნენ გალობით, ჩამრჩა ყურში ის ხმები, რაც არასოდეს არ დამავიწყდება.

როგორც ტაშისკარს გამოვცილდით და ხაშურს მოახლოვდით, გადამენმინდა გული და ხასიათზედ კარგათ ვიგრძნე თავი. დავტოვე საგზური მთლიანად.

დიდხანს მწერდნენ ექიმები წერილს და კითხულობდნენ ჩემს მდგომარეობას. ასეთი წერილებს მწერდნენ: ძალიან გვიხაროდა თქვენი ჩვენთან ჩამოსვლა, ვწუხართ, რომ ვერ აიტანეთ სიმაღლე ბორჯომისა და ისე მოულოდნელად გაგვიფრინდით, რომ ჩვენ არ ველოდით, თუ წასვლას გადამწყვეტად დითო. ოღონდ დიდხანს იცოცხლეთ და კარგად



გვეყოლოს თქვენი თავით და რა გა[ე]წყობა, თუკი ბორჯომს ვერ იტანთო. სასიამოვნო იყო თქვენი აქ ყოფნა ჩვენთვისო.

* * *

„1966 წ. 4 დეკემბერი“

დილის 11 საათია. შევიკრიფენით დანიშნულ ადგილზე მახარაძის ქუჩა 8ა, ხელოვნების სახლში. ჩემი ანსამბლის წევრები 1910 წლიდან 1966 წლამდის, ძველი და ახლები, ვისაც კი ხმა მივანვდინეთ. ეს დღე თვით ანსამბლის წევრებმა მთხოვეს, ყოველ წელს შევხვედროდით ერთმანეთს. ეს ასეც ხდება. 60 კაცი პირველ შეხვედრაზე შევხვდით, მეორე წელს უფრო მეტნი - 80 კაცი.

12 საათზე გაიხსნა პრეზიდიუმი. სიტყვებით გამოვიდნენ: თადარიგის გენერალი გ. ყურაშვილი, მწერალი ი. ნონეშვილი, პროფ. პ. ხუჭუა, მეცნიერი მუშაკი, ლ. არსენიშვილი, სახალხო არტისტი ნინიძე, ყოფილი გუნდის წევრები, მის შემდეგ უჩვენეთ კინოსურათი ტელესტუდიის მიერ გადაღებული მონტაჟი „ძველი სოფლის სურათები“, ჩვენს მიერ შესრულებული სიმღერები.

შემდეგ სცენაზედ ავედით ყველა მომღერლები და 4 სიმღერას მევე უხელმძღვანელებ მათი თხოვნით. ამით დამთავრდა დღის 3 სათზედ.

გავემგზავრეთ მანქანებით ფუნქიულიორზედ, დიდ ზალაში, გაშლილ პურმარილზედ ჩვენივე მეზურნეებით. დავიშალენით ნასიამოვნებები ღამის 11 სათზედ.

1966 წ. ბანკეტი საქართველოს რესტორანში იყო, კინოგადაღებაც.



1967 წელი

მარო თარხნიშვილის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღება

1967 წლის 31 აგვისტოს - ეს იყო დასკვნითი ბოლო გადაღება სამეცნიერო დოკუმენტალური ფილმისა ჩემი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

იმუამად მე თავს ძალიან ცუდათა ვგრძნობდი, რადგან მთელი ზაფხულის თვეები ძალიან უამინდოდ დღები იყო, სუ წვიმები და ქარი. გადაღებები არ გვიხერხებოდა. ლოდინით და ნერვიულობით ძალიან შევიცვალე, გავხდი და დავსუსტდი. მთელი სურათის გადაღება სულ ვაი-ვაგლახისა იყო ამინდის გამო. როგორც იყო, აგვისტოს თვეში, 31-ში, ბოლო გადაღება დაინიშნა. თავსა ვგრძნობ ძალიან სუსტად, მაგრამ აღარ შეიძლება გადაღება, რადგან გეგმითი ვადა დამთავრდა.

დღის 2 სათზედ შეიკრიფნენ იქ წამომსვლელი სტუმრები და გუნდის მონაწილეებიც. ერთი ავტობუსი 22 კაცისათვის და ხუთი „ვოლგა“. ჩავსხედით ყველანი და გავემგზავრეთ ქ. კასპში, სადაც მხვდებოდა ჩემი თანამემამულენი და რაიონის ხელისუფლების წარმომადგენლები, ხელმძღვანელები. დიდი პატივისცემით შეგვხვდნენ ჩასულ სტუმრებსა, განსაკუთრებით, რასაკვირველია - მე. შეუდექით სცენაზედ მზადებას. გაიხსნა საქმიანი პრეზიდიუმი, მოხსენებით გამოვიდა ქ. კასპის რაიონის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ილია ნიკოლოზის ძე მუხიგულაშვილი. მან თავის სიტყვაში მოუთხრო ხალხს, რამოდენი მუშაობა მაქვს ხელოვნების დარგში გაწეული, თუ რა დიდი წლები ვმუშაობ - 57 წლის მანძილზედ;



სთქვა ისიც, რომ 76 (სამოცდათექვსმეტი) წლის ქალი ახლაც ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება საბჭოთა ხელოვნებასო.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა კასპის სამხარეო მუზეუმის დირექტორი გიორგი (გოგი) ხორგუაშვილი¹²⁴. ბევრი რამ კარგი და დიდი მუშაობის შინაარსი გააცნო დამსწრე საზოგადოებას: თუ როგორ პირობებში მიხდებოდა 1910 წლიდან მუშაობა და გასაბჭოების შემდეგ კი უკვე ფართოთ შევსძელი გამეშალა მუშაობა როგორც საქართველოსში, ისე სხვადასხვა] ქალაქებსა და რესპუბლიკებს.

ბევრნი გამოვიდნენ სიტყვებში როგორც კასპის მცხოვრებლები, აგრეთვე, სადაც მე დავიბადე, კავთისხევიდანაც.

მეორე განყოფილებაში კი ჩემი ხელმძღვანელობით ვოკალური ჯგუფით ჩავატარეთ კონცერტი, რითაც დიდი მადლობით და ოვაციებით დამთავრდა კონცერტი. დაბოლოს, მხიარული (ბანკეტი): დაუვინყარი სიამოვნება განვიცადე იმ შეხვედრით, რომელიც კასპის რაიონის ხელმძღვანელობამ და იქ დამსწრე საზოგადოებამ დამდეს.

დიდი პატივისცემით და სიყვარულით დავმორღით ერთმანეთს. ეს იყო ღამის 2 საათი.

* * *

„1967 წ. 22/ VIII“

გადალება დოკუმენტალური ფილმისა „ჭიათურა“ ლენინის მალაროს მუშებთან შესახვედრათ

124 გიორგი (გოგი) ხორგუაშვილი (1929-2011) - მწერალი, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, კულტურის დამსახურებული მუშაკი.



1967 წ. 22/VIII-ში გავემგზავრეთ ჩემ ვოკალური ჯგუფით 12 კაცის შემადგენლობით: თარხნიშვილი მარიამ ესტატეს ასული, თარხნიშვილი ივანე დიმიტრის ძე (მაროს შვილი), თარხნიშვილი თამარ (ხელოვნების დამსახურ. მოღვაწე,) დიმიტრის ასული (მაროს შვილი), თარხნიშვილი ვარვარა სამსონის ასული (რძალი მაროსი), ქამუშაძე ბესარიონ პაპალკოვნიკი, იმერლიშვილი თამარ ალექსანდრეს ასული, კოტეტიშვილი თამარ ილიას ასული, ჭანკვეტაძე მიხეილ ივანეს ძე, დარსაძე ბორისი ვარლამის ძე, ბუიძე ჯონდო ნაუმის ძე, ვაშაძე კუ-სა.

დაიწყო დღის ოთხ სათზედ. მალაროებიდან პირველი სმენა გამოვიდა, დაახლოვებით 200 კაცი. ჩვენ ცისქვეშ გაკეთებული ესტრადაზედ დავხვდით მზათყოფნაში კონცერტის ჩასატარებლად. მანამდე დაეწყო ხალხი ჩვენი კონცერტის მოსასმენად, გადამღებმა, ოპერატორმაც მოამზადა თავისი სავალდებულო აპარატურა. დაიწყო კონცერტი. ჩვენც და ის ხალხიც ისეთი ხასიათზედ შევხვდით, რომ თითქმის ყოველ ნომერს გვამეორებინებდნენ. სიტყვებით მომესალმნენ მუშები, დიდი მადლობა გადამიხადეს, რომ არ დაგვივიწყეთ და თქვენი წლოვანების მიუხედავად, მოზრდანი და ესეთი სიამოვნება გვაგრძნობინეთო. დამხურეს და მაჩუქეს შახტიორის ქუდი და ფანარი. თაიგულებით და სხვა საჩუქრებით დავბრუნდით. ეს ისეთი დაუვიწყარი არის ჩემთვის, რომ ახალგაზრდობის ხალისი და სიხარული ვიგრძენი. შემდეგ ადგილობრივმა მთავრობის წევრებმა დიდი მადლობა გადაგვიხადეს, ვერ დავივიწყებთ, ვერც მე და ვერც ჩემი ვოკალური ჯგუფის წევრები იმათი გულთბილსა



და უალრესად პატივისცემას. ქალაქკომის პირველი მდივანი - პატარიძე ზურაბი, გოგიტიშვილი ოთარი გამოვიდნენ სიტყვებში. დიდათ დაგვიფასეს ჩვენი ჩასვლა და ლენინის მალაროს მუშებთან, გადვილეთ დოკუმენტური ფილმისა. სხვათა შორის, მუშები იძახდნენ თურმე მეორე დღეს, ნეტავი გაუფუჭდეთ გადალება და მეორეთ ჩამოვიდნენო, რა კარგები იყვნენ, მაროს სიბერე არ ეტყობაო! შემეკითხა ერთი მუშა: თუ არ გეწყინებათ, გვანტერესებს, რამდენი წლისა ბრძანდებითო. მე რომ უთხარი, სამოცდა თხუთმეტისა ვარ-თქო, დიდათ გაკვირდა: როგორ დავიჯეროთო, ეგრეთი კარგი ხმა შეგრჩენიაო, გხედამთ ტელევიზორშიც და რადიოთიც გისმენთ, მაგრა თუ ასეთი ახალგაზრდული ენერგია გქონდა, თვალს არ უჯერებთო, ასეთი ლაპარაკით გამომაცლიეს.

1968 წელი

გურჯანი

ჩემმა შუათანა ქალმა თამარ დიმიტრის ასული თარხნიშვილმა, კვალიაშვილის მეუღლემ, სრულიად შემთხვევით იყიდა ქ. გურჯანის გარეუბან სახასოში სახლი ორი ოთახიანი საზაფხულოთ. თავის კარის ბაღჩით და დიდით მიწით, სადაც იმავ წლის 20 ივლისს სააგარაკოთ წავედი თამართან, ჩემს შვილთან. ჩემი ჯანმრთელობა სალა სისხლის მაღალი წნევისა ძალიან მეშინოდა. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი ერთი კვირა დღეც და ღამეც მეძინა. ვიღვიძებდი, როცა მომშივდებოდა.



ჩვენს მეზობლათ ცხოვრობდნენ ერთი ოჯახი: კაცი 78 წლისა, სრული აზრით და გონებით, მისი ცოლი 69 წლისა, და მისი ქალიშვილათ დარჩენილი, 87 წლისა, რომელიც ცოტა ყურთ აკლია, თორემ დანარჩენი სრული მეხსიერებისა, გონების მქონე. მთელ დღეს უვლიდა ოჯახს, ქათმებს, ინდოურებს, საქონელსა და წყალზედაც კი მიდიოდა წყაროზედ ცივი წყლის მოსატანად.

მართალი მოგახსენოთ, მე როდესაც ძილი შევისრულე და თავი ოდნავ ღონივრად ვიგრძნე, იმათმა ჩემზედ დიდი გავლენა მოახდინეს. ასე რომ, მეც პატარა არ ვიყავ, 75 წლის გახლდით, მაგრამ იმათთან ახალგაზრდა შეხედულება მქონდა გაცილებით. მოგეხსენებათ, სოფლის მშრომელი ხალხი და ჩემი პირობები ხომ სულ სხვა იყო. იმიტომაც უფრო ახალგაზრდათ ვეჩვენებოდი. ხშირად მეტყოდა ხოლმე ჩემი თამარი: დედა, აბა შეხედე, რა კარგი ჰაერია აქ, ამ სოფელშიო. ეგ ბებრები რა ყოჩაღათ არიანო. ტყეში ფიჩხზე დადიან, საქონელს უვლიან, ლელვებს კრეფენ, ჩირებს გასაყიდათ ამზადებენ, მაყვალზედ და ასკილზედ დადიან და აბა, ნახე, შენ როგორ გამოკეთდებიო, ჩვენ მაგდენს ხომ არ ვმუშაობთ, ვსხედვართ და ნარდს ვთამაშობთ. ბალკონში მოსისინებდა საამო გომბორის ნიავი და ალაზნის მთაგორიანი ნიავი. ერთი სიტყვით, თანდათან შესანიშნავათ მომიხდა ის ჰაერი და ოთხი კილოც, ამ ხანში შესულმა ქალმა, მოვიმატე თვე და ათ დღეში, მის მერე დავთქვი სანატორიუმებში წასვლა, საიდანაც ბევრჯერ ადრე ვბრუნდებოდი უარეს მდგომარეობაში მყოფი და ვტოვებდი საგზურებს. გადავწყვიტე ვიარო, რაც ხანი შევძლებ, სახასოს უბანში თამართან, საიდანაც არც წნევა გამომყვა და აღარც სიგამხდრე. აი სოფე-



ლი, მისი მდებარეობა და ჰაერი იმ მოხუცებულების ცქერით დიდი ენერგია შევიმატე.

ავტობიოგრაფია

„ჩემი ბავშვობა“

მე მეცხრე შვილი ვიყავი ჩემი დედ-მამისა. დედ-მამა ჩემები: ესტატე ნიკოლოზის ძე თარხან-მოურავი და დედა კი მექანარიშვილის ქალი, ნატალია იოსების ასული. ხუთი ქალი და ოთხი ვაჟი ყავდათ, მე სულ უნცროსი, ბოლოს შვილი ვიყავი. მშობლებსაც და და-ძმებსაც ძალიან უყვარდი და მანებივრებდნენ. ოთხი წლისა რომ ვიყავი, რომ ჩვენთან მოსული სტუმრები ამიყვანდნენ[ნ] ხელში და მამლებდნენ, მამას ოჯახი ძალიან სტუმრიანი იყო ქართლში. თუკი თავად აზნაურობა ცხოვრობდა ვინმე, არ გაივლიდა თვე, რომ დაჩარდახებული ურმით, ფაიტონებით, ცხენებით ჯალაბეურათ ჩვენთან არ მოსულიყვნენ, განსაკუთრებით შემოდგომიდან გაზაფხულამდე.

მამას საუკეთესო ბარის მამულები ჰქონდა სხვა თარხნიშვილებთან შედარებით. სახნავ-სათესი ნაფურები, ყურძენის ბაღები (ზვრები) და ხილის კარნინ ბაღი დიდი, რომელშიც გაზაფხულიდან ნოემბრამდე სხვადასხვა ჯიშის ხილი მწიფდება, ყურძენის კრეფა გასტანდა ხოლმე სოფლის ხალხის დახმარებით ათი დღეზე მეტი, კრეფის დროს ზვარში იშლებოდა ლურჯი სუფრა, იკვლოდა ცხვრები, თხები, ქათმები, დეკეულები, თბილისიდანაც ბევრი ნათესაობა ჩამოგვდიოდნენ, იყო ქეიფი და ხალისიანი მუშაობა.

ამ დიდ ოჯახს ბარაქაც დიდი ჰქონდა, იტყვიან ხომე, სტუმრიან ოჯახი ბარაქიანიო. მართლაც, ისე



იყო. კარებზედ სალამოს 500 სული ცხვარი შემოეფინებოდ[ა] სოფელში, მოვიდოდნენ ფარეხში.

* * *

პატარა ბატკნები დახვდებოდნენ. ამის დანახვას არაფერი სჯობდა, თუ თავისი ბატკანი არ იყო, არ მიიკარებდა სიახლოვეს. მთაში გარეკავდნენ ხომე ზაფხულობით, შემოდგომაზედ ჩამოვიდოდნენ. ჩვენი ალექსი მეცხვარე ყველაზედ უფროსი და გამოცდილი კაცი იყო, ჩამოიტანდნენ ყველს დაგროვილს მთელი ზაფხულისას რამოდენიმე ფუთობით. სახლის მოსამსახურე ქალები დედაჩემის ზედამხედველობით დასჭრიდნენ, დაამარილებდნენ და ჩაანყობდნენ დიდ ქილებში, ზამთრისა, გაზაფხულისა და ზაფხულისათვის სახარჯოთ. დედას ესეთი ხასიათი ჰქონდა, პირველი დღეს მთელი ჩვენს ნათესავებსა და მეზობლებს ყველას გაუგზავნიდა, მიირთვით ჩვენი ცხვრის ყველიო; მაგათ არ აქთ და მე რა ყელში უნდა ჩამვიდელო.

მამაჩემის ოჯახს ძალიან უმრავლდებოდა ოჯახში მსხვილ ფეხა საქონელი და ფრინველებიც. მაგალითად, მე მახსოვს, ჩემს პატარაობას ზამთარში თავლაში (ბოსელი) თავს მოიყრიდნენ ხომე საღამოებით, ბუხარს აყრიდნენ შეშას, გაჰქონდა გრიალი, გადალობილი იყო, ცალ გვერდზედ მწველალი კამეჩი და ძროხები ებნენ, მეორე გვერდზედ - მუშა საქონელი და ცხენები.

ბუხრის გვერდით ხალიჩა გადაფარებული ტახტი იდგა მუთაქებით დაყრილი წინ.

გაშლილი ჰქონდათ პატარა სუფრა და იქვე სველი ხელადებით წითელი ღვინო და ნვადებს მოჯამაგირეები სწვამდნენ, დასხდებოდნენ და მიირთმევდნენ.



მეზობელი თავადი გიგი იორამიჩი გათქმული იყო მისი მოყოლილი ამბებით, მხიარული ხასიათით, ახლო მეზობელი აზნაურები - პ. ლ. მაღალაშვილები, კოტეტიშვილი ილიკო¹²⁵ და სხვები. ღამის 1-2 სათზე მასლათობდნენ და ხუმრობდნენ, შემდეგ დიდთოვლიან ზამთარში დაიშლებოდნენ და სახლებში გაეშურებოდნენ.

მახსოვს, ერთ ზაფხულს, ორი კვირის განმავლობაში, 50 სული ღორი დაგვეხოცა რაღაცა სენით, მამას ეს ჯავრი გულთან არ მიუტანია, მოჯამაგირეები იმათ გადაყრას ვერ აუდიოდა ჩვენთან ახლო ხევში. კავთურაში მამა ესტატე იტყოდა ხომე, რა უყოთ, ზოგი დაიხოცება, ზოგი დარჩებათ. კიდევ მალე გამრავლდება, ოღონდ თქვენ კარგათ მყავდეთო!

გლახობას ძალიან უყვარდათ მამა - ესტატე. თუ ვინმეს რაიმე გაუჭირდებოდა, მასთან მოვიდოდნენ და სთხოვდნენ, კნიაზ ესტატე, ასე და ასე გაჭირვება მაქს, ანდა ჭირნახული მაკლდება გაზაფხულიაო, მაშინათვე დაეხმარებოდა, მისცემდა: წაიღე, ბიჭო, ამას სესხათ არ გაძლეო. თუ მთავრობას დაბეგვრა ანდა რაიმე(?), უეჭველად უშველიდა, დაეხმარებოდა, დაიხსნიდა. მას ავტორიტეტი დიდი ჰქონდა მეფის რეჟიმის დროს და ამიტომ გლახობას მამა ესტატეც ძალიან უყვარდათ;

გაზაფხულზედ, როცა ბაღების დამუშავების დრო მოვიდოდა, მათგან არჩეული კაცი მოვიდოდა და დიდმარხვის შუარიცხვისთვის შესთავაზებდნენ, ბატონო ესტატე, ჩვენ 30-40 კაცი მზათა ვართ ერთი დღით, თუნდაც მეორე დღეც პატივი გცეთ და ზვარში დავბაროთ, დავთესოთო; მამაც დაეთანხმებოდა

125 ილია კოტეტიშვილი - დეკანოზი, ვახუშტი კოტეტიშვილის ბაბუა.



და იმ დღით მთელ საბარავს გადააბრუნებდნენ ხოლმე, სამაგიეროთ ისეთი სადილი და ვახშამს, სამხარს უშლიდნენ, ჩვენი ოჯახი, რომ სახსოვრად და მოსაგონად ჰქონდა, სიმღერებს ხომ გრიალი გაჰქონდა. სალამოს მაგარი თვრალეები მიდიოდნენ სოფლის ორლობებში სიმღერით. სოფელმა ხომ იცოდნენ ეს ამბავი და იძახოდნენ, თარხნიანთგან მოდიან, დღეს იმათთან იყვნენ და ფხიზელებს რას გამოუშვებდა ნათლია ესტატეო!

სახლებში რომ მივიდოდნენ, იძახოდნენ თვრალეები, ღმერთმა ააშენოს ესტატე თარხნიშვილის ოჯახიო; ეს მახსოვს მე, მაროს.

მამა ესტატე, მიუხედავად ყოვლად დოვლათიანი და ბედნიერი კაცი იყო, ვაჟები ვერ შერჩა, დაეხოცა ოთხივენი და ერთი ქალიც. ასე რომ ოთხი დეზილა დავრჩით. ეფემი, უფროსი და იყო, ეკატირინე, დარო და მე. ეკატირინე 11 წლით უფროსი იყო ჩემზედ. გულით მხიარული ხასიათისა იყო, თუმცა მე, როგორც ყველაზედ უნცროსს, თავს როგორ გამიყადრებდა, მაგრამ იმდენად საქმის ერთგულეობა და გამბედაობა აღმომაჩნდა ჩვენს სასიმღერო ას(პ) არესზედ, რომ სრულიათ უპრეტენზიოთ დამეთანხმდა. ჩვენი პირველი ნაბიჯის გადადგმა სოფელ კავთისხევიდან დაიწყო, შემდეგ კი ქ. გორიდან, უფრო ოფიციალური მუშაობას შეუდექით 1910 წელის, რომელ დღემდის ვაგრძელებ მუშაობას. სამწუხაროთ კი, ჩემი საყვარელი უფროსი და ეკატირინე თარხნიშვილი, რომელიც 1910 წლიდან 1949 წლამდის გვერდით მედგა კონცერტებზედ, რესპუბლიკის დამსახ. არტისტი, პერსონალური პენსიონერი, გარდაიცვალა 1956 წელს. დავრჩი ფრთაჩამოტეხილივით, ჯერ მკვიდრი და ჩემი, მერე ამდენი წელიწადი ერთად



გავატარეთ მუშაობის წლები. ბევრი გაჭირვებაც და დაღვინებაც ვნახეთ, დაღი დამასვა მწუხარებამ, რა თქმა უნდა, მაგრამ არ მქონდა უფლება მეღალატნა ჩემი საყვარელი საქმისადმი, რადგან მეც ჩემი ახალგაზრდობის წლები ამ ხალხურ საგუნდო ხელოვნებას შევავლიე, ჯანმრთელობა. მაინც ვერ ვღალატობ.

* * *

„ამდენი წლის სტაჟი“

1949 წელს 13 მარტს გარდაიცვალა ჩემი მეუღლე სერგეი სოლომონის ძე ნადარეიშვილი (ქ. თბილისში, მაჩაბლის ქუჩა N4-ში ვცხოვრობ). სისხლის წნევით. ამ მძიმე მოულოდნელმა მწუხარებამ ჩემზედ ძალიან იმოქმედა. მეც მომერია სისხლის წნევა ნერვიულობის მიზეზით.

ხელოვნების წრიდან ჩემმა მტრებმა მიხელთეს დრო და ხელოვნების საქმეთა უფროსის მოადგილემ პ. კანდელაკმა, პ. შალვა მშველიძემ, ის მაშინ სახ. ანსამბლს ხელმძღვანელობდა და მას ჩემი ხელმძღვ. გუნდი უშლიდა, ელობებოდა, ალბათ და მისი მოცილების მიზნით შეათანხმეს ცეკას მდივან რ. შადურთან ჩვენი გაუქმების შესახებ. სწორეთ მე, როცა ლეჩკომბინატში ვინექი, მოვიდა ბრძანება 17 დეკემბრის ანსამბლის გაუქმებისა, რამაც უფრო მეტათ ჩამაგდო ლოგინათ. 1950 წლის თებერვლის პირველიდან იძულებული გამხადა ჩემმა მატერიალურმა მდგომარეობამ, დამეწყო სადმე მუშაობა.

თვითმოქმედების ხაზით მაინც რომ შემენარჩუნებინა ამდენი წლის სტაჟიც და, უდანაშაულოთ დასჯილმა, ხალხიდანაც, ბუნებიდანაც, შეუდექი სარუნაო კავშირის კულტ. სახლში გუნდის შექმნას, სადაც



უზომო ენერჯის დახარჯვა დამჭირდა. ჩემს საბედნიეროდ, კ. სახლის დირექტორი გამოდგა ჩემი წარსული მუშაობის მცოდნე ამხ. ქორიძე, მეტად კულტურული ადამიანი, რომელმაც გამიადვილა თავისი დახმარებით მუშაობა. ამ ჩემთვის დამამცირებელ ადგილზედ მოხვედრა, იქ მუშაობა თვალსაჩინოდ წარმართა. ასე რომ, სამ ოლიმპიადაში მივიღეთ მონაწილეობა 1950 წ. 1951 წ. მე-7-დე რესპ. დათვალიერებაზეც პირველობა მიიღო. ანსამბლი 1952-შიც მხატ. თვითმოქმედების დათვალიერებაზეც საპატიო ადგილზედ გავიდა; რისთვისაც ორჯერ დაჯილდოვდა როგორც პრემიალური ფულადით, აგრეთვე, საპატიო სიგელებით.

როგორც ხელმძღვანელობა, ისე ანსამბლის წამყვანი ძალებიც 1953 წ. 1 პირველი იანვრიდან ქ. თბილისის ოლქის მიერ მიწვეული ვიყავი სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელად. აქაც ინტრიგანმა ხალხმა იქონიეს გავლენა და თბილისის ოლქის გუნდს ქ. გორში მიუჩინეს სამყოფელი ადგილი. გადავსახლდი მეც, რა მეტი ღონე მქონდა, ოღონდ თვითმოქმედების ტანჯვას მოვცილებოდი.

ამავე წლის ივნისში ოლქის გაუქმებასთან დაკავშირებით გუნდიც დაიშალა. მის შემდეგ კიროვის რაიკომის თხოვნით დამაბრუნეს ძველ ადგილზედ სარენაო კავშირის კულტ. სახლში, გუნდის დასაარსებლად და დღესაც იქ ვმუშაობ. ხელფასი - (600) ექვსასი მანეთი. ამავე დროს, 1954 წლის 1 აპრილიდან მიმიწვიეს ქ. რუსთავის კულტ. სახლში გუნდის ჩამოსაყალიბებლათ. ანსამბლში ამჟამად /86/ კაცია გაერთიანებული, მუშა-მოსამსახურენი. ხელფასი ასეთი შრომისათვის გადადებულია /750/, მეტი არ



არსებობსო. მიმაქვს ასეთი ტანჯვით ეს წუთისოფელი, ერთ დროს ხალხისათვის საყვარელს მაროს. ვინა მსხვერპლი ვარ, ის უკვე ზემოთ მაქვს ნათქვამი.

ის კი გამომრჩა მხედველობიდან 1952 წელში, როცა ქ. თბილისში ვმუშაობდი სარენაოს კულტ სახლში, ერთ და იმავე დროს დაბა კასპშიც მიმინვიეს კასპისა და მასში შემავალი რაიონების მასწავლებელთა გუნდის დასაარსებლად. დავაარსე გუნდი /40/ კაცის და ქალის შემადგენლობით, იმავე წლის სექტემბრის 28 და 29-ში, ჩამოვიყვანე გუნდი თბილისში. მასწავლებელთა სახლში ჩავატარეთ კონცერტი, რაზედაც შეფასება კარგი მიიღეს მაღლობით. ნავიდა ანსამბლი, რადგან კასპის განათლების განყოფილებამ ამას მიახნია, მეტი აღარ შეეძლოთ ჩემი ხელფასის ძლევა თვიურათ /1000/ მანეთის და ნოემბერში შეწყვიტეს გუნდის მუშაობა ჩემთან და მოიყვანეს ...

„50 წელი სცენაზედ“

„რამ შემაყვარა მუსიკა ხალხური“

ჩემი მშობლები იყვნენ: ესტატე ნიკოლოზის ძე თარხან-მოურავი და ნატალია იოსების ასული მექანარიშვილი. ჰყავდათ 9 ცხრა შვილი. მეცხრე მე გახლდით. ასეთ გამრავლებულ ოჯახს ნათესაობაც ბევრი ჰყავდათ: 5 ხუთი ქალიშვილი და 4 ოთხი ვაჟი. თითონ მამა კარგათ ცხოვრობდა, სავსე ოჯახი პურით, ბელლები სავსე, ღვინო უშველებელი ჭურებით კარებზედ, /500/ სული ცხვარი, ქათამი და ღორი დაუთვლელი. ასე რომ, ხშირად მამას ესტუმრებოდნენ ხოლმე გორის უეზდის მაცხოვრებელი თავადაზნაურობა (თუ შეიძლება, ასე ვთქვათ). ქეიფი და პურმარილი სამ დღეებათ გრძელდებოდა.



ოჯახში იმ დროს თბილისიდანაც ნათესავები ხშირად დადიოდნენ ზაფხულობით ჩვენთან: მიხეილ ყორღანაშვილი, კარგი მომღერალი იყო. მას ძველათ ასე უძახოდნენ: ედისონის მომღერალს. იმას მე დიდი გატაცებით უსმენდი ხოლმე, როცა ჩვენთან დადიოდა ხოლმე. მერეც შაური ღირდა ყურებში გასაკეთებელი რეზინი, რომლითაც ვისმენდი ედისონის დაკრულ მის სიმღერებს: „ურმულს“, „შიქასტებას“, და სხვა სიმღერას. მე მაშინ 6-7 წლისა ვიყავი.

გორიდან ხშირად მოდიოდნენ მამასთან ამილახვრები, რ. ერისთავები, ი. ციციშვილები, მირავოი პასრედნიკი ოჯახით გენერალი იყო, გიორგი იორამიჩი.

კარგარეთელი (პროტო) კოტე¹²⁶, სიონის მგალობელი მთავარი; მამამისი - დეკანოზი გიორგი კარგარეთელი¹²⁷, რომლის ოჯახიც კარგი ქართული მხიარული მომღერლები იყვნენ, მთელი ოჯახი.

თბილისიდან ზაფხულში გვესტუმრებოდა კოტე მაყაშვილი, სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი, იმავ დროს მწერალიც. მის[ი] და - თამარ მაყაშვილი¹²⁸ - გიგო იორამის ძე თარხნიშვილს ყავდა ცოლად. ყველაფერმა ასეთ ატმოსფეროში გაზრდილმა, მე თითონაც ალბათ ჩემი პროფესიათ ეს უნდა გადაქცეულიყო, რომ ძალიან მიყვარდა ცეკვა-თამაში, რისთვისაც მამასგან ყოველთვის მქონდა კარგი გი-

126 კოტე კარგარეთელი (პროტო) (1862-1914) - სიონის ტაძრის ეგზარქოსის არქიდიაკონი, საოცარი მგალობელი და სახარების მკითხველი. კომპოზიტორ ია კარგარეთელის უფროსი ძმა.

127 გიორგი კარგარეთელი - დეკანოზი, „მარშლიანთ სახლის“ (კასპის რაიონის სოფელი გარიყულა) კარის ეკლესიის მოძღვარი. კოტე და ია (ილია) კარგარეთელების ძმა.

128 თამარ მაყაშვილი - მარო მაყაშვილის მამიდა; მარო თარხნიშვილის მაზლის მეუღლე.



ტარა, დიდი გარმონები, რო იცოდნენ მაშინ დაირა, რომელიც ახლაც კარგათ მაქვს შენახული.

სოფლის ახალგაზრდა ქალების, ვაჟებისა და პატარძლების უფროსად მე ვთვლიდი ჩემს თავს.



მომღერალი მარო თარხნიშვილი ქალიშვილთან, მარიკა კვალიაშვილთან და შვილიშვილებთან ერთად ი. ტორის გამოფენაზე

გავაჩენდი ლხინს დიდ კალოზედ და ყველა, რო-გორც ერთი, იქ გაჩნდებოდნენ; საშა ნეიმანი¹²⁹ თავისი შვილით - ვახტანგი¹³⁰, ამჟამად გამოჩენილი სკრიპაჩი ლენინგრადში ზაფხულში არ გააცდენდა

129 ალექსანდრე ნეიმანი (1880-1967) - მთარგმნელი, ქართულ და რუსულ სიტყვათა სინონიმებისლექსიკონის შემდგენელი, ვახტანგ ნეიმანის მამა.

130 ვახტანგ ნეიმანი (1905-1979) - მევიოლინე, დირიჟორი. (ბარნაბელი). ვ. მარჯანიშვილის სახელობისა და ვ. აბაშიძის სახელობის თეატრების მთავარი დირიჟორი; ლენინგრადის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი; სრულიად რუსეთის საგასტროლო-საკონცერტო გაერთიანების ლენინგრადის განყოფილების სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელი. დედა - ბარნაბიშვილი.



მარო თარხნიშვილი ი. ტორის
გამოფენაზე

არც ერთ ლხინს; იქაური, ჩემი სოფლის, ესე იგი კავთისხეველი ბარნაბიშვილის ქალი ჰყავდა ცოლად. ის ამჟამადაც ცოცხალია და სამეცნიერო ნიგნზედ მუშაობს. აი, სად შევეჩვიე სიმღერებს. ჩვენი ჭირნახული სექტემბრის ბოლომდე ვერ ასწრებდნენ პურის ლენვას, კალოური სიმღერა, „ურმული“, „მუშური“, „მრავალჟამიერი,“ და სხვა მრავალი. სწორეთ მამას ოჯახში და მის გარემო მეტი რა ისმოდა იქ.

მიმაბარეს ქ. გორის გიმნაზიაში. მე-4 კლ. წამომიყვანეს. მრავალშვილიანი ოჯახის პატრონი იყო



ჩემი მშობლები; სწავლა არავის დაამთავრებინა. მე ვსწავლობდი და ჩემი და დარიკო ერთად. იმან ვერ შესძლო სწავლა ავადმყოფობის გამო, მე კი მეოთხე კლასიდან წამომიყვანა მამამ ისევ ჩემს სოფელში, კავთისხევში. თოთხმეტი წლისა გამათხოვეს, მამა უკვე კარგათ მოხუცი იყო. ეს იყო 1905 წელში. ასე იტყოდა ხომე მამა: ქალს არ უნდა დიდი სწავლაო, წერა-კითხვაც ეყოფა, მეტი არაა საჭიროვო.

შვილები მალე მეყოლა და გადავედით ქალ. გორში მე და ჩემი მეუღლე დიმიტრი ზაალის ძე თარხან-მოურავი. იქ 1910 წელში უკვე გავბედე დიდი საზოგადოების წინაშე სცენაზედ გამოსვლა საქველმოქმედო საღამოებზედ. ყოველ დღე მე და ჩემი უფროსი და ეკატერინე და ოთხი კაცის ბანი. გავმართე კობტა ჯგუფი და ხშირად გვიხდებოდა გამოსვლები სცენაზედ.

1917 წელში უკვე თბილისში ჩამოვედით მე და ჩემი დაც ჩვენი ოჯახებით საცხოვრებლად. ცუდი წლები შემხვდა მე ჩემს ახალგაზრდობაში დაწყებულ საქმისთვის, მაგრამ მე ჩემს საყვარელ სიმღერებს არ მოვშვებვიარ. წყეულ თვითმპყრობელობის დროს თავადის ქალი ვებრძოდი ხალხის მჩაგვრელებს და ვმღეროდი მათთვის სანინალმდეგო პროგრამას: ე, ბატობონი თავი მანება უ[ლ]მერთოთ რაზედ მტანჯამო, „სოფლელი გლეხის შვილი ვარ, მჭადითა გამოზრდილია, მე კი მომაცლის იმდენსა, გლეხმა ვისწავლო წიგნია“, „გუთნის დედა“, ი. ჭავჭავაძის „ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ. წილათ გვარგ[უნეს], შავი მიწა ჩვენ“.

მიუხედავათ ამისა, ბევრჯელ მისმენდნენ მეფის ყანდარმები, ზოგჯერ შუბლშეკრულები, ზოგჯერაც ილიმებოდნენ, ალბათ ჩემი ხმა ხიბლავდათ და არ მი-

მეტებდნენ სასჯელისთვის. ასე გავატარე აქეთ თავადები და იქით - მეფის ხალხი.

1921 წელში შევედი კონსერვატორიაში ჩემი პატარა სამი მოსწავლე შვილების და მარტოხელა ქალი, ოჯახის პატრონი, სასწავლებლად მესამე კურსზედ. შემხაროდნენ ბალანჩივაძე მელიტონი, არაყიშვილი დიმიტრი, ფალიაშვილი ზაქარია, ხშირად მეტყოდნენ ხომე: მაგ ყელში სალამური გაქსო. აბა დაამთავრეფ კონსერვატორიას და იტალიაში გაგ[გ]ზავნითო, ჩამოხვალ და შენი კარგი და მშვენიერი ხავერდოვანი ხმით ჩვენს ოპერას ეყოლება კონტრალტოვო. ასე შემომხაროდნენ ისინი, მაგრამ არც აქ გამილიმა საბოლოოვოთ ბედმა, რადგან მეუღლე დიმიტრი თარხან-მოურავი გარდაიცვალა 24 წელში და ჩემმა წინსვლამ ისევ უკან დაინია. სამი ბავშვი[ს] უპატრონოთ მიტოვებაც აღარ შეიძლებოდა. დილით ოთხ სკოლას ვასწავლიდი სიმღერებს, საღამოებით კლუბებში და თიატრებში კონცერტებსაც ვაძღვებდი. ძალიან ჯანმრთელობას რომ არ შეეწყო ჩემთვის ხელი, ალბათ, ამდენ ტანჯვას ვერც შევძლებდი.

მივალწიე საბჭოთა ხელისუფლებამდე და შვილებიც მოიზარდნენ. აი ცოტა გავიშალე წელში. ჩემს მოღვაწეობას დაედო ღირსეული შეფასება და ცხოვრებაც. დღესაც ვმუშაობ ადგილმრეწველობის კულტ. სახლში ვოკალური ჯგუფის ხელმძღვანელად. მადლობა პარტიას და ხელისუფლებას, რომ იცინან ამაგის დაფასება მშრომელი ხალხისა და დღეს ჩემი პროფესიის ხალხში პირველმა მივიღე სახალხო არტისტის წოდება. მადლობა ჩემს დამფასებლებს, რათა სხვებმაც მომბაძონ.





საძიებლები



პირთა საძიებელი

აბაზაძე 83, 89

აბაშიძე ვასო (ვასილ) 5, 24, 33, 35, 42, 43, 45

აბაშიძე ილია (ილიკო) 39

აბაშიძე ირაკლი 127, 128, 144, 149

ავთანდილ (სვანი) 176

ალექსი (მეცხვარე) 187

ალექსიძე ალექსანდრე (ალექსი სონლულაშვილი) 33

ამაშუკელი ვლადიმერ (მამუკა) 49

ამილახვარი 28, 195

ამილახვარი ბარბარე (მოგონებებში ვარვარა) 30

ამირანაშვილი პეტრე 9, 106, 127

ამირაჯიბი კონსტანტინე (კოსტა) 17

ამირეჯიბი რეზო 17

ანდრონიკაშვილი კოლია (ნიკოლოზ) 30

ანდრონიკაშვილი ქ. 24

ანდრონიკაშვილი ელენე (ელო) 32, 49, 69

ანდლულაძე დავით 83, 127

ანჯაფარიძე ვერიკო 11, 168, 176

არაყიშვილი დიმიტრი 11, 37, 39, 41, 46, 53, 54, 55, 62, 88, 199

არსენიშვილი ლ. 181



- აფხაიძე ემანუელ (მანუელ) 58
აღნიაშვილი ვლადიმერ (ლადო) 29, 63
აღჯოიანი კარო 36, 89
ახმეტელი ალექსანდრე (საშა) 91
ბაბილუა ვლადიმერ (ლუდი) 58, 61
ბაბოვი სეროჟა 101
ბალანჩივაძე მელიტონ 11, 46, 53, 88, 199
ბარათაშვილი იოსებ (ოსიკო) 30
ბაუერზაკსი (მოგონებებში ზოგან ბაუერზაქსი) 5, 42, 44
ბაქრაძე ვალერიან 142
ბაქრაძე სერგო 59
ბამალუა ლადო 154
ბედია ერმილე (ერიკი) 92
ბერია ლავრენტი 8, 106
ბერიაშვილი მიხეილ 54
ბრაუდო ევგენი 88
ბუიძე ჯონდო 183
ბუცხრიკიძე ჟორა 59
ბუხაიძე მიხეილ 127, 128, 144
გეგეჭკორი ალექსი (საშა) (მოგონებებში ზოგან გეგეჭკორი)
8, 60, 64, 65, 66, 75
გეგეჭკორი კიწი (მოგონებებში გეგეჭკორი) 58, 59
გვარამაძე ნიკო 45



- გინზბურგი ვლადიმერ 144
გოგიტიშვილი ოთარ 184
გოგუა ალექსანდრე 145, 146
გომართელი ივანე 34
გორკი მაქსიმ 98
გოსტინინა ელისაბედ 84
გოცირიძე ნიკო 5, 24, 35, 36, 42, 43, 62, 86
გოცირიძე ჟორა 61
გოცირიძე სერგო 59
გოძიაშვილი გიორგი 91
გრიშაშვილი იოსებ 11, 33, 35, 40, 46, 168
გუნია ვალერიან 35, 56, 169
დადიანი შალვა 11, 23, 24, 32, 33, 49, 55, 56, 108
დავიდოვა ვერა 69, 82, 83, 88
დარსაძე ბორისი 183
დაფქვიანიშვილი ჟორა 146
დიაკოვა 83, 88
დოგვაძე აკაკი 151
დოლიძე ისიდორე 159, 161
ეგნატაშვილი ვასილ 54
ელიოზიშვილი 62
ენუქიძე აბელ 72, 74
ერისთავი ირაკლი 69



ერისთავი-ხოშტარია ანასტასია 30
ერქომაიშვილების გუნდი 63, 67, 70, 91, 93
ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი) 30, 36, 37, 87, 88, 89
ვარაზაშვილი იოსებ 104
ვარდიშვილი გიორგი 57, 69, 75, 120, 138, 146, 147
ვაჩნაძე ნატო (ანდრონიკაშვილი, მოგონებებში ვაჩინაძე)
11, 24, 49, 149
ვოროშილოვი კლიმენტი (მოგონებებში ვარაშილოვი) 8,
75, 76
ზარდალიშვილი იოსებ (იუზა) 24
ზუბიაშვილი მიშა 120
ზურაბიშვილი ილია 35, 38
თავაძე ილია 127
თამარ მეფე 56
თარალაშვილი იოსებ (სოსო) 45
თარხან-მოურავი დიმიტრი 4, 5, 7, 18, 23, 26, 27, 31, 43,
198, 199
თარხან- მოურავი ელენე 31
თარხან-მოურავი ესტატე 3, 15, 16, 26, 29, 186, 193
თარხნიშვილი გიგო 195
თარხნიშვილი დარო 190
თარხნიშვილი ეკატერინე (მოგონებებში ეკატირინე) 15, 17,
20, 26, 27, 31, 33, 34, 35, 37, 38, 39, 41, 45, 49, 54, 71, 75,
76, 81, 91, 98, 109, 115, 118, 134, 147, 153, 168, 190, 198
თარხნიშვილი ეფემია 16, 190



თარხნიშვილი ვარვარა 183

თარხნიშვილი ივანე 69, 100, 114, 128, 131, 140, 183

თარხნიშვილი იორამ 7

თარხნიშვილი თამარ 48, 69, 111, 123, 124, 128, 144, 145,
153, 157, 159, 160, 163, 165, 179, 183, 185, 186

თარხნიშვილი ნუნუ 48, 76, 77, 179

თურმანიძე 111

თხილეიშვილი ბესო 117

იაუნზემი ირმა 82

იმერლიშვილი თამარ 183

იმნაძე 129

ინაური ალექსი 135

ინაშვილი ალექსანდრე 24, 35, 46

იპოლიტოვ-ივანოვი მიხეილ (მოგონებებში იპალიტოვ-
ივანოვი) 71

კავსაძე ანზორ 59, 161

კავსაძე ალექსანდრე (სანდრო) 9, 29, 67

კავსაძე ვლადიმერ (ლადო) 61

კავსაძე მიხეილ 29, 67, 81

კალანდაძე ვარვარა - თარხნიშვილისა 183

კანდელაკი პავლე 113, 191

კანდელაკი სიმონ (სინო) 20

კარახანიანი (კარახანოვი) ლევან 86

კარბელაშვილი ი. 51



- კარგარეთელი გიორგი 195
კარგარეთელი ილია (ია) 87, 88, 101, 195
კარგარეთელი კოტე (პროტო) 195
კარგარეთელი ნინა 82
კეცხოველი ზაქარია 149
კვალიაშვილი 28, 185
კვალიაშვილი მარია 3, 7, 193
კიკნაძე გრიგოლი (გრიშა) 138
კინწურაშვილი კოკა 168
კირვალიძე გოგი 134, 135, 136
კირონი (გიორგი სამაგლიშვილი) 6, 33, 39, 41
კობახიძე ვასო 69
კობახიძე პ. 163
კოზლოვსკი ივანე (მოგონებებში კოზლოვსკი) 69, 88
კოკელაძე გრიგოლ 29, 63, 67, 176
კოტეტიშვილი ვახუშტი 178, 188
კოტეტიშვილი თამარ 178, 183
კოტეტიშვილი ილია 188
კუპრავა ვახტანგ 168, 169
კუხიანიძე მელიტონ 29, 63, 67, 91
ლეონიძე გიორგი (გოგლა) 144, 149
ლოლუა ძუკუ 7, 56, 58, 70, 91
ლომაური ალექსანდრე 27, 28, 30



- ლურსმანაშვილი ლ. 144
მარჯანიშვილი კოტე 59, 60
მასხარაშვილი ვლადიმერ 59
მარტირუსოვი 84
მატარაძე 45
მაღალაშვილი ნინა 5, 44
მაღალაშვილი პ., ლ. 188
მაღალაშვილი რევაზ 49
მალრაძე კორნელი 63, 67
მაყაშვილი თამარ 195
მაყაშვილი კონსტანტინე (კოტე) 33, 195
მაჭავარიანი ალექსანდრე (საშა) 79, 110
მაჭავარიანი ოთარ 149
მახათელაშვილი ფირუზ 165
მახარაძე ფილიპე 8, 61, 68, 69, 72, 77, 94, 96, 147
მეგრელიძე ავქსენტი 93, 94
მელიქოვი ბალა 36, 83, 89
მენტეშაშვილი ტიმოთე 30
მექანარიშვილი ნატალია 4, 16, 186, 194
მიქელაძე ევგენი 10
მკრტიანი შოლიკ (მოგონებებში მიკირტიჩიანი) 92
მურღულია ვიქტორ 45, 148
მუხიგულაშვილი ილია 182



მუხტაროვა ფატმა 101, 104
მშველიძე შალვა 161, 191
მჭედლიშვილი დიმიტრი 127
მჭედლიშვილი მიტო (მიტუმა) 83, 88
მჭედლიძე დიმიტრი 69, 82
ნადარეიშვილი სერგო 78, 97, 100, 105, 110, 159, 191
ნანეიშვილი ვლადიმერ 30, 144
ნანეიშვილი ივანე 69
ნეიმანი ალექსანდრე (საშა) 197
ნეიმანი ვახტანგ (ბარნაბელი) 197
ნიკოლოზ II 209
ნინიძე 181
ნონეშვილი იოსებ 11, 104, 107, 180
ოვანესიანი 113
ორახელაშვილი ივანე (მამია) 72
ორახელაშვილი მარო 96
ოღანეზაშვილი (ოღანეზაშვილი) ალექსანდრე
(ოხანეზაშვილი საშა) 84, 89
პატარაია ვასო 58
პატარიძე ზურაბ 184
პაჭკორია კირილე 9, 58, 59, 61, 70, 73, 74, 81, 91, 174, 184
ჟორდანია ნოე 5, 42, 43, 44
რაზიკაშვილი ნიკოლოზ (ბაჩანა) 4, 30



- რაზმაძე ილია 126, 128
რამიშვილი ნინო 163, 168
რომელაშვილი 209
რუსიშვილი 86
სააკაძე შალვა 49
სარაჯიშვილი ივანე (ვანო) 24, 35, 46
საფაროვა-აბაშიძე მარიამ (მავო) 33, 86
საფაროვი ლ. 24
სვანიძე ზურაბ 62
სიმონიშვილი ვარლამ 63, 67, 73, 91, 93
სიხარულიძე ქსენია 176
სტალინი იოსებ (ჯულაშვილი) 8, 9, 10, 75, 86, 105, 106,
112, 115, 142, 144, 152, 164
სტრავოვსკი 96
სუკიასოვი მიხეილ (მიშა) 120
სუმბათაშვილ-იუჟინი ალექსანდრე 71
სურგულაძე გოგი 125
სუხიშვილი ილია (ილიკო) 163, 168
ტალგაუგოვი ხაჩიკ (მოგონებებში ზოგან დალგაუგოვი) 120
ურუშაძე ვასილ 109
ფავლენიშვილი ალექსანდრე (საშა) 28
ფალავანდიშვილი გიორგი 27, 49
ფალავანდიშვილი დავით 15, 26



ფალავანდიშვილი ლევან 37, 38
ფალიაშვილი ზაქარია 11, 39, 41, 46, 53, 54, 55, 83, 169, 199
ფანცულაია პლატონ 91
ფიფია 147
ფოფხაძე შამში 114
ფოცხვერაშვილი კონსტანტინე (კოტე) 29, 63, 67, 70, 72, 74, 93
ფოცხვერაშვილი ალექსანდრა (შურა) 112, 113, 159, 160
ქამუშაძე ბესარიონ 183
ქართველიშვილი ლავრენტი 72
ქარუხნიშვილი რეზო 49
ქვაბულაძე ლევან 31
ქორიძე ფილიმონ 29
ქუმსიაშვილი ნიკო 9, 24, 54, 106
ღვინიაშვილი-ლომაური არჩილ 23, 27, 28, 30
ღოღობერიძე ბიძინა 58, 144
ყაზბეგი ალექსანდრე 148, 149, 150
ყორღანაშვილი მიხეილ 195
ყურაშვილი გიორგი (გოგი) 124, 125, 126, 180
შადური 148
შადური როსტომ 149, 161, 174, 191
შავერზაშვილი თამარ 37, 88
შელეგია რომანოზ (რემა) 93



შვედოვი დიმიტრი 127

ჩაგუნავა კ. 23, 45

ჩავლეიშვილი სამუელ 67, 70, 93

ჩარკვიანი კანდიდ 163

ჩერქეზიშვილი ელისაბედ 5, 11, 15, 23, 24, 31, 33, 36, 37,
38, 45, 46, 62, 110

ჩიკვინიძე სიმონ 117, 121

ჩირინაშვილი მიხეილ 176

ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) 5, 43

ჩოფიკაშვილი ოლია 145

ჩუბინიშვილი გიორგი 36

ჩუტკერაშვილი ეკატერინე 23

ცირღილაძე შალვა 62

ცისკარიშვილი ივანე 212

ციციშვილი რეზო 28, 195

ცომაია ნ. 9, 106

ცოფურაშვილი ვლადიმერ 73, 113

წებისაშვილი 136

წერეთელი აკაკი 31, 98

ჭავჭავაძე თამარ 163

ჭავჭავაძე ილია 26, 37, 55, 198

ჭანკვეტაძე მიხეილ 183

ჭელიძე მ. 67, 91



ჭეჭია ანტიფო 158
ჭიაურელი ვალოდია 166
ჭიჭინაძე დავით 179
ჭუბაბრია ეთერ 9
ხარაძე ნადეჟდა (ნადია) 9, 168
ხატიაშვილი ვალერიან 145, 149
ხვიტია კოლია 58, 152
ხმალაძე ვასილ (ვასო) 61
ხორგუაშვილი გიორგი (გოგი) 182
ხრუსჩოვი ევგენი 30
ხუციშვილი ესტატე 23, 27
ხუჭუა პავლე 168, 169, 176, 180
ჯაფარიძე ქეთევან 101
ჯიბლაძე შურა 33, 70, 80, 90
ჯილაური მიხა 64, 67

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

აზერბაიჯანი 6
ალიბადი (აზერბაიჯანი) 142
ამიერკავკასია 90, 91, 92
ასურეთი 169, 176



- აღსთავა (აზერბაიჯანი) (მოგონებებში აღსთავა) 49
აწყური 176
ახალსოფელი 90
ახალქალაქი (კასპის რაიონი) 29
ახალციხე 131, 133,, 136
ბათუმი 42, 45, 46, 65, 67, 101, 104, 116, 117, 124, 126, 127
ბაქო 49, 59, 68, 76, 87, 114, 122
ბელაქანი (აზერბაიჯანი) 142
ბორჯომი 28, 148, 152, 179, 180
გალი 156, 157, 158
გორი 5, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 49,
51, 52, 111, 166, 175, 192, 195, 197, 198
გურჯაანი 169, 171, 175, 185
დუშეთი 175
დრუჟკოვკა (მოგონებებში დრუშკოვკა) 115
ერევანი 90, 92, 110, 112, 113
ვარციხე 65, 66
ვოროშილოვგრადი (დღეს: ლუგანსკი; მოგონებებში
ვარაშელოვგრადი) 117, 118
ზაქათალა (აზერბაიჯანი) 142
ზესტაფონი 111
ზუგდიდი 67, 124, 153, 154, 156
თბილისი 17, 20, 24, 31, 33, 34, 35, 36, 37, 38, 41, 42, 45,
51, 52, 56, 57, 58, 59, 62, 64, 66, 67, 75, 76, 78, 81, 87, 90,



92, 93, 95, 97, 98, 99, 107, 108, 112, 113, 122, 126, 127, 129,
131, 137, 139, 142, 149, 150, 151, 163, 164, 165, 166, 168,
172, 177, 178, 179, 187, 191, 192, 193, 195, 198

თელავი 90, 169

ითითალა (ბელაქანის რაიონი, აზერბაიჯანი) 142

იტალია 53, 199

კავთისხევი 3, 26, 31, 44, 45, 178, 183, 190, 196, 197

კასპი 29, 92, 95, 116, 164, 182, 183, 192, 193, 195

კასპიის ზღვა 143

კახეთი 53, 83, 88, 89, 90, 92, 118, 169, 171

კახი (აზერბაიჯანი) 31, 142

კონსტანტინოვკა (მოგონებებში კასტანტინოვკა) 114

ლაგოდები 89, 142, 169, 171, 175

ლენინგრადი (დღეს: სანკტ-პეტერბურგი) 69, 121, 197

მანგლისი 97, 98

მარიუპოლი (უკრაინა) 118, 119, 120

მაჩხაანი 83, 84

მოსკოვი (რუსეთი) 9, 59, 60, 68, 69, 70, 71, 75, 76, 80, 82,
88, 92, 93, 104, 127, 146, 147, 162

მცხეთა 39, 41

ოზურგეთი 65, 67, 68

ოქონა 15, 16

ოჩამჩირე 153, 156, 157

რუსეთი 6, 34, 139, 197



რუსთავი 167, 192

საგარეჯო 169, 171, 175

საინგილო 136, 141, 142

სამტრედია 122, 123, 137

საქართველო 33, 35, 41, 42, 43, 48, 56, 57, 59, 65, 66, 68,
70, 72, 74, 91, 98, 105, 109, 110, 112, 114, 115, 116, 120,
122, 126, 127, 129, 136, 137, 151, 152, 154, 161, 174, 181,
182

საჭილაო 65, 68

სიღნაღი 169, 175

სომხეთი 6

სოხუმი 91, 93, 96

სტალინო (დღეს: დონეცკი; უკრაინა) 121

სხვიტორი 152

უკრაინა 6, 114, 116, 117

ფასანაური 124, 128, 129, 148

ფოთი 56, 114, 116, 156

ქარელი 28

ქართლი 36, 1110, 118, 187

ქუთაისი 50, 59, 62, 63, 65, 66, 67, 68, 111, 139, 140

ყვარელი 174, 175

ცხაკაია (დღეს: სენაკი) 122, 123

ცხინვალი 28, 111

წითელწყარო 169, 174, 175



წინანდალი 169, 175

წყალტუბო 86, 87

ჭიათურა 65, 67, 148, 152, 153, 183

ხაშური 28, 111, 180



წიგნში გამოყენებული მასალა დაცულია
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ
საქართველოს ეროვნულ არქივში

@ ყველა უფლება დაცულია

